

644
1961/4/3

lyb

Человек

12

საქართველო

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
ჟურნალი
საქართველოს ალკა ც. კ-სა და
მწერალთა კავშირის ორგანო

შინაიარი

თ. ჯანაშვილი — უცნაურად ქვეყნის დღეებს გავცქერი (ლექსი)	8
ბ. კაპანაძე — რკინის ადამიანები	4
მ. ჩხეიძე — იდუმალი (მოთხრობა)	8
ბ. გეგუშვილი — სეზამ, გაიღე..	34
მ. შაღლიძე — ათას ერთი ღამის წერილები. (ლექსები)	41
ბ. გვარამია — გესმის, თორი... (მოთხრობა)	45
მ. კახიძე — ლექსები	54
ბ. შინაიძე — ლექსები	56
ი. ჩაღვანი — ცხოვრების ზღუდრულზე (რომა- ნი. გაგრძელება)	57
ფ. პარსია ლორა — ლექსები (თარგმნა ნ. ხა- ტიყაძე)	67
პ. ნარუბა — ლექსები. (თარგმნა გ. ძნელაძე)	70
მ. ლიხიშვილი — მოხუცი (მოთხრობა. თარგმნა ე. ჭავჭავაძე)	72

პანელი

ზ. არსენიშვილი — შაჰაბაზა (მოთხრობა)	79
ლ. მაღალაშვილი — ქვისმთელი. (მოთხრობა)	93
ბ. შინაიძე — ლექსები	101
ბ. დონაშვილი — მოთხრობები	102
ბ. მახვილაძე — დარდაშელის დროშა. (მოთხ- რობა)	114

ჩვენი ადამიანები

ს. წვერბა — გაზაფხულის სურნელი. (დახას- რული)	
--	--

55-58

12

12

1961

დეკემბერი

გამომცემლობა
„საბჭოთა მწერალი“



პრიტიკა და გუბლიცისტიკა	
აპაპი ბაღიაშვილის ხსოვნას	185
რ. დოღონაძე — დიდი რუსი მეცნიერი და პოეტი	187
ვ. ბაბაშვილი — ლომონოსოვი — პოეტი და ლიტერატორი	148
შ. ჩიჩუა — მისი ოჯახის ბედი	147
შოველი მხრიდან	
პრონიკა	155



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე
 სარედაქციო კოლეგია:
 თ. ბაღურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი,
 თ. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/I-62 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით
 ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვეთა № 1842. უე 03572. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 5.700.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი
 სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР.
 Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



თეიმურაზ ჯანგიაშვილი

შენს ელვად ქცეულ ღღეებს გავცქერი

ამ წლის თვე არის უკანასკნელი,
ჩვენს გულს რომ ახალ შუქად დაერთო;
მაგ შენს ბრწყინვალე, დიდ გზას გავცქერი, —
გზა მშვიდობისა, სამოცდაერთო!

მიდიხარ, დროთა უღელტეხილის
უკვდავ და მაღალ მწვერვალად დგები,
შენ დააბურე ბაღში ხეხილი,
დასდგი პურის და ბარაქის მთები.

„აღმოსავლეთის“ ზღაპრული ფრთებით
გასჭერ კოსმოსის სივრცე უვალი,
შენ თვით ვარსკვლავებს შეუდგი მხრები,
სამყაროს ელვად შემოუარე.

მზის სხივთა რიდით პირს რომ იბურავ,
შენ უკვდავება დაგრჩა სახელად,
იქეც პლანეტის მაღალ ტრიბუნად
და კომუნიზმის გადასახელად.

შენს ელვად ქცეულ ღღეებს გავცქერი,
ჩვენს გულს რომ ახალ შუქად დაერთო,
დიდი მომავლის გზები გასჭერი, —
გზა მშვიდობისა, სამოცდაერთო!



რკინის აღმზიანები

ბავშვობიდანვე საოცრად მიტაცებდა ფეროს ქარხნის ღუმელების თეთრი, შორეული ნათება. რომელიც ჩემს სახლამდე აღწევდა და რძისფრად ედებოდა კედლებს, საწოლებს. მაშინ არ ვიცოდი, რომ ეს იყო ღუმელებიდან გამომდინარე მდულარე ლითონის ძლიერი ნათელი.

მასხოვს, ბავშვობისას როგორ ვცდილობდი დამეჯახნა ის ვეებრთეულა კოცონები, რომლებსაც მე მაშინ ჭიკოკონად წარმოვიდგენდი. მეზობელ ბავშვებთან ერთად მთელი დღე ძაღლის დაუზოგავად ვავროვებდი გამხმარ ანწლის ღეროებს, ფიჩხს, ვენახის ღერწს, რათა მერე, საღამოს, ჩვენი კოცონი იმ შორეულ კოცონებზე უფრო დიდი გამოჩენილიყო. მაგრამ როგორ დასჯაბნიდა იმ შორეული ცეცხლის საოცარ გიზგის გამხმარი ანწლის ღეროებით დანთებული ცეცხლი! იგი სწრაფად ინაგლებოდა და მის მსუბუქ ფერფლს საღამოს ნიავე აფორიაქებდა.

ბავშვობა ისწრაფვის სიჭაბუქისაკენ და ძლიერი სურვილი ეუფლება ახლოს იხილოს ის საოცრება, რომელსაც ადრე ბუნდოვნად წარმოვიდგენს.

ახლა ვიმყოფები ამ ვულკანური ქარხნის ღირიერებთან.

მიხეილ ფერაძე, მდნობელი, მორჩილი ტანის შავვარდმანი კაცი, ჩუმი, უთქმელი, საფეთქლებთან ჭადარაგარეული, მშვიდი თვალებით. ეს იყო ამ ქარხნის ბალავრის ჩამყრელი.

— მასხოვს, როგორ ეზიდებოდნენ ძველი ჭრიალა ურმებით ამ ქარხნის საშენ მასალას, — ამბობს მიხეილი.

ნუთუ ურმებით მოტანილი მასალით დაიწყო ამ გოლიათის მშენებლობა? — ვფიქრობ მე და წარმოვიდგენ ჩვენი ქვეყნის მაშინდელ სიღარიბეს და გონებაში დღევანდელ ტექნიკურ საოცრებებს ვადარებ.

— ამ ადგილზე ძველად საქარელ გლეხებს პატარ-პატარა ნაკეთებზე ყანები გვეთესა აქაიქ. იქით გაუვალი ტევრი იყო. ხშირად ვა-

ფავდით იმ ტევრს საყანე მიწებისათვის ეკლებით დაჟარული ხელებით, — ჰყვება ის და სადღაც შორს იხედება. ახლა ალბათ მის მეხსიერებაში ცოცხლდება შორეული მოგონებები: საქარა, პატარა იმერული სოფელი, ბავშვობის წლები, ამ ტევრებში და ყვირილს პირას გატარებული დღეები, თევზაობა, ნადირობა.

— აქ ხშირად გადმოსულა ადიდებული ყვირილა ნაპირებიდან, წაუღევას ყანები, და მერე დასილულ ყანებში გვიძებნია ლაფში ამოსვრილი სიმინდის დამტვრეული ტაროები.

წყალი თიშავდა გაღმა და გამოღმა სოფლებს...

ერთი ასეთი ამბავიც ახსოვს მიხეილს: მაშინ ბავშვი იყო. სვირელებს პატარძალი უნდა წაეყვანათ საქარადან. იმ დღეებში დიდი წვიმები დაიწყო. ამღვრეული მდინარის ზვირთები გახელებული ბუღრაობდნენ. წყალმა ბორანი გაიტაცა, სვირელი მაყრები სწორედ ამ დღეს მოადგნენ იქითა ნაპირს. აქ კი მასპინძლები იყვნენ დაღონებული. ბევრჯერ სცადეს ბორნის აღდგენა, მაგრამ ვერ შეძლეს. საწონს ბორნის თოკი ჩააბეს, რათა მეორე ნაპირზე გადაესროლათ, მაგრამ ვერაფერ შეძლო მეორე ნაპირამდე გადასროლა თოქაბმული რკინის საწონი. მაშინ სვირელმა მაყრებმა გაღმა სოფელში იშოვეს თოკი და საწონი. მაყრიონს მაღალი ვაჟკაცი გამოეყო, ჩოხის კალთები აიკეცა, მკლავი დაძაბა და ისროლა. საწონზე გამობმული თოკი ვეება გველის მსგავსად აიკლაკნა პაერში და მეორე ნაპირზე დაეცა. გაისმა მასპინძლების ყიჟინა. ბორანი აღადგინეს, მაყრები ნაპირზე გადმოიყვანეს და საღამოს ქორწილი გაჩაღდა... ბავშვი გაკვირვებული უყურებს ამ გირის მსროლელ ვაჟკაცს, ახოვან მაყარს დომენტი კაპანაძეს და ნატრობს მის ღონეს...

რა სწრაფად გავიდა წლები! ახალმა ცხოვრებამ წაუღია ძველი სოფლის ჩამორჩენა და

სიწყნარე. დაუჯერებელ მოგონებად ქცეულა ახლა ასეთი ამბები.

ახსოვს მიხეილ ქარხნის საყვირის პირველი ძლიერი ბუბუნი, რომელმაც გამოაფხიზლა დადუმებული სოფლები.

ახსოვს, რარიგ გახარებულნი მოდიოდნენ გლეხაკები ქარხანაში სამუშაოდ.

ვუტყერი მიხეილ ფერაძეს და მოცებს სიმშვიდე ადამიანისა, რომელიც წლების განმავლობაში ცხოვრობს ლითონის მდულარე ნიაღვრებთან.

მთებში შემალული პატარა სოფელი რგანი. მთის მწირი მიწა არ იძლევა უხვ მოსავალს. გლეხობა ეძებს საშოვარს ახლომდებარე ქიათურის მაღაროებში. გაჭირვებულ მამას მიჰყავს ცამეტი წლის ბიჭი გიორგი საშოვარზე, მაღაროებში.

აღრე გამოეთხოვა გიორგი ბავშვობას. მძიმე შრომას იწყებს ბიჭი ჯოჯოხეთურ პირობებში. აგონდება გიორგის მაშინდელი ქიათურა: უბადრუკი ძველი ფარდულები, სადაც შორეული სოფლებიდან ჩამოსული გლეხობა ათევდა ღამეს.

მთელი ღდეები ამუშავებდნენ მუშებს. არავითარი მექანიზაცია. მძიმე შრომა შიშველი ზელებით. პატარა ბიჭი იძულებულია ფეხით გაიაროს დიდი გზა თავის სოფლამდე. გამურული ბრუნდება ოჯახში. დედის ალერსი ავიწყებს ჯაფას.

საოცარი სინაზით იგონებს დედას გიორგი.

— რაც უფრო ხანში შევდივარ, მით უფრო მიძლიერდება დედის სიყვარული, ის ისევ პატარა, მშობლიურ კერასთან დარჩა. როცა სოფელში ჩავდივარ, შეხვედრისას ორივე ვიცრემლებით. საოცარ ძალას ვგრძნობ და მეჩვენება, თითქოს ბავშვობას ვუბრუნდები. ახლა კარგი ხანია არ მინახავს დედა, საოცრად მენატრება, — ამბობს გიორგი და ქარხნის გაშურულ, კვამლიან მიწებს უყურებს.

ვგრძნობ: აგონდება ახლა მას თავისი პატარა სოფელი. უშვილებელი, დაყრუებული, გამოფიტული კლდეებით, თავქვე ჩაშვებული დელებით, აგონდება მოხუცი დედა, რომელიც შოუთმენლად მოელის შვილს.

ვუახლოვდებით ქარხანას, რომელიც რკინის სიმკაცრით იღუშება, თითქოს არ უნდა თავისი დიდი განძი ვინმეს უჩვენოსო. ეზოში პატარა ორთქლმავლების სუნთქვა ისმის. ისინი მოათრევენ ვაგონებით ქიათურის შავ ქვას ამ ქარხნის გაუმაძლარი ღუმელების სტომაქისათვის. და ისევ წივილით ბრუნდებიან უკანვე, რათა ჯოლიათს ახალი საკვები მოართვეან.

შევდივართ საამქროში. რამდენიმე მუშა მძიმე რკინის უროებით ამტრევს ფერომანგანუმის გაციხულ ლოდებს.

— ეს მძიმე შრომა მალე შეიცვლება, ახალი მანქანა მალე ფერომანგანუმს ჩამოასხამს. ეს პროცესი დიდ სიძნელებებს შეიცავდა, რადგან თუჯის ციხვებში ჩამოსხმული ფერომანგანუმი მალე ციხვებოდა, ბლანტდებოდა და ეკვროდა ციხვის ფსკერს, აბრკოლებდა ჩამოსხმას და იძლეოდა დიდ დანაჟარებს. ეს სიძნელე ასე დავძლიეთ: პირველად ჩამოვასხით სილიკომანგანუმი, რადგან სილიკომანგანუმი აქვს სითბოს დიდი კონცენტრაციის უნარი. ამის შემდეგ სილიკომანგანუმის წილადამოვლებულ ციხვებში ჩამოვასხით ფერომანგანუმი და კარგი შედეგიც მივიღეთ. ასევე უდნაჟაროდ მოხდება ფერომანგანუმის ჩამოსხმაც. ეს ახალი მეთოდი ცვლაში მძიმე შრომისაგან ათავისუფლებს ოცდაათხუთ მუშას და იძლევა სულ მცირე 60 000 მანეთის ეკონომიას ახალი ფულით. ამისთან ერთად უმაჯობესდება ლითონის ხარისხი, მასში მცირდება ფოსფორის რაოდენობა და თავისუფლდება თუჯის დიდი ბოყვები, რის ჩამოსხმაც ძალზე ძვირი გვიჯდება, — მიხსნის გიორგი.

გიორგის და ახალგაზრდა მეტალურგს ივანე არაბულს შემოაქვთ ახალი წინადადება ელექტროლუმენის ფსკერის დაღრმავებისა, რითაც გაიზრდება ლითონის წარმადობა.

— ივანე არაბული გახლავთ, — მაცნობს გიორგი ბრეზენტის ხალათიან, გაოფილ ახალგაზრდა კაცს.

ივანე არაბული ხეცსურეთის სოფელ თრანდან ჩავიდა თბილისში. იქ დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიული ფაკულტეტი. შემდეგ მუშაობდა ჩელიაბინსკში. 1958 წლიდან მუშაობს ფეროშენადნობის ქარხანაში.

ივანე საშუალო ტანის მარდი ხეცსურია. ავაზის მოქნილობა ეტყობა მის გარეგნობას. მოცისფრო თვალები აქვს. საამქროდან ახლადგამოსული ბრძოლის ველიდან მობრუნებულ ხეცსურს ჰგავს. ვესაუბრები მას და მელანდება ხეცსურეთის მიუფალი მთები: გაავებული ზამთარი თეთრ ფრთებს უფათქუნებს დადუმებულ, დაბურულ ჭიუხებს. ხანდახან იზრიალებს ზეავი და ღრმა ხევებში იმსხვრევა თეთრი სხეულით. ნისლში ცეცხლოვან ტბასავით ანთია მისი პატარა სოფელი თრანა, საიდანაც არწივივით ჩამოფრინდა ხეცსური ჭაბუკი, რათა აბრიალებული ლითონის ღვარების ყურებით გაძღეს და შრომით ასახელოს სამშობლო.

ბაგრატ მეღჭაძე. სიტყვაძუნწი კაცი, რაღაც უჩვეულო ძალა იგრძნობა მასში. ის მძიმე შრომას ეწეოდა ბავშვობიდანვე. შემდეგ ამ ქარხანას ჩაუყარა ბალავარი. შეეჩვია მის რუხ ფანჯრებს, ღუმელების ქუხილისებურ ხმაურს. აქ გაიზარდა მისი ცხოვრება, აქ მიანიჭეს მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ოფიციალური საშუალო განათლებაც არა აქვს ბაგრატს, მაგრამ მისი მაძიებელი გონება დიდი პრაქტიკითაა განათებული. იგი ბევრი ნოვატორული წინადადების ავტორია. თითქო რკინის ძალა იფარავს სიბერისაგან. ანათებს მის ცხოვრებას ქარხნის ბრალი და ისიც მისი ცეცხლივით მუდამ მღვიძარაა. მის ოდნავ მკაცრ სახეს შრომის სიკეთე ანათებს და გაგრძნობინებს მის მაღალადამიანობას.

აღვის ხეებით დარწყული სოფელი არგვეთა ახლოსაა ქარხანასთან. აქ აიღვა ფეხი ლევან კობახიძემ, აქედან უტყეოროდა ის ქარხნის შუქით განათებულ ლამეებს.

ქარხანა ბავშვობიდანვე იზიდავდა მას, უტყეოროდა ბავშვი ღუმელებიდან ამოსულ მოფუსფუსე კვამლს, რომელიც გაწვებოდა ხოლმე სოფლის ახლოს ველზე და აჯამეთის ტყის სილურჯოზე, მერე გრძელდებოდა და ერწყმოდა შორს ცის დასალიერს.

ჯერ კიდევ უწვერული ჭაბუკი მოვიდა ქარხანაში. შეეთვისა დაუდუმებელი ქარხნის დუღილს. მერე კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გახდა. ამ ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა მოსკოვიდან, როგორც ყრილობის დელეგატი. ჩამოჰყვა ყრილობის დაუვიწყარი შთაბეჭდილებები.

ლევანი ახოვანი ვაჟაკია, მის მოლურჯო თვალებში ანთია შრომის მადლი და ქარხნის სიძლიერე.

გიორგისთან და ლევანთან ერთად შევდივარ ქარხანაში და ვაკვირდები ღუმელიდან ლითონის გამოშვებას. თავაწყვეტილი მოედინება თეთრი სიკაშკაშით განათებული ლითონი. თუჯის უშველებელ ბოყვებსა და ციცვებში ხტის თუხთუხებს, თითქო იწყინა მარადიული ძილისაგან გამოფხიზლებაო. გოგირდი, რომელიც მოჰყვება ნაკადებს, საოცარი ლურჯი ალით იწვის. გეგონებათ იები ჰყავის ამ ლითონის გავემუხლ ლანქერებზეო. განთავისუფლებული გაზები ლურჯად აყვავებულ ბურთულებად მიფრინავს ზევით, სკდება, იფანტება. ლითონის ნიაღვრები თეთრად აფოფინებული ვარვარით ირევა ციცვებსა და ბოყვებში. ვოლტას რკალი, გაშვებული მოცისფრო ალის ნაკადებით, ქმინავს და ადვივებს კოქსის გროვებს. ეღვიძებს ღუმელში ჩაყრილი მადანი და ლანქერებად მოედინება ღუმელის ფსკერიდან.

აი, ახალი მანქანა, რომელიც უკვე ყალიბებში ახსამს სილიკომანგანუმს. ჯოჯოხეთური გრიალით მოძრაობს მანქანა, ზევიდან უპირისპირდება ღუმელიდან გამოშვებული, აბრიალებული ლითონი უშველებელ ციცვეს. ნელა უშვებს კლანჭებიდან რკინის დიდ კაუჭებს და ზევით იტაცებს ციცვეს. გეგონება, ჯოჯოხეთურმა ფრინველმა მსხვერპლი აიტაცაო.

მანქანა ლითონით სავსე ციცვეს ხელა, სულ ნელა აპირქვევებს და თეთრად მოთქრიალებს ლითონის ნაკადები ორივე მხრივ. უწყვეტად მოჰყვება ერთიმეორეს თუჯის ჯამები კონვეიერზე. ივსება, ერთმანეთს მიჰყვება, იცლება და უკანვე ბრუნდება დაცილილი.

თანდათან იცლება ციცვე. დანალექი წიდა მაგრად ეკვრის ციცვის ფსკერს. ერთი მუშა ლომით აცილებს გაცივებულ წიდას, რადგან ისევ ღუმელში უნდა დააბრუნონ ხელმეორედ გადასადნობად.

— დიდძალი ლითონი მიჰყვებოდა მანამდე წიდას, ახლა კი შევძელით გამოვწუროთ ძვირფასი ლითონი, — მომითხრობს გიორგი.

ვაკვირდებით გამდნარი წილის ღუმელიდან გამოშვებას. ისევ ივსება თუჯის ბოყვები და ციცვეები. მანქანას ისევ მოაქვს რკინის კაუჭებით გამდნარი ლითონით სავსე ციცვე. შევამჩნიე, ციცვეში ლითონის ზედაპირს ცივი ბლანტი ფენა გადაეკრა, გასქელდა და გაცივება იწყო, დაფარა ელვარე ლითონი.

მეუბნებიან, რომ გამომდნარი წილის ტემპერატურა დაბალია და მაღე ცივდება, ზედაპირი იკეთებს სქელ ქერქს, საჭიროა ამ ქერქის ამტვრევო. ლომით არღვევენ მუშები ამ ფენას. ნელა აპირქვევებს მანქანა ციცვეს და იწყება ისევ ლითონის თეთრი თქრიალი ორივე მხრივ.

ღუმელებთან გვხვდებიან ჩემი თანასოფელები: დავით ტალახაძე, ლევან ქულუხაძე, ტუშა ჭურაძე, სერგო კაპანაძე და სხვები. საამაყოდ შრომობენ სამშობლოსათვის ეს რკინის ადამიანები.

ვაკვირდებით ყველას. გაოფლილი, შიშველი მკერდები, ბრეზენტის ხალათები. კვამლით შებოლილ სახეებს რკინის ფერი მიუღიათ. თითქოს რკინის ადამიანები მოძრაობენ უჩვეულო სიძლიერით და ამ აბოზოქრებულ ცეცხლს დირიჟორობენო. მძიმე, ვაჟაკური შრომაა.

გამოვდივარ ქარხნიდან. ვგრძნობ, ახლობელნი გახდნენ ეს ადამიანები ჩემთვის. საინტერესოა მათი ცხოვრება, მათი დაუღალავი შრომა. იცოცხლებენ აწი ისინი ჩემში: გაოფლილი, შიშველი მკერდებით, ბრეზენტის ხალათებით, კვამლისფრად შებოლილი რკინისფერი სახეებით, ადუღებული ლითონის ვარვარა ლანქერების მოუსვენარი დელვით და მომავლისაკენ მიჰყრობილი ნათელი თვალებით.

*

გამოვდივართ ქარხნის კიშკრიდან და ისევ ვიხედები უკან. ზღაპრული გველგზავივით იგრძნობა ლუმელებიდან ამოვარდნილი კვამლი და მიჰყვება ქარის დინებას. დავდივარ ფეროელთა პატარა ქალაქში. ფეროელთა შესანიშნავი კლუბი, საერთო ბინები, მაღაზიები და ჰადრებიანი ქუჩები ლამაზი ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებს.

შემოდგომის ნიავი ირწყვია ხეების დაცვენილ ფოთლებზე. ინთება ლამპიონები და ოქროსფერ ნათელში უფრო აშკარად მოჩანს ამ დაცვენილი ფოთლების სევდიანი სილამაზე.

ქუჩებში მოდიან ქარხნის მშრომელი ადამიანები. მივყვები ქუჩას და ვფიქრობ ადამი-

ნის შრომის გენიის დაუცხრომელ ძალაზე, რომელმაც შექმნა ყოველივე სანუკვარი და აღმტაცი, რითაც კაცობრიობა ამაყობს. და უცებ წარმოდგენაში ისევ ცოცხლდება ამ ზღვილის აღრეული პეიზაჟი: პატარა ყანები თვლემენ სიჩუმეში, გაუვალი ტევერი იღუშება თავისი მკაცრი დუმილით.

ახლა კი აქ სიცოცხლე ფუსფუსებს. სიცოცხლე აყვავებულია ირგვლივ. წარმოვიდგენ, როგორ სწყურია ამ აყვავებას მშვიდობა — ყოველი სიკეთისა და შემოქმედების აკვანი.

ლამდება და ღამეში უფრო ბუმბერაზული მოჩანს ლითონის ლანჭერებით აყვავებული ქარხანა. სიცოცხლის უკვდავების შთაბეჭდილება სტოვებს მისი ვულკანური ფუსფუსი.



იღუპე

ჩვენსკენ არის ერთი პატარა სოფელი, ისე პატარა, რომ რუქაზეც როდი აღუნიშნავთ. იმ სოფელს იღუმალას უძახიან. მთის კალთაზე არის გაშენებული, იმ მთასაც იღუმალას უწოდებენ. მდინარე ჩამოუდის, მდინარისთვისაც იღუმალა დაურქმევიათ. ისიც პატარაა, ისე მიღუული, ისე მიიპარება ხოლმე, იმისთვის იღუმალა მართლაც შესაფერისი სახელი გახლავთ. ოღონდ კალაპოტს თუ დაუკვირდებით, ეტყობა ოდესღაც კარგა დიდი უნდა ყოფილიყო, ულრან ტყეში მოდუდუნებდა, მთა ყოფილა შემოსილი ულრანი ტყითა. ახლა ჯაგიანია, ძეძვიანია, საღღაც საქორჩეზე ცხრა ბუმბერაზი ცაცხვი გადარჩენილა, იმასაც იღუმალად იხსენიებენ. იღუმალაძეებიცა ბრძანდებიან სოფელში, ისინი არიან უძველესი მკვიდრნი. სხვანი მოსულან, სხვადასხვა დროს შემომატებულან, შემომატებულან და გათამამებულან. იღუმალაძეები ჩუმი ხალხი ყოფილან, ჩუმებადვე დარჩენილან, თითქოს მართლაც რაღაცა იციან, ოდესღაც რაღაც მიუხდევიათ და გულმოდგინედ ინახავენო. მაგრამ მართალი რომ ითქვას, განსაკუთრებული და უცნაური იმათ არაფერი იციან, ხოლო თუ ოდესმე სცოდნიათ იმათს წინაპრებს, ან სამარეში ჩაუტანიათ, ან გამოძევენებულა ღიღიხანია, იმათ მხოლოდ ხასიათდლა შერჩენიათ გულჩახვეულობა და მორიდებულობა.

ჰოდა იღუმალაძეებმაც არ იციან, არც ძველ ნაწერებში იპოვება სადმე თუ იმდეს რამეს იღუმალა რად დარქმევია. ისე იღუმალა ბევრგან არის დასახელებული, ვახუშტიც ახსენებს, გიორგი ბრწყინვალის ერთ გუჯარშიც ასე სწერია, — გვიბოძებია იღუმალა იღუმალეზითაო, აქედან როგორღაც ისე გამოდის, სოფელი უბოძა და საიღუმლოც ჩააბარაო, მაგრამ „იღუმალეზიც“ მიწები გამოდგა, დიდი ხოდაბუნები იღუმალას მთის ჩაფენობაზე, იღუმალას შესართავთანა. თუმცა, ვინ იცის, გუჯარში ხოდაბუნები საფარად არის გამოყენებული, სინამდვილეში სხვა რაღაცა იგულისხმებოდა, რაღაც საიღუმლო, მიწაში გახვეული და მიწისავით ჩასამუნჯებელი, მაგრამ ვინ უწყის, ვიღამ იცის, იღუმალაძეები ხომ სდუმან და სდუმან, ხოლო მკვლევარებს ვარაუდის მეტი აღარაფერი შერჩენიათ.

მკვლევარებსაო რომ მოგახსენებთ, ხუმრობა არ გეგონოთ, არც ის გეგონოთ, თითქოს მთელი ქვეყნის გეოგრაფიკები საიმისოდ გადამდგარიყვნენ და გეოგრაფიის საზოგადოებათა ყურნალებში სულ ამაზე დაობდნენ, არა, ამდენი რამ არ იგულისხმობთ, იქამდის ნუ გაგეჭვევით ფიქრები, მხოლოდ იღუმალელი მასწავლებლები ჩაჰკირკიტებენ ამ ღიღ ამოცანას და მეცნიერების გამდიდრე-

ბას იმუქრებიან. იმათში პირველთაგანი გეოგრაფიის მასწავლებელია, — პატივცემული შაქრო ეცადაშვილი, — სულ ამას ჩასჩინებებს და, მაინც რომ ვერ ამოუხსნია, ღრმა ფიქრებიდან ამოიძახებს ხოლმე, მალე, მალე ჩასწვდება მეცნიერება, პატიოსნებას გეფიცებითო. გიორგი ბრწყინვალის გუჯარიც იმან მაჩვენა, ილუმალას რუქაც შეუდგენია. ოლონდ უცნაურია, — რუქას აწერია „ილუმალა“ და შიგაც ყველაფერს — „ილუმალა“. რაც ჩამოგიტვალეთ, ის რა არის, — ილუმალას ციხე, ილუმალას ხიდი, ილუმალას წყარო, ილუმალას ტაძარი, და მოსდევს და მოსდევს რაც რამ ყოფილა, ისე არ ითქმის „ილუმალა“ თუ არ დაერძო. ლიტერატურის მასწავლებელმაც გამაცნო „ილუმალას თქმულებანი“, ათი სქელი რვეული აუესია. მართალია, დიდი, ბრტყელი ასოებით არის ნაწერი, მაგრამ ათი რვეული მაინც ათი რვეულია და თანაც ათი წლის ნამუშევარიცა ყოფილა, — ჯერ ჩაუწერია, მერე გადაუწერია, მერე გადაუთეთრებია, მერე კიდევ გადაუწერია, ესოდენი ღვაწლი გაუწევია ილუმალას ფოლკლორის დასახვეწად. ოლონდ უნდა გამოგიტყდეთ, ბევრი რამ მეცნაურა, ეზოპიც მომაგონა, ათას ერთი ღამეცა, ბალავრის სიბრძნეცა, სულხან-საბაცა, ლაფონტენიცა, კრილოვიცა, გრიმებიცა, უმიკაშვილიცა, რაზიკაშვილიცა, ილუმალასი კი ვერაფერი გავიგე. თვითონაც მხრებს იჩეჩდა, განა საოცარი არ არის, ილუმალას ამბავი ვერავის ვატიქმევინეო; მერე გამანდო, ისევ განვაგრძობ მუშაობას, უსათუოდ მივაკვლეო. მეც გავამხსენე, უეჭველად მიაკვლევთ-მეთქი. ისტორიის მასწავლებელმაც მაჩვენა თიხის ნატეხები, — ყველა ამბობს, ქვევრისა არისო, მაგრამ მე ვამტკიცებ, ქოთნისა არის-მეთქიო, და ილუმალების კართან მიმდგარივით შემომანათა თვალები. ძალიან გამიჭირდა მივმხვდარიყავი, — ვთქვით მართლაც ქოთნისა იყოს, ვითომ რას უნდა ნიშნავდეს-მეთქი, მაგრამ არ ამიხსნა, ჯერ ვერ ვიტყვიო. ბუნებისმეტყველების მასწავლებელმაც გადაიხსნა პერბარიუმი, მართლაც უცნაურ ყვავილზე დამიდო ხელი, ვერცერთ სარკვევში ვერ მივაგენი, სრულიად უცნობი გახლავთო... და იმასაც ილუმალების სიხარული უციმციმებდა თვალებში. ჰოდა, რომ იტყვიან, ილუმალას მკვლევარებში, ჰხედავთ, ხუმრობით როდი იტყვიან, „ილუმალაში დიდი მეცნიერული მუშაობაა გაჩაღებული „ილუმალას“ ამოსახსნელად“.

ბოლო სიტყვები რაიონის გაზეთიდან დამამახსოვრდა, ასე მთავრდებოდა ილუმალას სკოლის დირექტორის წერილი. თვითონვე წამიკითხა, ანუ ჯერ მომცა, წაიკითხეო, მეც ჩავიკითხე, მერე გამომართვა და თვითონაც გამიმეორა, ალბათ იფიქრა, კარგად ვერ გაიგებდაო; ჰო, წამიკითხა და ყოველი წინადადება განმიმარტა, გაზეთი პატარაა, იმდენ ადგილს არ გვითმობენ და რაც წერილში ვერა ვთქვი, აქვე მოგახსენებო; საქმე ის არის, ყველანი ცალცალკე მუშაობდნენ და აქამდის წარმატებასაც იმიტომ ვერ მიაღწიესო, ბოლო ხანებში მე მოვეკიდე ხელი, თავი მოვუყარე, შევამჭიდროვე, შევათანხმე მათი საქმიანობა, სათავეში ჩავუდექი, მტკიცედ წარვმართე და მალე მეცნიერებაში ჩვენც შევიტანთ ჩვენს პატარა წვლილსაო. „პატარა წვლილი“ ძალიან თავმდაბლადა სთქვა, მოგეწონებოდათ, ისე თავმდაბლადა...

მოწონება რომ გამომეთქვა, ვერ მოვასწარი, გარეთ ისეთი ყივილ-ხივილი ატყდა. ფანჯარას ვეცი. დირექტორი მაინცდამაინც არ აჩქარებულა, ალბათ იმისთვის უჩვეულო არაფერი ხდებოდა, ან ერჩივნა ისევ იმის „ხელმძღვანელ როლზე“ და „საკვლეო-სამეცნიერო კოორდინაციებზე“ გველაპარაკნა. მაგრამ გულისყური მომტაცა გარეთ მომხდარმა ამბავმა და იმასაც, მეტი რა ჯანი ჰქონდა, უნდა აეხსნა, რომ ეს ტკრიაცი, ტაში, ვაშას ძახილი, თაიგულები შეჯიბრში გამარჯვებულს ეკუთვნოდა, — აგერ იმ ბიჭსა, სხარტად რომ გად-

მოხტა მანქანიდანა და გოგონების თაიგულში ჩაიფლო. მართლაც ისე ჩაიფლო და ისე უმაღ ჩაიფლო, მხოლოდ მოქნეულ წელს მოვკარი თვალი. მინდოდა უფრო კარგად დამენახა, ცხადია, იმის გაგებაც მინდოდა თუ რა შეჯიბრში გამარჯვებულიყო. ღირეპტორი, — ბარემ აქვე მოგახსენებთ, პატივცემული ფილიმონ ფილაძე, — იძულებული იყო ცოტახანს კიდევ გადაედო სამეცნიერო საუბარი და ჩემს სურვილს აჰყოლოდა. იძულებული იყო და აჰყვა, აჰყვა და მისხნიდა:

იღუმალას მთის გადაღმა, ჩვენი სოფლის პირდაპირ სხვა სოფელია, სადუმალას უწოდებენო... მთაზე ბილიკები გადადის და მარჯვე მოსიარულე ასე საათნახევარ-ორსაათში სადუმალაში ამოჰყოფს თავსა. მანქანასაც იგივე დრო უნდა გზატკეცილით მთა რომ შემოიაროს. და აი მეორე წელია ბიჭები დაჯიბრდნენ, ვინ ფეხით, ვინ მანქანით, ვისაც როგორ უნდა ისე იმარჯვოს, — სადუმალას ვინ მიასწრებსო. ამ შეჯიბრს წელიწადში ორჯერა მართავენ, სასწავლო წლის დასაწყისისა და დამთავრებისას. უკვე ოთხჯერ დაჯიბრდნენ და ოთხჯერვე ერთიდაიგივემ გაიმარჯვა. საოცარი სისწრაფით გადადის მთაზე, რომ ჰგონიათ, აგერ, ააა, ცაცხვებამდის ააღწევდო, უკვე სადუმალადან მოისმის ხოლმე, — ალლო, ალლო... აქა ვარ, თენგიზი ვარო..

მანქანებსაცა სჯობნის-მეთქი.

მანქანებსაცაო.

ფიცხელი ბიჭი ყოფილა-მეთქი.

ფიცხელზე ფიცხელიო. ოდონდაო, დაუმატა ფილიმონმა და ჭადრისაკენ გაიშვირა თითი, აგერ იქ, გამარტოებით, შავტუხა ბიჭი რომ დვას, აი ის არის მართლაც ფიცხელზე ფიცხელი, ორიოდ წელიწადში მაგისი მჯობნი ძნელად თუ სადმე გამოიძებნოს, უეჭველად ჩემბიონი იქნება, მაგრამ საკვირველია, სადუმალას მაინც ვერ გადაასწრო თენგიზსა, ვერ გადაასწრო და გული მოსდის, ჰხედავ, არც ულოცავს, საუკეთესო მეგობრები იყვნენ, ხმასაც აღარა სცემსო.

მოშურნე ბიჭი ყოფილა-მეთქი.

ეგრე გამოდისო. გავუწყებით და უფრო გაგულისდა, გულისა ბიჭი იყო, გულჩახვეული გახდაო.

ალბათ ძალიან გაანებივრეთ და მჯობნი ვეღარ აიტანა-მეთქი. თავიდანვე უნდა ჩაგენერგათ, მჯობნის მჯობნი არ დაიღვეო.

საეჭველს რას ჩავუნერგავდით, ჩვენი მასახელებელი ეგ იყო და ვაქებდით რაც შეგვეძლო. მერე უცებ ეს შეჩვენებული თენგიზი გამოტყვრა, ეგ შეჯიბრიც იმისი მოგონილიაო.

აქ თვალეზე ხელი აიფარა ფილიმონმა, ამითი მაგრძნობინა, რაზე მაცდნენ, რაზე მალაპარაკებ ამხელა მოწოდების ადამიანსაო. თითებსშუა გამომცქეროდა, მიმიხვდება თუ ვერაო. გამოგიტყდებით, არ მივეუხვდი, დაე, თვითონ მივეხვედრებინე, ისევ გარეთ ვიყურებოდი. ყივილ-ხივილი გვშორდებოდა, გოგონები და ყმაწვილები დიდ გუნდად შეკრულიყვნენ, მიდიოდნენ და მიჰქონდათ ხმაური. შავტუხა ბიჭიც გასცლოდა ჭადარსა, მიტორღიალებდა, შორიახლო მისდევდა დიდ გუნდსა, მისდევდა და თვალს მივადევნებდი, ვიდრე არ მიმეფარა.

ფილიმონი მიცდიდა დარბაისლური მოთმინებითა, თურმე უნდა გაენდო უკანასკნელი მონაპოვარი, — იღუმალას გასაღები თითქმის ხელთ გვიპყრიაო, განმიცხადა და გამიმხილა, რომ აღმოუჩენიათ ძველი საფლავის ქვა, გულმოდგინე ძიებით გაურკვევიათ, იმ ქვის ქვეშ მდებარე ყოფილა ვინმე იღუმა-

ლა იღუმალას შვილი იღუმალაძე, მიცვლილი ჩქპდ წელსა, ანუ 1684 წელსა. თუ ამის შემდეგ იღუმალაძეებში სახელი იღუმალა აღარ მოიხსენიება, მაშ საიდუმლოსაც იმ ხანებამდის მოუღწევია და საძიებო არე შემოისაზღვრებაო. ოღონდაც-მეთქი, ჩავურთე და გავახსენე რუსული მოთხრობა, ერთ სოფელში რომ ორმოცი ივან ივანიჩი ივანოვი ცხოვრობდა და ველარავის გაეგო, ვერც თვითონ გაეგოთ, ვისი რა იყო, ვინ რომელი იყო. ფილიმონს არც გაუღიმიო, არად ჩამიგდო, ვითომც არც გაუგონია, ეტყობოდა, არ იყო ხუმრობის მოყვარული, ან საკვლევ საქმეს ისეთი ღირსებით მოჰკიდებოდა, რომ ხუმრობას ახლოს არ გაიკარებდა; ხუმრობას არ გაიკარებდა და მოხუშარეც დამცირდებოდა იმის თვალში. ამიტომაც მივიღე სახე ღრმად ჩაფიქრებულისა და მძიმე-მძიმედ, თითქოს სადღაც შორსა დუღუნებენო, წარმოვსთქვი, — „ვინ იცის „ვეფხისტყაოსნის“ ავტოგრაფის ადგილსამყოფელი იცოდა იღუმალა იღუმალასშვილმა იღუმალაძემ...“ მაგასაც ვვარაუდობდითო, სწრაფად მომაცხა ფილიმონმა, თან თვალები მოწურა, შევატყე, წარმოიდგინა მომავალი საკოორდინაციო სხდომა, სადაც ამ ნათქვამს თავის ჰიპოტეზად გამოაცხადებდა. და ამ ერთი ჰიპოტეზის ანაბარა რომ არ დარჩენილიყო, სხვაც მივაშველე, — ეგება თამარ მეფის საფლავიც იცოდა იმ სულცხონებულმა იღუმალა იღუმალასშვილმა იღუმალაძემ-მეთქი. მაგასაც ვგულისხმობთ, სხვასაც ბევრ რამესა ვფიქრობთო, ღირსეულად მომადევნა ფილიმონმა, მომადევნა და დამელოდა, აბა, კიდევ ზას იტყვისო. არც დავაყოვნე, — ეგება აღამაჰმად-ხანს ტყუილად აბრალებენ ჩვენი სამეფო დივანხანის გადაწყვეთა, ეგება ისიც იღუმალაძეებმა გადამალეს-მეთქი. დიხსაც, დიხსაცო, ჩაიციხა ფილიმონმა, ვითომცდა რაო, შენ ისეთს რას გვეტყვი, არ ვიცოდეთო. თვალებიც მილულა. ისევ სხდომაზე იყო, აღტაცებული მკვლევარები ტაშს უკრავდნენ და გაიძახოდნენ, ვაჰ, ვაჰ, ე რა ხელმძღვანელი მოგვივლინა განგებაბაო...

ვერ გეტყვით, შესდგა თუ არა ის ისტორიული სხდომა, აღარ მიკითხავს, თავისთავადაც აღარავის გახსენებია, რადგან ამბავი მოულოდნელად წარიმართა და იღუმალაც მოულოდნელად გაიხსნა... ფილიმონი მაშინაც „ხელმძღვანელ როლს ასრულებდა“, დარბოდა, ბრძანებდა, თუმცა არც არავინ უგონებდა, არც არავინ უხირდებოდა. თავისი თანამშრომლებიდან გეოგრაფიის მასწავლებელიდა შერჩა და ისიც სხვის განკარგულებებს უფრო ემორჩილებოდა. რა ვუყოთ მერე, მაინც აბრუს არ იტეხდა ფილიმონი, ჟურნალისტებს ის ეგებებოდა, ის აძლევდა განმარტებასა, სოფელს ის ამშვიდებდა, რაიონს ის ურეკავდა, ერთისიტყვით მოძრაობდა და მოძრაობდა, ბრუნავდა და ბრუნავდა, ხმას არ ჩაიღებდა, ფეხს არ ჩაიფერხდა, ყველას ასდიოდა და იმედი თუ აუხდებოდა, სამჯერ ზედიზედ შესძახებდა, — „მე ხომ ვთქვი?... მე ხომ ვთქვი! მე ხომ ვთქვი!..“ თუმცა იმედი რომ გაუმტყუნდებოდა, იმასვე იმეორებდა და სულ ეს ისმოდა იმ დღეებში იღუმალაში.

ჰო, რა მოხდა რომ არ მითქვამს!..

აი, რა მოხდა:

სწავლის დაწყებისას საღუმალას შეჯიბრი ისევ მოეწყო. ყველა ფიქრობდა, ახლა კი გია გაიმარჯვებსო. გია ის შავტუხა ბიჭი არ გეგონოთ, იმას ზურაბი ჰქვია. გია არც ფიცხელობით გამოირჩეოდა, შოფრად ივარგა ახალთ-ახალი ვოლგა ჰქონდა, იღუმალასა და საღუმალას შორის დაჰქროდა თავგამეტებითა, იმდენი იქროლა, ისე თავგამეტებით იქროლა, რომ მიუახლოვდა თენგიზის დროსა, ზოგი ამბობდა კიდევაც გაუსწროო, თუ არა და, შეჯიბრის დღეს მაინც გაუსწრებსო. მითქმა-მოთქმამ გია უფრო გაახელა, თენ-

გიზი არა, ვითომც არაფერიო. ზურაბი ხომ აღარც ახსოვდათ, დიდიხანია დამარცხებულიყო, ბევრჯერ დამარცხებულიყო და ბევრჯერ დამარცხებულს ხომ გულშემატკივარი აღარ შერჩება ხოლმე. ერთისიტყვით ბევრს ეგონა უსათუოდ გაიგამარჯვებსო და თამამად ნიძლავდებოდნენ... და მართლაც შეჯიბრის დღეს პირველად იმან დარეკა საღუმალადანა, — ალოო... ალოო... გაივარო... აქა ვარო... ვინც ყურებს არ დაუჯერა კიდეც ჩასძახა, ვინაო, ვინაო... გაიო, გაიო... იგივე მოისმა. ამდენი დაუჯერებლობაც აღარ შეიძლება, ბოლოსდაბოლოს მანქანით იყო ჯანდაბას, მანქანა მაინც მანქანა არისო, ოღონდ მეორე ხომ უეჭველად ის იქნება, ფეხოსანთა შორის ისევ პირველი გამოვაო. მაგრამ მეორეც სხვა გამოდგა, მესამეცა. დანარჩენს ჩვეულებრივ აღარ ითვლიდნენ ხოლმე, რადგან ჯილდო მხოლოდ სამისათვის დაეწესებინათ; ჰო, აღარ ითვლიდნენ, მაგრამ თენგიზი ხომ საღლაც მაინც უნდა გამოჩენილიყო... ყველაზე მაჩანჩალებიც გადავიდნენ და გადმოვიდნენ, თენგიზი იმათშიც ველარ გამოერია. ყველაზე ჯაბახანა მანქანაც მორახრახდა, ფეხნადრძობნი თუ დავარდნილები მოიყვანა, თენგიზი არც იმათში აღმოჩნდა.

დარეკეს საღუმალაში, დარეკეს სხვა მაქლობელ სოფლებში, მნახელი არ გამოჩენილა. აღარც იღუმალელებს მოეკრათ თვალი შეჯიბრის დაწყების შემდეგ... მანქანები გზატკეცილზე გავარდნენ, ბიჭები მთის ბილიკებს ეძგერნენ, ეძგერნენ და ჩაიფლნენ ჯაგებში, ყველანი ჩაიფლნენ და რატქმა უნდა, ჩაიფლო თენგიზიცა, მერე აღარაფერი იცოდნენ. რაღაც უნდა ელონათ, გულხელდაკრეფა არ ივარგებდა, ჰოდა, ბილიკები ისევ გადაიარეს, გზატკეცილსაც ისევ შემოველნენ, არც სადმე დავარდნილი შეჰხვედრიათ, არც სადმე ნიშანკვალი მარცხისა თუ ფათერაკისა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ უყო პირი, ველარ მიმხვდარიყვნენ, ველარაფერი გაეგოთ.

ყველას თენგიზი ეკერა პირზე, ყველა თენგიზს გაიძახოდა და გვიან მოაფიქრდათ, ზურაბიც რომ აღარსად სჩანდა. ჰო, ზურაბიც აღარსადა სჩანდა!.. მიიკითხ-მოიკითხეს და აბრუნდა ფიქრის ბორბალი, ენაც დატრიალდა. ზურაბი ფეხდაფეხ მისდევდა თენგიზსაო, დამნახავებმა სთქვეს დაბეჯითებითა. ასეც იძახდა თურმე, ფეხდაფეხ მიყვები, მაგის ეშმაკობას გავიგებ და სოფელს მოვდებო. ერთი შეისრულა, ფეხდაფეხ მიჰყვა, ოღონდ სოფელს ველარაფერი მოსდო. ჰოდა, მაინც სადამდის მიჰყვა? თენგიზი რომ მიხვდა, აღარ მეშვებოო, რა იღონა? ჩხუბი ხომ არ მოუვიდათ, მარცხი ხომ არ შეემთხვათ? რომელიმემ ხომ არ იავკაცა? იავკაცა და გადაიკარგა, მაინც სოფელში გამოსაჩენი პირი აღარა მაქვსო. ნაევკაცარი მაინც რა იქნა? ფრიალოს ხომ არ გადაჰყვა ორივე? — იღუმალას მთას ხომ ფრიალო ჩასდევდა, იღუმალას ფრიალოო... მოხელეს, მოჩხრიკეს, დაქანებული ძირს უნდა დანარცხებულიყო, საეჭვო არაფერი იყო ძირში. ზევით მიუვალზე ლაქები მოსჩანდა, მღვიმეები უნდა ყოფილიყო, იღუმალას მღვიმეები. აბა იმას ფიქრში ვინ გაიტარებდა, მხოლოდ თვალზე გადაიტარეს და ისევ ჯაგებს ეცნენ, ან ცოცხალნი, ან მკვდარნი იქ იქნებიანო.

იარეს, ირბინეს, იფორთხეს, იქაქანეს, შემოიფლითნენ, დაიგაზნენ, დასისხლიანდნენ და დაბრუნდნენ დამარებულნი.

დადგა ისევ ფიქრის ბორბალი, დადუმდა ენაცა.

მერე ვილაცის აზრი ჭმასავით შეიზმორა, ეგება მაყვალამ იცოდეს რამეო. მაყვალამაო!.. მაყვალამაო!.. ნეტავი აქამდის სად ვიყავითო?! ეჰ, ვითომ მაყვალას რა უნდა სცოდნოდა, მაგრამ როცა სხვა გზა არ არის, თოკიც ბილიკაო. მაყვალას მეგობრობდა თენგიზი, ჯილდოებს მაყვალას მიუძღვნიდა

ხოლმე, და ვინ უწყის, ისიც გაანდო, ასე და ასე ვიმარჯვებო, ეს ბილიკი ვიცი, ეს უმოკლესი ბილიკიო... გაანდობდაო!.. გაანდობდაო!.. ეცოდინებაო!.. ეცოდინებაო!.. გაიძახოდა ვის როგორადაც ეხერხებოდა. მაგრამ რა გამოვიდა, მაყვალს არაფერი სცოდნოდა, თუნდა სცოდნოდა, თქმის თავიც აღარა ჰქონდა, ისე ტიროდა გულამოსკვნილი. ხან გაჩუმდებოდა, ვიღაცას მიაშტერდებოდა და ისევ ტირილს ამოუშვებდა. მერე როგორც იყო, ამისი თქმა მაინც მოახერხა, — ხუმრობდა ხოლმე, იდუმალას მუხლს დავცემ, გავარღვევ და გავძვრებო.

— ჰა?! — შეჰყვირა ღირექტორმა.

მე თუ მიჯავრდებო და მაყვალა უფრო ატირდა.

— მუხლს დავცემო, გავარღვევო... — სხვამ გაიმეორა, სხვამ გაიცინა, სხვებმ უფრო მეტი უაზრობა ამოეფინათ თვალებში. გოგოსთან ბიჭის ნახუმრალი ან ვის რაში გამოადგებოდა, ან ასეთ დროს რა გასამეორებელი არისო. მაგრამ დახეთ ერთი, სწორედ ეს გამოდგა, ამან ივარგა თუ არა და დაილუპებოდნენ ი ბიჭები. როგორ ივარგა, იცით?! „გავარღვევო?!“ „გავძვრებო?!“ „ჰა?!“ „ჰა?!“ „როგორაო?!“ — „გავძვრებო?!“ და რაღაც აპრწყიალდა იდუმალაძეების წანაცრულ გონებაში. აპრწყიალდა და მიჰქრა, ისევ აპრწყიალდა, აღოლილდა იდუმალანთ ასონაი, იქ კეფა მოიფხანა, აქეთ შუბლზე იტყიცა ხელი, თვალები მოჭუტა, გაინაბა, და როგორც იყო ამოღერლა მძიმე-მძიმედა:

— ეგრე გამიგონია... როგორღაც გამიგონია... სადუმალამდისა გვირაბი ყოფილაო, სისხლის წვიმების დროსაო.

— რაიო?! — დასჭექა ფილიმონმა.

მაყვალას უფრო გაუსკდა გული.

ასონასაც მიელა ნაპერწყალი:

— რა ვიცი... თითქოს გამიგონია და... რა მოგახსენოთ... — თქვა და ჩაიმალა ხალხში, ე რა წამომცდა, წინ რამ წამაგდოო, მაგრამ წამონაცდენს რაღა ჩათარცხავდა, გვირაბიო, სხვებმა დაიძახეს, გვირაბიო, ჩურჩულშიც წავიდა, გვირაბიო, ფიქრშიც გაიძაბა...

— მე ხომ ვთქვი!.. — ხელები გაშალა ფილიმონმა, გმირულად გაშალა, გმირულადვე შესძახა, მაგრამ იქვე ჩაუდნა გმირული რიხი. იდუმალას გვირაბი არავინ იცოდა. მთა დიდი იყო, გაუვალი ძეძვ-ჯავიანი, მიგნება როდი გადვილდებოდა. მთას ცეცხლი წავუკიდოთო, ვიღაცამ შეჰყვირა. ვიღაცანი კიდევაც გაქანდნენ. სხვანი გადაუდგინენ, იდუმალა ნაკრძალად გამოცხადებულყო, ტყე უნდა გაეხარებინათ. უამისოდაც ვითომ ისეთი რა საბეჯითო იყო ასონას გვირაბი, რომ ასე უცებ აცერცეტებულყოყნენ, — გამიგონიაო... როგორღაცაო... ვის რაღა არ გაუგონია, ყველაფერს ვინ აპყოლიაო?!

მაგრამ იდუმალანი არც იწყებოდნენ, არცა თავდებოდნენ ასონათი, სხვას ეგებ მეტი რამ გაეგონა, უკეთაც გაეგონა, ვინ იცის, ვინმემ ფარული მისასვლელიც იცოდა. ყველა დაჰკითხეს დიდიან-პატარიანადა, აკვნის ბავშვებსაც ჩააცივდნენ. დაჰკითხეს ირიბადა, ჯვარედინადა, ყველა საგამომძიებლო ხერხს მიმართეს ძალადობის გარდა. ფილიმონი ყველაზე მეტს ეკითხებოდა, მეტ გამოცდილებას იჩენდა. მაინც არაფერი გამოვიდა, მაინც ერთი იყო პასუხი, — ეგრე გაგვიგონიაო... ჩვენც ასონასაგან გაგვიგონიაო. ველარც ასონას გამორჩენენ მეტს ვერაფერსა, ან მართლა მეტი არაფერი სმენოდა, ან გამორჩეულყო, — ეგრე უთქვამთო... ეგრე როგორღაცაო...

ან ნეტავი ამდენს რატომ ჩასციებოდნენ, სადღაც რაღაც გვირაბის მაგვარი რომ უნდა ყოფილიყო, განა ისედაც ვერ უნდა მიმხვდარიყვნენ?! მაშ თენგიზი ისე სწრაფად სადუმალას როგორ გადვიდოდა?! როგორ გაასწრებდა ზურაბსა,

როგორა, რანაირადა, აქ, მოედანზე კერასოდეს შორიასლოსაც რომ ვერ მიჰყვებოდა ხოლმე?! თუ როგორ მიაგნო, როცა სხვამ არაფერი იცოდა, — არც ამისი მიხვედრა უნდა გასჭირებოდათ: მონადირე ბიჭი იყო, გაბედული ბიჭი იყო, იღუმალას მთა თავის ეზოსავით გაეხანდა, ღობემძვრალასავით დასრიალებდა ჯაგებში, ერთხელაც იქნებოდა წააწყდებოდა. ეს შეჯიბრი რომ გამოიგონა, აღარ გასთქვა. სხვები ჭიპზე სკდებოდნენ მთის ბილიკებზე სირბილთა, ის იქ გაძვრებოდა და ხითხითებდა, — ალლო... ალლო... თენგიზი ვარო, გაიხედეთო, ზურაბმა ცაცხვებამდის თუ ააღწიაო... გესმით, ზურაბმაო, ისიც ზურაბმაო?... უგვირაბოდ ასე როგორ გაუთამამდებოდა?! მაგრამ სად იყო ის სატიალე, სად ჩაფლულიყო, სად მიმალულიყო?! — გადავწვათო?!.. — შესძახეს უფრო გამეტებითა, შესძახეს და გულოვნები დაიძრნენ. უნდა ითქვას, ფილიმონი იმათაც წინ მოექცა, ოღონდ გონიერებმა რომ იმარჯვეს, იმათაც ფილიმონი ჩაუდგა სათავეში.

გონიერები ასე მსჯელობდნენ: გადავწვათო და აჰა, გადავწვათო. საბასუხისმგებლოაო, — იყოსო, ხომ არა ვთამაშობთო, ორი ოქროსავით ბიჭი დაგვიკარგავს, პასუხისგებისა ვის ეფიქრებაო; მაგრამ ვინ იცის, გვირაბამდის არც მიულწევიათ, ჯაგნარში სადმე შეფერხდნენ, ან გაიხლართნენ, გზა დაეზნათ, დაბორილობენ, ან ერთი რომელიმე დაეცა და მეორემ აქამდის ვერ გამოიყვანა, ცეცხლი რომ მიგცეთ, ხომ უნდა გამოვწვათ, ბიჭებიც უნდა გამოვწვათ და ისე დავკარგოთ, ფერფლიც აღარ შეგვრჩესო; ვთქვათ გვირაბში მოემწყვდნენ, — ვიცით განა ბოლო როგორ დატრიალდება?! გვირაბი ბოლით რომ გამოიტენოს?! არა, შვილოსან, ცეცხლი არას გვარგებს, ისეთი ცეცხლი რად გვინდა, ჩვენვე რომ დაგვანელებსო. განა არ აჯობებს, ნაგეში ძაღლები მოვიყვანოთ, კვალზე დაგვაყენებენ და დანარჩენი მაშინ ვიღონოთო. „მე ხომ ვთქვი!..“ — შესძახა ფილიმონმა და ტელეფონს ეცა. სხვებს ჯერ ვერც აეწონდაუწონათ ნათქვამი, ის უკვე მოქმედებდა, სამძებრო განყოფილებას დაუტყავშირდა, დაწვრილებით აცნობა ყველაფერი, — გელოდებით, მოგვხედეთ, აბა, თქვენ იცით თუ გადავირჩინეთ, თქვენ გადავირჩინეთო.

მარჯვედ გაუგონეს, მარჯვედაც მოვიდნენ; თქაფათქუფით მოვიდნენ და ისეთი ძაღლები ამორეკეს, ბავშვები კარგახანს თვალებს ველარ ახელდნენ. დედები მერეც იმ ძაღლებით აშინებდნენ გაჭირვებულ პატარებსა. დაშინდებოდნენ მაშ რა იქნებოდა, ისე აქენჩრილიყვნენ, ისე მიიწევდნენ, თითქოს ადამიანი ცოცხლად უნდა გადაყლაპონო. თვით გულადი ფილიმონიც ველარ ჩამოდიოდა სკოლის აივნიდანა, იქ იქნევდა ხელებსა, იქიდანა ბრძანებდა, ხოლო ძაღლები რომ შეამზადეს და ჯაგიანებს მიუსიეს, მაშინ ისიც ჩამოქანდა და გაკიდებულ ხალხს წინ მოექცა, ცხადია, რა თქმა უნდა...

მამებრები ისრებივით ჩაერჭვნენ ჯაგებში, ჩაერჭვნენ და გასრიალდნენ. სხვისა რომ არაფერი ითქვას, თვით მწვრთნელებსაც უჭირდათ მიჰყოლოდნენ. მაგრამ ბევრი ხალხი მიაწყდა იქაობასა, აღელვებული, დაძაბული ხალხი და ჩაღწეწეს, ჩარეგვეს, ფეხქვეშ ჩაიტანეს ჯაგები. ისეთი ბილიკი გაიტანეს, თითქოს საგულდაგულოდ დაეგეგმათ ინჟინრებსა და მთის პატარა ბულდოზერიც გამოეყენებინათ. ის ბილიკი, ვარაუდი რომ არ აგერიოთ, ფრიალოს მღვიმეებს ასცდა, ცოტათი ასცდა, ისე სავარაუდოდ იცოდეთ-მეთქი, თორემ ფრიალო ხომ იქით იყო, შორს იყო; ჰო, მიაღწია-მეთქი... და ძაღლებმა სოროში ჩარგეს თავი, ხან ერთი ჩარგავდა, ხან ორი ერთადა, მესამე ზედ გადაევლებოდა, ჰყეფდნენ და მიიწევდნენ, ამოითრევდნენ, ისევ მიიწევდნენ, მაგრამ საჭირონი აღარ იყვნენ, ველარ მიმხვდარიყვნენ. მოათავეს თავიანთი საქმე. ხალხი მღვიმეს ეხვია, ბნელსა,

შემაჯრუოლსა, იმიტომაც, იქ ეგულებოდათ დაკარგულები, იმიტომაც, ცუდი სუ-
ნი ამოდიოდა.

ჰო, ხალხი მიეხვია-მეთქი... ოღონდ უცებ როდი მიუშვეს, ჯერ უნდა დაე-
დგინათ, მართლა თუ ჩასულიყო ვინმე, ძაღლის გეში მაინც ძაღლის გეში იყო,
ადამიანის ნაკვალევი უნდა ეპოვნათ. იპოვნეს. მერე უკვე ყველა მიაწყდა. ჯერ
ფილიმონი მივარდა, ჩაყირავდა, მალე ასავსავდა იმისი ფეხები, მოგუდული
ხმაც მოისმა, ვაიმეო, მიშველეთო, თუ რაღაც ამისი მსგავსი, ეგება, პირიქით,
გამიშვითო, ჭირვეულობდა, მაგრამ არ გაუშვეს, დაეჯაჯგურნენ, ამოითრიეს.

— სანათი უნდა...— შაქრომა თქვა. ის აქამდის არცკი მოსჩანდა საერთო ღუ-
ნდგომი, ახალა წამდგარიყო წინა, ალბათ მოაფიქრდა, თუ ვინმეს აქ სიტყვა
ეკუთვნის, ჯერ მე მეკუთვნისო. ფილიმონმა მაინც გამოსტაცა:

— მე ხომ ვთქვი!.. სანათი-მეთქი...

ამის თქმა იყო და რამდენიმე ბიჭი დაეშვა თავპირისმტკრევითა! რამდენიმე
დაეშვა და რამდენიმე სანათიც ამოარბენინეს, რამდენ-რამდენიმეც წაეტანა
თვითელსა, ალბათ სანათს ვინც ჩაიდებდა ხელში, ის ჩავიდოდა მღვიმეში.
ვინც არ იცის, თამამიაო. ბიჭებს დიდებზე ნაკლები სითამამე რად ექნებოდათ,—
გაუსხლტნენ ყველასა, ზურგს უკან ამოიფარეს სანათები. უცებ მაინც არ მოთა-
ვდა წაწვდომა თუ წაწევ-წამოწევა, მაინც იმარჯვეს, არავის დაუთმეს, ყველას
დაუძვრნენ, და გეოგრაფიის მასწავლებლის წინ აისუსნენ. აქ სხვა განცდა ჰქო-
ნდათ, — გულში ნატრობდნენ, ნეტავი მე არ გამომართვას, ნეტავი მე არაო...
რომელიმე ხომ მაინც იქნებოდა განწირული, — გაუშვირა ხელი იმ განწირულსა,
შეორესაც გაუშვირა, ალბათ თადარიგისთვისა, ვინ იცის ერთი გამიფუჭდესო,
სხვები წამოეგზნენ, და იმათაც მაშინვე გაუშვილდათ იმედი.

— არავინ ჩამოხედოს!.. — თქვა გეოგრაფიის მასწავლებელმა, პატივცემულ
შაქრომა თქვა და მორჩა, კრინტის დაძვრა აღარ იქნებოდა.

— ააარავინ!.. — მაინცა ბრძანა ფილიმონმა, მღვიმესაც გადაეფარა, შაქრო
რომ შიგ ჩაძვრა.

რაღა ეღონათ ბიჭებსა, ღელვა უნდა ჩაეკლათ, სურვილი უნდა დაეოკებინათ,
იერე და მერე ჯაფაც აღარ დასჭირდებოდათ, თავისთავად ჩანელდებოდა სურვი-
ლი. ეს მაშინ, ხმამ რომ აღარ ამოაღწია მღვიმედანა... მანამდის ჩასძახოდნენ და
იქიდანაც ისმოდა პასუხი,— „იპოვნე?!“ „ვერა!..“ ვერაფერი პასუხი იყო, მაგრამ
ჰმა ხომ იყო, ცოცხალი ადამიანის პასუხი მიწის ქვეშიდანა, ნამდვილი პასუხი,
მკაფიო, გარკვეული, ვიდრე ბუყბუყად გადიქცევოდა. შემდეგ ის ბუყბუყიც
მისწყდა, ისევ ობის თუ შმორის სუნი ამოდიოდა. მაშინ დირექტორმა ტელეფო-
ნთან აფრინა კაცი, საღუმალას დაელაპარაკე, უკვე გავიდოდაო. დაელაპარაკნენ.
ჯერ არაფერი ვიცით, გავიგებთო. ისევ დარეკეს. არ გავიგიაო. მეტი რა ჩარა
ჰქონდათ, ამოვიდნენ, მოახსენეს, არ გაუგიათო. მოახსენეს, თუმცა რა მოახსენეს,
სადაც ამოსთქვეს იქვე ჩაათქმევინა ფილიმონმა, ჯერ უამბოთ მოსული ხალხი
დალანძდა, მერე თვითონვე ჩაიჭრა ტელეფონთანა, ერთმანეთს აფარა საღუმალე-
ლნი, ახლავე მალაპარაკეთ შაქროსთანა, გვირაბით უნდა გამოსულიყო, მოსძებ-
ნეთ და მალაპარაკეთო, ახლავე, ამწუთში, თორემ ნუ მეხუშრებითო. რის გვირა-
ბიო, რა გვირაბიო, ვიღაცა ხარ, აფრაკად ხომ არა ხარ, წიფა ხომ არ გგონია, აქ
გვირაბს რა უნდაო?! აქ თქვენ ეგ გამიბედეთო, პირიდან ცეცხლი ჰყარა ფილიმო-
ნმა, მაგრამ რა გამოვიდა, აღარავინ უსმენდა.

გავიდა ერთი საათი, ორი საათი, სამი საათი, სული გადაელია ხალხსა, ისიც
დავკარგეთო.

— მე ხომ ვთქვი... — ხელებს იმტვრევდა ფილიმონი, მაგრამ ამჯერად არც თვითონ იცოდა, რასა გულისხმობდა, ვერც სხვას გაეგო და არც არავინ დაგიდევდათ, რა უთქვამს ე ჩვენ ღირექტორსაო. ისიც ისევ ტელეფონს ეძგერებოდა, ეძგერებოდა და ამოდ ეძგერებოდა, საღუშალები ხმას აღარა სცემდნენ. უფრო გაცხარდა, აენთო და ბრძანა, მანქანა მომგვარეთ, საღუშალას გადავალ, ცეცხლს წავუკიდებო. მანქანა არავინ მოჰგვარა, იმასაც აღარ გახსენებია ნაბრძანები. ტელეფონს მაინც არ მოეშვა, ვიდრე ვილაც არ დაიჭირა და, რომ დაიჭირა, სალანძღავად რომ მოიმართა, უცებ გაფითრდა სიხარულისაგანა, — შაქრო ელაპარაკებოდა...

ცოტახნის შემდეგ ჯერ იქ მყოფებმა, მერე ახალმოსულებმა, მერე შემომატებულებმა, მერე ბევრმა ერთად ფოსტის განყოფილების წინა. მერე ყველა სოფლის მოედანზე, მერე სათითაომა თუ ორორმა შუკებთანა, შუა გზაზე, თუ ვინც სად გადაუდგა, ფილიმონისაგან მოისმინა შაქროს გადაღწევის ამბავი. ო, როგორა ჰყვებოდა, რა გატაცებითა, რა აღფრთოვანებითა, რა მიელევარებითა, ისე მღელვარებითა, ერთი პირობა ყველას მიავიწყდებოდა ხოლმე, რომ გადასვლასა თუ გადაღწევას გარკვეული მიზანი ჰქონდა, ხოლო იმ მიზნისა აღარა ისმოდა რაი. ჰო, ერთი პირობა მიავიწყდებოდათ, მაგრამ მალევე იკითხავდნენ ხოლმე, მაშინ მხრებს აიწურავდა ფილიმონი, — მოვა და ვნახოთო, — ამასლა იტყოდა და ხელახლა მოიმართებოდა ახალმოსულის ყურადღების დასაპყრობად, მოიმართებოდა, ვიდრე ისიც არ იკითხავდა, — ბიჭებისა რაო, ჰა?! — სამისოდ მომზადებული იყო, ისევ მხრებში ჩაიძვრენდა თავსა, ოღონდ შაქრო რომ მანქანით მოაბრძანეს, იმას პირველად თვითონ ეძგერა:

— ბიჭები?! ბიჭებისა რა გაიგე?!

შაქრომ უცებ ვერაფერი მიუგო, ეგება არც გაიგონა, თვითონვე შეწუხებულიყო, უფრო აირია, ხელცარიელი რომ წარსდგა სოფლის პირისპირა, ჰოდა, მანამდისაც არ იყო დიდი მჭევრმეტყველი, მაშინ მით უფრო ლულულულ-ლულულულთ ძლივს ამოთქვა, ვერაფერიო. მერე მოჰყვა, ცხადია ისევ ლულულულითა, რომ ის გვირაბი ჩვეულებრივი გვირაბი როდი ყოფილა, ანუ გვირაბი სულაც არა ყოფილა, კარსტული მღვიმე ყოფილა აუარებელი დერეფნებითა, დარბაზებითა, სტალაქტიტებითა, სტალაგმიტებითა, ორმოებითა, ჭერითა; რატქმანდა, ყველაფერი ვერ მოუხილავს, არც ელოდა, ასე ხელდახელ არც შეეძლო, გვირაბი ეგულეებოდა და გვირაბივით მიჰყვებოდა, გვერდით საძრომებს ერიდებოდა, მაიღუნებლად შეეფეთებოდნენ, გულს გაუხსნიდნენ, ჩვენსკენ ჩამოიარეო, მაინც გაუარბოდა, ვარაუდს მისდევდა, მერე შენიშნა ჯვრის ნიშნები, იმ ნიშნებს მისდევდა და უეცრად დაჰკარგოდა ის ნიშნები, არეულიყო, დაბნეულიყო, ალაღებდზე ევლო, ეფორთხა, ალაღებდზე, შემთხვევით გაეღწია საგარაუდო გვირაბამდისა, ქვაზე ამოჭრილ ჯვრებამდისა, ევლო, ევლო და საღუშალას გასულიყო, თუმცა ჯერ ისევ ჯაგნარში გახლართულიყო, მღვიმისაგან დაბნეული იქაც დაბნეულიყო, მაგრამ ჯაგნანის სიძნელე რაღა სახსენებელი არისო. იქ რაღაც ზღაპრული ლაბირინთია, მღვიმეში ვყოფილვარ, მაგრამ ასეთში არა, წიგნებშიც არ შემხვედრია ასეთი რთული მღვიმეები, აქ ხომ არ მეგონა არა და არაო. დაახლოებით ესა სთქვა, ეს გამოვარჩიე იმისი ნალაპარაკებიდანა, სხვებსაც მეტი არაფერი გაუგიათ ან რაღა იყო გასაგები...

— ვაი თქვენს დედასა, შვილებო!..

ვილაცამ შეჰკივლა. სხვამ ბანი მისცა. სხვებმა ლოყები ჩამოიპოტნეს.

კაცები გაწყრნენ, ქალების ადგილი აქ არ არისო; ქალები გაჯიქდნენ, როგორ

თუ არ არის, მაშ ვინ უნდა იტიროსო; მტერმა იტიროსო; სატირალი ჩვენს კარს აოისო;

— არ არის!.. — ეს კი მკაფიოდ შესძახა შაქრომა და შაქროს სიტყვა სჯე-
როდა სოფელსა. გაჩუმდნენ, იტვინეს. შაქროს მოერიდა, ჩემს სიტყვას რად
დაჰყვენო და ჩაიხურჩულა, — დედები არ შეწუხდნენ...

დედებს გარეთ არ უშვებდნენ, სხვანი ეხვივნენ, აიმედებდნენ. ზოლო აქ
ილეოდა იმედი...

— შუქი არსაიდან აღწევს?

— არსაიდანა...

— სანათი ექნებოდათ...

— დღის შუქიც იდგეს, მაინც დაიბნევა ადამიანი, იმდენი გვირაბი და დე-
რფვანი გადახლართულა, იმდენიარირი დარბაზი გაჭიმულა... დაიბნევა.. თავგზა
დაეკარგება...

— მარტო იყო და თავგზას იგნებდა...

— თუ თავს დაჰკარგავ, ველარ იპოვნი...

— ვინ დაკარგულა?!

— ვინც არ ვიცით...

— ორნი იყვნენ, ერთმანეთს იპოვნიდნენ...

— ერთი მეორეს გაუბოდა, ასნიცა ყოფილიყვნენ, მაინც დაღავდებოდ-
ნენ...

— თენგიზი ხომ გადიოდა ხოლმე!..

— რომ ველარ გავიდა?!

— გადიოდა ხოლმე...

— ველარ გავიდა...

— გა...

— მოიცათ!..— შეჰყვირა რამდენიმემა, დროზე შეჰყვირა, თორემ ეს „გადი-
ოდა“ „ველარ გავიდა“, დიდხანს იბურთავენდა, გუგუნად გადაიქცეოდა, დაგუ-
ბებულ ლელვას ამოიტანდა, ერთიმეორეს შეაწყდებოდა ხალხი. შეყვირებამ
უშველა. იმანაც უშველა, შაქრო რომ ისევა ლულულულებდა, მოიცათო, გაგვა-
გონეთო, ერთიმეორეს უტევდა ხალხი ჩუპადა, ჩურჩულითა. ზოგნი აღარცა
ჩურჩულებდნენ, გვერდებს წაჩქმეტდნენ ხოლმე მოუსვენრებსა. და როგორც
ყო გამოარკვიეს, შაქრო კიდევ ჩავა მღვიმეში, საგულდაგულოდ მოემზადება
და ისე ჩავა, უსათუოდ იპოვნის დაბნეულ ბიჭებსაო.

შაქროს სიტყვა კაცურ სიტყვად იყო ცნობილი, რაზანა თქვა, ცდას არ
დააკლებდა, თავს გადასდებდა, მაგრამ ერთის თავდადება ხომ საკმარისი არ არის
ხოლმე, სხვაც უნდა, ზშირად ბევრი, ძალიან ბევრი და თუ ბევრი არ გამოჩენილა,
კარგი საქმე გაცუდებულა, ზოლო გაცუდებულ საქმეს შეწირული გმირად
აღარავის მოუხსენიებია. ერთი სიტყვით, შაქრო არა კმაროდა და დიპეშები
ვაფრინე თბილისს, ჩემს ორ ნაცნობ სპელეოლოგსა ვთხოვდი, ამოგვხედეთ-
ნეთქი...

ისინი მეორე დღესვე მოვიდნენ. ერთი ავტობუსს მოჰყვა, მკვირცხლად
გადმოხტა ავტობუსიდანა და ორი დიდი ბოხჩა აღკაზმულობანი გადმოათრია.
მეორე თავისი მანქანით მოსრიალდა, იმას უფრო მეტი მოეტანა აღკაზმულობა-
ნი—განსაკუთრებული კოსტუმი, წყალში საყვინთი, ჟანგბადის ბალიშები, თოკის
კიბეები. ბურღები, ბევრი რამ სხვა აუცილებელიცა, არც თუ აუცილებელიცა,
ისე თადარიგისთვის, ვინ იცის, უცებ რა დასჭირებოდა. ჰო, ორივე მოვიდა,



ორივემ ხალისი და იმედი მოიტანა. სახეც იმედიანი ჰქონდათ, ტანი მოქნილი, იფიქრებდით, გველის ხერელში გაეტევიანო. სიტყვის ბარაქას ზომ ნულარ იკითხავთ, — ევე... რა არის ეგ თქვენი იღუშალას მთა, ორიოდ საათში შემოვირბენთ და იმ ეშმაკ ბიჭებს სულ კინწისკვრით გამოვრეკავთო. უთხრეს, გეოგრაფიის მასწავლებელი დილადაიან ხელმეორედ ჩავიდა მღვიმეში და აქამდის აღარაფერი გაგვიგიაო. იმასაც კინწისკვრით გამოვიყვანთო.

— მე ზომ ვთქვი!.. — გაიბადრა ფილიმონი და ერთ კაი იჯახიშვილს თვალი ჩაუკრა, მოსულები დავლოცოთო. დალოცვისას, რათქმაუნდა, თამალობა იტვირთა და ყოველ სადღეგრძელოს ასე მოათავებდა ხოლმე, — თქვენ იცით აბა, კინწისკვრით ამოგვირეკეთ ის მაიმუნებო. კინწისკვრითაო, რიხიანად უდასტურებდნენ ისინიცა. თავს არ იქებდნენ, განა ტრაბახობდნენ, გამოცდილი სპელეოლოგები იყვნენ და ხალხისთვისაც არ იშურებდნენ იმედსა.

ჰოდა იმედიანად ჩაძვრნენ მღვიმეში.. იმედითვე ამოვიდნენ. მაგრამ სად ჩასვლის იმედოვნება, სად ამოსვლისა!.. ამოთხერილიყვნენ, ამოლანგულიყვნენ, წელს ძლივს მოათრევდნენ, ფეხები ეხვლანჯებოდათ, სახე ისე გასწორებოდათ ტალახისაგანა, ველარც იცვნეს. ეგონათ, მღვიმის აღმადიანები მოგვევლინენო. ისინი კიდეც არაფერი, მაინც უცხონი იყვნენ, ერთხანს კინალამ შაქროც ვერ იცნეს. ის უფრო ადრე ამოძვრა, იქვე მიწვა და თითქოს ბურანში წავიდაო, არავის ეპასუხებოდა, მხოლოდ თვალეხს გაახელდა, მაშინვე მილულავდა. თითქოს ევედრებოდა, — თუ ღმერთი გწამთ, გეთაყვა, თავი დამანებეთო. ჩამოსულები ასე როდი მისავათებულან, იმდენს მაინც ახერხებდნენ, ყველაფერზე ერთიდა-იგავე მიეგოთ, — მოვძებნით, უსიკვდილოდ მოვძებნითო. მხოლოდ ეს არი, კინწისკვრის თავი აღარა ჰქონდათ. მერე როგორც იყო სული მოითქვეს და ითათბირეს. ვილაცას გული ეყო ეხუმრა, — ტარცელი, ავთანდილი და ფრიდონი ქაჯეთის ალების წინაო; ჰო, ითათბირეს და გამოაცხადეს, ჩვენ აბა ღონეს რას დავიშურებთ. დავისვენებთ და ისევ შევებმით, მაგრამ არა ვკმარვართ, ასეთ რთულ მღვიმეს აქ არ ველოდით, საჩქარო რომ არ იყოს, კიდეც არაფერი, საჩქაროა და ვერ გავწვდებითო, სხვებიც უნდა მოვიწვიოთო. დრო გადის, სხვა თუ არაფერი, ბავშვები სიმშლით დაიხოცებიანო, აყვირდა ხალხი.

— ჩვენ ჩვენსას ვიღონებთ.. რაც მოსახდენია, მოხდება....

— მე ზომ ვთქვი... — მხრები ჩამოჰყარა თვით ფილიმონმა.

მართლაც დამძიმდა სული. ფიქრის დროც არ იყო. მისამართები ჩამოვართვით და სხვა სპელეოლოგებთანაც ელვა ვაფრინეთ, — ისხდეთ, ადექით, იდგეთ, არ დააყოვნოთ, გამოეშურეთო.

სხვა რალა გველონა?! როცა ფიქრის დროც აღარ იყო-მეთქი, მაგრამ უფიქრელადაც არ იქნებოდა.

მყუდრო სალამო დაგვიდგა, უქარო, ჩუმი, ღამეც ასეთივე მოება, სოფელიც გატვრინდა ჩუმ მწუხარებაში.

მოედანზე ხალხი როდი ილეოდა. ზოგს ილაჯი რომ მიუწყებოდა, გაიზუზებოდა თვალის წასატყუებლად, გაიზუზებოდა და მოიზუზებოდა. ზოგი იქვე ჰვინთავდა, მუხლებში ჩაერგო ცხვირი. ისე ყვინთავდა. ვინცა ფხიზლობდა, თვალს ახამხამებდა, თორემ გონება ჩაყვინთებოდა, რა მოეაზრათ? რა მოეფიქრათ?! უცნაური ფათერაკი შეჰფეთებოდათ. ვერ გაეგოთ თავი და ბოლოი. ან გაეგოთ, დიახაც, გაეგოთ და უსუსურობა ეგრძნოთ, უსუსურობით დაჩაგრულ-იყვნენ. რა უნდა ელონათ?! ჯურღმულებში გზაკვალს ვერ გაიგნებდნენ, აქედან ვერსაით მისწვდებოდნენ და იყვნენ საგონებელში, ხოლო გონება ველა-

რაფრით ანუგეშებდათ. რა მისჭირდეს მაშინ უნდა გონებანი გონიერსაო, დიახაც, მაშინ უნდა, ოღონდ სწორედ მაშინ წაიფერფლება ხოლმე.

თუმცა...

ვილაცამ სთქვა, ვილაცამ გასტეხა მდუმარება.

ჰა?!

ვინა სთქვა?!

რა თქვით-მეთქი...

— ჰა?! — მხოლოდ ერთმა მომხედა, უაზროდ მომხედა. ის არაფერს იტყოდა, მხოლოდ ბურანს წაართვა თავი. სხვამ წამოიძახა, უსათუოდ წამოიძახა, თორემ საიდან მომესმოდა, სასწაულებს ხომ არ დავიჯერებ? დავიჯერებ თუ არ დავიჯერებ, ნამდვილად გავიგონე, — „ფრიდონ მახვილაძე...“ მხოლოდ ეს გავიგონე და კმაროდა, მეც ესევე დავიძახე, როცა აღარავინ გამოემხმალა. იმათთვისაც საკმარისი გამოდგა, გაახსენდათ ამასწინანდელი გაზეთები, ფიჭიკის ინსტიტუტის ახალი აღმოჩენა, ახალგაზრდა მეცნიერის, ფრიდონ მახვილაძის აღმოჩენა... მიუგნია ტელეხედვის ახალი ხერხი, გამოუგონია აპარატი, რომლისთვისაც გადამცემი სადგურები და განსაკუთრებული დანადგარები აუცილებელი აღარ არის. შეუძლიან განჭვრიტოს ფარული ადგილები, თვით მიწაში ჩაიჭრას რამდენიმე ათეულ კილომეტრზე. შეუძლიან და ჩაიჭრას, თუ ასეთი რამ მართლა სადმე არის, რაღა ღლისთვის გვინდაო, ერთად შესძახეს. აღარავინა ყვინთავდა, ყველა ფეხზე იდგა, ყველას უნდოდა გაქცეულიყო და თავისი ზურგით მოეტანა ის აპარატი, ოღონდ ხელი გაგეშვირათ, აი, აქეთ გაიქცეითო. კარგი რამას ფილიმონი იქ აღარ იყო, თორემ საითკენმე იშვერდა ფეხსა და ფარასავით გაიყოლებდა. კარგი რამას-მეთქი, თუმცა ართუ კარგი რამას, — ახლა ფაციფუცი ურიგო არ იქნებოდა, ფილიმონი კი ცოტახნის წინათ გაიზუზა, ალბათ წაიძინა. ცოდო იყო ახლა იმისი წამოგდება ლოგინიდანა, დაე გამოეძინა, ძალა მოეკრიფა, სახვალიოდ გამოადგებოდა. იმის მაგივრად ისტორიის მასწავლებელი გავიყოლე, პატივცემული ვიქტორ კავკასიძე, აი, ის, ქოთნის ნამტვრევები რასა ნიშნავსო, რომ არ გამანდო, გავიყოლე და ტელეფონს ჩაუფსხედით... ეს მართლაც ჩასხდომა გამოვიდა, ჯერ ტელეფონის ნომრის მოძებნა გავვიჭირდა, მერე ვერადავერ გავალვიძეთ ფრიდონი. ეგება შინაც არ იყო, მაგრამ ასეთ რამეს გულში როგორ გავივლებდით, — ვრეკავდით, ერთმანეთს შევხედავდით და ბეჯითად ვიტყოდით, სძინავსო, ო, რა ღრმადა სძინავსო!.. გავგთიშავდნენ. ისევ დავრეკავდით, ერთიმეორეს მივაჩერდებოდით და რომელი რომელს დავასწრებდით, — „სძინავს... სძინავს... ოხ, ოხ, ოხო... რა ღრმადა სძინავს...“ მაშ რა გვექნა, დაჯერება დიდი რამ არისო. ოღონდა გჯეროდეს, აისრულებო, როცა იქნება აისრულებო. განა ასე არ გამოვიდა? მართლაც ღრმად ჩასძინებოდა, თითქოს ისევ ღრმა ძილიდან შევკვებასუხა, ოღონდ გაიგო თუ არა ჩვენი გასაჭირი, მაშინვე გამოფხიზლდა:

ხეალ სალამოდის მანდ გავჩნდებიო.

დილითვე-მეთქი.

ვერ მოვასწრებთო.

ახლავე შეუდექით-მეთქი.

მაინც ადვილი არ არისო.

ბუკები ილუპებიან-მეთქი.

თავს არ დავზოგავო.

მართლაც თავი არ დაუზოგნია... დილით აღრიან ვერა, მაგრამ მაინც დი-

ლად რომ ითქმოდა, იმ დროს შემოიჭროლა სოფელში ცისფერმა ავტობუსმა. არც გაჩერებულა, მხოლოდ სვლას უკლო, საით მიედგეო, ხელებით გვანიშნებდა შოფერი. კარიც გაშალა, ალბათ მეგზურისთვისა. კარზე ვიქტორი შედგინდა და ავტობუსმა მღვიმისაკენ აილა გეზი. ჰო, ისევ ვიქტორი, — დირექტორი ჯერაც არ გამოფხიზლებულიყო და ისტორიის მასწავლებელი მოექცა მოვლენათა სათავეში. იმისი უბრალო იყო, მაშ რაო, სხვას ვის შეეძლო ისეთი გატაცებით ელაპარაკა ორინიკისა, სოლიუტრესა თუ მადლენის პერიოდებზე, მადლენის ეპოქის ხელოვნებაზე, მღვიმის ადამიანის ცხოვრების პირობებზე, მღვიმის დათვსა, აფთარსა თუ მღვიმის ფაუნის სხვა წარმომადგენლებზე? — არც არავის შეეძლო, ისეთი გატაცებით ლაპარაკი არ შეეძლო, ბევრიც რომ სცოდნოდა. გატაცებითა-მეთქი, მართლაც აბა, სხვა რა ითქმოდა, როცა გადავიწყებოდა თუ რისთვის მოსულიყო ფრიდონ მახვილადე თანამშრომლებითა და რთული აპარატურითა, თუ რა მღელვარებას მოეცვა სოფელი, ჰო, გადავიწყებოდა, რაზან მღვიმესთან მიეყვანა სტუმრები, ხელები გაეშალა და უმტკიცებდა თუ რომელი პერიოდისათვის უნდა მიეკუთვნებინათ ეს ახლად აღმოჩენილი კარსტები... ახლა ფილიმონი მისწრება იყო, — „მე ხომ ვთქვი!.. — შეპყვირებდა, — როცა საქმე საჩქაროა, ვიქტორი არ გაიკაროთ-მეთქი!“ დიხაც, რომ მისწრება იყო, მაგრამ ვაგლახ!.. თუმცა ნუგეში არსად დაილევია, — სტუმრის თავაზიანობა იქით გადასდო ფრიდონმა, ყურიც არ ათხოვა, მდებარეობა მოსინჯა, აპარატების დაყენების ადგილი განსაზღვრა, თანამშრომლებს დაუცაცხანა, ჩქარა საქმეს შეუდექითო და სოფელი რომ მღვიმესთან მოგროვდა, ვისაც საქმიანი იერი დასცემდა, იმათ მიმართა:

— მზადა ვართ, მაგრამ... მაგრამ ორი სიძნელე გვაღონებს. ერთი — სპელეოლოგები თბილისში არ აღმოჩნდნენ, ამბავი დავაგდეო, რაღაც უნდა დაუჯდეო, საჩქაროდ მოსძებნონ და იდუმალას გამოგზავნონ. უნდა დაველოდოთ. მეორე — ძიებისათვის აუცილებელია მღვიმეში ჩაიწყოს ფარული გამოსხივების ბურთულები. ჰაერზე ბურთები უფნებელია, ხოლო მღვიმეში ჰაერი თუ არა მოძრაობს, იქ მოქცეულთა მდგომარეობა შეიძლება უფრო გართულდეს.

პირველის საპასუხოდ, — თქვენი დებუშები იდუმალას მოვიდა, სპელეოლოგები აქ არიან-მეთქი. მეორის პასუხს, ახლავე აქ გაჩნდებიან და თვითონვე მოგახსენებენ-მეთქი... გაჩნდნენ და მოახსენეს, — მღვიმეს სხვა შესასვლელებიც უნდა ჰქონდეს, ჰაერი ჩინებულადა მოძრაობსო.

ეს სახელდახელოდ ითქვა, მერე ცალკე ჩასხდნენ და ითათბირეს. მღვიმე აგეგმეს, ათ კვადრატად დაჰყვეს. კვადრატები სპელეოლოგებს დაუნაწილდათ. — ხუთნი არ იყვნენ: ორი ადრე მოსული, ორიც გვიან მოსული და შაქრო, — ორორი კვადრატი ერგოთ, ფარული გამოსხივების ბურთები აიხუნძლეს და ხვრელში ჩაძვრნენ.

ვილსკამა თქვა, იქით დიდი უბრალო რამა ყოფილა, ე ხვრელიც გამოგანგრიოთ, ამ ხალხს რაღაზე ვაწვალებთო. ვიქტორმა ხელები გაატატანა, დარჩეს თავისი პირველყოფილი უბინობითაო. აღარ აუხიარდნენ, წერაქებისა და ძალაყინების მოთრევაც არავის ეხასიათებოდა, არც ნგრევა სურდათ, ფრიდონსა და იმის თანამშრომლებს მისჩერებოდნენ ხელებში, — აი, აპაა, ან ახლა ამოგვიყვანენ ი ბიჭებსა, ან ახლაო, მხნე იმედით მისჩერებოდნენ, ისე საქმიანობდნენ. ისეთი გამოხედვისანი იყვნენ. იმედს ისიც ამხნევებდა, ტილეფონები რომ გააჩანის სპელეოლოგებსა, ფრიდონი ყოველ წუთს ეთათბირებოდა, ურჩევდა, უბრძანებდა. იმათგან რა ისმოდა, არავინ იცოდა, არც უნდოდათ,

მხოლოდ ელოდნენ დაძაბულნი, სულგაქმენდილნი, ელოდნენ ერთადერთ სიტყვასა, — ვიპოვნეთ!..

მაგრამ სწორედ ეს სანუკვარი სიტყვა არ ისმოდა. ძრავის დაგდუგი ისმოდა, აპარატების ზუზუნნი, შიშინი და ტყაცუნი ისმოდა, მკაფიოდა, ძლიერადა, რადგან ხალხი გატვრენილიყო, ჯაგნარიც იყო გატვრენილი, განაბული, გაყუმული. ხანდახან ეკრანი აბრიალდებოდა, შავი ჩრდილები გადაიქროლებდა, შავი, ბუნდოვანი, გაურკვეველი, გადაიქროლებდა და მიჰქრებოდა. ფრიდონი წყრომისას ჩასძახოდა ტელეფონში, ეტყობოდა იმისი დარჩებანი არც თუ კარგად გაიგეს სპელეოლოგებმა, ან გაიგეს, ოღონდ აქ ნაბრძანები ეგრე იოლადაც ვერ აღესრულებოდა იქა, იმ ჯურღმულებში აქ რა იცოდნენ თუ რა გაჭირვებით მიხობხავდნენ ხვრელებში, რის ვაივაგლახით მიძვრებოდნენ ღერფენებში, რა წვლებით უქცევდნენ ნაპრალებსა, თუნდაც სცოდნოდნენ, რა ბედენა იყო, რამდენიც უნდა ეწვალათ, რა აზრი ექნებოდა, ბიჭებს მალე თუ არ იპოვნიდნენ, მალე, იმ წუთში, თორემ ვინ იცის კიდევ გასძლებდნენ, ან აქამდის კი გაეძლოთ განა?! ჰო, ეს მძიმე კითხვა იყო, საშიში იყო, გულშიც არ გაივლებდნენ, არა, არა!.. თუმცა გული თუ უეცრად შეჰკვნესებდა, რალას იზამდნენ, ოღონდ თვითონ არა, არაფერს დააძალებდნენ გულსა. ან სააგებდო რაღა უნდა ყოფილიყო, უფრო საიმედოდა ბრიალებდა ეკრანი, ინასკვებოდა ზილაცის მინამგვანი. ვილაცის მინამგვანი ცაზე გაწოლილი ღრუბლებისა არ იყოს, ხან უძრავად გაწოლილთა, ხან ტაბათით მიმავალთა, — ხან რას რომ მიამგვანებს აღამიანი, ხან კიდევ რასა. აქ ყველაფერს ბიჭებს ამგვანებდნენ, თუმცა მხოლოდ ლაქები იყო, ლანდები იყო, უსახური, გაურკვეველი... და მერე როგორც იყო გამოირკვა, გამოიკვანდა დარბაზი სტალაქტიტებისა.

— სტალაქტიტები!.. — შეჰყვირა ისტორიის მასწავლებელმა და ღრმად ჩაისუნთქა ვრცელი სიტყვის წარმოსათქმელადა.

— მე ხომ ვთქვი!.. — მოისმა მაშინვე და ხალხი შეინძრა, მკლავები მოა-რღვევდა ხალხსა. მაგრამ არც ერთს დასცალდა, არც მეორესა, ისე მრისხანედ გადმოაბრიალა თვალები ფრიდონმა, — კრინტი, ხმა არ გაევიგონოთ. რალას იზამდნენ!.. თუმცა ესტუბარი არ გაუტეხია არცერთსა: ვიქტორი აჩურჩულდა, — მოთავდეს ეს ამბავი და ლექციას წაგიკითხავთ მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების „ხაზითაო“, ხოლო ფილიმონმა არც აცვიდა და არც აცხელა, ჟურნალისტები ჩამოსულიყვნენ, ერთად შეჰყარა და პრეს-კონფერენცია გამართა.

ამასობაში უფრო განათდა სტალაქტიტების დარბაზი, ახლოს მოვიდა, წვეტები გამოინასკვა, არშიები გამოირჩა, ამოიზიდა სტალაგმიტების წოპებიცა, თითქოს ერთმანეთს მისტანებოდნენ, ერთმანეთისაკენ მიისწრაფოდნენ, ცალ მხარეს კიდევაც გადაბმულიყვნენ, გაუვალ კედლად შენივთულიყო. ეჰა, რამდენ საუკუნეს ეშრომა ბუნებასა!.. გამოთვლა ძნელი უნდა ყოფილიყო, ძალიან ძნელი. ტუჩებზე ამაოდ დაედო საჩვენებელი თითი ვიქტორსა. ამაოდ მოეწურა თვალები, — თუმცა ვინ იცის, ეგება უნდოდა დაემტკიცებინა, კაჟალივით ხუთასი საუკუნეაო, ჰო, ვინ იცის, მაგრამ ფრიდონის წყრომას ერი-ლებოდა; მადლობა ღმერთსა, ერიდებოდა, თორემ ვისა ჰქონდა იმისი მოსმე-ნის თავი!.. საცა ამოსთქვამდა, იქვე ჩაათქმევინებდნენ, ისე დაძაბულიყვნენ, ისე აცეცებდნენ თვალსა, — აცა, ავერ ამ ლოლუებს შორის ბიჭები გამოჰყოფენ ცხვირსაო.

— აჰა!..

ვილამაც შეჰყვირა.

— აგერ..

ვილამაც დაწია...

სურვილმა შეჰყვირა, სურვილი აჰყვა, ეს მოუთმენლობის მოჩვენება იყო. გადამდები მოჩვენება, მირაჟი. მაგრამ ბევრი მაინც უფრო მტკიცე გამოდგა, ფრიდონი ზომ ურყევი იყო, — „სსსსს...“ — სისინებდა მწვავედა, მკაცრად. ოლონდ ისიც შეირყა, როცა სტალაქტიტების დარბაზის შემდეგ ვიწრო დერეფანს ჩამოჰყვნენ, მხრები შეუტოკდა, თითები აუქანდა სამართავეებზე: ხერელში რალაც იძვროდა, ვილაც იძვროდა, უჭირდა, მაინც მიიწევდა, მიხობავდა გაწელილი, თითქოს მცურავიაო. ჰო, თითები აუქანდა და ეკრანი აიბურდა. ხალხმა შეზმულა. კრინტი არ დაუძრავს ფრიდონსა. სწრაფად გადაატრიალა სახელურები, მტკიცედ მიმართა, გამოჰკვეთა, ახლოს მოიტანა, გამოარჩია ჭიკაყელასავით დაგრძელებული ადამიანი, გაწელილი, დაწვრილებული საძრომის ოდენადა, ისე გაწელილ-დაწვრილებული რომ უცებ ადამიანიც როდი ეგონათ, — ქვეწარმავალი ზომ არ არის, ბიჭებს ზომ არ ეპარებო, ეს უცებ, ერთ წამს გაივლეს გულში, გაივლეს და გადაიყარეს, რადგან ბოლოს ჩამოსული სპელეოლოგი გამოდგა, ან სადღაც სიღრმეებში მოხვედრილიყო, ან საქმე მოეთავებინა, ბრუნდებოდა. მერე და მერე სხვა სპელეოლოგებსაც გადაეყარნენ... ერთი თოკზე დაკიდულიყო, ზევით მიცოცავდა, უჭირდა, თუ დაღლილიყო; მეორე ქიმზე გადატყაპულიყო, მძიმე-მძიმედ იძვროდა, იქით უნდა გადაცურებულყო, ისე ქიმზე გადაცურებულყო, როცა ქვევლიდან შავი სიღრმე იცქირებოდა, ძალიან შავი და შემზარავი; მესამეს ღამურების გუნდი დასეოდა, იგერიებდა სანათითა, ხელების ქნევითა. ამაზე ცოტა არ იყოს ღიმი მოეკიდათ, ორიოდემ სიცილიც მორთო, ოლონდ მალე მოიწმინდა პირი. შემდეგი გეოგრაფიის მასწავლებელი იყო, ის კარგა ხანს არ გამოჩენილა იმ უამრავ, ფათერაკიან ჯურღმულებში, თითქოს ისიც გამქრალიყო ბიჭებივითა, დაკარგულიყო, ჩაყლაპულიყო, მაშ რაო, სხვებს ორ-სამჯერ მაინც გადაეყარნენ, იმას კი ვერა, ვერ წააწყდნენ, ვერსაით მიუდგნენ. ოლონდ ბოლოს როცა იმედი გადაიწყვიტეს, აკი არ იპოვნეს, — დიდ დარბაზში მოხვედრილიყო, კედლებს ჩასდევდა, რალაცასა სჩხრეკდა, აკვირდებოდა, უკირკიტებდა...

ყველაზე უმაღ ვიქტორი მიხვდა, თუ რა დარბაზი უნდა ყოფილიყო ის დარბაზი... თუმცა ახლა ძნელი მისახვედრიც არ უნდა გამხდარიყო, რადგან შაქრომ პირველ ამოსვლისთანავე ამოიტანა ამბავი, უძველეს მოხატულობებს გადაეყარეო. ვიქტორმა მაშინვე სცქვიტა ყურები, გაინაპირა, გვერდით მოისვა, რა ნახეო, როგორა ნახეო, ჩაჰკითხა, ჩასძია, აფოფინდა, ოლონდ ვერც ისე აფოფინდა, მღვიმეში რომ ჩაეყო თავი... ახლა გული მოსდიოდა, სახე ეფშხალებოდა, ტუჩები ეგრიხებოდა, თვალები ებნეოდა, თუ ბრაზობდა, — ამას რა უნდა, რა ეკითხება. რას ჩაჰკირკიტებს, გამოშორდეს, წამოეთრესო... ვინ იცის ბრაზობდა-მეთქი, ჰო, ვინ იცის, კაცნი ვართ!.. შაქრო მაინც გულმოდგინედ ჩასდევდა კედლებსა, — იქამდის ვერ აღწევდა აქაური ვენბანი, — სანათს დაატარებდა, თითქოს მიმხვდარიყო, ეკრანი აქაობას ჩაჰკირკიტებს და კარგად მიეღუშუქო... მართლაც კარგად მოსჩანდა ის დარბაზი, ალბათ იქვე დაეგდო ერთი ბურთული ფარული გამოსხივებისა; ჰოდა ნათლად მოსჩანდა უძველეს მხატვართა გალერეა, პირველ მხატვართა გალერეა...

პირველად ადამიანის სურათი მოხვდათ თვალში, ადამიანის თავი, ძალიან დიდი, დიდივე. დაჰყეტილი თვალებითა. განიერი ცხვირითა, მორღვეული პირითა, აქენჩირილი თმითა, მოთელილი წვერებითა. ნახატი წვერებთან მოთავებულიყო. შაქროს წვერებთან ედგა ფეხები და შუბლამდის ძლივსა სწედებო-

და... მერე დომბა მოჰყვა. დომბაც იმ პორტრეტის ხელა იქნებოდა, ოღონდ დომბა მირბოდა და მონადირენი რომ მისდევდნენ, ბევრად პატარები იყვნენ, აქ ალბათ პროპორციას ველარ წაუვიდა მხატვარი, ან იგივე, ან სხვა, სხვა დროისა, სხვა ეპოქისა, თუმცა სტილით ბევრად განსხვავებულნი არ უნდა ყოფილიყვნენ. გაზვიადების ნიშანი ედო პორტრეტსაცა, დომბასაცა. დომბას უზომოდ გაელაჯნა ფეხები, ალბათ იმას გადმოსცემდა, ძალიან გარბისო, მდევრებიც უზომოდ გალაჯულიყვნენ, დომბას გავაზე დარჭობილი ისარიც უამრავად გამოსახულიყო, დარხეულიყო, ისიც სისწრაფეს თუ გამოჰხატავდა. მდევართა სახეები არ იყო ისე უშნო, როგორც პირველი სურათი, არცთუ შნოიანობით გამოირჩეოდა, ანუ სახეები არცთუ მკვეთრად გამოკვეთილიყო, იქ მხოლოდ სისწრაფის გადმოცემა ყოფილა მხატვრის მიზანი, მოძრაობას გადაჰყოლია. პორტრეტი სხვა იყო, პორტრეტში მეტი სიმკვეთრე იყო სახის ნაკეთებისა, თუმცა რაღა სიმკვეთრედ ითქმოდა, როცა ესოდენ უცნაურად გამოიყურებოდა?.. ასეთივე პორტრეტები პირინეებშიც აღმოაჩინეს და მკვლევარები შეფუცხუნდნენ. — რა სათქმელია, რა საფიქრებელია, როგორ შეიძლება ჩვენი წინაპარი ამგვარი ყოფილიყო!.. ანუ ესოდენ განვითარებული მხატვრობის დროს ასე უაზრო სახისანი არ იქნებოდნენო; ეს ალბათ ჯადოქარია, მლოცველი, მავედრებელი, რომელიც უსათუოდ ნილაბს იკეთებდა და ამ ღრმა, ფარულ სამლოცველოში ღმერთს ევედრებოდა, ნადირებზე გავამარჯვეო. იმ ხანის ადამიანთა ცხოვრების შინაარსი ხომ ნადირობა იყო. მართალი ბრძანებაა!.. ესეც არ იყოს, პირველი მხატვრის იარაღი კაჟი იყო, არცთუ იოლად ემორჩილებოდა პიტალო კედლები ამ იარაღსაო. მართალივე ბრძანება გახლავთ!.. ანუ ეს უფრო მართალი ბრძანებაა, მაგრამ კაჟი რომ ვერაფერი შვილი იარაღი იყო, ესოდენ დიდრონ სახეს რაღა ჰხატავდა პირვანდელი მხატვარი, განა იმხელა თავი ექნებოდა მადლენის ან ორინიაკის ადამიანსა?! რა სათქმელია, არც იმხელა და არც ამხელა, ახლა რომ არის!.. არც ნილაბია ადვილი დასაჯერებელი... რა ვუყოთ თუ სადღაც ახლა ველურთა მოგვები უნილბოდ არა ლოცულობენო. შორით შორია, უმწეოა პარალელები... ეს მხოლოდ შეგრძნებაა პირველ მხატვართა, ხელოვნების ბუნების ღრმა შეგრძნება, — გაზვიადებისა, ჰიპერბოლებისა, ამაღლებისა...

ასეთი და ამგვარი ფიქრები აესია ვიქტორსა, ოღონდ თქმით იგველა სთქვა, — საზოგადოების „ხაზით“ მოგახსენებთო.

თავის თვალით ვინცა ნახა, იგივე მოგვახსენებსო.

მეცა ვხედავო.

ეგრე ხომ ჩვენცა ვხედავთო, რაღა პეიტარი გვინდაო... საქმე იქ ჩასვლა არისო.

— მე ვერ ჩავალ თუ!..

— ჩადი, რა...

— ჩავალ!..

— რაღას უცდი?!

— რა დროს ეგ არის!.. — რამდენიმემ დაიძახა ერთად და იმათ რომ ჰმა გაიკმიდეს, ეს არაფერი, ფრიდონსაც ემწვავა, სწრაფად გადაბრუნა სამართავები, გამოსცილდა უძველეს მხატვართა სალონსა, თორემ აპირებდა კედელკუთხე შემოეარნა, ყველა ნახატს დაჰკვირვებოდა, ყველასა, ზოგს მთელად შენახულსა, ზოგს ნალენთებით დაფარულსა, ზოგსაც ჩამოფხატნილსა თუ ჩამომტვრეულსა. — ვინ იცის, ხელით ჩამომტვრეულსა, ხელოვნების მტრები მაშინაც იქნებოდნენ, ღიახაც იქნებოდნენ, მაშინაც იქნებოდნენ; ჰო, სწრაფად

გადააბრუნა-მეთქი სამართავეები, წამოვიდა, გამოჰყვა ჯურღმულებსა, ხერგულესა, დერეფნებსა, სტალაგმიტების ტყესა, ვიწრო საძრომებს, ღამურების საძილეებსა, ძვალთა ხროვებსა, გუბეებსა, გამოჰყვა და გაჰყვა პირველი კვადრატისა მეთამდისა, მეთადან პირველამდისა. იგივე იყო, იგივენი იყვნენ, — სპელეოლოგები მძიმე-მძიმედ მოიწევდნენ ზევ-ზევითა. მალე იაინიც დაიბურნენ, აღარც აღარაფერი მოსჩანდა, ან ხამუშ-ხამუშ თუ გაიელვებდა ხოლმე რომელიმე დარბაზი თუ დერეფანი, ეს უკანასკნელი სხივებისაგან იქნებოდა, ბურთები ილეოდა, ძალა ილეოდა.

აქეთ იმედი გადაწურულიყო.

და აი, როცა გმინვის გარდა აღარაფერი დარჩენოდა ხალხსა, როცა ფრიდონმა საბოლოოდ ჩააქრო ეკრანი და მაინც ვერ შემობრუნებულყო, ხალხისათვის თვალის გასწორება ვეღარ გაებედნა, როცა სპელეოლოგები სათითაოდ ამოლაგდნენ მიწის ქვეშიდანა, ამოლაგდნენ ხელცარიელნი, მაშინ მოხდა რაც მოხდა, მოულოდნელი და თავზარდამცემი, თავზარდამცემი და კვლავ იმედის გამღვივებელი. საკვირველია, მაგრამ ასეა, ფაქტობრივად ანთო იმედი... ეს მაშინ სამი სპელეოლოგი მღვიმის ლაფსა და ტალახს რომ იშორებდა, მეოთხემ გამოჰყო თავი და იყვირა, მომხედეთო. ხალხი შეტორტმანდა, ოღონდ არ დაძრულა, ჯერ არ იცოდნენ თუ რა უნდა ეღონათ. არც სპელეოლოგები დაძრულან, ყუჩი მოიყრუეს, აღარ ეპიტნაებოდნენ ჯურღმულებში წოწიალი. მაგრამ თავი ჩაგორდა, ჩაიმალა, მალევე ამოვარდა, — რაღას უდგევართ, რატომ არ მომხედეთო?!

— რა მოხდა?!

უგერგილოდ იკითხეს სპელეოლოგებმა.

— რა მოხდა?!

დაიგუგუნა ხალხმა.

რა მოხდაო და აქამდის ფეხდაფეხ მომდევნა შაქროი, უცებ იყვირა და ვეღარ გავიგე, რა იქნა, ხმა რამ ჩაუწყვიტა, რამ ჩაყლაპაო.

— მანდამდის თუ მოგყვა, მანდვე იქნება...

არაფრად ჩააგდეს სპელეოლოგებმა.

— ჩადით!..

იყვირა ხალხმა, იყვირა და წაიწია, თუ არ ჩახვალთ, ძალით ჩაგტენათო. ასე თუ იფიქრეს, ფაცხაფუცხით რომ ჩაძვრნენ სამივენი, ასეც იფიქრეს და ასეც იქნებოდა. თუმცა იმათაც რაღა ექნათ, არაქათი აღარა ჰქონდათ. მაგრამ დაზოგვისა რა იცის გასაჭირმა, შეცოდება რა იცის მღელვარებამა. ჰოდა ხომ ჩაცვივდნენ ფაცხაფუცხითა, ჩაცვივდნენ და მალეც გამოარკვიეს თუ რაც მომხდარიყო:

ჩასავალშივე, მარჯვენა მხარეს დერეფანი გადიოდა, პირველჩასული ჯერ იქ შეანათებდა ხოლმე, შეანათებდა და გამობრუნდებოდა, კედელი იკვროდა, სავალი აღარ იყო, იქვე ძვლებიც ეყარა, ფრთებიცა, ბურტყილიცა, ბუნაგსა ჰგავდა, ბუნაგს აბა რა გამოკვლევა უნდოდა, ჰოდა გამობრუნდებოდნენ ხოლმე, წინ წავიდოდნენ, უფრო გრძელი, ძალიან გრძელი დერეფნები იხლართებოდა, იმათ გაჰყვებოდნენ, იქით ეძებდნენ, ხოლო როცა მიუსვლელი აღარ გადარჩათ მღვიმეში, როცა საბოლოოდ ამოდიოდნენ, შაქროს ვეღარ მოუთმენია, ბარემ აქაც საგულდაგულოდ შევიხედავო, უთქვამს, შეუხედნია და გამქრალა, ძახილიდა დარჩენია ზემოთა, წასულა, კედელთა ხეთქებით წასულა ჭაში, მერე ტბაში მოუღია ზღარათანი... თოკის კიბეს ამოჰყვა გაწუწულ-გალუმპული, სპელეოლოგებმა ხელები შეაშველეს, ამოვიდა და იქვე ჩამოჯდა,

ჭაშივე ჩაჰკიდა ფეხები, — დაღლილიც იყო, ნავარაუდევის გამოთქმასაც ეშურებოდა: ალბათ თენგიზმა ადრევე შენიშნა, ზურაბი ფეხდაფეხ მომდევსო, შენიშნა და სცადა, გზა დაეხსია ჯაგებშივე, ვერ მოუხერხდა, ვერ წაუვიდა, მაშინ მოინდომა მღვიმეში დაეხსია, იქით არა, იქით საშინელება იქნებოდა, იქვე ნაბუნაგარში მიჰფარებოდა, წასვლას ვეღარ გაჰბედავდა და ჩამოეხსნებოდა. ასე იფიქრა, ასეც მოიქცა; მოიქცა, მაგრამ რაღა მოიქცა, ჭაში ამოჰყო თავი. იყვირა, ნულარ მომდევო, ან მიშველეო, სულ ერთია, რაც იყვირა, იყვირა, ზურაბიც თან მიჰყვა, ან იმიტომ, არ მიმემალოსო, ან იმიტომ, გადავარჩინო, სულერთია, თან მიჰყვა; მიჰყვა და ტბას რომ თავს დააღწევდნენ, მერე აღარ დაჰკარგავდნენ ერთმანეთსა, გამოსასვლელის ძებნას მიჰყევდნენ, იქით საითმე გასასვლელისა, რადგან ჭიდან ამოსვლა შეუძლებელია დაუხმარებლად... ჰოდა ისინი იქ არიან, იქ დაბორილობენ, იქ უფრო რთული, უფრო ფაფერაკიანი მღვიმე არისო. ესა სთქვა და იქვე დასძინა, — გონიერი ბიჭები არიან, ალბათ მიხვდებოდნენ, ფრიალოზე რომ ქვაბულები მოსჩანს, იქით გავალწევთო, იქიდან ვინმეს როგორმე ხმას მივაწვდნითო. იქით წავიდოდნენ, იქით უნდა ვეძიოთო.

მართლაც ეგრე იქნებოა, დასტური დასცეს სპელეოლოგებმა და გამხნევდნენ. აბა ნუ გამხნევდებოდნენ, ზევით ამოსვლა აღარ უნდოდათ!.. მაშინ მაინც ცხვირიც აღარ გამოუყვიათ, მხოლოდ ხელები გამოიწვდინეს, ბურთები მოგვაწოდეთო. მიაწოდეს. ხელებიც ჩაიმალა.

ფრიდონმა ბრძანა და ისევ აპარატებს მიუსხდნენ იმისი თანამშრომლები, თვითონ ხომ მანამდისაც არ მოსცილებია ეკრანსა, მაშინ რაღა მოაცილებდა, სახელურებს ჩასჭიდებოდა, ვარაუდობდა, როდის ჩაერთო. ახლა ღელავდა, ყველაზე უფრო მეტადა ჰღელავდა, წელან უფრო აპარატებს ამოწმებდა, თავის გამოგონებასა სცდიდა საჯაროდა, სახალხოდა, სცდიდა და უხაროდა, რომ გაუმართლდა, უხაროდა, რომ ლაბორატორიიდან პირველად გამოტანილმა აპარატებმა ისე კარგად დაიჭირა ჯურღმულები, უხაროდა და ნაკლს ინიშნავდა, ბიჭებსაც ეძებდა, ნაკლსაც ეძებდა, ან ნაკლს ეძებდა, ბიჭებსაც ეძებდა, ვინ იცის, ასე უფრო სწორი ყოფილიყო, ხოლო ახლა მხოლოდ ბიჭების ბედი შემოჰხვეოდა, ბიჭების ბედით დაძაბულიყო, იმის ზურგსუკან რომ ხალხი დრტყნავდა, იმ დრტყნევით აღვსილიყო და თითები უცახცახებდა სამართავებზე.

სხვებიც ხომ არ იყვნენ დამშვიდებულნი, რაღა თქმა უნდა, არ იყვნენ, ჰღელავდნენ, აბა, სხვას რას აკეთებდნენ იმ დღეებში, — მაგრამ ის მაინც... როგორ უნდა ითქვას? ჰო, ის მაინც დინჯური ღელვა იყო, შინაგანი ფორიაქი იყო, გარეგნულად, ვთქვათ, შეყვირებით გამოხატულიყო, ან გაქცევა-გამოქცევიტა, ბავშვებისა კი არა, ბავშვები ისედაც დარბოდნენ, — დიდებისა, მოხუცებისა, შიკრიკობაში რომ ეცილებოდნენ ჰაბუტებსა, მაშ რა ეღონათ, რა ემოქმედათ. როცა იმათ ხელთ სხვა არაფერი იყო; ჰო, მაინც დინჯ ღელვად ითქმოდა-მეთქი... ახლა უკვე შეშლილებს დაემგვანნენ, იმანებოდნენ, კბილებს აკრაჰუნებდნენ, თვალებს უბრაილებდნენ ერთმანეთსა, ხელები ეხვლანჯებოდნენ, თითქოს რაღაცას უნდა ეცნენ, რაღაც უნდა დაღწეონო, ოღონდ თუ ვერაფერი ჩაიგდეს ხელში, ყელში სწვდებიან ერთმანეთსაო. ეს სულ იმისი ბრალი იყო, არაფერი რომ არ შეეძლოთ, ძალა შესწევდათ და არ შეეძლოთ, ღონე ვერაფრით და ვერაფერი ეღონათ... ვიღაცა ხითხითებდა, გაუთავებლად ხითხითებდა, არც არავინ ასდევდა, არც არავინ უშლიდა, ისიც ღონიერის უღონობას გამოსთქვამდა, ისიცა — ვიღაცა კუხე პანტას რომ მისდგომოდა, არხევდა, არხევდა, არა ცვივოდა და იგინებოდა, — მაშ რა ექნა, ჯავრი რაზე ამოეყარა!..

ყველა, ყველა, მაგრამ მაყვალა მთლად საცოდაობად გამხდარიყო, ვიდრე ტიროდა კიდეც არაფერი, ცრემლი რომ ჩაუშრა, მერე აღარ შეიხედებოდა; იმ ორ-სამ დღეს თითქმის ჩამოხმა მარწყევით გოგოი, — თუმცა რაღა მარწყევითა, მაყვალა იყო და — მაყვალევით გოგოი, თავს იდანაშაულებდა, ადრევე როგორ ვერ მივუხვდი, როგორ არ დავუშალო, ან ვინმეს რატომ არ გავუმხილე, ადრევე მიაკვლევდნენ და საფათერაკო აღარ იქნებოდა ეს უცნაური მღვიმეიო. ესა და ასეთები გუშინა თქვა მოთქმითა, მერე დადუმდა და ჩაიჩოქა მღვიმის ხვრელთანა, ჩაჰხედა შავ სიღრმესა, ჩაჰხედა და ჩაჰყურებდა, გამომშრალი, გამოფიტული.

წაიკვანეთო. რამდენჯერმე ბრძანა ფრიდონმა.

ვერ წაიყვანეს, არც ბრძანება გაიგონა, არც თხოვნაი, ხელიც ვერ შეახეს, როგორ შეახებდნენ, საიმისო ღონე ვიღას ექნებოდა, გაძალიანებულს რომ მორევოდა?! ძალა დნებოდა, უქმი, უვარგისი, გამოუსადეგარი, და თუ კიდეც გასტანდა ასე, ალბათ ყველანი დაემხოზოდნენ, ქვითინს მორთავდნენ, ცრემლი სხვა რაღა ბედენაა, თუ არა შეწევნა უმწეოთაო.

— წადით!..

იყვირა ფრიდონმა.

არავინ გაუგონა, აღარც ის ახირებულა, ოღონდ ფილიმონმა დააწია უფრო მძაფრი ყვილითა, —

— მე ხომ ვთქვი!..

დააწია ისეთი ყვილითა, რომ არც იმასა ჰქონდა დიდი იმედი, ვითომ მე მაინც გამიგონებნო, არც ენაღვლებოდა, ჯავრი ამოიხრინწა და აფაცურდა, აბა ახალი ვინ მოდის, „მიმდინარე მომენტი“ ვის განვუმარტოო. და არც მოისაკლისებდა ახალმოსულებსა, ხმა მალე გავარდა, მისწვდა შორეულ სოფლებსა, აგარაკებსა, მოდიოდნენ და მიდიოდნენ, მოსულნი მალე აღივსებოდნენ იქაურთა ღელვითა, წასულებს იქა რჩებოდათ გული. ხოლო ისეთნი ვინც უნდა წასულიყვნენ და ვერ წასულიყვნენ, წრიალებდნენ, ბზრიალებდნენ, ტრიალებდნენ, ხან თავქვე იზამდნენ პირსა, ხან ეკრანს მიაჩერდებოდნენ... ეკრანი ბრიალებდა, გაურკვეველ ლანდებს ისვროდა, წიოდა, ჰქრებოდა, ვიდრე არ გამოიკვეთა დიდი დარბაზი, ვეება ტბორითა; დიდი დარბაზი და გაუვალი, არსაით, დერეფანი, არსაით ხვრელი, არსაით ეხი, თუმცა არა, ჰქონდა გასავალი, ერთი გასავალი, ოღონდ შიგ წყალი მიმჩქეფარებდა... ხუთნივენი იქ შეყრილიყვნენ, ყელამდე წყალში ჩასულიყვნენ, თავს ატრიალებდნენ, სანათებს დაატარებდნენ, კუნჭულ-კუნჭულ აკვირდებოდნენ, ეგება სადმე საძრომი იყოსო, თუნდაც ღამურას გასაძრომიო; არ იყო, არა, არცა რა დიდი, არცა რა პატარა, მხოლოდ ის იყო, მხოლოდლა მდინარეს უნდა გაჰყოლოდნენ. და სანათი პირში გაირჭო ერთმა, მიჰყვა ჩქერალსა, მიჰყვა, ჩაიფლო, ჩაიმალა, მერე მეორემ გაირჭო სანათი პირში... და ასე მისდიეს ერთიმეორესა, ყველანი ჩაიყლაპნენ, მხოლოდლა დარბაზი მოსჩანდა დიდი ტბორითა, დიდრონი ლოდებითა. ის ლოდები ცალ მხარეს მიყრილიყო, ვინ იცის არც ისე დიდი ხნის წინათ ჩამოქცეულიყო ჰერი, ვინ უწყის გასასვლელი ამოეჩხორა. აქედან ძნელი გასარკვევი იყო, იქ კი ადვილად გაიგებდნენ, სულ ადვილადა, თუმცა ვითომ რა ბედენა იქნებოდა. მაინც წინ უნდა ევლოთ, სულ წინა, ვიდრე სავალი არ დაეხშობოდათ. თუმცა ვინ იცის, უკვე დაეხშოთ, დარბაზიცა ჰქრებოდა, ალბათ ილეოდა იქ თავმოხსნილი ბურთი. იქით და იქით ციალი აღარ იწყებოდა, სად ჩაჰყვნენ მდინარეს. ნეტავი სადა?! —

— იქ სად მიდიოდნენ!.. — აყვირდა ერთი.

- მაშ რა უნდა ექნათ?! — ყვირილითვე შეეპასუხნენ.
- სხვა გზით წასულიყვნენ...
- ეჰეი, ამას ჰგონია დიღმის მინდორიაო.
- დიღმის მინდორი შენა გგონია...
- მე რომ მეგონოს, შენს ნათქვამს ვიტყოდი...
- განა ბიჭები იქ შეჰბედავდნენ?!
- მაშ რას იზამდნენ, სხვა გზა რომ არ იყო?!
- იქ ხომ გარდაუვალი...
- მაინც იქით წავიდოდნენ.
- სიკვდილისაკენ არავინ მიდის.
- ყველა სიკვდილისაკენ მიდის...
- გამომიჩნდნენ ესენი ფილოსოფოსები!..
- შენ ხომ რა...
- რა?!
- რა და...
- გაჩუმდით!..

მოთმინება დაჰკარგა ხალხმა, მოთმინება დაჰკარგა და იყვირა. ეს ყვირილიც ვითომ არაფერი, ისე ჩაივლიდა, ვითომც წყირი გატეხილაო. მაგრამ ეკრანი უცებ აინთო, რალაც უცნაურმა სახემ გაიღვა, თითქოს იმ შეყვირებამ გამოიწვიაო. ფრიდონი დაწვა სამართავებსა, სხვანი გაისუსნენ, თვალებად იქცნენ... ეკრანიც თვალებად იქცა, თითქოს ბრიალა, თითქოს ანთებულ, თითქოს გადალიბრულ თვალებად. მერე დაიხია თვალებმა, ბეწვი წამოვიდა, ბეწვი თუ ბურტყლი, ბანალი, ჯაგარი, — რაც იყო, იყო, თვალებსა ჰფარავდა, მთელ სახესა ჰფარავდა, მართლაც სახესა, ადამიანის მსგავს სახესა. ჰოი, უცნაურობავ!.. განა ბიჭებს ამხელა წვერი გაეზრდებოდათ?! რა სათქმელია!.. ელდისაგან გაჰღარავება გაგვეგონა, თმა-წვერის აბიბინება არა. მოჩვენება თუ იყო, მაგრამ რალა ყველას ერთნაირად ეჩვენებოდა?! თუმცა ყველას მაგივრად ლაპარაკი არცთუ ისე ადვილია, ასეთი გულთამხილავი ვინ იქნებოდა, ყველას დაელო პირი და ამ შიშთან მოჩვენებაში ვინ იცის ვისი თვალი როგორ არეულიყო. ზოგისთვის თუ კაცსა ჰგავდა, ზოგისთვის ევებ — კაცთა მსგავს მაიმუნსა, ან დათესა, ან აფთარსა, ან ისეთ რამეს, ოდესღაც რომ არსებულა, დიხანია გადამენებულა და ზოგჯერ პალეონტოლოგები თუ აღადგენენ ხოლმე მიგნებული ძვლების მიხედვით. რაც უნდა ყოფილიყო არსებასა ჰგავდა, ისეთნაირად შემართულიყო, თითქოს მიდიოდა, ვილაცს მოჰკრა თვალი და უცებ შეჩერდაო. სვეტის წინ შეჩერდა, დიდი სვეტისა. ის დიდად ითქმის, რადგან მახლობლად რამდენიმე მომცრო სვეტიც აღმართულიყო. თითქოს დარბაზია, დიდი დედაბოძად შედგმულა, პატარები აქეთ-იქით კალთებს იმაგრებენო. ჰო, თითქოს დარბაზია, სამეფო დარბაზიო, ისე დიდებულად, გამორჩეულად მოხარატებულებო, ისე გასაოცარი ხვეულები ამოსახულიყო იმ სვეტებზე. ალბათ ეს უფრო გამოჩენილი ხელოვანის ნაღვაწი იქნებოდა, ვიდრე ის სალონი, პირველად რომ იხილეს. არც გასაკვირია, სასახლის მხატვარი რჩეულთა შორის რჩეული უნდა ყოფილიყო. ოღონდ იქვე ვარდის ბუჩქები გამოჩნდა და საეჭვო გახდა. დარბაზია თუ ყვავილნარიო. ეჭვი ისევე ბათილდებოდა, თავისთავად, გამოუთქმელად, მაშ რაო, დიდებულ სასახლეს ყვავილნარიც ექნებოდა სწორედ ისეთი მშვენიერი, უამრავი ვარდითა და ზამბახითა. ლილილოებიც გაღალანებულებო, შროშანიცა, ბევრად ლამაზი ყვავილებიცა, რომელთა მსგავსი მიწის ზურგზე არა ყოფილა და სახელს ვერ მიატანდნენ. ოღონდ იმ უჩვეულო

არსებას გაბედულად შეარქმევდნენ ადამიანსა. სხვამ ვინ იცოდა სილამაზე ყვავილნარისა! თვით ადამიანთაგანაც ყველამ ხომ არ იცის რა არის ყვავილი, ის ხომ ყველასათვის არ გაჩენილა, მხოლოდ ფაქიზმა სულმა და მგრძნობიარე გულმა იცის ყვავილის ღირსება. და აი ის უკვე აქ არის, თურმე მოდიოდა, ყვავილნარისკენ მოესწრაფოდა, დასვენება უნდოდა ფიქრით დაღლილსა. ყვავილნარში წამოწოლილა, მხარტიძოზე წამოწოლილა და იკრებს ძალას, სულიერ სიმშვიდეს. დაე, მოისვენოს!.. ეკრანი ინაცვლებს, მისდევს ვრცელ ყვავილნარს. აგერა კედელიცა. ისიც მოჩუქურთმებული, მოხატული, რაღა თქმა უნდა; ყველაფერს ადევს ხელი დიდი ხელოვანისა.

კედელთან გუშაგია. შუბი მოუმარჯვებია, ვის უნდა ესროლოს, ვინ დაინახა, ბიჭები ხომ არა?!

— ჰა?! — ვილაცამ შიშით ამოიძახა.

— არა... — სხვამ დაამშვიდა, ოღონდ ისე, თავისი ალელეება რომ ვერ დაეფარა.

— მოესპობ!.. --- იყვირა უფრო მღელვარმა.

— როგორ იქნება?! უნდა გავუფრთხილდეთ, დიდი რამაა ისტორიისათვის... — განმარტა ვიქტორმა

— ჯანდაბას ისტორიები!... ბიჭები...

და რამდენიმე დაიძრა, მღვიმეს მიეტანა. შეაჩერეს, ვინ იცის რა გვეჩვენება, მართალიც რომ იყვეს, რას მიუსწრებთ, იქ რას გახდებითო; ჰო, შეაჩერეს, მაგრამ ვერც შეაჩერეს, ყველა ყალბზე შედგა, შეიძარტა, რადგან ბიჭებმა იჩინეს თავი, შეიძარტა და მაშინვე მოეშვა, მაშ რაო, საით მისწვდებოდნენ?!

ჰო, ბიჭები გამოჩნდნენ როგორც იყო. კედელს იქიდან ამოჰყო თავი ჯერ ერთმა, მერე მეორემ. ერთიც უცბადვე გაჰქრა, მეორეცა. შუბი თუ ეცათ თვალში. ალბათ მოჰკურცხლეს, მირბიან, მირბიან. მაგრამ როდემდის ირბენენ?! თუმცა აქედან არავინ გაჰკიდებია. შუბი ისევ აწეულა. რატომ არ დაუშვებს? ისევ ხომ არ ელის? და რომ ესვრის, არც დააცილებს. რასაკვირველია, განა გუშაგად ხელმოცარულს დააყენებდნენ? უნდა გასცლოდნენ ბიჭები იქაობას, უნდა გასცლოდნენ, თორემ ფათერაკი გარდაუვალი იყო. თუმცა ეგება გარს ვინმე უვლიდა, ეს აქ მომარჯვებულიყო, ის იქიდან მოერეკებოდა: ეგება ბევრი იყო მოალყე, თორემ ორსამს იოლად გაუსწორდებოდნენ, ორისამი რა იქნებოდა, როცა გადმოცემების მიხედვით, ერთზე ათი მოდიოდა, ერთი ათსა სძლედა. მაგრამ ეს რა ხდება?! კედელს ვილაცა გადაევლო, იმას სხვა მიჰყვა, კიდევ სხვა, რამდენიმე, ბევრი... თითქოს ყიჟინიც მოესმათ, ახივლდა, აწივლდა აპარატი, აიბურდა ეკრანი, გადაიმტვრა თეთრი ზოლები, ელვარე ზოლები, ჩამუქდა და ისევ აელვარდა, აირია... ნულარ იკითხავთ, აქეთ რა დაემართებათ, წარმოიდგინეთ შეშლილი სახეები... ბუნდი აიშლვრევა, გამოიძაფება, გამოირკვევა, კლდის წიბოზე ორი ლანდი გამოჩნდება, ერთი მეორეს დაბლა ჩასვლასა შეელის. ბიჭები გამოხსნილან. აქ ისევ შვებით ამოისუნთქებენ, ერთად ამოისუნთქებენ და თითქოს ჭარი ამოვარდაო. მაგრამ... ჰო, მაგრამ თურმე ბიჭები როდი ყოფილიყვნენ, სპელეოლოგები ყოფილიყვნენ. ოხ!.. რას დადიან, სად დაფორთხავენ, სად უჭირთ და ესენი სად არიანო!... ჰმ!.. ერთად ჩაისუნთქავენ და თითქოს ჰაერი დაიხშო იდუმალაშიო. ისევ აირია ეკრანი. მაინც რა ჰქნეს, ჩავიდნენ თუ ვერა, საშიშ ნაპრალს გადადიოდნენ, ესლა აკლიათ, ახლა ისინი გაუხდნენ საძებრად...

ტელეფონიც ხმას აღარ იღებდა, ან ხაზი გაუწყდათ ან ვეღარ გაიყოლეს აპარატი იმდენ საძრომში. განსაზღვრა ძნელია. სად ვინ არის, ვერ გაუგიათ.

ზემო სართული კვადრატებში იჯდა, იქ მისწავლება ადვილიც იყო, ქვემოს არ იცნობდნენ, ალაღბედზე მიდიოდნენ ისინიცა... ბიჭებიცა. ხოლო მღევარი?... აბა, იმას რა გამოეპარებოდა, თავის ბუნაგში იყო, თავის მღვიმეში, უთვალავი საუკუნე იქ გაეტარებინა, დამეკვიდრებინა, დაესაკუთრებინა, საიდლანლაც შემოსეული დამპყრობელნი ეგრე იოლად ვერ დაიმორჩილებდნენ. ან დამპყრობელი სად იყო, — ისინი ილტვოდნენ, ის მისდევდა. წაუვლენ თუ ვერა? შეიპყრობს თუ ვერა? მიდით, მიეშველეთ!..

ეკრანი გაიწმინდა... შაქრო სადღაც ჭაში თუ ეხში მოხვედრილიყო, თოკს ისროდა ზევითა, იქ, ხვრელში ხელი მოსჩანდა, — წაეტანებოდა ასროლილ თოკსა, მაჯა ასასვადებოდა, დაიხვლანჯებოდა თითები, წაუვიდოდა თოკი, მუჭი შეიკვროდა, თითქოს თითები უნდა ჩაიმტვრესო. ისევ ირხეოდა თოკი, ისევ აფაციცდებოდა თითები... მერე მეორე ხელიც გამოჩნდა ხვრელში, ცხვირპირიც გამოჩნდა, ძნელი მისახვედრი იყო, როგორღა იმაგრებდა თავსა, სახიფათოდ დაკიდულიყო, აბა, კიდევ... კიდევ ფათერაქი!.. მაგრამ არა, თოკი ჩაიბლუჯა, აიჭიმა, შაქრო დაეკიდა, დაეკიდა და აცოცდა. შემდეგ რა მოხდა აღარა სჩანდა. იგივე ჭა, თუ გაუვალი ჩიხი ბრიალებდა ჩამოღვენთილი კედლებითა. მერე ძვლების ხროვა გამოჩნდა, უამრავი ძვლებისა, ბეწვებიც ეყარა ცოტა მოცილებითა, თითქოს ნაბუნაგარსა ჰგავდა ან ეგება ბუნაგიც იყო. გვერდით დარბაზში უამრავი ღამურა ასხმულიყო, განაბულიყო, გატვრენილიყო, ალბათ ეძინათ უშფოთველი ძილითა. იქ უამრავი ძვალი გამოხრული, იქვე ღამურები უამრავი, საზრდო იქ იყო, ბუნაგიც იქვე იქნებოდა... სტალაქტიტებმაც გაიელვა, უფრო დიდებმა, უფრო გასაკვირველმა, თუმცა სანახაობის ხასიათზე ვილა იქნებოდა!..

რა იქნენო, წამოყელყელავდნენ უკანანი.

მოიცათო, გამკვრივდნენ წინანი.

დაგვანახეთო, ისევ აიშალნენ უკანანი.

აპარატები აწივლდა, ახიხნდა, თითქოს შეშინდა, ეს ამოდონა ხალხი ზედ არ გადმომაწყდესო. ეკრანი ჩამუქდა, მალევე გაცრიაკდა. გაიშალა, გაიფანტა ცრიაკი და.. და ვიწრო დერეფანში ჩაგორდნენ ბიჭები, საიდანღაც ჩაგორდნენ. ერთი პირქვე დაეცა, მეორე ზურგზე გადაეფინა; მალევე წამოცვივდნენ, გაქანდნენ დერეფანში. გაქანდნენ, მაგრამ რა გაქანდნენ, დერეფანი დაბალი იყო, წახრილნი მირბოდნენ. სიდაბლე კიდევ არაფერი, ძირიც არ იყო მოსწორებული, როკები ამომჯღარიყო, კოხები ამომჯღარიყო, ისე ახლო-ახლოსა, ისე ხშირად, დღის სინათლეზეც ვერ აუქცევდნენ, იქ მითუმეტეს, — ფორხილობდნენ, კედლებს აწყდებოდნენ, კედლებსაც როკიანებსა, იმტვრეოდნენ, იგრიხებოდნენ, მაინც მირბოდნენ, მირბოდნენ. მერე წინა დაეცა, უკანა ზედ გადააწყდა. ზედ გადამწყდარი მალევე წამოხტა. პირველიც წამოხტა, ოღონდ მაშინვე ჩაიჩოქა. მეორე მიეშველა, ასწია და ვერ ასწია.

ხალხმა დაიგმინა ერთადა, ერთბაშად, თითქოს მთა შეიძრა, თითქოს გული ამოვარდა მთასაო... ფეხი ხომ არ იღრძო? ეგება გადაუტყდა?! ვთქვათ, არც იღრძო, არც გადაუტყდა, ეს მაინც საბედისწერო დაცემა იქნებოდა თუ მოსდევდნენ. ან „თუ“ რაღა მოსატანი იყო, როცა დაინახეს, როგორ გადადიოდნენ კედელზე მედგარი ყიფინითა. კიდევაც საოცარია, აქამდისაც როგორ დაუსხლტნენ ხელიდანა. ახლა მაინც ვეღარ წაუვლენ, აგერ ჩამოცვივიან იმ ვიწრო ხვრელში, ჩამოცვივიან ხელშუბიანები, წამოაგებენ. შუბისწვივრებით აიტაცებენ და გაბრუნდებიან გამარჯვების გუგუნითა. არ არის ძნელი წარმოსადგენი, ვიცისაც წაუკითხავს ისტორიული რომანები, ნაცნობი სურათები მოაგონდება. მაგ-

რამ ის მაინც ისტორიული რომანებია, მიწის ზევითა და მზის ქვეშ მომხდარი-
ყო, სხვებს გადახედნოდათ, ხოლო ეს არც მზის ქვეშ იყო, არც მიწის პირზე,
არც რომანი იყო, არც თუ სხვანი იყვნენ, შორეულნი, გმირთა სახელი რომ და-
ეგდოთ და მიცვლილიყვნენ. მიცვლებულთა ფათერაკი არცთუ ძნელი ასატა-
ნია. მაინც აღარ არიან, უარესი რა დაემართებათ. ესენი არიან და უარესს
უახლოვდებიან, ერთი ვერ ამდგარა, მეორეს ვერ აუყენებია. სანათით აწუქებს,
ეგება საითმე ხერელი იყოს, ეგება მიმალვა შეიძლებოდეს. მაგრამ ვაგლახ,
სწორეთ იქ გამქრალა გადასამალი თუ საძრომი. როცანი კედლები შეკრულა,
წამოწვეტებულა ქვები, ვერც მიეყუდები, ვერც წაიფორხილეს, თორემ მიეხ-
ლები და სისხლი წამოგვივ. და როცა მეორემ წაქცეული წამოიკიდა. წაუფორ-
ხილებლად ველარ იარა. ალბათ ძალიან დაიბეჯნენ, ან მეორემაც იტკინა ფეხი,
ჩასხდნენ, დაელოდნენ... ბედს ხომ არ შეურიგდნენ?! ბედს შერიგება დალუპვა
იქნებოდა. სად ჯანდაბაში დაკარგულიყვნენ სპელეოლოგები, შაქროს მაინც რა-
ლა დამართნოდა, — ახლა თუ მიუსწრებდნენ, იმ ვიწრო დერეფანს თუ შეჰკ-
რავდნენ, თორემ გაშლილ ადგილას ვეღარც ისინი გაუმკლავდებოდნენ ციხიდან
გამოჰრილ ლაშქარსა... ბიჭები როცებს ჩაეჭიდნენ. ეწვლებოდნენ, ფრჩხილი-
თა თხრიდნენ, უნდა ამოედროთ, სხვა რა იარაღი ექნებოდათ ან თავდასაცავად,
ან გზის გასაკაფავად. ქვის ხანაში მოხვედრილიყვნენ, ქვის ხანის ადამიანებად
გადაქცეულიყვნენ. სამოსი შემოძარცვოდათ. სანათილა შერჩენოდათ ახალი
კულტურის ნიშნად, იმასაც თუ დაჰკარგავდნენ, მოგონებებილა ექნებოდათ,
ამაო და გამოუსადეგარი მოგონებები. ზევით მანქანები დარჩა, ელექტრონი,
ატომი, შეიძლებოდა თვალის დახამხამებაში მტვრალა ქცეულიყო ის მღვიმე,
მაგრამ ვითომ რად უნდა ქცეულიყო მტვრალა, მტვერი განა ისედაც ბევრი არ
იყო უსაზღვრო სამყაროში? ასე იფიქრებთ, უბრალოდ იფიქრებთ თუ არაფე-
რი გაშინებთ, თუ მხოლოდ მსჯელობთ, ხოლო საფრთხეში თუ მოხვედრილ-
ხართ, ფიქრიც მრისხანეა, სხვასაც გაიმეტებთ, თავსაც გაიმეტებთ... იქ ისევ
ქვებსა ფხოჭნიდნენ, ვერა და ვერ ამოეტებათ.

და უცებ ჩამოსავარდნში ვილაც ჩამოვარდა, სხვაც ჩაჰყვა. დერეფნის ბო-
ლოსაც აისვეტნენ. ეკრანიც ისევ აიბურდა. ფრიდონის გარშემო ჩოჩქოლი
ატყდა, ყელში სწვდებოდნენ, თითქოს იმისი ბრალი ყოფილიყოს ყველაფერი.
როგორც იყო ვიხსენით, გარს შემოვერტყით, ვიფარავდით მეტრისმეტად
მღელვარეთაგანა. ეკრანი მაინც ყველაზე მეტადა მღელვარებდა, ან ვინ იცის
აბურდული ეკრანი სწორეთ იმას გადმოსცემდა. თუ როგორ აფორიაქებულიყო
ხალხის სული. ხოლო როცა დაიწმინდა, ეს ის იყო. ხალხს როცა სურდა. შაქ-
როს ხელში აეყვანა ერთი ბიჭი, მეორე სხვას აეყვანა, ხუთივენი იქ იყვნენ,
ეპოვნათ, მოჰყავდათ... ლაშქარს რომ ელოდნენ? ეპეი, ავი ფიქრი რალა დროი-
საა, ან ფიქრის თავი ვილასა ჰქონდა? — ჰკიოდნენ, ჰკივინებდნენ. კისკისებდნენ,
ცეკვავდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ. მალაყს გადადიოდნენ. იყო სიგიჟე სიხა-
რულისა; არა, ფიქრისათვის არავის ეცალა. დალაგებული სიტყვა-პასუხიც
არავის შეეძლო, ოღონდ ინსტიქტი მაინც თავისას სჩადიოდა. აზრის მადლს
აღებდა იმ რჩევასა. მიმოქანებასა. მიმორბენასა, — საიდანღაც ძროხა მოათ-
რიეს. ცხვრები მორეკეს. დასცეს, ააბლაგლეს. აჰკიდეს ხეებზე, ჩამოატყავეს,
ჩამოჰქნეს მარჯვედა. სწრაფადა. სიცილში. კიყინში. ცმუკვაში. ხუნტროცში.
კოცონებიც ასევე აინთო. ავარდა ალი. ბნელმა აიწია. ლანდები დაგრძელდა,
გაიწელა და, ლანდი რომ ქანაობდა. გეგონებოდათ, ეს არის წელში გადაწყდებო.
ოღონდ მანამდის ერთიმეორეს შეეწნებოდა. წავილოდა. ჩაქარწყლებოდა. მერე
სხვა ლანდნი წამოეწეოდნენ, უფრო არწეულნი, უფრო დარხეულნი, ალი რაც

უფრო აქანდებოდა. ეს აქაური ლანდები იყო და არავის აშინებდა, იქაური შიშიც გამქრალიყო, მხოლოდ ლოდინის ღელვა თულა შერჩენოდათ. ან ლოდინიც აღარ დაერქმეოდა, აჩქარებად ითქმოდა, — ვიდრე ამოვლენ ყველაფერი მოვასწროთ. მოასწრებდნენ. ბევრი ხელის ჭირიმეო, ნათქვამი გახლავთ, ბევრი ხელი ტრიალებდა, მწვადები აიგო, ყაურმა ჩაიდგა, ხაშლამაც ჩაიდგა. პურიც მოზიდეს, კასრებიც მოაგორეს, მაშ რა გგონიათ. განა ტყუილად ქანაობდა ლანდები?! დაგუბებულმა ძალამ იფეთქა, სადაც არ შეეძლოთ, იქ რა ელონათ. სადაც შეეძლოთ, ღონეს ალევდნენ, და ქანაობდა ლანდები... ეკრანთან ცოტანილა დარჩნენ, დარჩნენ ისეთნი, მეტი თავშეკავება რომ იცოდნენ. ან ძალიან გვიან რომ აფეთქდებოდნენ. ამიტომაც იყო, მხოლოდ ტუჩი ჩაიკენიტეს, კიდევ რომ გამოჩნდა მღვიმის არსება, — განრისხებულყო, დაძაბულყო, გზა გადაეჭრა, დამნებდითო, ბრძანებდა, ისე ბრძანებდა, იფიქრებდით, ზურგს უკან მძიმედ შეჭურვილი ლაშქარი მოსდგომიო. მაგრამ მაშინვე დაქანდა მრისხანე სახე, სვეტებიც გაქანდა. კანჭები აისვეტა, მძიმე ნაბიჯებმა გადაიარა, — შაქრო მოუძლოდა, მოსდევდნენ უვნებელნი, ბეწვშეურხეველნი... მერე აღარაფერი დაინახებოდა, ბურთები თუ ჩაილია, ეკრანი ჩაჰქრა, ამოდლა შიშინებდა, ტაკუნებდა, წიოდა აპარატები.

ბოლოს სულ ჩააქრეს.

ფრიდონმა ბრძანა, აპარატები აალაგეთო.

ბრძანა და ალაგებდნენ, აწყობდნენ მანქანაში.

— მე ხომ ვთქვი!.. — გაწყრა ფილიმონი, — წასვლას აპირებთ?!

— მაშ რაო, სახლიკაცებად ხომ არ შეგეყრებით, — გაიცინა ფრიდონმა, — საჭირონი აღარა ვართ...

— ახლა სალხინონი ხართ... უნდა ვილხინოთ...

— ილხინეთ... ჩვენც თქვენთანა ვართ სულითა, გულითა... წაუსვლელობაც არ შეგვიძლიან, მივლინება ერთი დღისა გვაქვს...

— მივლინება რას მიქვია?!

— მოგეხსენებათ...

— არ გაგვაგონოთ...

— სამსახური...

— არავითარი, ახლა ლხინის გარდა აღარაფერი არსებობს. ჩვენ სოფელი გვრქმევია და სოფელი გვერქმევა, — შესძახეს და შემოეხვივნენ, — ვერსაით წაგვიხვალთ!..

— მე ხომ ვთქვი!.. — შეჰკიჟინა ფილიმონმა, — არა ვთქვი თუ რა!!!

თქვა და რას ერჩით!..

თუმცა იმისთვის აღარც მიუხედნიათ. ფრიდონი დაითრიეს თავის თანამშრომლებიანადა. კასრებთან მიიყვანეს. აქედანვე უნდა დავიწყოთო, უნდა დავილოცოთ ჩვენი გამარჯვებისაო. კეთილი. რა მეტი ჯანია, მოვიცდით. სუფრა რომ გაიშლება, მერე დავილოცოთო. მაშინ სხვა იქნება, თავიდათავი იქნება, ახლა შესამზადებლისა იყოსო. ისინი მაინც ამოვიდნენ. თორემ რას ემგვანება, ჩვენა ვსვამდეთ. ისინი გასაჭირში გვეგულუბოდესო. ამოვლენო... და ჭიკებს აჩრიდნენ. ეხვეოდნენ. კასრებთან უკვე შემთვრალიყვნენ. საღვინეებს ავსებდნენ. თვითონაც ივსებოდნენ. გამვლულ-გამომვლელსაც არ უშვებდნენ დაულოცავადა, ფრიდონს ვილა გაუშვებდა, — შენა ხარ. რაცა ხარო. ადიდებდნენ და ღვინოს აძალებდნენ. იქით კიდევ სხვა ილოცებოდა, იქით საქმობდნენ. იქით დაობდნენ, — მე თავიდანვე მივხვდი, არა, მე უფრო მივხვდიო; იქით მღეროდ-

ნენ, იქით სხვა იყო, იქით კიდევ სხვა რამ სათავესო გამოეჩინათ, მღვიმე თითქმის დავიწყებოდათ, მაგრამ ბოლოს ისევ მღვიმემ იჩინა თავი, ერთი სპელეოლოგი ამოჩნდა და იყვირა, დიდი ნათურები ჩააქრეთ, ცეცხლი მიაწვლეთ, თვალი მოგვეჭრებაო.

ვისაო, დაიძახეს.

— მღვიმის ადამიანსა... — განმარტა ვიქტორმა.

— მღვიმისა კი არა თოვლის ადამიანსა... -- გაწყრა სპელეოლოგი, — ჩააქრეთ!...

— თოვლისა?! — გაოცდა ბოტანიკის მაწაველებელი.

— რკინისა...

— რკინისა?! —

— თიხისა...

— თიხისა?! —

— ჩააქრეთ-მეთქი!..

და რომ ჩააქრეს, ისევ ჩაძვრა. მაშინ ისევ მღვიმეს მიეხვივნენ, მაგრამ მაინც ყველანი როდი, — კასრებთან ისევ ილოცებოდნენ...

საცხე მთვარე იდგა. იღუმალა დამორცხვებულიყო, გაეძარცვათ, გაეშიშვლებინათ. ვინ იცის კიდევ სხვა რამეც დაემალა, ის სხვა, გიორგი ბრწყინვალეს გუჯარში რომ ეწერა, — იღუმალა იღუმალებითაო. მაგრამ ეგება მეტი არც არაფერი ყოფილა, რაც იყო იხილეს: უძველეს მხატვართა სალონი და „სამეფო დარბაზი“ მეფით და ჯარითა, ყვავილნარითა... აქ ასე შეშინდნენ, გაოცდნენ. თვლები ამღვრეოდათ და ცხადია ეგრერიგად ვერ გაარჩევდნენ, ეგრე იოლადაც ვერ მიხვდებოდნენ, რომ იქ არაფერი იქნებოდა ისტორიული რომანების მსგავსი, მხოლოდ თაბაშირის ძარღვებში ებრუნა დროის საჭრეთელსა, ეშრომა იღუმალ მარჯვენას, ბუნების მარჯვენას და გამოეკვეთა ულამაზესი ყვავილები, უმშვენიერესი ორნამენტები, კაცთა მინამგვანი ქანდაკებანი. სხვა დანარჩენი, — ეს მღვეთარიო, ის აბჯრის ჟღერაილიო, შიშის მოლანდება გახლდათ... ჰოდა, იღუმალა გაძარცვულიყო, დამორცხვებულიყო. თუმცა იღუმალა ვიღას ახსოვდა?! მღვიმის ხერელსა მისციებოდა თვალი გახარებული, აღტაცებული...

მთვარეს ღრუბელი გადაეფარა, იღუმალა ჩაჰქრა, ჩაიძირა. ბიჭებმა მაშინ ამოჰყვეს თავი...

მერე რა მოხდა ნულარ იკითხავთ, ამის გადმოცემა არც ისე ადვილია, და ხატვა კი არა, მოყოლაც არ არის ადვილი, არც საჭიროა, ამას მხოლოდ წარმოდგენა და განცდა უნდა და, როცა განიცდი, არაფერი უნდა გიშლიდეს ხელსა. ოღონდ წარმოსახვისას ნუ გამოგრჩებათ, რომ დედებმა მაშინლა გაიგეს, თუ რა გადახდენოდათ მათს შვილებსა. უფრო ადვილი ასატანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც ძნელი გამოდგა, ძალიან ძნელი. აბა იფიქრეთ, როგორ განიცდიდნენ?...

ბოლოს მშობლებიც მიწყნარდნენ, ხალხი ღრეობაში შეება. მაყვალა და ბიჭები თითქოს განმარტოვდნენ. გოგონას უნდოდა რალაც ეთქვა, არც იცოდა, რა ეთქვა, არც გაჩუმება შეეძლო, — ბიჭები სდუმდნენ დიდბუნოვანი გმირებითა, — ჰო, არც გაჩუმება შეეძლო და ეს იკითხა:

— არ შეგეშინდათ?!

— რისაი?! — იწყინა თენგიზმა.

— რისაი და...

— საშიში რა იყო?! — არ აცდიდა ზურაბი, არ აცდიდა საოცარი გაკვირვებითა, თითქოს ორმეტრიან ორმოში ჩაცვენილან და იქიდან ამოსულანო.

— როგორ თუ არ იყო?!
 — გოგოებს ყველაფრისა ეშინიანთ...
 — გოგო გოგოა და იმიტომა...
 — თუ არ მოგეშველებოდნენ, ვნახავდი, რა ბიჭებიც იქნებოდით...
 — ნუ მოგვეშველებოდნენ... იქით გავდიოდით, იღუმალას მღვიმეები-
 საკენა...

— იმ ფრიალოზე როგორღა ჩამოაღწევდით?!

— ეგ ჩვენ ვიცოდით...

— ახლა ტრაბახი ადვილია...

— ჩვენა და ტრაბახი?!

— ჩვენა?!

— მაშ ვინა?!

— კიდევაც ჩავალთ?..

— ო, არა!!!

და მაყვალა მღვიმეს გადაეფარა, ამთგან არაფერია გასაკვირიო...

არც გაუკვირდებოდათ...

ისედაც თამამი ბიჭები იყვნენ, მთლად გათამამდნენ. ხელახლა გადაიკითხეს ჰერბერტ უელსი და ჟიულ ვერნი, ასტრონომიის უახლესი მიღწევანი, კოსმონავტიკის პრობლემები, სპელეოლოგთა ნაშრომები თუ მოგონებანი. მთვარეზე გაფრენა დიდ რამედ აღარ მიიჩნიეს; პლანეტებს შეჰბედეს, მარსი ამოიჩემეს; გეგმა დასთქვეს, ვიდრე მარსელები ომს გააჩაღებდნენ, ჩასულიყვნენ და დაეშოშმინებინათ იქაური ომის მდომელები, აეხსნათ, გაეგებინებინათ, რომ დაუსჯელად ვეღარ გადარჩებოდნენ, ვერსაით წაუვიდოდნენ ხალხის რისხვასა და უჯობდათ, გონს მოსულიყვნენ, ვიდრე დრო იყო. ჰო, ამასა ფიქრობდნენ და მაინც იღუმალას საძრომს დასტრიალებდნენ, ისევ იღუმალა იწვევდა, ეწეოდა, იქ რაღაც ეგულებოდათ, ალლო მიეტანათ, ალლოც მიეტანათ და ქართლის ცხოვრებასაცა ჰქექავდნენ გულმოდგინეთა, ჰქექავდნენ სიგელ-გუჯრებსა, მაგრამ გიორგი ბრწყინვალესა და ვახუშტიზე უფრო სადასტუროსათვის მაინც ვერ მიეგნოთ. იღუმალაძეებს ხომ არაფერი ახსოვდათ...

ამაზე ფიქრობენ და ამაყად შედიან გაკვეთილებზე. გეოგრაფიის მასწავლებელი სიხარულით ეგებება, ისტორიისა მოწიწებითა, სხვანი — მოწონებითა და აღტაცებითა, დავალებას, რა თქმა უნდა, არავინა სთხოვს და ხუთზე ნაკლებ ნიშანსაც ვერავინ შეჰკადრებთ. დირექტორს რაღაც არ მოსწონს, არ მოსწონს და ბუზღუნებს: „თავს წავლენ, მე ხომ ვთქვი, თავს წავლენ, არტახები თუ არ ამოვუჭირეთ!..“

ჰო, მომიტევეთ, მაგრამ უნდა გამოგეთხოვოთ!.. ვინ იცის აქამდისაც მოგაბეზრეთ თავი? ჰა, მოგაბეზრეთ? თუ ასეა, მე ნურას დამაბრალებთ, სდუმდით და მეგონა, დიდი გულისყურით მისმენენ-მეთქი, გვიანდა მივხვდი, თქვენის მხრით ეს მხოლოდ თავაზიანობა ყოფილა; ჰო, გვიანდა მივხვდი, თუმცა არც ისე დავგვიანებული ვახლავთ, ჯერ კიდევ ბევრი რამ დარჩა სათქმელი... განა არა?! ძალიან ბევრი!.. დაე იყოს, თქვენს თავაზიანობას ვეღარ შევაწუხებ! ოღონდ თუ ვცდები, თუ სურვილი გაქვთ, კვლავ მომისმინოთ, ნუ მომერიდებით, მიბრძანეთ და გავაგრძელებ...

გაგრძელება

სხუჲ, კაჲ!

1

ეს ვინ ჩამოჰკრა ძლიერი ხელი
ჩემი სურვილის ხმამალ ზარებს,
სურვილით მითრთის ტუჩები სველი,
მოუთმენლობა მეძახის: „მალე!“

სურვილი მქანცავს, ვით ღამისთევა,
სურვილი მებრძვის და კვლავ
მაფხიზლებს

და ჩემი ლტოლვა ისე იზრდება,
როგორც წრეები წყლის ზედაპირზე.

მე ვიყავ ბავშვი და გვიან ვიგრძენ,
რომ ძნელი იყო, მე რა ვიცოდი...
ღროა!.. მეძახის უსაზღვრო სივრცე,
ვინ დამიწესა ეს ჰორიზონტი!..

ვიყოფი, როგორც მდინარის დელტა,
ხან უნაზესი და ხან უხეში,
და კიდევ უფრო მშვენიერს ველტვი,
სიმშვენიერის ამ სიუხვეში...

მე ვიღიმები ცისკრის ღიმილზე
და მაშინ, როცა მოდის სიბნელე,
მე მეშინია მხოლოდ იმისი,
ვინც ჩუმად არის და მეჯიბრება...

მე მაქვს ჯერ ძლიერ უცნობი სახე
და ჩემნაირი ბევრი ირევა,
მე არაფერი არა ვარ ახლა,
მხოლოდ და მხოლოდ ვარ დაპირება!..

ჩემთვის ძვირფას და ფართოდ გახედილ
თვალის გუგებში ნელა ვიზრდები
და მთიბველების მოსვლას ელიან
ჩემი სურვილის გრცელი მინდვრები...

ისინი მოვლენ და სულერთია
ვისთვის თენდება: ჩემთვის თუ
სხვისთვის,

ის დღე, რომელსაც ჩემი ერქმევა,
სადღაც კალენდრის ფურცელზე
მიცდის...

ხელის თითებზე ვითვლი თარიღებს
და ვიცი, იგი სადღაც ახლოა,
მე დავიძახებ: „სეზამ, გაიღე!..“
და დაიპნევა, რაც ბაჯადლოა!..

2.

მე უნდა ვნახო ჩუმი ლანდები,
რომლებიც წუხელ ფანჯრებთან იდგნენ,
მე უნდა ვნახო, როგორ ლამდება
და წყალი როგორ მძიმდება ხილქვეშ...

მე უნდა ვიგრძნო ახლა თავიდან,
როგორ აწვება მდინარეს ხიდი,
მე ახლა გზაზე უნდა გავიდე,
რომელიც სადღაც უჩემოდ მიდის...

ის მიდიოდა დღემდე უჩემოდ
და მხოლოდ ახლა მეძახის: „მალე!..“
დაფეთებული სველი ქუჩები
აწყდება სველი მანქანის ფარებს.

ჩემი დუმილი კვდება ამაღამ,
იგი გაგრძელდა ძალიან დიდხანს,
მისი სახელი რეკავს ხმამაღლა,
როგორც წყვდიაღში დაძრული სიტყვა.

ის ახლა საწოლს უჩემოდ ათბობს,
სხეულის ლტოლვა უჩემოდ უკვირს,
უჩემოდ სუნთქავს ძალიან ახლოს
და ეფარება ვილაციის ზურგი...

ის მიდიოდა დიდხანს უჩემოდ
და მხოლოდ ახლა მეძახის: „მალე!..“
დაფეთებული სველი ქუჩები
აწყდება სველი მანქანის ფარებს.

ქალაქი თითქოს ძილში ჩურჩულებს,
ძილში შესცქერის ფერად კინოებს,
და სადღაც ლექსებს სძინავთ უჩემოდ,
როგორც დამტვერილ ვიოლინოებს...

3

სულ ვილაც უკრავს, სულ მუდამ
უკრავს...

ეს პასაჟები და ეს გამეები
მესმის და მესმის და მომდევნ უკან
და სიბნელეში მიმსვრევს ღამეებს.

სულ ვიღაც უკრავს, სულ მუდამ
 უკრავს,
 იცინის სახით და კლავიშებით,
 ხან მევედრება და მომდევს უკან
 და თითქოს უხმოდ ყვირის: „მიშველე!“

სულ ვიღაც უკრავს, სულ მუდამ უკრავს,
 ძალიან შორს და ძალიან ახლოს,
 სულ ვიღაც უკრავს, როცა შენ სუნთქავ,
 როცა შენ სუნთქავ ძალიან ახლოს...

სულ ვიღაც უკრავს — სხვა და იგივე,
 და ისე ნაზად, როგორც ორლანი,
 ხან მოვარდება, როგორც გრიგალი
 და თითქოს ბნელში უკან მომბლავის.

თითქოს დამეძებს, თითქოს მაბრახებს;
 ხან თითქოს სულში შედის შიშვით,
 ხან მიხარია, როგორც საფლავზე
 შემფოთებული ჩიტის ჟიჟივი...

სულ ვიღაც უკრავს... იგი მაშინაც
 უკრავდა, როცა ვიყავი სუსტი,
 ის ახლაც უკრავს, როცა ბავშვით
 შემოქმედების სიხარულს ვუცდი.

ეს პასაჟები და ეს გამები
 მესმის და მესმის და მომდევს უკან
 და სიბნელეში მიმსხგრევს ღამეებს..
 სულ ვიღაც უკრავს, სულ მუდამ
 უკრავს...

4

მე მაშინ ვიყავ ზედმეტად მშვიდი
 და მე ველოდი, მჯეროდა, მსურდა,
 ცნობისმოყვარე თვალებით ვიდექ
 ჯერ უხილავი სამყაროს ზღურბლთან.

მე ადრე მქონდა ამაყი მზერა
 და არ ვიცოდი, რა იყო ეჭვი,
 ის სულის ფსკერზე დაეცა მერე,
 როგორც უეცრად ნასროლი კენჭი.

ათათასი ლექსის მუდარა
 მტანჯავდა ღამის სუსხიან ბინდში,
 მე მეშინოდა და მე მზლუდავდა
 დაუწერელი თაბახის შიში...

ვიღაც უკრავდა და ბაირაღებს
 აფრიალებდა კეთილი გრიგი,
 და თენდებოდა, მე დავინახე
 განათებული ხეების რიგი...

მე დავინახე ცის ბრწყინვალეობა
და დაცემული სხივი ირიბი,
ველზე ჰყვავდა დედის თვალები —
უზარმაზარი მზესუმზირები...

და განმეორდა ჩემი ბავშვობა,
როგორც ფოთლებზე წვიმის ხმაური,
დიდი სინათლე დადგა გარშემო,
ჩემთვის გათენდა დღე უცნაური!..

მე ვიქეც ბავშვად, რომელიც სადღაც
ძველი თოჯინის პოვნას ახერხებს,
მუცელს უფატრავს, მაგრამ იქიდან
სიცილით ცვივა მხოლოდ ნახერხი...

5

თოვლია დედის თეთრი თითები
და მოაქვს ბევრი ტკბილი ოცნება,
მოდის თოვლი და ნელა იზრდება
ჩვენი ფიქრების თეთრი ბორცვები...

რა დიდი ხანი გასულა მათთვის,
იმათ გარჩევას თოვლი ართულებს,
ჩვენი ბავშვობის ქალაქებს ათოვს,
ათოვს ეზოებს, ათოვს სართულებს...

ათოვს და თოვლის. აწვება სისქე,
არც სუნთქვა ისმის, არც ლაპარაკი...
ის არის თეთრი და ღია ცის ქვეშ
მიტოვებული ჩემი ქალაქი..

ათოვს შენობებს, ჩარჩოებს, აბრებს...
რა ცოტა დარჩა მიბაძვის ღირსი,
ისინი ისე ცვივიან დაბლა,
როგორც მუყაოს კაცები ტირში...

და ბავშვს, რომელიც დიდი ხნის წინათ
მე თვითონ ვიყავ, მინდა ვუყვირო,
რომ იგი ცდებოდა ძალიან ხშირად
და არის იგი მთლად გულუბრყვილო...

რაც მაოცებდა და რაც მაოცებს,
ასე ადვილად ვერ გამოაცხადებს,
თოვლი ვერასდროს ვერ ამოავსებს
ფიქრით დადარულ შუბლის ნაოჭებს.

მე ვუხეშდები, სიყრმევ მიხსენი,
იხსენი ჩემი სათუთი ვნება,
ბავშვის სიცილი თოვლზე იმსხვრევა
და მერე თოვლის შრიალში ქრება...

რა დიდი ხანი გასულა მათთვის,
რა ნელა დგება ზამთრის დამლევით,
ჩვენი ბავშვობის ქალაქებს ათოვს,
ხეზე სხდებიან თეთრი მამლები!..

6

სადგურის ეზო, დამშრალი რიყე,
ცხენების ოფლი, თივა, ნაკელი...
ეს ყველაფერი ოდესღაც იყო,
თქვენ არაფერი არ დამაკელით...

დამკნარი სახე, ბებრული სიტყვა,
ჩუმი ალერსი და აბლაბუდა...
ეს ყველაფერი ოდესღაც იყო,
მაგრამ დღეს თითქოს ისევ დაბრუნდა!..

თითქოს დაბრუნდა და კვლავ
მაფხიზლებს,
რაც მაფიქრებდა, რასაც ვუმზერდი,
მეხსიერების გლუვ ზედაპირზე
თქვენ ამოდიხართ, ვით მედღეობით...

მე კარგად მახსოვს, მე დავინახე
თუ ქარმა უცებ როგორ დაღრიცა
თქვენი თვალების სუსტი სინათლე,
ხეები, ჭამი და წელთაღრიცხვა...

ის არასოდეს დამავიწყდება,
მე უძლური ვარ, ვერ მოვერევი
და ვერ დავარღვევ დიად სიწყნარეს
ჩემი ბავშვური რევოლვერებით...

თქვენ ჩემთვის ცოცხლობთ,
მე გინახავდით
და სიმღერები სულს აღვიძებდნენ,
თქვენ ხართ ქვეყნიდან, სადაც აქამდე
კვლავ საამაყოდ რჩება სიძველე...

თქვენ ჩემთვის ცოცხლობთ და მე არ
გეძებთ
მანძილდაკარგულ სიბნელის მიღმა,
თქვენს დაბერებულ და გამხდარ
მხრებზე
გადაიფრინა დამურას ჩრდილმა...

მაგრამ თქვენ დარჩით მაინც მზიანი
და დავიწყების წყვილადს შუაგულით
და ისე ცოცხლობთ, ისე შრილებით,
როგორც ფანჯრებთან დიდი ხეები!..

7

ის მე არა ვარ, ის ჯერ ბავშვია,
გარბის, ეცემა, დგება და გარბის,
მას არაფერი ჯერ არ აშინებს,
ყველაფერს სწვდება თვალები ზარბი...

ის თითქოს იცდის, მაგრამ ვერც იცდის,
ოთხედელშუა ველარ ეტევა,
ის ჯერ ბავშვია, ცხოვრება მისთვის
არის სიზმარი განუწყვეტელი....

მისთვის ჯერ კიდევ არის წვალება,
როცა მზე ღვივის სახურავებზე,
რომ შემოდგომის დღის ბრწყინვალეობას
წვრილმან გრძნობებზე ახურდავებენ...

მას უხმობს ნივთი აურაცხელი,
სამყაროს თავის თვალებით ზომავს,
გზებზე ჰყვავიან თეთრი ცაცხვები
და ღამით მოდის ბიძია თომა...

იმ სიხარულით იძინებს იგი,
როცა მიმწუხრის შუქი ილევა,
რომ გათენდება და მზე ამოვა,
დაუბრუნდება ხეებს ჩრდილები...

ის ქვეყნად ცოცხლობს მხოლოდ
ლექსებით
და მან არ იცის, რომ ბავშვად თვლიან,
რომ ის მათ ვერსად ვერ გაეჭევა,
შეურიგდება აღრე თუ გვიან...

8

როგორ წაიღოს ან სად წაიღოს
შეყვითლებული ბალახის სევდა,
სხვა იყო წინათ — იგი ბრმა იყო,
რალაც უსუსურ სტრიქონებს სწერდა...

წინათ სხვა იყო, ახლა რა უყოს,
როცა თალებში გუგუნებს ბრამსი,
როგორ წაიღოს ან სად წაიღოს
თვალები — დიდი სინათლით სავსე...

ახლა სხვა არი, სხვა ტვირთი აწევს
და ეშინია ოდნავ განძრევა,
რომ არ დაეჭვოს უეცრად თვალწინ
მისი ბავშვობის დიდი ტაძრები...

სეზამ, გაიღე!.. ის შენთან მოდის,
პირდაპირ უთხარ თუა უძღური,

ან დაუწიე პატარა ტოტი
ნაყოფით საესე და დახუნძლული...

აუხსენ ქვეყნის რთული აღგებრა
და გამარჯვების მიეც ნუგეში,
რომ გაარჩიოს, რაც იკარგება
გაურკვეველი ხმების გუგუნში...

სეზამ, გაიღე კლდეთა ხარხარით,
იგი მგზავრია შენთან მოსული,
გაუღე შენი დიდი სამყარო
მისთვის უცნობი და ჯადოსნური...

მის ყურებს ისე აწყდება ბგერა,
როგორც ზღვის ტალღა —
გამოქვაბულებს,
მას თითქოს სჯერა და არცა სჯერა
და ეჭვი ზოგჯერ უკან აბრუნებს...

შენა ხარ ახლა მისი კეთილი
იმედის კონცხი და კლონდიკი,
ის მუხლმოყრილი დგას შენს წინაშე
და გევედრება: „სეზამ, გაიღე!..“



„აქაჲ ქათი ჟამი წყნაჲ“

წერილი I

რა უცნაური სანახავია
ჩემი ფანჯრიდან მარტის ავდარი,
ცა ხან ძველია, ხან ახალია,
სხვადასხვა კაბით დარბის ზამთარი
და შენც იცვლები, კარგა ხანია
ხარ ათასერთი ღამის ზღაპარი.
ხარ ჩემთვის დილა, სანამ ღამეა,
დილით ხარ ბედის შავი ღამპარი.
მაგრამ რომ ვუთხრა, ჩემთვის ვინა ხარ,
როგორ წერილებს გწერ ცისკარამდის
და ჩემს უჯრაში როგორ ვინახავ —
მეტოქე მკვახედ მეტყვის საკადრისს.
ვაი, რომ ღირსი შენი ალერსის
სულ სხვა გამხდარა, რა გაეწყობა!
ვაი რომ მოთქმა ჩემი არ გესმის,
ჩემი ფეხის ხმა აღარ გეცნობა.
არც ჯანში ჩამჯდარ ციებ-ცხელებას
დალანდავ ნაცნობ სახლთან გავლისას,
მშვენიერებას და ცბიერებას
იერთებ ყველა ღამაჲ ქალისას.
ჩაივლი ცალი წარბის აწევით,
კაბა მარტივით გამოგიცვლია
და წუხანდელი ღამის ნაწერი
წერილიც ველარ გადმომიცია.
შენდამი რიდი, კრძალვა მამუნჯებს;

ღვარცოფი როგორ შეგხვდე
ნაკადულს?!.
ვგრძნობ, საუკუნოდ ვკარგავ საუნჯეს —
დაუდევრობით ერთხელ დაკარგულს.
წარმოუდგენელს ვგრძნობ
მძულვარებას,
ეგებ ეს გრძნობა არის ტყუილი!..
ეგებ ღრუბლებში მძინარ მთვარესაც
სიზმრად ჩაესმის ძაღლის ყმუილი!
მითხარ, ვირწმუნო ამაოების?
არ ვიცი ჩემს თავს რა სასჯელია!
იმ ბედნიერი საღამოების
წვეთი ტკივილიც არ დაგრჩენია?
ჩემთან შემოდგი ფეხი ცოტა ხნით,
ხსოვნად წაიღე მარტო წერილი,
გამხიარულდეს ბნელი ოთახი
უშენოდ ცივი და მოწყენილი.
ნახე, როგორი სანახავია
ჩემი სახლიდან მარტის ავდარი,
ცა ხან ძველია, ხან ახალია,
სხვადასხვა კაბით დარბის ზამთარი
და შენც იცვლები, კარგა ხანია
ხარ ათასერთი ღამის ზღაპარი.
ხარ ჩემთვის დილა, სანამ ღამეა,
დილით ხარ ბედის შავი ღამპარი.

წერილი II

სეტყვის, ფიფქების,
წვიმის წვეთების ცვენას ვამსგავსე
ცვენა საკუთარ თმების, კბილების
ძველი რითმების,

როგორც გასასყიდ მონას ბაზარზე
ნსმენია ქებაც და გაკილვებიც.
ჩამოღრუბლული
სექტემბრის ფერი დამკრავს სახეზე,

ფილტვები შავად მაქვს გაბოლილი.

გამიღე გული
და მაგ თმის ბეწვზე, როგორც ჯამბაზი
ცეკვით გავივლი და გამოვივლი.

წლები მიდიან
ბერიკატული თრევით, ჩანჩაღით,
სანთლის ღვინთივით წერილს ვაღწევი,
შენით მინთია

ხულში ნუგეშის ძველი შანდალი
და მწამს ოდესმე ჩემი გახდები.

თუმცა ფიფქების,
წვიმის წვეთების ცვენას ვამსგავსე
ცვენა ფოთლების, ჭიშკრების, კბილების,
ძველი რითმების,

როგორც გასასყიდ მონას ბაზარზე
მსმენია ქებას და გაკილვებიც.

მაინც სისხლში მაქვს
დროის ყოველი მცირე ნაკვეთი —
შხამის წვეთივით არ გამიშვია,
არ გამიშვია

გაუწურავად წუთი არც ერთი,
უქმად სიზმარიც არ გამიშვია.

ლამის გავთავდი,
ერთ დღელამეში მქონდა ორი დღე,

შორით გულისტქმას როცა გიმზელდი
ასე გადამით

თითო თვე ჩემთვის იყო ორი თვე,
წლები კი — ორჯერ ოცდაჩვიდმეტი.
არ დაივიწყო —

ტუჩების კვნეხით სიმწრის წუთებში
მიგრძენია სისხლის, ცრემლის სიმლაშე,
რა დაგიფიცო,

გული მფეთქავი ბნელ საგულეში
გადამიშლია ერთის წინაშე.

ფუჭადგავილადა,
რომ არ ჩავთვალო ღამის არც ერთი
წამი, რომელმაც მომცა იმედი,
მაშინ ნამდვილადა

დიახ, არც მეტის და არც ნაკლების
ვარ ახლა ორჯერ ოცდაჩვიდმეტის
არ მომილოცავ?

დაბადების დღეს სიმწრის ამარა
ვხვდები და მოდის რვა სექტემბერი.
ჩემო სიცოცხლე,

რა დაგიფიცო, ვიცი არა ვარ
შენს ახალგაზრდა ქმარზე ბებერი,
ვაი, უშენოდ უკვე ჩამდგარა
თმებში ჭაღარა რვა სექტემბერი.

წერილი III

ცა როცა მემღვრევა შავ ზღვასავით
და როცა მეწყება განსაცდელი,
როდესაც შენს გარდა აღარსაით
არასგზით აღარ მაქვს გასაქცევი,
ტკივილი ცოტახნით დამიამე,
შენს ჭერად მიიღე ჩემი ჭერი,
ძარღვებში სისხლივით დამიარე,
თვალებში შუქივით შეიჭერი.
შემივსე საგულე ცარიელი
და ნიშნად ხელახლა დაბადების
სიმხნევე მაღირსე წამიერი,
არა გთხოვ სიწმინდეს სამარემდის.
არა გთხოვ მეუღლის ერთგულებას,
ირწმუნე სათქმელი განდობილი,
მაღირსებ ოცნების შესრულებას?
ცოტათიც დავრჩები მაღლობელი.
ჰო, მაგრამ მართოდენ ბოდვებია
ჩემს შუბლში ძაფებად დაქსაქსული,
სხეულზე ცეცხლივით მომდებია
სიცოცხლის უშენო დასასრული.

და იწვის ბუხარში წუხანდელი
წერილი კუნძივით მობრიალე,
სტრიქონებს ედება ჟრუანთელი:
მარტო ვარ, მომხედე, მომიარე!
ლურჯ კვამლად იერთებს საკვამური
ლიცლიცა ღამეებს, საღამოებს
და როგორც ვეება საღამური
ოთახში აკვნესებს საგალობლებს.
ქარს მიაქვს ნაშთივით მწარე ბოლი
და შენსკენ გადმოაქვს დაქსაქსული,
ვით გულისჯიბიდან ვალიდოლი
გულისკენ აბებად გადასული.
თავზე ცა მემღვრევა შავზღვასავით,
მეწყება უწყალო განსაცდელი,
გამიგე, შენს გარდა აღარსაით
არ მქონდა, არცა მაქვს გასაქცევი.
ტკივილი ცოტა ხნით დამიყუჩე,
შენს ჭერად მიიღე ჩემი ჭერი,
ხომ ხედავ, კუნძივით გავირუჯე,
ჰაერში კვამლივით შევიჭერი.

წერილი IV

არა, არასდროს არ მოგწერ წერილს, —
ვამბობ და ვტყუი საკუთარ თავთან
და, როგორც ჟამი ფოთოლთა ცვენის,
უშენოდ ვუცდი მეთე ზამთარს.
უშენოდ მისდევს წუთები წუთებს,
ზოზინით მოღის აჩრდილი ღამის.
დავდივარ ჩუმად, კაცს ვგავარ უთქმელს,
სისხლი მშიერი ხარივით ზღავის.
დღე-დღე ვიცვლები საბედისწეროდ
თავსგადახდილი ამბების აქეთ
და გული იწევს მკერდიდან ზემოთ,
მალე მხრებსშუა ამოვა სახედ.
ძილგატეხილი თვალების ნაცვლად
მოგიყვებიან ძარღვები მისი,

როგორ გამეჩქა და როგორ გაცვდა
ურიცხვი ღამე და ცხელი სისხლი.
ზაგეთ მაგიერ მთრთოლვარე, წრფელი
გული ტკივილით გაგიღებს სარკველს,
გეტყვის რამდენჯერ ვუთევდი წერილს
და ერთხელ მაინც გამიგებ სათქმელს.
მაგრამ, ვაითუ დაცინვის ღირსად
ჩასთვალო შენგან შეცვლილი სახე,
მაშინ გულისთქმა მექცევა რისხვად,
შენთვის შენახულ წერილებს დაეხვე.
მოგიხსენიებ კრულვით და წყევლით, —
ვამბობ და ვტყუი საკუთარ თავთან
და როგორც ჟამი ფოთოლთა ცვენის
უშენოდ ვუცდი მეთე ზამთარს.

წერილი V

სძინავს მთას და ველს, მერცხალს და
ფუტკარს,
არ გვძინავს მარტო ჩაიდანს და მე,
ვისმენ მხურვალე თუნუქის სუნთქვას,
მისი ძირივით შავია ღამე,
მიმურავს სახეს და სიცხით მთუთქავს.

ყრუ სიჩუმეში უსულო საგანს
ეძლევა სულთქმა და როგორც მუზა
შენი წასვლისას მიყვება ამბავს,
მგონია გულში იდუღებს შავ ზღვას,
შიგ რომ გემივით ჩაფუშვა ღუზა.

მგონია წყალი იქცა მორევად,
სადაც ჩავკარგეთ ბავშვობა ჩვენი,
როგორც პაწია ქაღალდის გემი...
წავიდა, აღარ განმეორდება
შენი თითებით ნახატი ღღენი.

შიშინებს წყალი, ბუტბუტებს წყალი
ჩაიდანის ყბებში გამომწყვდეული
და ვუსმენ დუღილს წყურვილით
მთვრალი.

ჩაუწვდომელი და იდუმალი
ხმების გაღებით გაოცებული.

მზისფერი ჩქერი მესხმოდეს თითქოს
და ფასის მთიდან მოტანილ სიბოხს
მალვრიდეს ტანზე წმინდა მირონად,
თითქოს მასმევდეს გამოცლილ
სიტკბოს,
თითქოს და ორთქლი იქცა რიონად.

ჩაიდანს უტბად, სუნთქვის მაგივრად
თითქოს ამოჰყავა სული ბოროტი,
როგორც ღრუბელი დილას ავდრიანს
და გამახსენა — ვინც მიდარდია,
ვისაც კუბომდე ვუცდი ბოლომდის.

თითქოს ოთახში ყველა საგანი
მადულარივით იქცა სულდგმურად,
და მკითხა: ვინ გყავს მისი სადარი,
ვინც ათასერთი იცის ზღაპარი,
შენი თაყვანით ვინც დათუთქულა,

ვინც გაგახვია ცისფერ ბურანში,
ვინც დაიღალა შენზე ზრუნვაში
და ვის წინაშეც პირი შავი გაქვს,
როგორც ეს ღამე, როგორც უღვაში,
როგორც დამწვარი ძირი ჩაიდანს.

რა ხმა ჩამესმის!.. აღსდგნენ ნივთები
ანაბეჭდები შენი თითების,
შენგან სათუთად, სუფთად მოვლილი.
საკუთარ ბედზე მწარედ ვფიქრდები
თუთუნის წევით გულგაბოლილი.

მოულოდნელი თრთოლვა ამიტანს,
წერილის წერას ვიწყებ თავიდან,
აღარ მწადია ფიქრი სხვა ქალზე...
დავიწყებაში ვისვრი ჩაიდანს
და ჩაის ქიქას ღვინით ავავსებ.

წერილი VI

ღამით გათანგული და გაბრუებული
გამოვალ უქუდო, ფაფარგაჩეჩილი,
ამეკვიატება რაღაც უნებური
ფიქრი და ვიცი რომ არა ვარ შეშლილი.
ვიცი და ვაი თუ ეს აკვიატება
სიცოცხლემოცარულ მხატვართა
ხვედრია,

ვაი თუ მოძველდა, რაც მედიადება
და გზები ხელახლა გადასახედია.
გადასასვლელია წერილი ყოველი,
გადათეთრებული, გამოუგზავნელი.
მომავალ ახალი წელიწადით მომელის
გარდაუვალობის გზა მოუსავლელი.
ამოსადებია გულიდან ხატება,
რომელიც მეგონა ვარამში მიხსნიდა,
ზედმეტი ტკივილი ამოიშანთება,
ამოიწრიტება ბალღამი სისხლიდან.
მაგრამ ჰო, როგორი ცოდვანი ვამხილე,
სად მოვინანიო ან რომელ საყდარში,
თუ ღმერთი არა მწამს და ხატიც დავხიე

და მინდა სხვა ქროლვა, სხვა ლურჯა,
სხვა რაში,
სიცოცხლეს ვენდობი სხვა თეთრონს,
სხვა მერანს,
რომელიც ფიცხია და გასახედნია
და ღამეს მწვერვალზე შეეძახებ
მთვარიანს:

— შეხედე, რა კარგი გადასახედია!
გადასასინჯია ყოველი საათი,
უკუღმა წუთებად გადასათვლელია
და უღელტეხილი — ცხოვრების

აღმართი

თავიდან, ხელახლა გადასასვლელია.
და როგორც ძეწნები ელიან გაზაფხულს,
როდის ჩაიცვამენ შეღებილ

ტანსაცმელს

ასევე დავუცდი სიბერის დასასრულს
და შენთან ხელახლა შეხვედრის
განსაცდელს.



ქალბი, ძაღვი...

წვიმს...

ლაფარო წყლითაა გავსებული. წყალი მინდორზე გადასულა, ოდის ქვეშ შებარულა, ბოკონების ძირში დაგუბებული და ნაგაზის ბინა-სამყოფელი, ბრჭყალებით ამოფხაჭნილი მიწა, უმოწყალოდ წაუშლია, დაფარულა ყანა, აქა-იქ გადარეცხილი, ლაბლაბა მიწა კუნძულებივით მოჩანს. ქარს წაუხრია სიმინდები, გალუმპულ მიწას ვერ შეუკავებია და გვერდზე გადაზნექილან. ზოგი წელშივე გადამტყდარა, ზოგი ისე მობრეცილა, როდისმე თუ გასწორდება — ვედარ წარმოიდგენ.

ფეხსაცმელები წავიძვრე და აივნის სკამლოგინქვეშ მივყარე. შიშველი ფეხებით ჩავედი კბეზე. შარვლის ტოტები ავიკეცე და სამზადისკენ გავწიე. ისლის სახურავიდან წურწურით ღვენთავდა წყალი. ნაგაზს ახლა სამზადის წინ ამოეთხარა მიწა, შიგ ჩაკუნტულიყო და თვლემდა. წავკარი ფეხი, ზეზე წამოვავდე, აქედან დამეკარგე-მეთქი და მიწა ფეხებით მივასწორ-მოვასწორე, მერე დავტკეპნე. არ მიყვარდა ჩვენი ნაგაზი, მაინცდამაინც ვერაფერი ძაღლი იყო, სადილობის დროს სამზადის კარწინ ენაგადმოგდებული აეყუდებოდა ხოლმე. მეტი არაფერი იცოდა.

შავი ღრუბლები მძიმედ აწვა სოფელს. რიყრაყი როდის-როდის გაძალიანდა. საბძლის კარი შევადე. ძროხებს საბელი შეგუხსენი რქებზე და გარეთ გამოვრეკე, მერე ორლობეში გავდენე. მხოლოდ სქვამა დაეტოვე საბძელში. სქვამა მეწველია და მანამ არ გავისტუმრებთ ხოლმე საბალახოდ, სანამ დედის თითები ქოთნის ძირზე მის რძეს არ ააჩხარუნებენ. შუბლზე გადავუსვი ხელი და კარი მივიხურე...

მერე ისევ გამოვბრუნდი და სასიმინდეს ავუარ-ჩავუარე. დაძველებული ტილო გადავაფარე საბუღარს, კრუხს წყალი რომ არ ჩასვლოდა.

ტკაცუნებენ წვეთები. გავქცერი შორეულ სოფლებს. ღრუბლებში თვლემენ მთები და მწვერვალები. როცა მზე ანათებს, მაშინ ზღვაც მოჩანს შორიდან. ახლა კი დანისლულა სივრცე, არც ზღვა ჩანს და არც ლივლივა, ჰაეროვანი შორეთი.

ალაგეს გადავევლე და ყანაში შემოვბრუნდი. ფეხი დამბალ მიწაში ჩამეფლო. ვაშლის ძირში შევდექი და ტოტებს ავხედე. ნაყოფს ჩამოეზნიქა ტოტები... რომ ჩამოიმტვრეს და მთლად დაიბერტყოს, მაშინ რაღა ეშველება ჩემ დას, ცირულის? ზამთარში უვაშლოდ და უჩიროდ დარჩება. ვაშლსა და ჩირს ვინ ჩივის, საქმე აღარ ექნება. მერე, როგორ უყვარს ვაშლები!

როგორ ჩამოღუნულან მაინც ეგ ტოტები! ერთიც რომ ჩამოტყდეს, ისე აქანავდება მთელი ვაშლის ხე, სულერთიანად დაიცლება ნაყოფებისაგან.

მარნის ფარღალალა კედელში გაჩრილი ორკაპა ჭოკი ჩამოვსენი. მერე ვაშლის ტოტებს ისე მაგრად ამოვუმაგრე, ბარემ მომავალ წელსაც არ იყოს ხელმოსაკიდი.

თენდება.

ისევ წვიმს.

ლაფაროს წყლით ფეხებს ვიბან.

ცირული აივანზე გამოდის. ტუჩებს ბუსხავს უსიამოვნოდ. ცირულის საშინლად არ უყვარს წვიმა, იგი „უბრალოდ ველარ იტანს ეგეთ წვიმას“. მას მხოლოდ შხაპუნა წვიმა უყვარს, როცა პირს იბანს მზე... როცა ყაერის სახურავზე უეცრად აგუგუნდება წვიმა, ჩქარა გადაივლის, მერე გაკაშკაშდება და მზე გაბრწყინდება. ცირულის ეზარება წვიმაში სიარული, ოდიდან სამზადში ჩასვლამდე მთლად გაიწუწება, თმა დაუსველდება. ამიტომაც არ უყვარს წვიმა. პატარა რომ იყო, მამა მიეპარებოდა ხოლმე, ხელში აიყვანდა ცირულის. ცირული კი წიოდა და იმუქრებოდა. მამა როხროხებდა, მკლავებზე დაიწვენდა ნახევრადტიტველს და წვიმაში გაიყვანდა. აწვიმდა ცირულის. კიოდა. აწვიმდა მის ხორბლისფერ სახეს, ღია თვალებს, გრძელ წამწამებს. მამა კი იდგა და განზრახ აგვიანებდა სამზადში შესვლას. ყურსაც არ ათხოვებდა ხოლმე ცირულის წიაქს. სველ, მოტიტვლებულ მიწაზე დასვამდა და ხელისგულებს მიუტყაპუნებდა უკან, აჰა, ესეც შენ, შე კინკაო.

ახლა კი დიდი გოგოა ცირული და...

„უბრალოდ ველარ იტანს წვიმას“ და რა ქნას.

მაიკოს უყვარს წვიმა...

მაიკო...

მე მაიკო მახსენდება ახლა და მინდა მასზე ვიფიქრო. ჩამიჩუმიც არ მოისმის მაიკოს სახლიდან. ალბათ ყველას ძინავს. ტკბილად ეძინება მაიკოს ახლა. მაიკოს უყვარს წვიმა, წვიმაში ეტკბილება ძილი და ამიტომაც უყვარს სწორედ წვიმა.

ლაფაროში წყლის ზედაპირზე კამკამა, წმინდა წვეთები ეცემა, იჭაფება და ლილივით ებნევა ზედ. გაცეკერი წყალზე დაცემულ წვეთებს, ყურს ვუგდებ მათ წკაპუნს და ასე მგონია, აქ, სადღაც ახლოს, ძალიან ახლოს მაიკო დგას და მითვალთვალებს, მიცქერის და ჩემთან ერთად ესმის წვეთების წკაპუნი, წყლის ლიკლიკი ლაფაროში. მე ვფიქრობ და ფიქრებში მეათასედ ვიმეორებ ერთიდაიგივე აზრს.

ძინე, მაიკო, ტკბილად ძინე. საღამოზე იქ მოდი, რცხილასთან. გადაიღებს, აბა რა იქნება. მოდი, როგორც ყოველთვის. დავდგეთ, ზოგს შენ იტყვი, ზოგს მე. მერე გავივლით სადმე... მერე, გვიან ღამით ჭიშკართან ჩამოვდგებით... ვიდგებით ეგრე, ჩუმად. მე არაფერს არ ვიტყვი. იღვები შენც და, თუ გინდა, რამე მითხარი... რაც შენ გინდა, ის მითხარი... მე მინდა, ყოველთვის შენ თქვა რამე, თქვა ჩემზე, ჩვენზე. მერე სახლში შეხვალ. ჩვენი ოდის აივანზე დავდგები მე და მანამ არ შევალ სახლში, სანამ ლამპას არ დააქრობ. ამასობაში ბარე ღამის ორიც შესრულდება...

და ეს ასეა მუდამ.

ხან კინოში ვართ წასული. ხან ჭიშკართან ვდგავართ, უმიზეზოდ გაბუტუ-

ლი თვალებით შევცქერით ერთმანეთს. ხან კი ღელესპირს რცხილას ფესვებზე ვზივართ გაჩუმებულნი.

ახლა კი იძინე, ძალიან ბევრი იძინე.

სახლში შევდივარ და...

დედა ხელეზგაშლილი დგას შუა ოთახში და აღარ იცის, რა თქვას. ნერვიულობს და ფერი არ ადევს.

რამ გააბრაზა, რა ეწყინა?

ამ თორნიკეს რა ახვრინებს ამდენს.

— შენი პიჯაკი ვერ წამოისხი... იმ კაცის პიჯაკი რო გაგიწუწავს ამ თავსმაში...

უკვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე. ამ დილით ჩემი დაძველებული და აქა-იქ მოტრეცილი პიჯაკის მაგივრად მამაჩემის პიჯაკი წამომიხურავს თავზე.

მამის პიჯაკი...

ის დიდი ხანია ხელუხლებლად კიდია კარადაში. კიდია ისე... არავის ჩამოუხსნია რახანია. სახელოებში მკლავები არ გაყრილა მისაქეთ, რაც მამა წავიდა იმ დილით...

დღეს კი რა მომივიდა. ალბათ არასოდეს არ მაპატიებს დედა.

დედა სველ პიჯაკს წურავს და ფრთხილად წმენდს. მერე აივანზე გადის.

— ამდენი ძილი გამიგონია? — ვამბობ ჩემთვის. რა ემართება ამ თორნიკეს. ჩემზე ადრე დაიძინა წუხელი და ჩემზე გვიან უნდა გაიღვიძოს. — თორი, ე! შენ გეუბნები! — ვანჯღრევ და ვაღვიძებ.

— აა... — ამოქნარებს თორნიკე.

— აა... — მოქნარებითვე დავცინი მე.

— რად გამაღვიძე, ე!

— ადექი, ბიჭო, სულ უნდა იძინო!

მერე კარებთან მივდივარ, დედას ვუახლოვდები. მინდა ხმა გავიღო, რამე ვუთხრა დედას. ვხედავ მის თვალებს, მოცახცახე ხელებს, ნიკაპთან შენასკვულ მანდილს... მისი თვალების სიღრმეში ცრემლები ჩანს. თვალები ეხუჭება დედას, ლოყაზე ხელებს ისვამს და მერე თვალებზე იფარებს... ჩემი რცხვენია ალბათ, ცრემლებს მალავს. მეორე ოთახში შედის და კარებს იხურავს. მე აქედანაც ვგრძნობ, ჩუმი და უხმო ტირის დედა.

მხოლოდ მოგუდული ტირილით...

გაუმხელელი ტირილით...

თორნიკე მოქნარებით ამბობს რაღაცას, ხუმრობის ხასიათზეა და არ იცის, რითი დაიწყოს. მაგისთვის მცხელა? ერთი გაბედოს, აბა, გახუმრება. გაჩუმდი, თორი. დედა ტირის.

უხალისოდ ვლოღნი მჭადს, რძიან სულგუნს ვატან და მაინც უგემურად ვნაყრდები. შუაცეცხლთან ვზივარ. შარვლის სველ ტოტებს ოხშივარი ასდის. დედა კარდალას წმენდს, ასუფთავებს. ცირული ძაბრში ჩაჩურთული გვიმრის ფოთლებში რძეს წურავს. მერე ცეცხლთან მიდგმულ ჯორკოზე ჯდება.

— შალი გამოიტანე და ფეხებზე აიფარე, გოგო — ამბობს დედა. ეს ცირკლის ეხება. ცირული აგუზგუზებულ ცეცხლთან ზის და წვივებს გაუწითლებს ცეცხლი. გაუწითლებს კი არა, წითელ ლაქებს დაუტოვებს, ასე იცის ცეცხლმა... ხანდახან მუგუზლები ნაკვერცხლებად იშლებიან. ნაკვერცხლებმა

ხტუნვა იციან და შიშველ ფეხებზე რომ დაეცეს ცირულის... ამიტომ თქვა დედამ. დედამ ისე დაილაპარაკა, თითქოს თავისთვის ამბობსო. მაგრამ ცირული ღაინც მიხვდა, ადგა და ოდნე გაიქცა.

თორნიკე ჩქარჩქარა ამთქნარებს. თორნიკეც ცეცხლთან მიმჯდარა, მაგრამ აბა რა მენაღვლება — ქალიშვილი ხომ არაა, წვივებს რომ გაუფრთხილდეს. ამთქნარებს და უკვირს, ეგრე მოწყენილი რომ ვზივარ. მინდა ვუთხრა, ე ბიჭო, ნუ გადაგვყლაპე ამ შენი მთქნარებით-მეთქი, მაგრამ მაგის თავი მაქვს ახლა მე?!

კარდალაში რძე შედედდა. დედამ ნაჭაზე ჩამოკიდა კარდალა და ცოტა მოათბო ცეცხლზე. მერე ხელები დაიბანა და თითები შედედებულ რძეში გაუ-რია. ხელისგულებით მაგრად დაწურა, წაქი სულ გამოდგება და ძრგვლად ამოი-ღო. კარდალა ისევ ნაჭაზე ჩამოკიდა, მერე ნაჭას დაუწია. კარდალაში წაქი მო-დუღდა მალე, აიწია თანდათან და გადმოსვლა დააპირა. ზედაპირზე დაგროვი-ლი ხაჭო მარილის გრძელ ტომსიკაში ჩაწურა დედამ, გამონასკვა, მერე ლურ-სმანზე ჩამოკიდა და ქვეშ ტაშტი დაუდგა. კარდალაში დარჩენილი დო ხბოებს წაუღო და მაშინვე მობრუნდა.

თორნიკემ ჯერ მე შემომხედა, მერე ლურსმანზე ჩამოკიდებულ ტომსიკას შეავლო თვალები და ტუჩები ააცმატუნა. შიოდა თორნიკეს.

ახლა კარდალაში წყალი ჩაასხა დედამ და ისევ ადღულა ცეცხლზე. გუშინ დილით ამოღებული დაცეხვილი, მომწიფული ჭყინტი ყველი გრძლად-გრძლად დაჭრა და ადუღებულ წყალში ჩაყარა. მერე ხელებით მოზილა და სულგუნი ამოიღო. დერგში ჯერ მარილი მოაბნია, სულგუნი ჩადო და კიდევ მოაყარა მარილი.

— შენ ე, ისაუზმე? მეკითხება თორნიკე.

ბასუხი არ გავეცი, ბრაზიანი მზერა მივაპყარი.

— ადექი და ისაუზმე... — ვამბობ მე — ისე, იცოდე... შენი ე არა ვარ მე.

შუადღეზე მზემ ღრუბლები გაფანტა ცაზე და დიდი მზე გაკაშკაშდა. დედამ და ცირულმ საწვიმრები და კალათები აიღეს ხელში და ჩაის საკრეფად წავიდნენ კოლექტივში.

თორნიკემ ყავრის ფურცლები ისესხა მეზობლისაგან. შემოდგომაზე ცხე-ნისწყალი აკაციის მორებს ჩამოიტანს მთიდან. მე და თორნიკე ნაპირზე გამო-ვათრევთ და საყავრედ დავხერხავთ... და მაშინ გადავუხდით მეზობელს.

სახურავზე ავედი. წუხელი სახურავიდან წყალი ჩამოდიოდა. დედამ ტაშტი შეუდგა ჰერიდან წურწურით მღვენთავ წვეთებს და მთელი ღამე არ დაგვიძი-ნებია.

— ჩაქუჩი და ლურსმანი ამოიტა, თორი, — ჩაეძახე თორნიკეს.

ავაძვრეთ დამბალი, გაცრეცილი და კიდებშედრღნილი ყავრები და ახ-ლები დავაქედეთ მათ ადგილას. ალაგ-ალაგ დაძველებული ბასკებიც გამოვ-ცვალეთ.

მერე წყაროდან სუფთა წყალი ვზიდეთ ვედროებით. საწნახელი, კასრები და ქვევრები უნდა დავგვრეცხა. ღელეს ამღვრეული წყალი რას ივარგებდა, თუარა აგერ იყო ა, ყურისძირში. რაიმე ქინკლები რომ დარჩენილიყო საწ-ნახლის პირზე... მამა იტყოდა ხოლმე, კარგი ღვინო თუ გინდა დააყენო, საწ-ნახელი სუფთად უნდა გარეცხო.

ნაქურჩლებიც მოიტანე, თორი.

— ნაქურჩლები რაღად გინდა? — ამბობს თორნიკე.

— საწნახელის გასარეცხად. ახლავე მოიტანე, გესმის?

— კი. სხვენზე როა, ისა?

— ხო, სხვენზე როა, ისა. აბა გაიქეცი.

მერე ფეხებზე დაიხადა თორნიკემ და საწნახლის რეცხვას შეუდგა.

— ძონძებს მოვიტან ახლა მე — დავილაპარაკე.

— ძონძები რაღად გინდა?

— ქვევრები უნდა ამოვრეცხო. ყველაფერზე „რაღად გინდა“ იმაზე შენ

— ჰი, ჰი — გაიკრიჭა თორნიკემ.

— რას იღრიჯები, ბიჭო! — გავბრაზდი მე.

— არა, ისე...

გამეცინა, არაფერი არ ვუბასუხე.

მზე ნელ-ნელა დაეშვა დბლა. მალე ღრუბლებიც აიშალნენ და ჯერ მთა მოქუფრეს, მერე უფრო აქეთ, ბარისაკენ იწყეს ზოზინი და ქვეყანა მონათლულიანეს.

ჯგუფ-ჯგუფად ამოსულ სიმინდებს ვათხელებთ მე და თორნიკე. მიწიდან ძირფესვიანად ამოგვაქვს. თორნიკე პატარა ორმოებს თხრის ოყიანი თოხით. მე ვრგავ, თორნიკე თავებს აწყვეტს.

ყანაში დაგუბულ წყალს გზა მივეცით და პაწია ღელეები საწრეტ არხში გადავაგდეთ.

— თორი, ახლა წახრილი სიმინდები წამოვაყენოთ.

— ძირებიც დავუბეზოთ — ამბობს თორნიკე.

— ხო, ისევ რომ არ მოცელოს ქარმა — ვამატებ მე.

— ო, რა იწვიმა წუხელის! — თქვა თორნიკემ ცოტა ხნის მერე.

— მაშ, კაცო. შენ კი გეძინა და...

— მეძინა არა...

— ხო, მართლა... რა დავაძინებს, ალბათ იმაზე ფიქრობდი.

— ვინ იმაზე, ბიჭო!

— აი... აი ის წითელკაბიანი რო არი...

— ჰი, ჰი — ახარხარდა თორნიკე — განა გოგია ვარ... იმ თეთრკაბიანთან რო დადიხარ ყოველთვის.

— ა! სუ! — თვალები გადავუბრიალე. თორნიკე დადუმდა. მერე რალაცინ თქმა დააპირა, მაგრამ მაინც არ გაიღო ხმა.

ალბათ წასვლა უნდა სადმე, ეტყობა, სული კბილებით უჭირავს.

არა უშავს, შეეჩვიოს.

მზე გორაკზე ზის, სიმინდის ბრელოსავით გაქრნენ ფოთლებზე დამსხდარი წვეთები. მზის ჩასავალთან ცა მოიწმინდა და მოისარკა.

დედა ლაფაროში იელის ფოცხს ასეელებს, მერე სამზადს გვის.

თორნიკე ატმის ტოტზე შემომჯდარა. დანით ფცქვნის ატმებს და გემრდელად შეექცევა.

ციურული სარკესთან დგას და თმას ივარცხნის. ნეტა სად მიდის ციურული? ჩამობნეღდა. შორს ნათურები აკიაფდნენ. სოფლის ცენტრიდან რეპრო-დუქტორის ხმა მოიტანა ნიაგმა.

თორი სადღაც გაიპარა. არც ხალათი კიღია კარადაში, ფეხსაცმელებიც არ დევს საწოლის თავთან. ამ ბოლო ხანებში ჩუმჩუმად დადის სადღაც. იმ ქარო-ხვეტია ბიჭებში არ გაერიოს, სოფლის კლუბთან რო დგანან მუდამდღე. აბა, მაგათში კაცი გაერევა?

დიდხანს ვიდექი ლაფაროში. ფანჯარაში დედის სილუეტი გამოჩნდებოდა ხოლმე წარამარა.

მაიკოს ალაგესკენ გაწვი. ჩამოვდექი იქვე და დაველოდე. ვიდექი, ვიდექი და ვფიქრობდი. ვფიქრობდი დედაზე, ცირულობე, თორიზე... ვფიქრობდი ყველაზე, მინდოდა კიდევ მეფიქრა, ძალიან ბევრი მეფიქრა... ფეხის ხმა მომესმა. მოვიხედე. სიბნელიდან თეთრკაბიანი მაიკო გამოვიდა. ნელი კისკისით მომიახლოვდა.

— გალოდინე? — მომაძახა.

— ჰო...

ახლოს დადგა და შემომცინა.

— წავიდეთ, დავსხდეთ — ვუთხარი.

— რცხილასთან?

— ჰო, იქ.

წავედით, რცხილას ფესვებზე ჩამოვჯექით.

წვიმას აპირებს. უკვე გრგვინავს და ელავს. ძალიან თბილა, ალბათ ახლავე გაწვიმდება.

უკვე წვიმს.

რახანია წვიმს.

მე და მაიკო მივდივართ სოფლის შარაზე. ვდგავართ ტრიალ მინდორზე. ვუტყერით შორეულ მთებს. იქ, ფერდობზე ვილაცას კოცონი დაუნთია.

ფეხზე ვიხდით, ზონარებს ერთმანეთზე ვაბამთ და მხრებზე ვიკიდებთ ფეხსაცმელებს. გზა სველია და შიშველი ტერფებით სიარული ძალიან სასიამოვნოა. ბილიკზე ტბორებს ვთელავთ, შიშველი ფეხებით მივატყაპუნებთ. ვამბობთ ხან რას, ხან კი რას. მაიკოს მოსწონს, მთაზე კოცონი რომ მოჩანს. მეც მომწონს.

გზისპირას ვზივართ მე და მაიკო, ნელა ვსუნთქავთ. მაიკო მხარზე მადებს თავს. მისი გულის ფეთქვას ვუგდებ ყურს. მე ვეხები მის თითებს, ლოყებს, ჩამოშლილ თმებს. ვეხები და ვგრძნობ მაიკოს სხეულის სილბილესა და სინაზეს.

შორს, გზაზე მანქანის ფარი ბრჭყვიალებს. ჩვენ განზე გადავუხვით. არა, სინათლის კი არ გვეშინია, მაგრამ... შორს ისევ ბრჭყვიალებს მანქანის ფარი და ჩვენ მივდივართ სოფლის შარაზე.

ისევ უკან ვბრუნდებით, ისევ ვთელავთ ცვარიან ბალახებსა და ბილიკზე ღვარად მიმავალ ტბორებს. გვაწვიმს, ძალიან ტკბილად გვაწვიმს. ვსველდებით და ვგრძნობთ, რომ რატომღაც ძალიან ტკბილად ვსველდებით.

ჩვენ უკვე ჭიშკართან ვდგავართ, ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვდგავართ. აღარ გვახსენდება, რომ შინ წასვლაა საჭირო.

მაიკო ალაგეს ხარიხაზე ადის, მე თითებზე ვუტყერ ხელებს და აღარ ვუშვებ. მაიკო მოგუდულად კისკისებს, ეშინია არავინ დაგვინახოს.

— ჯერ ნუ წახვალ — ვჩურჩულებ მე.

— გეყოფა, ბავშვო, — კისკისებს მაიკო.

— ცოტა ხანიც და...

— ხო, მართლა... გამახსენდა, იცი? ხვალ მარულაა ქალაქში, ხომ იცოდი? ბრიგადაში ბილეთებიც დაგვირიგეს დღეს... წავიდეთ, ა, გოგი, წავიდეთ?

— რა ვიცი, აბა... — ვთქვი მე.

— რატო რა ვიცი?

— ვნახოთ...

— აბა რა გიშლის ხელს?

— იცი, ვერ წამოვალ, მაიკო.

— რატომ?

— ისე.

— ისე! — ბრაზიანად გაიმეორა მაიკომ, ალაგზე გადახტა და გაუჩინარდა. როცა მისი თეთრი კაბა სიმიდებში მიიმაღა და გაქრა, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ მაიკო გამებუტა.

ქიშკარი მივიხურე და შუკაში შემოვედი. ღობესთან ცირული შევნიშნე. ამ შუალამზე აქ რად დგას? გავხედე და უმალ შემოვბრუნდი. გვერდით ვიღაც ბიჭი ედგა. კარგად ვერ მოვკარი თვალი.

სახლში შევდივარ და უხმოდ ვწევები.

ვწევარ და ხვალინდელ დღეზე ვფიქრობ. ხვალ ვერ წავალ, მარულაზე. მერე რა... მომავალ წელსაც იქნება მარულა. შემოდგომაზე ავანსს ავიღებთ და მაშინ პიჯაკსაც ვიყიდი და ფეხსაცმელებსაც. მაიკოს გაბუტული სახე მდგას თვალწინ. მერე ცირული მახსენდება და მასზე ვფიქრობ. ნეტა რა აქვთ ამდენი სალაპარაკო, არ გაცივდეს, ნოტიო ჰაერმა არ მოსინჯოს. ერთი რომ ცხვირი დააცემინოს, დედა მთელი ღამე თვლებს არ მოხუტავს. ადგება, აგურს გაა-ხურებს, ძონძში შეახვევს და ფეხებთან ჩაუდებს ლოგინში.

გადის დრო. სიჩუმეა. კარი იღება ძალიან ნელა. ცირული შემოდის. ფეხსაცმელები ხელში უჭირავს და თითებზე შემდგარი მიიპარება. ცირული დედის ოთახში შედის.

ისევ სიჩუმეა.

— დედა... — მომესმა ცოტა ხნის მერე ცირულის ჩურჩული — გოგიმ, დედა... ხვალ მარულაზე ვერ წამოვალ, მაიკოს ეუბნებოდა... მაიკო გაებუტა და გაექცა, დედა...

ისევ იღება კარი. ზღურბლზე დედა დგას. მე თვლებს ვხუტავ, ვითომ მძინავს.

— თორი მოვიდა, გოგი? — მესმის დედის ხმა. ვითომ ძილს წავართვი თავი, თვლები გამოვახილე.

— ა? ო, თორი? არა, არ მოსულა ჯერ.

დედა იქვე მიდგმულ სკამზე ჩამოჯდა. გაჩუმდა. მერე უცბად თქვა:

— ხვალ მარულაზე რად არ მიდიხარ, ბიჭო?

გავწითლდი, ერთი მაგ ცირულის ყურები ამაწვევინა.

— ისე... არ მინდა — გავეპასუხე.

— ეგ მე ვიცი, რად არ მიდიხარ... პიჯაკი გაგიცვდა არა? დღეს დავინახე, მამაშენის პიჯაკი რო დავკიდე მაშინ... ხვალდან ჩაიცვი... მამაშენის პიჯაკი ჩაიცვი. აბა რაღად გვინდა, სულ იქ რო ეკიდოს — ჯერ დინჯად ლაპარაკობდა დედა, მერე აჩქარდა და ხმაში ცრემლი გაერია.

ადგა და ისევ თავის ოთახში შევიდა. ერთხელ კიდევ მომაძახა იქიდან:

— ტყუილად რო ეკიდოს... ჩრჩილი შეჭამს... ჩაიცვი... თუ ღმერთმა დაგვიბრუნა, ახალს შეაკერინებს — კანტიკუნტად მესმის მისი სიტყვები: ბეჭები გაუფართოვდებოდა, მაინც ვერ ჩაეტევა...

ბეჭები გაუფართოვდებოდა... მაინც არ ჩაეტევა ძველ პიჯაკში. ის დიდი ხნის წინათ წავიდა აქედან. მაშინ ისიც იქ იძინებდა, იმ ოთახში, სადაც ახლა მასზე ფიქრობენ ალბათ. ცირული პატარა იყო მაშინ და აკვანში აწვენდნენ.

აკვანი დედას საწოლთან ედგა. შუალამეზე აჭყვივლებოდა ცირული, დედა აკვანს დაარწევდა და ამით აშოშმინებდა. რას დაშოშმინებოდა ცირული! მანამ ძუძუს არ აჭმევდნენ, ერთთავად ტიროდა. აკვანს დგანდგარი გვალვიძებდა მე და თორნიკეს. მაშინ პატარა ბიჭები ვიყავით და ერთ ლოგინში გვეძინა.

მერე გავიზარდეთ.

მერე იმხელა გაიზარდა თორნიკე, ზორზოხა და უშველებელი... თუმცა ავერ არ იყო, შარშან ცერებზე რომ შემდგარიყო, ჭიშკართან აშოლტილი თუთის ტოტს მაინც ვერ აწვდებოდა. ახლა კი თავისუფლად ჩამოლუნავს, თუთებით ჩაიგემრიელებს პირს და ისევ აუშვებს დაცარიელებულ ტოტს. შარშან ფეხშიშველა დარბოდა. ცელქი იყო. დაუკერებდნენ შარვალზე ღილს — მეორე ღლეს აიგლეჯდა. აბა რა გაუჩერებდა ღილს შარვალზე, დღემუდამ ხეზე იჯდა კატასავით. მოაგლეჯდა თუთას ნორჩ ტოტს, კანს შემოაცლიდა, ღვლერჭივით დაგრენდა, შარვალზე შემოიჭერდა და იმით იმაგრებდა ღილაწყვეტილს.

წელს კი დიდი ბიჭი დადგა თორნიკე. შავი ფეხსაცმელები იყიდა, ვერცხლის ბალთიანი ქამარი და გულისჯიბებიანი ქვიშისფერი ხალათი...

ერთი ფიქრიდან მეორეში გადავდივარ, მერე მესამეში.

სიჩუმეა. ბნელა. ცირულის თუ ჩაეძინა. არა, ცირულის არ დაეძინება. დილაშდის ეგრევე იწვება. ვიცი, ახლა თვალზეგახელილი შესცქერის თეთრ ჭერს. ისე გათენდება, ერთხელაც არ გადაბრუნდება, ეშინია, ემანდ ბავშვები არ გავლვიძოო. ცირული ბავშვებს გვეძახის მე და თორნიკეს.

გარეთ ელავს. წვიმს.

თორნიკე რად იგვიანებს?

ფანჯარა ნათდება, მინები ზანზარებენ. ძალიან თბილა ოთახში. მაიკოს უყვარს წვიმაში ძილი, დახუჭავს თვალებს, დახრის წამწამებს და ძინავს, ძინავს... ბალიშს გულზე ვიხუტებ და მაიკოზე ვფიქრობ ახლა.

გამებუტა.

მაინც მასზე ვფიქრობ.

უტბად ცხვირი დამაცემინა. დედის ოთახში ლამპა ინთება ისევ. შემოდის დედა.

— გაციებულხარ... — ამბობს.

საბანი შემომიკეცა ფეხებქვეშ, გვერდებზეც. მერე თავისი დიდი შალის მანდილი ოთხად გაკეცა და ზედ დამაფარა.

— თითქოს ზამთარი იყოს, — ვამბობ მე.

— შენ ის მითხარი, თორი სადაა ახლა! — მეკითხება დედა.

არ ვიცი. ვამბობ ფიქრებში, ჩემთვის.

თავქვეშ ხელებამოწყობილი ვწევარ, გაუნძრევლად, უხმოდ.

— შარვალი გაათოვე? — ახლა მეორე ოთახიდან მესმის დედის ხმა — ლეიბქვეშ მაინც ამოგედო. უთოზე უკედ აუთოებს ხოლმე ლეიბი...

მერე კარადის კარი ჭრიალებს. ალბათ შარვალი ჩამოიღო დედამ, ლეიბქვეშ გაასწორა და „გასაუთოებლად“ დადო.

სადღაც მამლები ყივიან. ძალიან თბილად წვიმს. ძაღლების გაბმული ყეფა ისმის.

დედას ეძინება ახლა. ტახტი აღარ ჭრიალებს.

გრუხუნებს. აღარ ელავს. კი ელავს, მაგრამ დედას დარაბები დაუგმანავს და ელვა აღარ ანათებს ფანჯარაში, არც წვეთებით დასერილი მინები მოჩანს ელვის სინათლეზე. თვალებს ვხუჭავ და ძილის მაგივრად ისევ ვფიქრობ. ვფიქრობ მაიკოზე, ცირულიზე, თორნიკე... დედაზე.

წვიმს და ისევ ყეფენ ძაღლები.

თორნიკე დაბრუნდა. კარი ნელა გადახურა. თმა პირსახოცით გაიმშრალა. ნელა მოიპარება ლოგინისაკენ, აბა რა გამომეპარება!

— თორი, მოხველ, ბიჭო? — იქიდან ეძახის დედა.

— მოველ დედა.

— რათ დაგაგვიანდა?

— წვიმდა და... გადავიწვიმეთ... რა, შეგეშინდა, დედა?

— საბანი დაიფარე.

— სიმიინდი თუ დაფშვევით შენ და ცირულობ, ა?

— სუ, გოგი არ გააღვიძო. სიმიინდი კი, მარა დილაზე არ წახვიდე, დედა...

წყალს მიაქვს ქვეყანა, ვერა ხედავ...

— ნუ გეშინია, ხოფს ავსსნი და ზედმეტ წყალს გვერდით რუში გადავადებ.

— ახლა სუ და დაიძინე. მე რო გეუბნები, ის დაიჯერე.

როგორ ბნელა, ნეტა რად დახურა დარაბები. ღამე ფანჯარაში არ უნდა იხედებოდესო, იტყვის ხოლმე დედა, ღამე მზაკვარიო.

ხვალ ქალაქს წავალთ მე და მაიკო. კარგი ახლა, გეყოფა ფიქრი. დავიძინებ, ახლა. ეჰ, რა დუდგუნებს წვიმა. ხვალ ახალი პიჯაკი მეცმევა, ხვალიდან სულ მეცმევა მამის პიჯაკი.

მამა ხომ ოჯახის უფროსი იყო.

გესმის შენ, თორი, მამა ოჯახის უფროსი იყო. მამის პიჯაკი კი ხვალიდან მე მეცმევა. ხვალვე მოგელაპარაკები და იმ ბიჭებში სიარულს თუ არ გაანებებ თავი, იცოდე, გაწყენინებ.

გესმის? ხვალიდან მამა ვიქნები, მისი პიჯაკი მეცმევა და ნამდვილი ზედგამოჭრილი მამა ვიქნები.

ხვალიდან...

მე შემიძლია დაგემუქრო შენ, თორი, დავაშინო ცირული. შემიძლია ბოხი ხმით ავლაპარაკდე ოჯახში, მამაკაცური როხროხა ხმით ვთქვა, ეს, ის... ოჯახის ამბებზე ვილაპარაკო, საერთოდ!

მამას ხომ ბოხი ხმა ჰქონდა. მამის ხომ ეშინოდა თორის, ცირულისაც შეეშინებოდა მამის. მას ბოხი ხმა ჰქონდა და გრძელი ნაბიჯები... დააბოტებდა ხოლმე. მამას ერქვანიანი კავი ჰქონდა, მამას თოხი, ყანა და ვენახი სულს ერჩინა.

მე არ ვიცი... მამას ბეჭები მართლა გაუფართოვდა თუ არა...

ბნელა, თბილა. ეჰ, რას დუდგუნებს წვიმა. ისმის სამი ადამიანის ნელი და ჩუმი სუნთქვა... და მეჩვენება, რომ რაღაც სათუთი და ნაზი მამარია მე, რომ ამ სამი ადამიანის სუნთქვას ვდარაჯობ მე... მათი ძილი მამარია მე...

ხვალიდან...

გესმის თორი, გესმის ცირული?



მე ბავშვობაში
 ბედნიერი ვიყავი ისე,
 არც კი ვიცოდი
 რას ეძახდნენ
 ბედნიერებას
 მე როცა
 ტყეში წავიდოდი
 დაუკითხავად
 და მიმწუხრისას
 დახშულ ჭიშკარს
 მივადგებოდი,
 ჩემს გულს დოლოვით
 ბაგაბუგი
 გაჰქონდა მაშინ
 და თუ სტუმარი ღვთისნიერი
 შინ დამხვდებოდა
 და მისი ხათრით
 დანაშაულს მაპატიებდხენ, —
 მე ბედნიერი ვიყავი მაშინ.
 როცა
 უშვილო ძია ნიკას
 დახუნძლულ ჭერამს.
 კუნწულ-კუნწულ
 გავზიდავდით გოგო-ბიჭები,
 ან ნაწვიმარზე
 ტყეში სოკოს წავაწყდებოდით
 და აღდგომისთვის
 წითელ კაბას შემიკერავდნენ,
 ერთ მუჭა ღიმის

გზაზე ვინმე
 შემომაყრიდა, —
 მე ბედნიერი ვიყავი მაშინ.
 ან
 კიდობანში
 ჩალაგებულ წყვილწყვილ ჩურჩხელებს
 ბებოს
 წყვილწყვილად
 დავპარავდით
 მე და ჩემი და,
 თუ ხვეწნის შემდეგ
 დედას კინოს ფულს
 დავტყუებდი
 ან საბალახოდ
 წაყვანილ ხბოს
 არ დავკარგავდი
 და ორს ქურნალში
 არ დასწერდა
 მასწავლებელი, —
 მე ბედნიერი ვიყავი მაშინ.
 ... მაშინ
 მე თავზე მაკვიოდა
 ბედნიერება,
 ვით მწიფობისას
 დედამიწას
 ხმელი წიფელი
 და არ ვიცოდი
 რას ეძახდნენ
 ბედნიერებას.

ნუთუ არ გახსოვთ!

ისევ მოვედი,
 მზით დაცხრილულ
 გრილოში ვზივარ,
 მოყუყუნებულ
 მწვანე ბალახს
 თითებით ვვარცხნი.
 დღეს აქ მოვსულვართ
 უწინდელი უდარდებლობით,
 იმ ერთის გარდა, მე რომ ასე
 ვუყვარდი მაშინ,
 ჩვენ მოვიგონეთ იმ მთისა და
 ამ მთის ამბები,
 მაგრამ ის ერთი
 აღარავის გახსენებია.
 ჩვენ კი დილდლა
 ამ ბერძენის წვერზე ვძვრებოდით,
 გუგულებივით
 გაქაზდით ერთიმეორეს.
 ჩვენ ერთმანეთის სიყვარული
 დაგქონდა ისე,
 როგორც მწყემსის ბიჭს
 ხმელი გულით ხმიადი დააქვს.
 ჩვენ საყილოდ დავყვებოდით
 ვენახებს წყალწყალ,
 თეთრი გოგრები თაკარა მზეს
 ეფიცებოდნენ
 ისე, ვით ახლად
 გამომწვარი თიხის ქოთნები.
 ის კი ციყვივით
 კახაბალზე შესკუბდებოდა
 და თვალში შესულ კუნწულებით
 მივსებდა კალთას.
 მერე ვისხედით
 კურდღლებივით გატრუნულები.
 და ვარსკვლავებით
 დაჟონილ ცას შევცაცინებდით.
 ახლა მოვსულვართ,
 აზვავებულ ბერძენის ჩრდილში

მაგრამ იმ ერთ ბიჭს
 არ იხსენებს კაცი არცერთი.
 ის კი ხევდახევ
 კობორჩხალებს იჭერდა ჩემთვის
 და ჩემი ხათრით
 არ ესროდა კენჭებს შოშიებს.
 მერე ბინდისას,
 როცა მზე მთებს მიაშურებდა,
 ყვავი ყვანჩალა
 მოძებნიდა საკუთარ ბუდეს.
 ჩვენც გულისტკენით
 შინისაკენ მივზოზინობდით
 და მაშინ ყველას
 უკან შურით გვრჩებოდა თვალი,
 რომ არასოდეს მიდიოდნენ
 ხეები სახლში.
 მოდი, დავლიოთ
 შავი ბიჭის შესანდობარი,
 ვის თვალგულშიაც
 ჰაერივით შემოდრიოდა
 წვიმის ფეხის ხმა
 და ნაწვიმარ მიწის ჩურჩული.
 მაშინაც იდგა
 მთა განდგომილ ერისთავივით.
 გულგაღელილი გვირილები
 იწვოდნენ მზეში,
 და გული გვქონდა
 წამოჩიტულ ბახალასავით
 ასაფრენად და სალადობოდ
 გამზადებული.
 ნუთუ სუყველამ
 დაივიწყეთ
 მისი ამბავი,
 როგორც ამბობენ
 დედამიწა გრილია მართლა,
 და აღარავის
 აღარ გტკივთ
 მისი საფლავი!



პ ა პ ი ლ ა

შემოდგომის ფოთოლივით დამჟკნარი,
კანკალებენ უთეთრესი ხელები...
— ამ ხელებზე ილიასაც უკოცნია,
აკაკისაც.

მეუბნება დათოვლილი პაპიდა.

— კიდევ?

— კიდევ, მოკიგონო, დაიცა,
იმის შემდეგ წელთა ჯარი გავიდა.

მოიგონა:

— იყო ერთი ყმაწვილი...

— ლექსებს წერდა?

— ლექსებს წერდა კი არა!..

წარბებს შორის ჩაწვა სევდის აჩრდილი
და სიჩუმემ ოთახი მოიარა.

თვითთავრიანავით

...მერე კარები მაგრად დაკეტეს.
...მერე აღმოვჩნდი ღრუბლების მიღმა.
ძირს ყველაფერი ჰგავდა მაკეტებს,
ყვითელი თიხა და მწვანე თიხა.
მძიმე პასტელის საღებავებით
თავმოხატული ჭრელი ქალაქი...
მერე გაცნობა თანამგზავრების,
სულ სხვა ფიქრი და სხვა ლაპარაკი.
და მოსაუბრის ლურჯი თვალები
მოგონებებს და ოცნებებს ბადებს,
ძევს სილუურჯეში თეთრი ღრუბლები,
ვით მებადურის ნასროლი ბადე.
უსმენთ საუბარს კატასტროფებზე
და უდარდელი ღიმილით ზიხართ...
დაბლა ტყეები, დაბლა ველები,
ყვითელი თიხა და მწვანე თიხა.

სხოკრების ზეიშობზე

რომანი

თავი მეოთხე

სიმწიფის ატესტატის მისაღებად ემზადებოდა გურამი.

ნატო ფრთხილად მიმოდიოდა, ოთახს ასუფთავებდა, ქმარშვილს სადილს უმზადებდა, მერე დაჯდებოდა და გულისყურით ადევნებდა თვალს შვილის მეცადინეობას.

— გურამ, სადილი მზად არის, — გაისმოდა ნატოს ხმა და გურამი მაშინვე მიანებებდა წიგნს თავს, კუნთებს დაძაბავდა, წელში გაიშლებოდა, აბაზანის ოთახში ხელპირს დაიბანდა, მაგიდას მიუჯდებოდა და გულიანად შეექცეოდა დედის მიერ საგულისგულოდ შემზადებულ სადილს.

ის იყო სადილი დაამთავრა, რომ მისი თანაკლასელი ავთანდილი მოვიდა.

— როგორაა, გურამ, საქმეები?

— მივდივარ წინ, ფიზიკას მალე ჩავყლაპავ.

ორივემ გულიანად გაიცინეს.

— მე დავამთავრე, შემოვიარე, გავისაუბროთ ზოგიერთ საკითხებზე.

— დღეს გნატრობდი, შენთან მინდოდა წამოსვლა, თანაც რამდენიმე ფურცელი დამრჩა წასაკითხავი და ველარ გავიმეტე მისატოვებლად.

— ხუთის იმედი გაქვს?

— იმედი ყოველთვისა მაქვს, მაგრამ ხომ გახსოვს ქართულ წერაში რა დამემართა, რაღაც წერტილ-მძიმის გამო ოთხიანი მომაკრეს.

— ამ შეფასების არაფერი მწამს.

— სწორედ შეაფასეს, ავთო, ხუთიანი თუ გინდა უშეცდომოდ უნდა დაწერო. მე კი... — ხელი ჩაიქნია.

— ფრიადოსნობა საქმეს არა წყვეტს. მთავარია, თავში თუ რამე გექნება აღმიანს, ყველგან გავიყვანს, — წარმოთქვა გურამმა და ახლად მოაგონდა, რომ ავთანდილისათვის სკამი დაედგა.

ავთო და გურამი ბავშვობიდან სკოლაში ერთად სწავლობდნენ. ორივენი ფრიადოსნები იყვნენ, მაგრამ უკანასკნელი გამოცდის დროს გურამმა ქართულ წერაში ოთხიანი მიიღო და ეს ამბავი ძალზედ საწყენად დარჩათ ორივეს.

— გურამ, მაინც შენ სიტყვაზე დგახარ?

— კი. მუშაობის დაწყება მინდა.

— იცოდე, სადაც შენ, მეც იქ ვიქნები.

— შენ მედალოსანი ხარ, უგამოცდოდ მიგიღებენ ყველგან, მე კი ზაფხულშიაც ოფლი უნდა ვიდინო.

— მე გითხარი და დაიხსოვე, თუ არ მოეწყობი ინსტიტუტში, მეც უკანვე გამოვიტან ატესტატს, — სიცილით თქვა მან.

— უკან არ გამოგატანინებ.

— როგორ, ვინ გგონივარ, რომ გელაპარაკები, კაცი ვარ თუ?..

— მე ვილა გგონივარ თუ იცი?

— შენს მეგობრობაში ამ ბოლო დროს ეჭვი მეპარება.

— რატომ?

— აქამდის ერთად ვიარეთ და რისთვის დავშორდეთ ერთმანეთს, რალაც ბედდამწვარი თორმეტი თვის გულისათვის?

— სულაც არ მიფიქრია ჩვენი დაშორება.

— აბა რას მივაწერო შენი ნათქვამი?

— ჩემს ვაჟკაცობას.

— ვერ მიგიხვდი.

— ისეთი მომზადებული უნდა ვავიდე გამოცდებზე, რომ ჩემს ავთოს ატესტატის უკან გამოტანა არ დასჭირდეს, — თქვა გურამმა და მეგობარს სიცილით ჰკითხა, — ჰა, რას იტყვი თანახმა ხარ?

ავთომ გურამს მხარზე ხელი დაჰკრა.

— მაშ, ასე, გაუმარჯოს მომავალ ინჟინრებს! — შესძახა და ოთახში ასკინკილა ჩამოიარა.

*

...194... წელი მიიწურა. თენგიზი ფრონტიდან დაბრუნდა.

თავმოშონედ დააბიჯებდა ომგადახდილი ვაჟკაცი სოფელში. ხუთი წლით ჯარში ყოფნას გაეწვრთნა, გაეკაუებინა. ჯარისკაცის ხაკისფერ ხალათზე წითელი დროშის ორდენი და მედალი „მამაცობისათვის“ უბრწყინავდა.

რამდენიმე დღეს სამხრეები არ მოუხსნია. ოჯახიდან ოჯახში მიბატიყებას ვერ აუღიოდა.

ეს იყო ათი დღის თავზე. თენგიზი წამოდგა. ხალათს წამოავლო ხელი, სამხრეები მოაძრო, ფრთხილად ჩამოხსნა ჯილდოები, კარგა ხანს უცქეროდა, თითქოს არ ემეტებოდა, რომ დიდი ხნის მეგობრებს განშორებოდა, ბოლოს კარადა გამოალო და მოწიწებით შეაწყო ყველაფერი. ხაკისფერ ხალათს, იქ სადაც რამდენიმე წუთის წინ სამხრეები ეკერა, ემჩნეოდა ადრინდელი, მუქი სალათისფერი.

იმ დღეს თენგიზი დაფიქრებული ჩანდა. მიწვევაზედაც უარი უპასუხა ტოლებს, თავის ტკივილი მოიმიზეზა.

მთელ დღეს დაბორილობდა, სცადა ხელი მოეციდა რაიმე საქმისათვის, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. წიგნის კითხვაც მოინდომა, ერთი გვერდიც ვერ წაიკითხა. დაკეცა წიგნი და ისევ თაროზე დადო.

ნატო თვალს არ აშორებდა თენგიზს. დედის გული გრძნობდა, რომ დადგა დრო, როცა საკუთარი თავი უნდა ეპოვნა ვაჟკაცს.

თავისი ჯილაგის ხასიათი კარგად იცოდა ნატომ, მარად მოუსვენარი და დაუდგრომელი ხასიათისანი იყვნენ. ცუდად ყოფნა არ სჩვეოდათ.

მოსალამოვდა. ნატო გამალებულ ფაცი-ფუცში იყო. დღეს განსაკუთრებული მზრუნველობით ამზადებდა სადილს.

— ახლა მატარებელი სადგურში იქნება, ნახევარ საათში ჩვენებიც ამოვ-

ლენ. — თითქოს თავისთვის, მაგრამ უფრო თენგიზის გასაგონად ჩაილაპარაკა, რომელიც თუთის ხეს მიყრდნობოდა და, ჩაფიქრებული, სადღაც იმზირებოდა. თენგიზმა საათზე დაიხედა.

— ჰო, დედი, მალე ამოვლენ.

ნატოს ისე გაუხარდა თენგიზის ხმის გაგონება, თითქოს დღეს ომგადახდილი შვილი პირველად ენახოს. რაც თენგიზი ჩამოვიდა, ერთხელაც ვერ მოიხელთა მარტოკა, სოფლის გოგო-ბიჭებით გარშემორტყმული, დედის სურვილს აბა საიდან გაიგებდა! ახლაა და მთელი დღე პირველად არის თენგიზი სახლში, მაგრამ დედას სიხარულის ნაცვლად ნაღველი ჩაეწვეთა გულში, ერთხელაც არ დალაპარაკებია შვილი.

— ნეტავი როგორაა იმ ბიჭის საქმე. — უფრო იმიტომ იკითხა, აეყოლებინა თენგიზი.

— აკი დეპეშა მივიღეთო, გუშინ ღამ არ მითხარი! — ღიმილით უთხრა თენგიზმა და დედას მიუახლოვდა. — ნუ ნაღვლობ, დედი, გურამი ყოჩაღია.

— რა ვიცი, შვილო, დედის გულის ამბავი ხომ იცი..

— ჰო, კარგი, ნუ იცრემლები!

ნატომ, თავშალის წვერით თვალის უბეები ამოიწმინდა და ცეცხლს შეშა შეუქეთა.

მზე შუბის ტარზე იდგა. მთებიდან გრილმა სიომ წამოუბერა. ვაზის ხეივნის ქვეშ ტახტზე, თენგიზი წამოწოლილიყო და ჯერ კიდევ მკვახე მტეენებს მიშტერებოდა.

დედის მხიარული ლაპარაკი შემოესმა, ტახტზე წამოჯდა, კიშკარში არჩილი გამოჩნდა, უკან ნანა და გურამი მოსდევდა.

არჩილმა თენგიზი გადაკოცნა.

— შეეცოცხლა სოფელი. — მხრებში ხელი მოჰკიდა და ოდნავ შეანჯღრია.

— მართლაც, ასე თავისუფლად დიდი ხანია არა ვყოფილვარ, — თქვა და გურამს მიუბრუნდა, — მომილოცნია სიმწიფის ატესტატის მიღება.

ძმა გადაკოცნა.

ხელბირი დაიბანეს, გაშლილ სუფრას შემოუსხდნენ. დიდი ხანია, რაც მთელ ოჯახს თავი ერთად არ მოუყრიათ. არჩილი სიამით უტკებოდა შვილებს. ნატო მაინც ვერ ისვენებდა ერთ ადგილზე და წამდაუწუმ უხდებოდა ადგომა. ხან მარილს მოუმატებდა, ხან პურს, ისე რომ თავისთვის საფუსფუსოს ყოველთვის პოულობდა.

საგულდაგულოდ გადანახული სველი ხელადაც მოიტანა.

არჩილი განსაკუთრებით მხიარული იყო, კალათიდან შუშა კიტრები და პამიდორი ამოაწყო და თვითონვე შეამზადა სალათა. მერე ხელადას ღიმილით გადახედა, გურამს თვალი ჩაუკრა, უღვაშებზე ხელი გადაისვა და შესძახა: მობრძანდით, ჩემო ცოლშვილო, დღეს უნდა ვიზეიმოთ.

— დღეს მამაპაპურად შეესვათ ჯამით, — არჩილმა ღვინო დაისხა, ჯამი მალა ასწია და ხმამაღლა წარმოთქვა:

— ეს იმ ვაჟკაცებს გაუმარჯოს, რომლებმაც ჩვენი მამულისათვის ბრძოლაში თავი დადეს და აი ასე, შენ რომ გხედავთ, შვილო, თავიანთი ახლობლები ვეღარ ნახავენ, ვეღარ გაახარებენ მათ გულებს, — ჯამი გამოცალა, ისევ აავსო და ახლა თენგიზს გადააწოდა.

თენგიზი კარგა ხანს დუმდა, თავი დაბლა ჩაექანდრა და თითქოს იმაზე ფიქრობდა, რა ეთქვა.

— სწორი ხარ, მამი, მათი დავიწყება როგორ იქნება. ნეტავი კი შეიძლე-

ბოდეს, იმის დავიწყება, რაც მინახავს, მაგრამ ვაი რომ სიზმარი არ იყო! დიდება მათ, დაუფიქარი ყოფილიყოს მათი სახელი უკუნისამდე, — ჯამიდან ღვინო ოდნავ მოსვა, ახლა მან შეავსო და გურამს გადააწოდა. — მაპატიე, მამი, არ შემძლია სმა.

გურამმა უთქმელად გამოცალა ჯამი. დიდხანს ხმა აღარავის ამოუღია, ბოლოს მდუმარება არჩილმა დაარღვია.

— მოდი თქვენ გაგიმარჯოთ, შვილებო, თქვენს მომავალ საქმეს გაუმარჯოს, აბა თქვენ იცით, თავი არ შეირცხვინოთ.

მხოლოდ ნანა უცქეროდა თვალებში მამას, ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა ისეთი, რომ ასე მგლოვიარეებივით ისხდნენ.

— დროა, შვილებო, საქმეს მოჰკიდოთ ხელი, პატარები ხომ აღარა ხართ. — თენგიზს შეხედა, პირველად შეამჩნია, რომ სამხრეები ჩამოეხსნა. ესაიმოვნა.

— დროა ოჯახს მოვხედო, ახლა უჩემოდაც იოლად წავლენ, ახალგაზრდები შეგვცვლიან მოხუცებს. — გურამს გადახედა.

— ფაბრიკაში მინდა ვიმუშაო, — თითქოს მიუხვდა გურამი მამას.

— არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, — დაეთანხმა არჩილი.

— თანაც საღამოს ინსტიტუტში ვცდი ბედს.

— შენი საქმეა, ეცადე ორი კურდღლის მადევარივით არ გამოგივიდეს.

თენგიზი გაჩუმებული იჯდა. ძნელი იყო მისთვის არჩევანი. არც უფიქრია ამ საკითხზე აქამდის. არა, არჩევანის დრო დამდგარია, მამის თვალები მოითხოვენ პასუხს, ახლავე, დროზე. თვალი მიმოავლო სოფელს. ხელისგულივით მოჩანდა მათი სახლიდან მთელი სოფელი. მაცდუნებლად უცქეროდა შემწიფებული ქლიავი. თავები ჩაედუნათ ალუბლის ხეებს. მწვანედ ბიბინებდა ბაღვენახები. შავად გადაეხნათ ველ-მინდვრები. შორს, კავკასიონის მაღალ მთებზე თოვლი მოჩანდა.

— მე სოფელში დავრჩები, — თქვა მან. — ხვალ კოლმეურნეობის გამგეობაში განცხადებას შევიტან. თუ მიმიღეს წევრად, არჩევანი გადაწყვეტილი იქნება.

არჩილმა კმაყოფილებით გადაისვა უღვაშებზე ხელი.

— მაშ ასე, ჩვენს ხვალინდელ ღდეს გაუმარჯოს, — წარმოთქვა მან და ღვინით სავსე ჯამი ძირამდის გამოცალა.

— გურამ, ერთ კვირას დაისვენებ, მომავალ ორშაბათს კი ერთად წავალთ ქალაქში.

თავი მესამე

გურამს ადრე გამოეღვიძა. კარგა ხანს უცქერდა მუხის სანთლისფრად ქცეულ ჭერს. ვიწრო, ძველებურ ფანჯრებიდან მთვარის შუქი შემოჭრილიყო. ფანჯრის რაფაზე მოკუნტული კატა საწყალობლად კრუტუნებდა. განიერ ხის ტახტზე არჩილი ფშვინავდა. განჯინიდან, ზრამუნი ისმოდა. გამოერკვა, მამაპაპისეულ სახლში იწვა. ლოგინი არ ეთმობოდა, აღარც ეძინებოდა. წაშოდვა, ძლივს გაარჩია მიწაში ჩაგდებული ქოცო, ფეხი გადაალაჯა, კარის ურდული ფრთხილად ასწია და ეზოში გამოვიდა.

თითქოს პირველად ხედავდა ამ მთა-ბარს, მედიდურად გადამლილსა და მწვანედ აბიბინებულს. ბებერი მთის კალთებზე ბურუსი ჩამოწოლილიყო.

გულმა უცნაურად გაუწია იქითკენ.

რიყე გადირბინა, ორლობეს აჰყვა, ბოგირი გადაიარა და მინდვრის ბალა-

ხეზს შეერია. სამყურა ფოთლებს შლიდა. ცვარმა დაუნამა ფეხები. სიგრილე იგრძნო.

სულ უნდოდა ეცქირნა ამ მთისა და ბარისათვის. მინდვრის ყვავილთა სურნელებით დამტკბარიყო. ღრმად სუნთქავდა ჯერ კიდევ განუძარცავ მიწის სურნელებას, ყველაფერი აღაფრთოვანებდა, ჭია მაიაც კი, რომელიც არხეინად წამოსკუბებულიყო სამყურას ფოთოლზე და ფრთები გასაფრენად გაეშალა.

ხნულებისაკენ წავიდა. ახლად ამოტრიალებული მიწის სუნმა დაათრო. ხელით სინჯავდა ხორბლისფერ მიწას.

ცოტა იქით მლაშე წყლები იწყებოდა. ძეძვის ჯაგებით იყო მოფენილი იქაურობა. ქედნებისა და გვრიტების გუნდი აფთხრილდა.

ტყისაკენ შეუხვია.

ფერდობზე შედგა. იას დაეფარა ჯაგის ძირები. მარწყვის ფოთლები კლარქასავით მოსდებოდა იქაურობას. იისა და ტყემლის, პანტის, მაქალო ვაშლის ყვავილთა სურნელებას ჰაერი გაეჟღინთა.

ტყეს მისცა თავი. მაშინდა გამოტრიალდა, როცა ხელპირი დაუღუღუდდა. სოფელი შორს მოიტოვა.

მინდვრის თავში ტრაქტორი თუხთუხებდა. ბებერი მუხის ქვემოთ ვენახი იყო გაშენებული, გრძელ ზოლად ჩაჰყვებოდა დამრეცს. ვენახში პატარა ქოხი ჩაედგათ, ვახის წალმით გადახურული. ქოხის წინ ნაცარი მიმოფანტულიყო, აქა-იქ მომწვარი კუნძები ეყარა.

ჯერ კიდევ თბილი მიწის ნაკვალევს მიჰყვებოდა. ამომავალ მზის სხივებზე მიწის ოსშივარი ადიოდა და ზეცაში იკარგებოდა.

სულ უფრო და უფრო მოკლდებოდა მანძილი მასა და ტრაქტორს შორის, ახლა უკვე კარგად ხედავდა ყმაწვილი ვაჟის ხუჭუჭა თმას. ბიჭი საჭესთან წამოსკუბებულიყო, ხუთგუთნიანი საწევი ება ტრაქტორს. თუხთუხით მიიწევდა მისკენ და გადაბრუნებული მიწა შავ ბელტებად ეწყობოდა.

ამაყად, წელში გამართული მოგრუხუნებდა ტრაქტორი და ყმაწვილიც მეფური სიამაყით დაყრდნობოდა საჭეს. ტრაქტორი ბებერ მუხასთან შეჩერდა. ყმაწვილი წამოაწია და ქვემოთ ვენახისაკენ გააყოლა მზერა. იდგა და გაჰყურებდა დაბლა გაშენებულ ვენახს. გურამი მიუახლოვდა, მიესალმა. ჰაბუკი არ ელოდა, შემკრთალმა მოატრიალა თავი და მისალმებაზე თავი დაუქნია.

ასე, ოც წელს მიტანებული იქნებოდა. ვაჟაცური შეხედულების მხარბეჭიანი ყმაწვილი იყო. ცნობისმოყვარედ შეათვალიერა გურამი. შავად გამურული ჩვარი აიღო, მაზუთიანი ხელები გაიწმინდა და დაბლა გადმოვიდა.

— ტრაქტორი დამელაღ, ცოტა მინდა შევასვენო, — შეხედა გურამს და გაუღიმა. სახე ოდნავ შემტვეროდა, თვალის უბეები ჩაშავებოდა. მაგრამ ცოცხალი თვალები, უტეხ, ჯიუტ ხასიათზე მეტყველებდნენ.

— ჰმ, ტრაქტორს რა დაღლიდა. — გამოელაპარაკა გურამი.

— ამოდენა მიწა დაუსვენებლივ ამოაბრუნა, ცოტა თუ არ შეისვენა, არ ივარგებს. — ჯიუტად იმეორებდა თავისას ტრაქტორისტი.

— ღამეც მუშაობ?

— ღამეც და მთელ დღესაც მომიხდება მუშაობა, ეს მინდორი მთლად უნდა მოგხნა.

ისევ ვენახს გადახედა, მერე დამხვდურს შეხედა.

— აქაური ხარ?

— მაშ სადაური ვიქნები? რატომ გავექცევი ამ მთასა და ბარს. — წარმოთქვა და თვალი მოავლო იქაურობას.

— ისე გკითხეთ. — თქვა გურამმა და ისევ ვენახისაკენ გაიხედა.

— ესტატესთან მიდიხართ? — ჰკითხა ტრაქტორისტმა და გამომცდელად ჩაჩედა გურამს თვალებში.

გურამმა მხრები აიჩეჩა.

— საკუთარ ბოსტანში მუშაობა სიცოცხლეა, საკუთარ სოფელში ყოფნა სიხარულია, საკუთარ მოსავლიდან მიღებული ნაყოფი უკვდავების წამალია. — გაჩერდა, ქვემოთ გააპარა მზერა და ისევ გურამს შეხედა. ირონიულად აათვალიერ-ჩაათვალიერა და ერთი ფეხის დაკვრით აფრინდა საჭესთან.

— ნახვამდის, — შესძახა და გულიანად გადაიხარხარა.

კარგა ხანს იდგა გურამი ერთ ადგილზე, შორს გასული ტრაქტორის გრუხუნმა გამოაფხიზლა, გახედა, საჭესთან ისევ ამაყად იჯდა ხუჭუჭთმიანი ვაჟი და თავმომწონედ იცქირებოდა წინ. — მოვსულვარ, — ჩაილაპარაკა მან, თითქოს ბურანიდან ახლდა გამოერკვა, მუხასთან იდგა. ვენახს თავიდან მოუარა. რუზე გადავიდა, რომელიც ახლად ამოეწმინდათ და ალაგ-ალაგ წვიმის წყალი გუბებზედ ჩამდგარიყო.

ვენახი სანახევროდ შეეფურჩქნათ. შაბიამნით სავსე კასრი იქვე იდგა.

ვენახის ბოლოში კარმა დაიჭრიალა. თმაგათეთრებულმა, წელში მოხრილმა მოხუცმა ჩანეულის კონა ძირს დაგდო, ხზო თოკით კეხურას ძირზე მიაბა და ზევით წამოვიდა. მოხუცმა შეამჩნია გურამი, მიესალმა, შინაურულად გაუღიმა, მიიწვია, სამფეხა სკამი შესთავაზა, თვითონ ჩანეულის კონა ამოიღო ქვეშ და თავისუფლად ჩამოჯდა. გურამიც დაჯდა.

მოხუცმა ჩიბუხი ამოიღო, თუთუნით თითით ჩატენა და როცა ცეცხლი მოუკიდა, მაშინდა შეეხმინა გურამს.

— დიდი ხანია ჩამოხვედი?

— გუშინ ჩამოვედი, პაპა ესტატე.

— რა ამბავია ქალაქში? ომი დამთავრდა, ამოისუთქავდენ ალბათ.

— ჰო, რა თქმა უნდა.

— რაზე გარჯილხარ, ამ სიშორეზე გამოსულხარ?

— ისე შემოვიარე, — თქვა გურამმა და სახეზე წამოწითლდა.

პაპა ესტატე გურამს დაკვირვებით უცქეროდა. თითქოს რაღაც აწუხებდა, უნდოდა ეთქვა, მაგრამ მის მაგივრად სულ სხვა წამოიწყო.

— კარგი ბიჭები გამოგზარდათ არჩილმა, ყოჩალი კაცი. უნდა დაუფასოთ შვილო, აბა თქვენ იცით. — წამოდგა ესტატე, ქოხიდან შესაწამლი აპარატი გამოიტანა და ზურგზე წამოკიდება სცადა.

— მეც მოგეშველები, — წამოდგა გურამიც და ესტატეს მიეხმარა. ესტატემ გურამი ათვალიერ-ჩაათვალიერა, — ვერ შემოგაკადრებ, „ვერ შემოგაკადრებო“, ჩაესმა გურამს, უნებლიედ ტანსაცმელზე დაიხედა, ახლა ესტატეს შეხედა. მოკლე, გახეხილ პალტოს შიგნიდან შავი ბლუზა მოუჩანდა. ბოლოზის დილიბი ბოლომდე ჰქონდა შეკრული. საჩინის შარავლის ტოტები წინიდან ჩაეტანებინა, კოხტად ამოსხმული ქალამნები მორგებულად ეკია. ესტატემ გურამის დაკვირვებული მზერა შეამჩნია და თითქოს თავის გასამართლებლად ჩაილაპარაკა:

— სამუშაოდ ასე სჯობიან გამოსილა. ხალხათად გარძნობ თავს. აბა, ქალამნები ახლა ეიდას აკვია, მაგრამ მუშაობის დროს ამაზე უკეთესს რას მოიგონებს ადამიანი. სიციხე არ შეგაწოხიბს, სახმარად ადვილია. თხსაცმელი კი... რა შედარებაა, ტლანქია. ჯპ, იმოდენა ლანჩების თრევა სადღა შეიძლება ძალამილეულ ბერიკაცის კანჭებს, — ამ სიტყვებზე გურამს ისევ გაუღიმა.

გურამმა პიჯაკი გაიძრო და იქვე, ქოხის დედაბოძზე ჩამოკიდა. აპარატი თვითონვე მოირგო მხრებზე და ვენახს შეერია.

— აქეთ შეილო, იქეთ შეფურჩქნულია, დანარჩენს მერე მოვწამლავ, შეფურჩქნას რომ მოვრჩები.

გურამმა აპარატის სახელური აამუშავა.

— გამოცდილი ყოფილხარ, — უთხრა მოხუცმა გურამს და თვითონ ფურჩქენას შეუდგა.

— წლეულს მოსავალს კარგი პირი უჩანს, — გადასძახა გურამმა, აპარატი შაბიამნით საესე კასრთან მიიტანა.

— კარგი, ჩემო გურამ, დასამღური არაფერი გვაქვს, მაგრამ ჯერ კიდევ ქება ნაღრევია. ვაზს ბევრი მტერი ჰყავს, მიწა კი ბარაქიანია, ნამდვილი ვენახის დედა. მერე როგორი ღვინო იცის! ნულარ იტყვი.

— რამდენი მოგდით? — ცნობისმოყვარეობით იკითხა გურამმა.

— თუ ამინდმა არ მიღალატა, ოციოდე კოკას დავწურავ. ეჰ... — კოლმეურნეობაში სამჯერ მეტი მოსავალი მოჰყავთ, ჩვენ კი, მაჩანჩალებივით მივდევთ. იხტიბარს არ კიტხავთ, თორემ კაცმა რომ თქვას, რაც მალე დავახწევთ თავს ამ ჯაფას, მით უკეთესია. — გაჩერდა, სარიდან მოსხლეტილი რქა მანუელის ფოთხილად მიაკრა ძველ ადგილას და ლაპარაკი განაგრძო. — ეს კოყრები ამ ვენახმა არ გამომილია, ტრაქტორი აქ არ უდგება და ერქვანი, ფეხითა ვბარავ, ხელითა ვთოხნი და ზურგზე წამოკიდებულს გამაქვს წლის მოსავალი, აბა მითხარი, ამის მომსწრე ადამიანს რა სიკეთე ექნება.

— კოლმეურნეობაში თუ მუშაობთ, პაპა ესტატე?

— რალაში ვარგივარ, ტრაქტორზე მე არ გამოვდგები და კომბაინზე. ღამის დარაჯად-ლა გამომყვეს.

გურამს აღარც კი ახსოვდა რამ მოიყვანა ამ ვენახში, კეთილ ესტატესთან ლაპარაკმა სულ დაავიწყა თავისი დარდი. კოჭბით ამოიღო შაბიამნის წამალი, აპარატი შეავსო და ისევ ზურგზე წამოიკიდა.

მოშუადღევდა.

— პაპა, ისადილე, — მოისმა ქალის ხმა და გურამს მოულოდნელობისაგან გული კინდამ ბუდიდან ამოუხტა.

— დავისვენოთ, გურამ, გამოვჩერჩეტდი ბერიკაცი, პურუჭმელი მოგკალი.

— მუშაობის შემდეგ სადილი უფრო გემრიელია, ძია ესტატე.

— აბა წავიდეთ!

— გამარჯობა! — მიესალმა გურამი ქალს.

— გურამ, შენა ხარ! — გაიოცა ეთერმა და გურამს შესცინა.

— ველარც კი გიცნობდი, სხვაგან რომ შემხვედროდი.

— ვერც მე გიცნობდი, ეთერ, მთლად შეცვლილხარ. — ხელებზე დაიხედა, შაბიამნის ხსნარით ჰქონდა მოსვრილი.

— მოდი ხელები დაიბანეთ! — ეთერმა ხელად მოიმარჯვა.

გურამმა ძალათი ჩამოართვა ხელადა, პაპა ესტატეს დააბანინა ხელები, მერე თვითონაც გადაივლო წყალი და გაშლილ ჭილობზე ფეხი მოირთხა.

— გურამ, მოიწი ახლოს, აი ასე. — ესტატე ჯამებს აწყობდა კალათიდან.

რქაწითელმა მადა გაუხსნათ. ეთერი შორიახლოს იდგა. ნაღვლიანი მოეჩვენა გურამს. სწორედ ისეთი, როგორც გუშინ, აქვე ვენახის თავში რომ დაინახა. მამასთან ერთად მოდიოდა, მოერიდა არჩილს, ქალს ვერც კი გაუბედა დალაპარაკება. ეთერმაც იცნო, თავი ჩაღუნა და ვაზებს ამოეფარა. ნეტავ არ ენახა. მივიწყებული ქალის სახე ისევ ამოტივტივდა და მთელ ღამეს ძილი გა-

უფროსი. ორი წელია, რაც არ უნახავს, ეთერი სოფელში აღარ ამოსულა. ახლა კი რა ემართება, ისე შეხვდა ქალს, თითქოს ახლად გაეცნოს. უფრო დამშვენებულია, გალამაზებულია, მას კი ისევ ისეთი ეთერი ახსოვდა, როგორიც ბავშვობაში ჰყავდა ნანახი.

— მაღლიან მიწას გაუმარჯოს! — გაისმა ესტატეს ხმა.

— ამინ, გაუმარჯოს! — გაუბედავად გაიმეორა გურამმა.

— ჩვენი მამა-პაპათა მოსაგონარი იყოს, — კვლავ ისმოდა ესტატეს ხმა და გურამიც ბანს აძლევდა.

— ამინ, გაუმარჯოს!

სადილს მორჩნენ. გურამმა მაღლობა გადაუხადა მასპინძლებს. ეთერი ჯამ-ჭურჭლის ალაგებას შეუდგა.

— პაპა, ვასშობისათვის სახლში გადმოხვალთ თუ აქ მოვიტანო?

— სახლში, შვილო, იქა სჯობიან.

უხმოდ დაემშვიდობა მათ ეთერი და ფეხარეულმა გაიარა ვენახის კარი.

კარგა ხანს მდუმარედ მუშაობდნენ. ორივენი თვინათ სკუთარ ფიქრებში იყვნენ გართულნი.

— ბედი უნდა ყველაფერს, ბედი, — ჩაილაპარაკა ესტატემ და გურამს მოჰხედა. გურამიც შეჩერდა, ესტატეს მიაპყრო მზერა.

— მშობლიური ადგილი არ უნდა დაივიწყო შვილო, მშობლების ამაგი წყალში არ უნდა გადაყარო.

— არ მესმის, პაპა. ესტატე, რატომ მელაპარაკებით ასე? — გაოცებით ჰკითხა გურამმა.

— ერთი შვილი მყავს, გავზარდე, ვასწავლე, დავაოჯახე და არც კი ვიცი, სადა ცხოვრობს.

გურამი უფრო გააოცა მოხუცის სიტყვებმა. მან კარგად იცოდა, რომ ეთერი ესტატეს შვილიშვილი იყო, სოფელში დიდი პატივით იხსენიებდნენ ეთერის მამის, უშანგის სახელს, ეს მოხუცი კი რაღაცით იყო უკმაყოფილო.

— ნეტავი კარგად იყვნენ. მათი ცული არ მომასწროს ღმერთმა და რა გქნა... — გაჩერდა, ყალიონი გააწყო და აბედით ცეცხლი მოუკიდა.

— ხანდისხან თუ მომინახულებს ეს გოგო, ამითილა მიდგას სული, თორემ რა იქნებოდა ჩემი სიცოცხლე. ნეტავი კი ისე არ მომკლა, ზისი ბედნიერება რომ არ გაიგოს ჩემმა ყურებმა.

გურამს შეეცოდა მოხუცი, აპარატი მხრებიდან მოიხსნა, დაბლა დადო და ესტატეს მიუახლოვდა.

— განა რამე აკლია, მთელ ქალაქში ორიც არ არის მსავით შეძლებული, მაგრამ დიდმა ქონებამ ადამიანური სინდისის წართმევა იცის თურმე. ჩემს რძალს სულაც არ ახსოვს, ჩემი უშანგი თუ მე გავზარდე, რომ მისი მამა ვარ... რა გქნა, რომ სოფელში ვცხოვრობ, ნუთუ ადამიანი ამისათვის უნდა დაწიხლოს!

გურამი, ახლა კი მიხვდა, რაც აწუხებდა მოხუცს.

— რძალი რა შუაშია, შვილს უნდა ახსოვდეს თავის მოვალეობა, პაპა ესტატე.

— ეჰ, შვილო, შენ ჯერ კიდევ არ გამოგიცდია ცხოვრება, თუ ქალმა თავის ნამუსს უღალატა, მამა-შვილს მოსისხლე მტრებად გადააქცევს. ეს გოგო პატარა მაინც არ იყოს, იქნება მშველებოდა მეც რამე. ჩემი სისხლი აქვს, ძალიან მოსიყვარულეა, — გაჩერდა, ხალათის სახელოთი თვალები მოიწმინდა, ყალიონი პირიდან გამოიღო და ხელის გულზე დაიფერთხა.

— მშვენიერი ვაჟაცაია, იმნაირი ტრაქტორისტი ამ რაიონში არ მეგულება, მერე როგორ ვუყვარვარ, ეთერის ხელი მთხოვა, მაგრამ რა ვქნა რომ ჯერ მაგის დრო არა აქვს.

გურამს დილანდელი შეხვედრა გაახსენდა, ტრაქტორისტის დაჟინებული ცქერა ვენახისაკენ, და ყველაფერს მიხვდა.

ესტატე გაჩუმდა, ვაზს მიუბრუნდა და ისევ ფურჩქენა განაგრძო.

— პაპა ესტატე, მაპატიეთ, სახლს მინდა მივხედო, — წარმოთქვა გურამმა და ქოხისაკენ გაემართა.

— როგორი მადლობელი ვარ, შვილო, გაიზარდე და გაუმრავლდი შენს მშობლებს, — წამოეწია ესტატეს ლოცვა.

კი არ მიდიოდა, მირბოდა გურამი და თან მიჰყვებოდა ესტატეს ნაღვლიანი, დადარდიანებული ხმა. ძეძვის ღობეს გადაეცლო, რეხულაზე გადადებული ვიწრო ბოგირი გადაირბინა და არც გაუგია, როგორ აღმოჩნდა ერთსართულიანი სახლის წინ.

ეთერი თუთის ხის ქვეშ, ტაბურეტზე იჯდა, წიგნი გადაეშალა, მუხლებზე ედო და კითხულობდა.

გურამი შეჩერდა.

— ეთერ!

ეთერი უცებ წამოდგა. გაკვირვებული მზერა ესროლა გურამს.

— ეთერ, ხომ არ მიწყებები?

— რისთვის?

— ასე მოუთრდებლად რომ შემოვიჭერი!

— თუ გრძნობ, რისთვისღა მოხვედი.

— ნურაფერს მკითხავ, მეც არ ვიცი რისთვის მოვედი. აი, მინდა გკითხო რას აკეთებ, მარტოკას მოგწყინდება ასე ყოფნა, იქნებ გავიაროთ სადმე.

— სულაც არა ვარ მარტოკა, ძალუაჩემი აქვია, პაპაც მალე მოვა.

— როდის ჩამოხვედი ქალაქიდან? — თვითონაც ვერ მიმხვდარიყო გურამი, თუ რამ აიძულა თავისივე თანატოლთან ასე მორიდებით ელაპარაკა.

— ერთი კვირა იქნება.

— საშუალოს დაამთავრებდი.

— ერთი წელი მიკლია. შენ?

— წელს დავამთავრე.

— ბედნიერი ყოფილხარ, ნეტავი შენ, უმაღლესში შეხვალ.

— ფაბრიკაში ვაპირებ მუშაობას.

— რად გინდა მუშაობა, ან ფაბრიკაში რა დავიკარგავს?

— მამამ ასე მირჩია.

— მე ინჟინერი მინდა გაეხდე, ჩვენები კი სასტიკი წინააღმდეგი არიან. გინდა თუ არა ექიმი უნდა გამოხვიდეო. არ ვიცი, რამ შეაყვარათ ექიმები. უი, როგორ გაგიჭუჭყიანებია ხალათი.

გურამმა ხალათზე დაიხედა.

— არა უშავს, დედას გავარეცხინებ.

კარგა ხანს ხმა არ ამოუღიათ.

— სხვაგან რომ შემხვედროდი შეიძლება ვერც მეცანი, სულ შეცვლილხარ. — დაარღვია სიჩუმე ეთერმა.

— მე გიცნობდი, არასოდეს არ დამევიწყებია, შენნაირი მეგობარი რომ მყავდეს, რას არ გავაკეთებდი...

— რომ არ გენახე, ნეტავ ვიცოდე ვისთან დახარჯავდი მაგ სიტყვებს?

გურამი გაწითლდა. თითქოს სიმართლე თქვა ეთერმა.

— არ ვიცოდი, სად მენახე.

— რომ გცოდნოდა?

— აუცილებლივ მოვიდოდი.

— ბარნოვის 35-ში ვცხოვრობ.

— როდის მიდიხარ ქალაქში?

— ხვალ მივყვები ძალუას.

— ასე ჩქარა?

— ბორჯომში მიდიან მშობლები დასასვენებლად, უჩემოდ არ წავლენ.

— ეთერ! ხომ არ გაგვევლო?

— არა, გურამ, საცაა პაპა დაბრუნდება.

ბალის ბოლოში კარმა გაიჭრილა. ეზოში პაპა ესტატემ შემოაბიჯა.

— ნახვამდის, გურამ! — გამოეთხოვა ეთერი ვაჟს. გურამიც მოტრიალდა და სწრაფი ნაბიჯით დატოვა იქაურობა.

(გაგრძელება იქნება)





შედეგიჲო გაისია ღოკაჲ

ღამის მელოდია

ისევ მიჰყრობს შიში,
მკედარ ფოთლებს რომ ვხედავ,
მეშინია ისევ
უნაყოფო ველის;

თუ არ გამაღვიძებ,
თუ არ მოხვალ ჩემთან,
გაციებულ გულში
საპყრობილე ველის.

შორით კივის ვილაც,
გვიხმობს, მოიჩქარის...
ო, სიყვარულო! ფანჯრებს
აწყდება ქარი.

ყელსაბამი შენი
დილის ელვას მალავს.
რატომ მტოვებ მარტო
ამ შორეულ გზაზე?

წახვალ — ჩემი ჩიტი
მწარედ ატირდება

და ვენახი ჩემი
არ დაისხამს მტევანს.

შორით კივის ვილაც,
გვიხმობს, მოიჩქარის...
ო, სიყვარულო! ფანჯრებს
აწყდება ქარი.

და შენ ვეღარ იგრძნობ
თოვლის ფიფქო ჩემო,
თუ რა სხივი ანთებს
ჩემი ტრფობის ვარსკვლავს.

ირიყრაჲა უავე,
მოდის წვიმა. ცივა.
და ხის გამხმარ რტოებს
ბუდეები სცვივა.

შორით კივის ვილაც,
გვიხმობს. მოიჩქარის...
ო, აიყვარულო! ფანჯრებს
აწყდება ქარი.

ბანშორეჲის სიგჲარა

ო, როგორ მიმიძიჲს ღღეო
გაშვება შენი.
მიდიხარ სავსე ჩემით,
ბრუნდები უცხო.

ო, როგორ მინდა ღღეო,
ღაღტოვო შენში

შეუძლებელი სიტყვების
შესაძლებლობა.

სალამოობით ვარსკვლავები
გაწყვიტენ ჯაჭვებს.
დასერილი გაქვს ფეხები და
გარბიხარ მთებში.

და შენ არ გხიბლავს
არც სალამო, არც ტანჯვა ჩემი
და არც მდინარე,
ოქროსფერს რომ განიჭებს თვლემას.

აღმოსავლიდან დასავლამდე
შენს ჯვარს ვატარებ

და შენი შუქი დიდებული
მხურვალე ძრწოლას ბადებს ჩემს
სულში.

ო, როგორ მიმიძმს
აღმოსავლიდან დასავლამდე
შენი ტარება, ჩემო დღეო,
ტარება შენი, შენი ფრთოსნების
და შენი ქარის.

ჩივილი სამარის პირად

ეკვრიან შავ ცას
ყვითელი გველები.

მე თვალხილული მოვევლინე ამ
ქვეყანას,

მაგრამ მივდივარ უსინათლო,
უსაზღვრო გლოვის მეუფეო!..

და აი —

ახლა იატაკზე
სანთელი თრთის
და ზეწარი თეთრი.

მე მიველტვოდი იმ სიმაღლეებს,
ღირსეულნი რომ აღწევენ მხოლოდ.
მოველ, უფალო!

და აი —

ახლა იატაკზე
სანთელი თრთის
და ზეწარი თეთრი.

ლიმონის ხე.
ყვითელი ფერის ლიმონები,
ლიმონები ქარში
ისროლეთ.

ხომ იცით, რომ... მერე,
მერე —

აქ იქნება სანთელი
და ზეწარი თეთრი.
ეკვრიან შავ ცას
ყვითელი გველები.

პ ე ი ზ ა ჟ ი

სალამო შეცბა ოდნავ,
აცივდა უცებ.

ბავშვებმა გარეთ გაიხედეს:
ბნელდება უკვე.
ხე-კი ათრთოლდა,
დატვირთული ყვითელ ჩიტებით.

სალამო ჩქარობს,
მდინარის პირად სურს დაიხაროს,
უგრძენია დალღა.
ვარდისფერ ვაშლებს
ჰგავს კრამიტები.
ქარი — კი მაღლა — მაღლა,
მიფრინავს სტვენით.

Memento

როცა მოგვედები,
გიტარით ხელში
მდინარის ქვიშას მე მიმბარეთ.

როცა მოგვედები...
ფორთოხლებს შორის,
ყოველ ყვავილში ვპოვებ სამარეს.

როცა მოგვედები,
გრიგალთან ერთად
სახურავებზე ვივლი სამუშად.

როცა მოგვედები —
ჩუმად!

მოდითა ხალხი

მოდითა ხალხი,
ახლოდებოდა შემოდგომა.

მოდითა ხალხი
ხშირ სიმწვანეში.
მოჰყავდა მამლები,
მოჰქონდა გიტარები
მწვანე ნარგავთა სამეფოში.
ოცნებობს წყარო,
წვეთები სცვივა.
იძგერე,
მხურვალე გულო!

მოდითა ხალხი
ხშირ სიმწვანეში.
ახლოდებოდა შემოდგომა,
ყვითელი — ვარსკვლავების
სიახლოვით,
ფრთოსანთა დარდით
და ზვირთების სიწყნარის გამო.
გახამებულ მკერდზე
დაქინდრული თავი...
შე! დეჰი,
სანთლად ქცეული გულო!
მოდითა ხალხი
და ახლოდებოდა შემოდგომა.

ბალი მარტში

ვაშლის ხეო!
შენს რტოებშია — ჩიტების და
ჩრდილთა სავანე.
ჩემი ოცნება მიჰქრის,
მოვარიდან მიჰქრის ქარში.
ვაშლის ხეო!
შენმა ხელებმა ჩაიცვეს მწვანე.

ჯერაც ჭალარა იანვარი
იგრძნობა მარტში.
ვაშლის ხეო...
(ქარი უსულო)
ვაშლის ხეო...
(ცა უსასრულო)

თარგმნა ნანა ხატისკაცმა



პაპლო ნაიუდა

პარიზის ზღვის ახალგაზრდებო

ო, სისხლიანი ბასეინის
ახალგაზრდობაჲ! —
თქვენ, —
უშიშარო კომუნისტებო!
თქვენი რიგები გაიზრდება
თანდათანობით,
თქვენი მიწა ჩვენი
ტირანთაგან გაწმინდოთ უნდა!

ერთ მშვენიერ დღეს
ჩვენ თავს მოვიყრიტ
გამარჯვების
დღად ზეიმზე!
მაშინ ხმა ჩემი აჟღერდება
ხალისიანად! —
თქვენს სახეებზე მოელვარე
სიხარული
გაათბობს ჩემს ხმას!..
მოახლოვეთ, მეგობრებო, ეს დღე

მაინც რამდენ ხანს

რამდენ დღეს ცხოვრობს
ჭკეყანაზე ადამიანი?
ათი ათას დღეს?
მილიონ დღეს?
თუ... მხოლოდ ერთ დღეს?
რით იზომება:
ერთი კვირით, თუ საუკუნით
მისი მიწაზე ფართი-ფურთი, —
გთხოვთ — მიპასუხოთ!..
კვდება?
ჰო, კარგი...
ვთქვათ — კვდება,
მაგრამ...
რა ვადით კვდება,
თუ ღმერთი გწამთ,
ესეც მითხარით...
რას გულისხმობენ,
როცა ამბობენ?
„მუდამ“, ან „მარად“,
„სამუდამოდ“
ანდა
„ყოველთვის“?..
70

მე ამ კითხვებით მღვდლებს მივმართე.
გაოცდნენ მღვდლები!
როგორც ეტყობა, —
ბევრ რამეში ვერ ერკვევიან
ჩვენი მღვდლები, და ზოგი რამე
არც ესმით კარგად...

გამოვიქეცი...
მივაშურე ნაცნობ ექიმებს,
რომელთაც სუნი ასდიოდათ
„სურომიცინის“...
ერთი მათგანი მომიგება
შაშარით ხელში...
მან ჩემს კითხვაზე
მიპასუხა
მწარე ღიმილით:
— გავანადგურეთ მიკრობები
მილიარდობით,
მაგრამ...
რაც დარჩა, —
საშიშია უფრო მეტადო!

მე დამაღონა პასუხმა მისმა
და მივაშურე მესაფლავებებს...

მათ ღიდი ამბით მოისმინეს
კითხვები ჩემი...

(ზოგი მათგანი ქირქილებდა
ირონიულად)

ბოლოს ერთერთი წამოდგა და
ღიმილით მითხრა:

— რა გითხრა იცი, ჩემო ძმაო? —

ჰკვიან კაცს გავხარ, —

მონახე ერთი გოგო ვინმე, —

ჩათქვირებული

და ნუ იწუხებ

სულელური კითხვებით თავსო!..

მერე წამოდგა და წყალივით
მოსვა არაყი...

დედამიწაზე ხალხს ვერ ნახავ

უფრო მხიარულს...

(მესაფლავენი ჩილიელნი

იყვნენ, იცოდეთ).

მუსაიფობდნენ, მღეროდნენ.

სეამდნენ:

ჯანმრთელობისას და ცხონებისას...

და, სხვათაშორის,

ერთმანეთსაც აღდგერძელებდნენ:

— იცოცხლე და იხარეთ! —

და ასე შემდეგ...

რალას ვიზამდი,

დავბრუნდი სახლში, —

ისე დაღლილი და დაქანცული,

თითქოს და ფეხით დედამიწას

შემოვუარე...

ახლა არ ვფიქრობ არაფერზე,

ვარ ჩემთვის ჩუმად...

ან ვის რა ვკითხო,

როცა ყველა

თვით ითხოვს პასუხს...

ჩემთვის თანდათან ყველაფერი

ნათელი ხდება!

თარგმნა გივი ძნელაძემ



პოსტა

შუადღის ხვატია.

ფოთლები უღონოდ ჰკიდია — კრ-კრ-კრრრ, — კრიალებენ კრიჭინობლები.

ფარდულქვეშ ძროხას თავი ჩაუყიდია, კუდით ზარმაცად იგერიებს ბუზებს. ჭანჭურების ჩრდილში შეფარებული ძელურის წინ, წიფლის ჯირკზე ზის ბაგრატი — ხმელ-ხმელი, წელში მოხრილი მოხუცი. გამოხუნებული ხალათი და ზოლიანი შარვალი აცვია. ხმელი, მზით დამწვარი კანჭები ორი ჯოხივით მოუჩანს შარვლის მოკლე ტოტებიდან. გახდილი კალოში იქვე აწყვია — მოხუცს ფეხისგულები მზისთვის მიუფიცებია, მოღრეცილ თითებს ათამაშებს, ძვლებს ითბობს.

ჭალარა, ბანჯგელიანი წარბები მკვირცხლ, თავლისფერ თვლებს ძეძვივით გადმოჰკიდებია. ჩაყარდნილ ტუჩ-პირს ჯერ კიდევ შავი უღვაში უფარავს. წლებითა და მზით გარუჯული სახე წვრილად დანაოჭებია და ჯაგარა წვერით დაჟვარვია.

მოხუცის მძლავრ ხელებში დანა მუშაობს — ხის ნაჭრისაგან სათამაშო ნავს თლის შვილიშვილისათვის.

ექვსი წლის ნუგზარს ტოტებგამლილ თუთისქვეშ სძინავს. ხელები თავქვეშ ამოუდევს და ფშვინავს — ნერწყვი გადმოსდის ლოყაზე. იქვე ლეკვი წევს. უკანა თათები გაუშლია, მრგვალი, ბომბორა თავი წინა თათებზე უდევს და თელემს...

კორტოხზე, ტყისპირას, ძალღმა შეჰყეფა. ლეკვმა ცალი თვალი გაახილა, მოხუცს გახედა და ისევ ჩათვლიმა.

მოხუცი ხედავს — როგორ მოაბიჯებს გოგონა სკრია-სკრ, ხან გამოჩნდება ~~ოღოლე~~ მზი თეთრი კაბა, ხან წაბლიანში თვალს მიეფარება. ცალ ხელში კალათა უჭირავს, მეორეში — ბოთლი. სადილი მიაქვს ციალას მამისათვის.

კარგი გოგონაა მეზობლის ციალა: ათი წლის ძლივს არის და უკვე მამას ეხმარება — სადილის გაკეთებაც იცის და სარეცხსაც ახერხებს. შარშანწინ მოუკედა დედა. ძნელი ბავშვობა შეხვდა ციალას. ვინ იცის, იქნებ ასეც სჯობდეს!..

მოხუცმა შვილიშვილს შეხედა, ამოიხვნეშა და გაშმაგებით განაგრძო რანდვა.

სათამაშო მზად არის — ვიწრო, უსკამო, ბრტყელძირიანი ნავი. ასეთი ნაეებით მეზადურები დასრიალებენ მტკვარზე. ბაგრატი თვალმოკუტვით გახე-

და ნავს, — მოეწონა თავისი ნახელავი; ხენეშით წამოდგა, ნავი სასთუმალთან დაუდო შვილიშვილს და შინისაკენ გაემართა.

მოშიენია მოხუცს — შავი პურის ნატეხითა და ყველის ნაჭრით გამოდის ეზოში, ჯდება ისევ, პურს ილოღნება და მინდვრებს გასცქერის. მდინარის მარჯვენა ნაპირზე ხის სახლები მიმოფანტულან ხეხილის ბაღებში. ადრე სოფელი შორს იყო მდინარისაგან, — ხეობაში, — წყაროების მახლობლად. ისეთი წყაროებია, რომ... ცივი, ცივი! შეუშვერ ხელს და პეშვშიც ცისფრად ლივლივებს...

როცა მინდორში მატარებლის გაჩერება დააწესეს, პაპა ბაგრატმა თავისი ძელური პლატფორმა-სთან გადმოიტანა. აქ უფრო ჯანმრთელი ადგილია, ხეობაში ნესტი იდგა და მზეც ნაკლები იყო. ბაგრატს სხვა კოლმეურნეებმაც წახედეს.. პირველად ნანობდნენ წყაროების მიტოვებას, ჰის წყალს აგინებდნენ, ომის შემდეგ კი წყაროებიდან წყალი გამოიყვანეს.

მოხუცი მინდვრებს გაჰყურებს: მთას გადაღმიდან, იქ, სადაც მდინარე უხვევს და თეთრად აქოჩრილი ზვირთები მოჩანს, მატარებლის გრძელი, რკალად მოხრილი შემადგენლობა გამოჩნდა.

თბილისის მატარებელია. თვალი უჭრის მოხუცს და ხედავს, რომ პლატფორმაზე არც არავინ ჩამოდის ვაგონებიდან და არც არავინ ადის. ვისა სცალია ახლა სამგზავროდ?! მთელი კოლმეურნეობა დიდთან-პატარიანად უთენია წავიდა ბაკურიანის მთებს გადაღმა სათიბებში.

— უ-უ-უ-! — იმეორებს ეხო ელმავლის ძახილს.

მატარებელი ტყეს მიეფარა.

და ისევ დუმილი. მდინარის ბუტბუტილა სწვდება მოხუცის სმენას.

უყვარს მოხუცს მდინარის მონოტონური ბუტბუტის ყურის გდება, ტყის შრიალი, სერების თავზე ცაში მოტივტივე მიმინოების წივილი: საათობით შეუძლია უყუროს და დატბებს, წვიმის წინ, ფერწასული ცით, სადაც სწრაფად, თითქოს თოვზე გამოუბამთ და ეზიდებიანო, ერთმანეთს მისდევენ ღრუბლები. ავდარში მთებს ჯანლი მოეჯარება, ხეობებიდან ქულა-ქულა გამოტივტივდება ნისლი და მუქ-მწვანე ნაძვებს იმ ნისლში, კაცს ეგონება, ჯერ ცეცხლი არ წაჰკიდებიათ, მაგრამ თეთრად კვამლი ასდითო.

თუ წვიმს, ათასნაირი ხმა ესმის მოხუცს; წვეთები — შ-შ-შ, — მსუბუქ, ერთფეროვან ხმას გამოსცემენ; ხანგამოშვებით, არარიტმულად, უფრო მსხვილი წვეთები მოხშირდებიან ხეებიდან; სახურავიდან ჩამონადენი წყალი მხიარულად და გაბედულად ჩხრიალებს. ხოლო როცა მეზობელი ჩხრიალა ნაკადს ტაშტს შეუდგამს, საცეკვაო ჩაღდება.

ახლა ცაზე ღრუბლის ჭაჭანება არაა. ცის ვეებერთელა მოლურჯო ჯამი სერებით შემოზღუდულ პატარა ველს დამხობია და გავარვარებული მზის მხურვალეებას გამოსცემს.

რძალი ბორჯომს გაემგზავრა, — შუადღის მატარებლით დავბრუნდებიო, — დაიბარა. მოსწყინდა სოფლად. ბორჯომ-პარკში კი კონცერტებია, კინოები. თითქმის ყოველდღე გამოეწყობა ხოლმე და მიემგზავრება. პაპა უკმაყოფილო არ არის ამით — შვილიშვილთან რჩება. ნუგზარიც გახარებულია, რომ დედა ხელს არ უშლის პაპასთან ერთად ტყე-ტყე იხეტიალოს.

დღეს ორნი დარჩნენ შინ. — ბებიაც ბორჯომს გაემგზავრა აბაზანების მისაღებად.

ბაგრატმა თავი გადიქნია და უღვაშებში ჩაიცინა: ჰმ! უყურე ამათ! დედა-ბერიც გადარია რძალმა! ანას კუჭი ასტივდა. წინათ სულ უბრალო საშველი

ჰქონდა კუჭის ტკივილს: მოადულებდი შემოდგომაზე ფიჭვის გირჩას და სვამდი ნადულს; ხელათ ქრებოდა კუჭის ტკივილი. ახლა, „კუჭი სერიოზული რამ არის, უნდა იმკურნალო“, — თქვა რძალმა და დედებერმა თბილისში იწყო მისვლა-მოსვლა ექიმებთან.

ყოველთვის, როცა ქალაქიდან დაბრუნდება, ანა აღტაცებით უამბობს ბაგრატს ვაჟიშვილის ახალ ბინაზე. ეს პარკეტიო, ეს სააბაზანო და მაცივარიო... ყურს უგდებს მოხუცი და კმაყოფილებით ელიმება. ესახელება ვაჟიშვილი — სახელგანთქმული მემანქანე მთელს ამიერკავკასიის რკინიგზაზე. მაგრამ გულს აკლია ამავე დროს, გიორგი შორს ცხოვრობს მისგან — ქალაქში.

ირმისწყაროში იშვიათად ჩამოდის გიორგი — წელიწადში ერთხელ. ქეთო ნუგზართან ერთად ზაფხულის თვეებს სოფლად ატარებს. შემდეგ ვაჟს მოხუცებთან დატოვებს და ქმართან ერთად ზღვაზე, ჭანატორიუმში მიემგზავრება. იქიდან რომ ჩამოივლიან, ნუგზარიც თან მიჰყავთ თბილისში.

ცოტ-ცოტას ყოველთვის გზავნის გიორგი შინ ფულს. მამასთან რომ ჩამოვა სოფლად, სიამოვნებით ფუსფუსებს ბაღში, ტყეშიც წავა შეშაზე, მაგრამ მალე ყველაფერი ბეზრდება.

ერთხელ, ბაღის ბოლოში რომ ორი ალვის ხეა იმათ ჩრდილში იჯდა გიორგი. თუ გახსოვს, რა ხეებია ესენიო? — ჰკითხა მოხუცმა.

უსიტყვოდ დაუქნია თავი. იცოდა გიორგიმ: ალვები მისი და მისი ძმის დაბადების დღეს იყო დარგული მამის ხელით.

— ალვის ხეებილა დაძრია, შეილო, თქვენს მაგივრად! — ჩაიბუზღუნა მოხუცმა.

გიორგიმ ამოიოხრა.

— შენ იცი, მამა, როგორ ვცხოვრობ ქალაქში! ირგვლივ ასფალტია, სისუფთავე... აქ რომ ყელამდე ტალახია გაზაფხულ-შემოდგომობით, ასე კი არა! კინო ყურისძირში და თეატრი! ახლა ცენტრალური გათბობა, ელექტროსინათლე...

— ელექტრონი ჩვენც მალე გვექნება!..

— არ გინდა გამიგო, მამა! მარტო ელექტრონში არაა საქმე. რეისიდან რომ ვბრუნდები, გამოვიცვლი ტანსაცმელს და თავისუფალი კაცი ვარ. აქ? დილიდან საღამომდე ყანაში უნდა იყო. შენ შეეჩვიე ყველაფერ ამას, სხვა ცხოვრება არ გინახავს და ამიტომ ვერც გამიგებ.

— მე კი არ შეეჩვიე, — თვალები აენთო მოხუცს, — შევეყვარე... მიყვარს ყველაფერი ეს...

და ხელით მოხაზა შორს გაშლილი ველ-მინდვრები.

— რატომ გგონია, რომ მე არ მიყვარს? — აენთო გიორგი, — მაგრამ ჩემი ელზავალი, ჩემი სამუშაო და საქმე მირჩევნია. შენ თვითონ მასწავლე შრომის სიყვარული, მამაჩემო.

დიდხანს კამათობენ. ბრძოლის ველს მოხუცი ტოვებს პირველი, მაგრამ გაცლისას მაინც ქამანდივით ისერის ბოლო ფრახას:

— ერთი არ ვიცი, ერთი — ეს სახლ-კარი ვის რჩება ჩემს მერე!

უმცროს ვაჟზე ძალიან გულნატკენია მოხუცი. ნიკო გვიან ეყოლათ ანას და ბაგრატს, ახალგაზრდები აღარ იყვნენ უკვე. ბიჭი ხშირად ავადმყოფობდა ბავშვობაში, რის გამოც უფრო მეტად დედასთან უხდებოდა ყოფნა. სათიბში მიდიოდა ბაგრატი თუ ტყეში, თან გიორგი მიჰყავდა, ნიკოს კი არ ატანდა ანა. თავი გაანებო, ეუბნებოდა ქმარს, სუსტია, სკოლაში რომ დადის, იმიტაც კი იღლება, შინ იყოსო. შენ რომ იშრომე და ისწავლე — ისიც გეყოფა, ახლაც

დღე და ღამე მინდორში ხარო. გიორგი სულ შენთანაა, მე კი მარტო ვარ, ეს უმცროსი მაინც დამიტოვე სახლშიო.

თავისას რომ მოჰყვებოდა დედაცაი, შენ გააჩერებდი?! და მარტო მიდიოდა ბაგრატი ტყესა და ყანაში, ნიკოს შინ ტოვებდა. მერე და მერე მიეჩვიო უმისოდ იოლად გასვლას; მიეჩვივნენ ოჯახში იმასაც, რომ ყველაფერი საუკეთესო ნიკოს ჯამში ამოყოფდა თავს — სუსტია ჯანმრთელობით, უნდა მოიკეთოს, მომაგრდესო. წესად იქცა, გაჩნდებოდა თუ არა ოჯახში ფული, უმცროსზე იხარჯებოდა; ხან მეშვიდე კლასში გადავიდა და ახალი კოსტუმი ვუყიდოთო, ხან... არ უჭირდა ანას საბაბის შოვნა დედას ბიჭისათვის.

ზორბა და ღამაზი ვაჟცაი დადგა ნიკო, თბილისში გაემგზავრა და ინსტიტუტში მოეწყო, დედას გაუგონა: უმცროსმა მაინც დაამთავროს უმაღლესიო. ინსტიტუტი მაინც ვერ დაამთავრა! გამორიცხეს ორიანებისათვის. შინ დაბრუნება აღარ ისურვა და დაეხეტება უსაქმოდ ამ ქვეყანაზე. ჯერ სოხუმში ფიზკულტურის მასწავლებლად იყო, მერე ბათუმში მენავედ, ქუთაისში, ფარდულში წყალს ჰყიდდა — ყველგან გამოაგდეს; ახლა ღმერთმა იცის სად არ დადის, რას არ ჰყიდულობს და ჰყიდის!

ეხ, ბებერო, ბებერო! როგორ გამოგრჩა შენი შვილი მხედველობიდან?! როცა გაახსენდა და თავში ხელი შემოიკრა, გვიანდა იყო.

ჩავიდა თბილისში ბიჭის ჩამოსაყვანად, დააკვირდა: სახის ნაკვებით, მთელი იერიით — დედამისია გადაწურული, მარტო ცხვირი და შუბლი აქვს მამის, მზერა და თვალები კი — სხვისი, უცხოსი! პირდაპირ არ გიყურებს, თვალებს მალავს, გაგარეულდა, აზრიც უცხოსი აქვს: სოფლად არ დავბრუნდები, თავს გაკითხნა რამენაირად, ჩემისთანა კაცი თავს არ დაჰკარგავს ამ ქვეყანაშიო.

— კი მაგრამ, დედა რომ გელოდება, ბიჭოს?! როგორ დავიჯერო... — ვეღარ დაასრულა მოხუცმა.

ნიკომ გაიღიმა და მხრები აიჩიქა. მოხუცს სურვილი დაებადა გაღიმებულ ცხვარ-პირში გაერთყა, მაგრამ ხელი არ დაჰყვა ნებას, — ისე ჰგავდა შვილი დედას.

ჰოდა, დარჩნენ ბებრები უმცროსის გარეშე.

მწარეა ამაზე ფიქრი, მაგრამ ათასი აზრი დაუკითხავად, თავისით დაცოცავს გონებაში, განსაკუთრებით, მძინარე ნუგზარს რომ შეხედავს მოხუცი.

წლინახევრის იყო ნუგზარი, დედამისმა რომ სოფელში ჩამოიყვანა. გოგოსავით ჰყავდა ჩაცმული, ხვეული კულულები მხრებზე ჩამოსცვენოდა. როგორც კი რძალი ბორჯომს გაემგზავრა, მოხუცმა მოსძებნა თავისი ძველი საკრეჭი მანქანა და ბიჭს თავი გადახოტრა. იმ დილითვე სანადიროდ წავიდა. როცა დაბრუნდა, რძალს ქოთქოთი უკვე მოემთავერებინა, გულმოსულად უყურებდა მამამთილს, რომელიც თავის დაკოჟრილ ხელს ალერსით უსვამდა შვილიშვილს მრგვალ, გადახოტრილ თავზე.

*

მოხუცი აღარ ილოდნებოდა. ფიქრში წასულს, მარჯვენა ხელი, რომელშიც პურის ნატეხი ეჭირა, მუხლზე ჩამოჰკიდებოდა. გამოძვრა სახლქვემოდან მამალი, დიდი სიფრთხილით, ცერად მიუახლოვდა მოხუცს, გამოსტაცა პური და მოჰკურცხლა.

მოხუცს გაეცინა: აფსუს, რა დროს სძინავს ბიჭს!

ნუგზარს ძლიერ უყვარს, როცა პაპა მხეცებზე და ფრინველებზე უამბობს.

— გიამბო ზღაპარი დევებზე? — ეკითხება პაპა.

— არა, თხაზე ჯობია.

ზღაპარი თხის შესახებ პაპამ თვითონ გამოიგონა, მაგრამ უკვე აღარ ახსოვს და ახლა ახლის გამოგონებას ცდილობს.

— იცი, მე შენ რას გიამბობ? როგორ ცხოვრობენ ტყეში მხეცეები!

— მაშინ, ჯობია ტყეში წავიდეთ, — ეხვეწება ბიჭი.

— ტყეში ხვალ წავალთ, ახლა კი ყური მიგდე: — იყო და არა იყო რა, იყო ტყეში ერთი დიდი დათვი...

უსმენს ნუგზარი, უსმენს, და პაპას მკერდზე თავმიდებულს ჩასთვლემს.

დილით კი ჩამონაცვენი წიწვის ფაფუკ ფარდას ტყე-ტყე მიჰყვებიან: წინ — შვილიშვილი, უკან, ცელით ხელში — პაპა. ნახევრად ბნელა და ხავსის, ფისის და სოკოს სუნით გავსებულია ტყერი.

— ეს რა არის, პაპავ? — დასწვდება ბიჭი ჩიტუნას წვრილ ძვლებს.

— ძვლებია, შვილო. ქორს ჩიტი დაუჭერია, ბუდეში მოუტანია, ხორცი უჭამია, ძვლები კი გადმოუყრია.

ბავშვი სერიოზული გამომეტყველებით შეჰყურებს პაპას თავისი დიდი, თაფლისფერი თვალებით; პაწია შუბლი ეჭმუხნება, პირი ნახევრად ღია დარჩენია, საგონებელში ჩავარდნილა. მერე ეუბნება:

— პაპავ, მოჰკალ ქორი! კარგი?!

მიაბიჯებენ ისევ.

— პაპავ, რა სოკოა ეს?

— ნიყვი.

— იჭმევ?

— ჰო. ოღონდ ეს უკვე გამხმარა, დაჭიანებულა. გადააგდე. სოკო ნაწვი-მარზე უნდა მოჰკრიფო.

ტყისპირას მოხუცი ძირს იხრება.

— შეხე, ნუგზარ.

პაწია ფოთლებქვეშ მარწყვის ციცქნა მარცვლები შეყუჟულან. ნუგზარი სიხარულის ყიჟინით ეცემა მარწყვს, ჰკრფს, აივსებს მუჭს და პირში გადაუხახებს. უცებ გაახსენდება, შეკრთება და დამნაშავესავით შეაეჭვრდება პაპას.

— მე არ მიყვარს, — იღიმება პაპა.

მზით გავსებულ. მოზრდილ მაღლობზე გამოდიან. მდელოზე — მაღალი, სურნელოვანი ბალახი, ყვითელი და ცისფერი ყვავილებია.

მოხუცი იხდის ხალათს, თხილნარქვეშ ჰფენს და ზედ შვილიშვილს სვამს. ნუგზარი გაფაციცებით შესცქერის პაპას — მზემ რომ არ შეაწუხოს, თავზე კრელი ცხვირსახოცი წაუკრავს ბაგრატს, დაძარღვული ხელებით ცელისპირს ტარზე არგებს. მოიქნია ცელი. ნაბიჯი წინ წადგა.

იქნევს ცელს და ბალახი მიწას ეფინება.

— ერთი-ორი, ერთი-ორი! — ითვლის ნუგზარი და ტაშს სცემს. — პაპავ, გამიკეთე პატარა ცელი, მეც მინდა ვთიბო.

მოხუცი იცინის:

— კეთილი, გაგიკეთებ.

ნუგზარი დგება, მჭრელი ცელით მოთიბულ ანა-გვირილას იღებს და ხელში ატრიალებს.

— პაპავ, არ გეცოდება, ყვავილს რომ თიბავ?

მოხუცი შეჩერდება და ჩაფიქრდება.

— ყვავილიანმა ბალახმა სურნელოვანი თივა იცის, შვილო. თივას ძროხები შეჭამენ და ბევრს მოიწველიან. ხომ გიყვარს რძე?

— მიყვარს.

— ჰოდა, თუ გიყვარს...

ისევ ელავს მოხუცის ცელი მზეზე.

როცა მდელის პირშიდან გათიბავს, მოხუცი ოფლს შეიმშრალავს, ცელს ტარზე მიაკრავს თასმით და ტყეში შვილიშვილთან ერთად ფიჩხს მოაგროვებს.

სადილობისას შინ ბრუნდებიან. პაპას ბეჭზე ფიჩხის მოზრდილი კონა გაუდევს, შვილიშვილს — ნაძვის ხმელი ტოტი.

ტყე უკან დარჩა. ოლე-ოლე ბილიკი მიიგრიხება. გადაჭრა თხრილი, რომელიც თავდადმართში სადღაც ძირს ეშვება.

— პაპავ, რისთვისაა ეს თხრილი?

— მაგაში მორებს აცურებენ ტყიდან.

— ექეჰეი! — მოისმის ზემოდან ვილაყის ომახიანი ძახილი.

— ექეჰეიი! — ისმის ეხო.

გაისმის ჩლიქების ჩქარი ბაკუნია... ხარებს მიწის ფხოვნითა და ბუჩქნარის ლაწალუწით მსუბუქად მისდევს ჩასკვნილი ვაჟაკი.

— გამარჯობა, ბაგრატი! — გამოსძახებს მოხუცს და გვერდით ჩაუფრენს.

ნუგზარს აღტაცებისაგან პირი დაუღია, დიდხანს უკან გაჰყურებს მამაც ვაჟაკს.

— პაპავ, შეგიძლია აგრე?

ბაგრატი დუმს. მერე თვალი გაუბრწყინდება, ფიჩხის კონას გამეტებით ისვრის თხრილში და კონაც ბზრიალით მიფრინავს ძირს. წუთიც და, შვილიშვილი მხრებზე უზის მოხუცს. მსუბუქად ინაცვლებს ფეხს და მირბის თავდადმართში, ცალი ხელით ნუგზარს იჭერს — არ გადმოვივარდესო, მეორეთი ცელს მიითრევს თხრილში და სირბილს ანელებს.

გარბიან აღმართში ხეები, ბუჩქები. ბიჭს სუნთქვა ეკვრის.

გულმოვარდნილი მოხუცი ძირს ჩამოსვამს შვილიშვილს.

— მოვედით. კარგი იყო?

— კარგი, — უხალისოდ პასუხობს ნუგზარი, დიდ თვალებს შეანათებს და გაუმხელს:

— იცი, პაპავ, შემეშინდა.

— არაფერია! — ამშვიდებს მოხუცი, — მალე თვითონაც ისწავლი მთაში სირბილს.

*

ვეება ღრუბელი მზეს გადაელობა და მინდორს გრძელი ჩრდილი დაეცა. ყანისპირებზე მზესუმზირებმა თავები ჩაჰკიდეს. ნიავემ ტყიდან ფიჭვის მკვეთრი სურნელი მოიტანა.

თავი ჩაეკიდა და თვლემდა მოხუცი.

ქალის სიცილმა გაადვიდა.

— შენი ჭირიმე, შენი! — იმეორებდა ქეთო სიცილით, თან შვილს კოცნიდა. ბიჭი დედის ხელიდან დასხლტომას ცდილობდა, ფეხებს იქნევდა და ისიც სიცილით კვდებოდა. ხელში აიტაცა დედამ და შინ წაიყვანა.

— შეხე, როგორი ნაღი მაქვს! — ახალი სათამაშო აჩვენა დედას, — პაპამ გამიყვანა.

მოხუცმა ზეცას ახედა. კარგა გვარიანად სძინებია, უკვე მეხუთე საათია, ალბათ, ხაშურის მატარებელი არ იქნება ჩამოსული. ქეთო, ალბათ, ავტობუსს

ჩამოჰყვა. დედაბერი კი არ ჩანს — აბაზანაშია ამდენ ხანს, დავიჯერო?

ადგა ბაგრატი, ძროხა მინდორში გაავდო და ისევ მობრუნდა.

— ქეთო, — გასძახა რძალს, — ანიკო არ გინახავს ბორჯომში?

— უიმე, სულ დამავიწყდა! — გამოჰყო რძალმა ფანჯრიდან მოკლედ შეკრეჭილი, დახუტუჭებული თავი, — როგორ არა! დასთან შევივლიო, დამაბარა. სალამოს ჩამოვალო... ველარ გითხარი, სულ დამავიწყდა...

— დავიწყდა! — ხმადაბლა გამოაჯაგრა მოხუცმა.

წიწილები გამტვრეულ ღობეში გაძვრნენ და ბოსტანში სტაფილოს კვალს მისდგნენ. მოხუცი ღობეზე გადავიდა და წიწილები ბოსტნიდან გადარეკა. შესაკეთებელია ღობე, მთლად დაიშალა, ფუ, შარვალს როგორ ედება ეს ოხერი!

მოხუცმა გახეულ შარვალს დახედა, თავი გადააქნია. ა, საქმე გაუჩინა დედაბერს!

ოთახიდან ნუგზარის კისკისი მოისმოდა. ყური მიუგდო, დასწვდა სარს და წალდით ჩორკნას შეუდგა.

წალდის ხმაზე შევილიშვილმა მოირბინა: აბრეშუმის ხალათი ეცვა და ნაქსოვი შარვალი; ხელში პლასტმასის გლისერი ეჭირა.

— დედამ ჩამომიტანა ბორჯომიდან, — თავმომწონედ უთხრა ბიჭმა.

— კარგია! — ზედ არ შეუხედავს მოხუცს.

— ნუგზარ, — გადმოსძახა დედამ, — სადა ხარ? კოსტუმი არ დაისვარო! შორს არ წახვიდე, აივანზე ითამაშე!

— აქ ვიქნები, დედა, — უპასუხა ბიჭმა, — პაპავ, მაგას რას აკეთებ?

— ღობე მაქვს შესაკეთებელი.

— შეიძლება მეც ვიხმარო წალდი?

მოხუცი წელში გაიმართა, შევილიშვილს შეხედა, მერე სახლს. წალდი შორს დაასო მძლავრად, სახლზე მიშენებულ ძეღურში შევიდა და იქიდან პაწია წალდი გამოიტანა.

— აპა. შენ, პატარა წალდი. აპა, სარიც. ბოლო წაუმახვილე. მაგას მერე ღობეში ჩავსობთ, და წიწილები ველარ გადაძვრებიან. ოღონდ, ფროხილად, თითზე არ დაიკრა.

— ნუ გეშინია, პაპავ, ფროხილად ვიხმარ, — ეუბნება სიხარულისაგან აწითლებული ნუგზარი, იღებს ხელში წალდს და იწყებს სარის წამახვილებას — პაპას ჰბადავს მუშაობაში, მის ყოველ მოძრაობას იმეორებს.

დავიწყებული, მიწაზე დაგდებული გლისერი შენიშნა მოხუცმა, გაეღიმა, დასწვდა გლისერს და ფანჯრის საფარზე შემოდო — მაღაზიაში ნაყიდი სათამაშოა, ფულია შიგ მიცემული, გატყდება შემთხვევით და...

გილ-მინდვრებს კვლავ დაჰნათის მზე.

სიწყნარეა.

სადღაც მტკვარი ბუტბუტებს.

და ისმის წალდების კაკუნი: მძლავრი და რიტმული — ბერი პაპისა, სუსტი და გაუბეღავი — ყრმისა.

თარგმნა ელენე ჭავჭავაძემ





ნახატი ჯემალ ლოდუასი

საკვირველია, ვინც კი ნახავდა ჩვენს დიდ წითელ ჰამალს, ბალისა და ეზოს მშვენებას, ქათამთა და ვარიკათა სიამაყეს, ჩვენს შეკითხვაზე: „აბა, დაფიქრდით, ვის გაგონებთ, რომელ გვირგვინოსანს?“ თითქმის ყველა ერთსა და იმავეს ამბობდა:

— დაიცადეთ, დაიცადეთ... ჰო, შაჰაბაზს!

— აღმოსავლეთის რომელიღაც მპყრობელს... რაღა რომელიღაც, შაჰა-ბაზს!

— რა თქმა უნდა, შაჰაბაზს!

დიდი იყო ჩემი და ზურიას სიხარული, ნათლიები ხომ ჩვენ ვიყავით! და ესეც რომ არა, განა ჩვენს უბანში, ან გვირგვინის უბანში, ან გორიჯვარზე და თუნდ მთელ ჩვენს პატარა ქალაქში შაჰაბაზასთანა მამალი მოიძევე-ბოდა?

ვერ გეტყვით, რად დეარქვით მაინცდამაინც შაჰაბაზა.

იქნებ იმიტომ, რომ სისხლისფერი ჯილა ნიადაგ შემართული ჰქონდა, როგორც ნიშანი ძალმოსილებისა, როგორც სიმბოლო მეფური ღირსებისა და მამაკაცური დაუცხრომლობისა. ან იქნებ იმიტომაც, რომ აღმოსავლეთის მპყრობელთა მსგავსად, ჩვენს მამალსაც ფარჩა-ძოწეული ემოსა და დიდი შავი ბოლო სადაფში ამოვლებულს უგავდა.

ერთხელ სიზმარში ენახე შაჰაბაზა. უსაზღვრო იყო ჩემი სიხარული და გაოცება. ფარჩმალ აესხა, ფაფარმოკლე კეციზე გადამჯდარიყო და მოგე-ლავდა. თან ღეზებს გაჰკრავ-გამოჰკრავდა ხოლმე კეცის ფერდებზე.

მე და ჩემი ძმა ზურია ხომ შაჰაბაზათი გატაცებულნი ვიყავით, სიზმა-რსა და სინამდვილეს ჩვენთვის ერთი ფასი ჰქონდა, ერთნაირად გვიხარებდა გულს; ამიტომაც ამის შემდეგ შაჰაბაზა მხედარმთავრად შევრაცხეთ და

მისი დეზები, ისევე როგორც გვირგვინი და მეფური სამოსი, დიდ მოწიწებას აღგვიძრავდა.

შაჰაბაზას სამფლობელო ჩვენი ეზო და ბაღი იყო. მას ეკუთვნოდა მწვანე ბალახი, ძირზე ნაცარწყარილი ლეღვები, რხეული ალუბლები და ნაირ-ნაირი ჯიშის ვაშლები. მას ეკუთვნოდა აგრეთვე ზამთარგამოვლილი, დამპალი თივის ზვინი ეზოს ბოლოში და, რაც მთავარია, რაც შნოსა და ლაზათს სდებდა იმს არსებობას და ურომლისოდაც შაჰაბაზა აღარ იქნებოდა შაჰაბაზა — საკუთარი მრევლი და ჰარამხანა: შვიდი რჩეული დედალი.

იქნებ იცოტათ, იქნებ თქვით, რომ ჩვენი მამლის დიდი სეხნა ოცჯერ და ორმოცჯერ დიდ ჰარამხანას ჰფლობდა და მისი უზარმაზარი სახელმწიფოს საზღვრებიც შორს იყო გატყორცნილი.

შაჰაბაზას ვრცელი და ხალვათი მამაკაცური გული ჰქონდა და სიყვარულის ხელოვნებასაც ზედმიწევნით ჰფლობდა. (სიყვარული მართლაც ძალიან ჰგავს ხელოვნებას, სიყვარულიც უსაზღვროა, განუყოფელი, მრავალწახნაგოვანი და უშუალო ხელოვნებასავით).

უყვარდა შაჰაბაზას ჩოლოყაც, ნაცარაც, ჭრელაც, ქოჩორა-ქოჩიაც, ფიფქია და ღაბუა, შარშანდელი ვარიკები ხომ... ყველა ისინი ხომ მშვენიერი ქალები იყვნენ, სიცოცხლითა და ჯანღონით სავსენი; ყველა ისინი ხომ უმურვე-ლი სატრფონი და უერთგულესი მეუღლენი იყვნენ შაჰაბაზასი; მაი, ყველას ჰქონდათ უნარი დღისით, მზისით უსაზღვროდ ინტიმური ყოფილიყვნენ, და ყველა ისინი უყვარდა შაჰაბაზას გაუნელებელი, მამაკაცური სიყვარულით.

საკვირველი ის იყო, რომ შაჰაბაზას უკვე ხანში შესული ნარგიზაც უყვარდა. შაჰაბაზამ იცოდა, რომ ნარგიზა უკვე სამი თვეა საბოლოოდ მოიღია, ისიც, რომ თავი უცანცარებდა და ერთხელ ჩაეცნკვით თავისდღეში სიმინდს ვერ გადაჰყლაპავდა. მაგრამ შაჰაბაზას მაინც არ შეუწყვეტია, ნარგიზასთან ურთიერთობა და თავიც ისე ეჭირა, თითქოს ნარგიზა ძველებურად სასურველი და მიმზიდველი ყოფილიყოს მისთვის. ამ იშვიათი სასიყვარულო ექსცესების შემდეგ ნარგიზა თავს უმშვენიერეს ქალად დაისახავდა ხოლმე და ცანცარის მაგივრად თავს ოდნავ, სულ ოდნავ არხევდა, თითქოს ის ისევ მომხიბლავი ქალწული ყოფილიყოს. ეს კი მას დიდად შველოდა სიმინდის აკენკვაში ერთი-ორი დღით მაინც.

აი, რა კეთილ საქმეს აკეთებდა შაჰაბაზა, აი როგორი რაინდი იყო!

სიტყვამ მოიტანა და იმიტომ ვთქვი ნარგიზაზე, თორემ პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ჩოლოყა უნდა დასახელებულიყო. ჩოლოყა — ჯიშისანი წითელი დედალი, ყოველდღე კვერცხის მდებელი, სიღარბაისლითა და სიბრძნით აღსავსე მანდილოსანი არასდროს არ მახსოვს კვერცხის დადების შემდეგ ქოჩორა-ქოჩიასავით ისტერიული კაკანი აეტეხოს, მაგრამ მის ქათმურ სახეზე ისეთი ღირსება აღიბეჭდებოდა, მისი ზვიადი მიხრა-მოხრა ისე აშკარად მიუთითებდა მაღლით დაკისრებული მოვალეობის პირნათლად მოხდაზე, რომ მოჰკრავდა თუ არა ბებია თვალს ლეღვის ქვეშ ნაცარში განცხრომით ჩაყუჩებულ ჩოლოყას, გამოგვძახებდა: — სადა ხართ, ბავშვებო, რას აკეთებთ, წადით, ჩოლოყამ კვერცხი დადო და მოიტანეთო.

ნეტავი ოდნავ მაინც ჰგვანებოდა სიღარბაისლითა და სერიოზულობით ჩოლოყას ქოჩორა-ქოჩია. მისი კვერცხის დადება ქვეყანას უნდა გაეგო.

ქოჩორა-ქოჩიასთვის ბუნებას თვალებამდე ჩამოფხატული ქოჩორი მიემადლებინა. შავგვრემანი იყო ქოჩია, ქოჩორიც შავად უბზინავდა. ეს დედა-ლი ბებიდამ სოფლიდან გადმოგვიყვანა და ქათმები, სანამ მიეჩეოდნენ,

სულ ქოჩორში სცემდნენ და უნისკარტებდნენ. დიდ შურსა და ბრახს აღუძრავდათ ქოჩიას შავი ქოჩორი.

ეს დედალი კარგა ხანი იყო ჩვენთან ცხოვრობდა, მაგრამ სოფლიდან ჩამოყვანილი — სოფლელებს დარჩა. მას ბუნების ყველაზე დიდ საკვირველებად კვერცხის დადება მიაჩნდა. მიაჩნდა, მიაჩნდა, არც არვინ ცდილობდა მის გადარწმუნებას, მაგრამ ეს გამაყრუებელი, ისტერიული კაკანი რაღა იყო!

შაჰაბაზა მაშინვე გაენთებოდა საქათმისაკენ და ყოველთვის ერთსა და იმავე სურათს წააწყდებოდა: ურბენდა გარშემო საბუღარს ქოჩია და გადაბრჯნილი კაკანებდა. ზოგჯერ რაღაც ძალა შეაჩერებდა; ჩაჰყოფდა საბუღარში ნისკარტს და კვერცხს გაუსვ-გამოუსვამდა:

— საოცრება, საკვირველება!!! კვერცხი, უყურეთ კვერცხი! ეს მე დაგდე, გეფიცებით ნამდვილად მე! მოინდომეთ და ყოველი კვერცხი ქულა წიწილას გამოჩეკავს! ამაზე საოცარი კიდევ შეიძლება რაიმე იყოს?!

შაჰაბაზა ფრთას გაშლიდა, მოხვევდა ქოჩიას და ძლივს დაატოვებინებდა საბუღარს. მაინც კი ეს სოფელი, აღტაცებული ქალბატონი მხარუკულმა ისევ საქათმეს გაჰყურებდა.

ჭრელა და ნაცარა ერთმანეთს გადახედავდნენ.

— რა მოხდა ბოლოს-ბოლოს! ეგეთ კვერცხებს კი ვდებთ, რომ ქვეყანას არ ჩამოვიცვამთ ხოლმე! აი, უმშვენიერესი ღაბუა და უნახესი ფიფქია, ისე ჩუმად დადეს პირველი კვერცხი, პირველი! ეს ხუმრობა საქმე ნამდვილად არ არის, მაგრამ ხმა კი ამოუღიათ?!

რა იცოდნენ ჭრელამა და ნაცარამ, რომ ფიფქია და ღაბუა თანამედროვე ქალები იყვნენ და ბუნების საოცრებათა წინაშე ასე იოლად წარბს არ შეხრიდნენ.

ჭრელას იმიტომაც არ მოსწონდა ეს გამაყრუებელი კაკანი კვერცხისა და წიწილების გამო, რომ თავის წარსულს აგონებდა. ჭრელამ ხომ ერთ გაზაფხულს დედობა მოინდომა და თავიც გადაიკლა. რაღას არ აკეთებდა ბებია: დღეში ორჯერ მაინც, ცივ წყალში აბანებდა, რომ დედობისადმი მხურვალე მისწრაფება გაენელებინა. გოდორქვეშაც ვინ იცის რამდენჯერ ამოსვა, მაგრამ არაფერმა არ გაჭრა. ძალს ბებია იყო, ძალს — ჭრელა, და საბოლოოდ მაინც გამარჯვება სიცოცხლისა და გამრავლების ცხოველმყოფელ ძალას დარჩა: ჩვენმა ჭრელამ ფუნჩულა ქულა წიწილები დაჩეკა. მაგრამ, ალბათ, იმიტომ, რომ ძნელად მიაღწია დედობას, დიდი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა და დიდი ენერგიაც წინასწარვე დაეხარჯა, — ჩვენს კრუხს საფანელი ბოლომდე არ ეყო და წიწილებზე მალე აიყარა გული. ახალფრთა-შესხმულებს გაანება თავი. საცოდავად დაწივწივებდნენ პაწიები. ბებია, რაღა თქმა უნდა, საქმეში ენერგიულად ჩაერია. პალოც მოიშველია, ჩხუბიც, მაგრამ, როგორც დასაწყისში, ახლაც არაფერმა გასჭრა. ბებიას ავიწყდებოდა, რომ როგორც ყველა ცოცხალ არსებას, ჭრელასაც ვნებები ამოძრავებდა და მორალის კითხვა და უდაბნოსა შინა ღაღადი ერთი იყო.

იმ დროს შაჰაბაზამ ნამდვილი ადამიანობა გამოიჩინა, წიწილები უპატრონოდ არ დაყარა და თვითონ დაუდიოდა, სანამ ბებიას სოფელში არ გაეუფზავნეთ.

აი, ყველაფერი ამის გამო იყო, ქოჩიას კაკანზე ჭრელა რომ აიმრიზებოდა ხოლმე.

მაგრამ მაინც კი ქოჩიას კაკანი ყველაზე მეტად გულს უკლავდა და შეეურაცყოფდა ნარგიზას. ნარგიზა მოუხშირებდა სკლეროზიანი თავის ცანცარს.

— ღმერთო ჩემო, ათასი კვერცხი მაქვს დადებული, ათა-სი! თუ ოდეს-მე ჩემი კვერცხის დებით ვინმე შემიწუხებია! ეჰ, რა ვუთხრა ბუნების უკულ-შართობას!

ღვაწლმოსილ ნარგიზას ასეთი მოკრძალება ჩვენ, რა თქმა უნდა, შეუ-ნიშნავი არ დაგვრჩენია.

ამის გამო ზურია ბრძანება დაწერა. ბრძანებაში ნათქვამი იყო: „ნარგი-ზამ მოგვცა ხუთი წლის განმავლობაში ათასი კვერცხი. რადგანაც 1) მან გვემა შეასრულა უსაზღვრო გადაჭარბებით, 2) ჩვენ, პატრონებმა, მეტი კვერცხის დადებით დაინტერესებულვართ, ნარგიზას ჩავუხშეთ დედობრივი გრძნობები და ის არც ერთხელ კრუხად არ დაგვისვამს — დაუწინაოთ პენსია: დღეში სამი მუჭა სიმინდის რაოდენობით და მივცეთ უფლება ბუნებრივი სიკვდილით აღსრულებისა, რომ მის ბებერ კისერს არ შეეხოს არც დანა, არც ნაჯახი და არც სხვა რამ იარაღი“.

ზურია საშლელზე ჯგბის დანით რაღაც სიტყვები ამოჭრა, მელანი წაუსვა და ბრძანებას ბეჭდივით დაასვა. მერე, სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა მინისტრს—ბებიას ხელი მოაწერინა და საქათმის კარზე ჩამოჰკიდა. ყველაფერი ცხადი იყო.

საქათმე ეზოს ბოლოს ფარდულში იყო წნელით მოღობილი და ყავარ-გადახურული.

დიდი ფარდული მაღალი სვეტებით სამად იყოფოდა. შუაში სათონე გვექნდა. სათონის ერთ მხარეს საქათმე იყო და დანარჩენი დიდი ადგილი „შეშის საწყობს ეკავა, მარჯვნივ ვინ იცის როდის მოტანილი კოჭები ელაგა, კედლებზე კი გამხმარ მცენარეთა ასხმულები ეკიდა და სხვა ათასი ხარა-ხურა.

დიდილობით უნდა გენახათ, როცა ქათმები გაიღვიძებდნენ და ჩამო-ხტებოდნენ ქანდარიდან, შაჰაბაზა უკან მიდგებოდა, ჯერ ქათმებს გამოატა-რებდა, მერე თვითონ გამოვიდოდა საქათმიდან. ქათმები იქვე უცდიდნენ, შაჰაბაზაც გამოუძღვებოდა სამზარეულოსკენ სასაუზმოდ. რა ამბით მოუდი-ოდა ქათმები შაჰაბაზას. გზადაგზა თან სულ ყიოდა და ყიოდა, მოვდივარ და ვანიო! საკენკს ბებია ჩვეულებრივად წინა ღამითვე დაჰყრიდა ხოლმე სამზარეულოს წინ აუზთან, პატარა მოედანზე. ერთი-ორჯერ მოხდა, ბებია შეუძლოდ იყო და ჩვენც წინასწარ საკენკის მომზადება დაგვაფიწყდა. საკე-ბი რომ არ დახვდათ, შაჰაბაზა დარბაისლურად გამოემართა აივნისაკენ, ამო-ვიდა და სასადილოს კარზე მოგვიკაკუნა. მე და ზურია ფანჯრიდან ვუყურებ-დით. შაჰაბაზას სწორედ გაფიცულთა ბელადის მიუდგომლობა აღბეჭდოდა სახეზე.

ჭამის დროს შაჰაბაზა არც ერთს არ ტოვებდა უყურადღებოდ. ყველას სათითაოდ უმარჯვებდა სიმინდსა და პურის ნამცეცებს. ყველამ სხვადასხვა-ნაირი ჭამა იცოდა. ჩოლოყა დინჯად, აუჩქარებლად და საფუძვლიანად ჭამდა. ჭრელა ჭამდა და გაჩერდებოდა, უნახესი ფიფქია და უმშვენიერესი ღაბუა ძლივს იკიკნებოდნენ, დიდი ხეწნა-მუღარა სჭირდებოდა შაჰაბაზას. სამაგიეროდ ნაცარა საოცარი ღორმუცელა იყო. ერთხელ აკი ბებიამ აივანზე გასაშრობად გაფენილ სიმინდზე მიუშვა ნაცარა. ვერ იქნა და ვერ ამოიყორა

იმისი მუცელი. სიმინდი უკანვე სცვიოდა ნისკარტიდან და მაინც ვერ ელეოდა. არავინ კი არ იტყოდა მის ასეთ ღორმუცლობას — ძალზე გამხდარი იყო. ბებია ამბობდა, ჭამისაგან არის გალახული.

ჯერ საზოგადოდაც შაჰაბაზა ეზოში გარეშეს არვის აჭაჭანებდა და მით უმეტეს ჭამის დროს. ვაი ხესა და ქვას, თუ ამ დროს მათ ვინმე შეეცლილებოდათ. არა, შეცილება რა საკადრისია, თუ ან ბებია სოფიოს, ან შამანაურიანთ ეზოდან რომელიმე თავზეხელაღებული ყვინჩილა გადმოეხეტებოდა, შაჰაბაზა სულ კუდით ქვას ასროლინებდა. ჭამის შემდეგ ზოგი მწვანე ბალახს მიაშურებდა, ზოგი დამპალ თივას, ზოგიც ნაცარწყარილ ლელვების ძირებს. ალბათ მათაც ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი „ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი“ და მთელი დღე იღწვოდნენ, მთელი დღე ჰქექავდნენ. შაჰაბაზა ზან ერთს მიაშურებდა, ზან მეორეს, თავისი ღონიერი ფეხებით გაჰქექ-გამოჰქექავდა და ხშირად, ძალიან ხშირად, ჭიკაყვალსაც კი ამოათრევდა ზოლმე მიწიდან.

შაჰაბაზას ვრცელი მამაკაცური გული დიდ ზრუნვასა და სიყვარულს იტევდა. მის ხელში ამ დედალთა ყოველი დღე მშვიდი და მხესავით ნათელი იყო.

ზამთრობით, როცა ქათმებს უჭირდათ თოვლში სიარული, შაჰაბაზა გაშლიდა ფრთებს და ისე უკვალავდა გზას. უნდოდა შაჰაბაზას, ძალიან უნდოდა, ძალიან ერჩოდა გული თვითეული მათგანი მხრებზე შეესვა და დაეტარებინა მთელი ბაღი, მაგრამ დიდად ტრადიციული იყო და ადათებს იოლად ვერ გადაუხვევდა.

მთელ ჩვენს პატარა ქალაქში, ურიცხვ მამალთა შორის, ჯერ არ გამოჩენილიყო შაჰაბაზას დამმარცხებელი ფალავანი. ბებია სოფიოს პაპუნა, ოთარაანთ დიდი ყვითელი ზაალი, შამანაურიანთ შავი ოტელო ვინ მოსთვლის რამდენჯერ დასცა და შეარცხვინა. ყველა იმ უსახელო ნაცარებს, ჭრელებსა და ყელტიტველებს ზომ არც ვთვლიდით მე და ზურია.

შაჰაბაზას გარდა ყველაზე ღონიერი ფალავანი პაპუნა იყო. კაცმა რომ თქვას, იქნებ ღონით შაჰაბაზას არც ჩამოუვარდებოდა, მაგრამ მას აკლდა შაჰაბაზას მეფური ღირსება და სიღარბაისლე, ძალიან იცოდა გაწიწმატება და ამიტომაც ბრძოლას ყოველთვის აგებდა. შაჰაბაზა და პაპუნა ჩვეულებრივ ან აუზთან იბრძოდნენ, ან ბებია სოფიოს ეზოში ჭასთან. პაპუნა ჯერ ერთი რამდენჯერმე კალოს შემოურბენდა, მერე შორიდანვე დიდი ძალით გამოეჩანებოდა შაჰაბაზასკენ, რომელიც გაბოტილი ურყევი სვეტივით იდგა და ელოდა პირველ დარტყმას. მერე გაიმართებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა: აქოჩრილები, ნისკარტმოღერებულები დაუნდობლად ეძგერებოდნენ ერთმანეთს.

ზურია ხელებს მუხლებზე დაიბჯენდა, მოიხრებოდა და შაჰაბაზას ყოყინით ამხნევებდა. შაჰაბაზა ბრძოლაში გამძლე იყო და მოუღლეელი. მაგრამ რაკი შეატყობდა პაპუნას დაღლასა და უკან დახევას, არასდროს არ განაგრძობდა ბრძოლას. კეთილშობილი ვაჟკაცობით აღსავსე ხშირად, ძალიან ხშირად სტოვებდა ბრძოლის ველს და მიაშურებდა თავის სამწყსოს.

მაგრამ იყო ერთი მამალი, ერთადერთი ჩვენს უბანში და მთელს ქალაქშიაც, რომელთანაც შაჰაბაზას არასდროს არ ებრძოლა. მე და ზურიას ეს ამბავი მოსვენებას გვიკარგავდა.

ბებია სოფიოს მეზობელი პატარა ეზო მოხუც ცოლ-ქმარს ეკუთვნოდათ. ქმარი ძველი ოფიცერი იყო. პირველ მსოფლიო ომში ფეხი დაჰკარგოდა, სამხედრო სამსახურისათვის თავი დაენებებინა და სკოლაში გერმანულის მასწავლებლობა დაეწყო. ახლა უკვე პენსიაშიც გასულიყო და სახლში დაჩალიჩობდა, ცოლი კი ფორტეპიანოს გაკვეთილებს აძლევდა მეზობლის ბავშვებს. უშვილოდ გადაგებულიყვნენ, ამიტომაც მზე და მთვარე ძაღლზე, კატაზე, ორ დედალსა და ერთ მამალზე ამოსდიოდათ. ძაღლი გახლდათ ქათქათა თეთრი შპიცი მარკიზა, აბაზანებს მიჩვეული ნებიერი არსება; კატა უზარმაზარი, ციმბირული იყო, სახელი კი მაინცდამაინც ფრანგული ჰქონდა, შიშეტას ეძახდნენ; მამალს კი, ჩვენი შაჰაბაზას უარყოფელ მამალს, პეტრუჩიო ერქვა, ანუ, როგორც დედობილ-მამობილი უბრტყელებდნენ, პეტუხ-პეტრუჩიო. ახოვანი მამალი იყო პეტრუჩიო. ბუმბული ვერცხლისფრად უზინავდა, სტაფილოსფერი ჯილა ედგა პეტრუჩიოს და ისეთი ყვითელი ფეხები ჰქონდა, თითქოს გამაშები აცვიაო. თვალები მომწვანო ჰქონდა და ასეთივე ფერის დიდი ბოლო. ჯიშიათაო — ამბობდნენ.

მთელი ჩვენი უბანი მოხუცი ცოლ-ქმარის შპიც მარკიზას, კატა შიშეტას და პეტუხ-პეტრუჩიოს არისტოკრატიზმად თვლიდა. შეიძლება იმიტომ, რომ დედობილ-მამობილი არასდროს ქართულად არ ლაპარაკობდნენ და შვილობილებიც ასე ჰყავდათ გაწვრთნილი. პეტუხ-პეტრუჩიოზე ოთარი ყოველთვის ამბობდა: „სისხლისღვრისადმი სწორედ არისტოკრატიული ზიზღი აქვს და იმიტომაც არასდროს არ იბრძვისო“. მე მათ აზრს არ ვიზიარებდი უბრალოდ იმიტომ, რომ ჩვენს დროში სიტყვა არისტოკრატი სასაცილოდ ძეჩვენება. თორემ ისე, რა თქმა უნდა, ის უადრესი სისადავე და უადრესი მანერულობა, რაც მათ ყველას გააჩნდათ და იმ საძაგელ პეტრუჩიოსაც, სწორედ მათს ნამდვილ არისტოკრატიზმზე მიუთითებდა.

პეტრუჩიოს ისე ეჭირა თავი, ვერავინ ვერაფერს გაუბედავდა.

— განა არ ვიცი, რომ ერთი ხელის დაკვრით დაცემს ჩვენი შაჰაბაზა, მაგრამ ვინმეს რად უნდა ეგონოს ეშინია და უკან იხევსო? არადა შაჰაბაზა ისეთი ვაჟკაცია, მარტო მოგების გულისათვის პირველი ბრძოლას არასდროს არ დაიწყებს! — ცხარობდა ზურია.

ერთხელ ბებიამ პეტუხ-პეტრუჩიოს დედობილთან სამურაბე ვარდის ფურცელი გამატანა. მათ პატარა მშვენიერ ბაღში სამოთახიანი კოტეჯი ედგათ. დედობილი ვერანდაზე შეზღონგში იწვა. ცალი ხელით დიდთავა კატას ეფერებოდა, მეორე მუჭიდან კი სწორედ იმ საძაგელ პეტრუჩიოს აჭმევდა, თან უყვავებდა: „ТЫ МОЙ ЗОЛОТОЙ“—ო, ეუბნებოდა. ვერცხლისფერი მამალი ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით ჰკენკავდა, თითქოს სიმინდს ჭაშნიკს უსინჯავსო. მის თავის დახრაში, სიმინდის აკენკვაში ნამდვილად იგრძნობოდა არისტოკრატიული გრაცია და სინატიფე. ჩემს დანახვაზე სრულიადაც არ შემკრთალა. ჩემისთანა სტუმრები კი ენახა პეტრუჩიოს!

მამალი ჭამას რომ მორჩა, დედობილმა კატა ფრთხილად დასვა, ვარდის ფურცლებით სავსე ფაიფურის თასი ჩამომართვა და სამზარეულოსკენ გასწია. დავიმართოხელე თუ არა პეტრუჩიო, ერთი კარგად ვიოხე გული:

— შენ, ეე, დეგენერატო არისტოკრატი, რატომ არ გნებავს ჩვენს შაჰაბაზას შეება, ჰა? პირდაპირ შერკინება თუ შენი ღირსებისთვის შეუფერებლად მიგაჩნია, ერთ ვერცხლისფერ ბუმბულს ვეღარ შეეღევი, რომ ბებია

სოფიოს რომელიმე ყვინჩილას ნისკარტით აახლო შაჰაბაზას? მაშინ ვნახავთ, რა დარჩება შენი ნატიფი მიხრა-მოხრიდან.

პეტრუჩიომ მხოლოდ ერთხელ გადმოიხედა, ამოიყვლა „как?“, მერე ბოლო მომიბრუნა, ლამაზი, მწვანე ბოლო, და შეუდარებელი სიმშვიდით გასწია დედობილისაკენ, რომელსაც თასი უკვე დაეცალა და სამზარეულოდან გამოდიოდა. ზურიას ეს რომ ვუამბე, დარდზე დარდი მოემატა. მაგრამ ტყუილად დარდობდა ზურია. ერთ მშვენიერ დღეს გავიგეთ, რაშიც იყო საქმე.

ეს ამბავი სწორედ 2 ივნისს, ზურიას დაბადების დღეს მოხდა.

შაჰაბაზა და პაპუნა ბებია სოფიოს ეზოში ჭასთან იბრძოდნენ, მთელი ჩვენი უბანი იქ იყო. შუა ბრძოლის დროს შემთხვევით თვალი მეზობელი ეზოს ღობეს გავაყოლე და რას ვხედავ: გამოუყვია პეტრუჩიოს ღობეში თავი, მწვანე თვალები უელავს, ნისკარტი მთლად დაუღია, ვერცხლისფერი ბუმბული აშლია, გაფაციცებული თვალს ადევნებს ბრძოლას, ლამის თვალებით შეჭამოს პაპუნა და შაჰაბაზა. ერთი სიტყვით, დედობილს რომ დაენახა პეტრუჩიო ასეთ არა-არისტოკრატიულ პოზაში, ნამდვილად გული შეუწუხდებოდა.

ზურიას ვანიშნე პეტრუჩიოზე, მაგრამ შემამჩნია, მაშინვე თავი გაჰყო, ისევ გულგრილი და ზვიადი სახე მიიღო, გატრიალდა და წავიდა. მაგრამ უკვე გვიან იყო. ამიერიდან ვიცოდით, რომ გული ძალიანაც ერჩოდა პეტრუჩიოს, მაგრამ საკუთარი თავის იმედი არ ჰქონდა და არისტოკრატობას ეფარებოდა.

უსაზღვრო იყო ზურიას სიხარული. შინ მოვედით თუ არა, ზურიამ მაშურიანი აიღო, კარგად გააბრტყელა, მერე ლურსმით გაჩვრიტა, გაუყარა წვრილი მავთული და შაჰაბაზას კისერზე, სწორედ მკერდთან ჩამოჰკიდა.

— ამ დიდი ოქროს მედლით გაჯილდოვებს შენ, როგორც ჭეშმარიტ გვირგვინოსანს და დაუმარცხებელ ფალავანს, არა მარტო ჩვენი ნადიკვრის უბანი, არამედ გვირაბი და გორიჯვარიც, დაბახნებიც და ძველი გალავანიც! — ესა და მრავალი სხვა აღზევებული სიტყვა უთხრა ზურიამ შაჰაბაზას.

სალამოს კიდევ სხვა სიხარული გველოდა. დაბადების დღის მოსალოცად სოფლიდან საჩუქრებით დატვირთული ბებიდა გადმოვიდა. მკლავზე ბებიდას ხავერდის მოქარგული მომცრო ხურჯინი გადაეკიდა, მეორე ხელში კი თეთრი ყვინჩილა ეჭირა.

— მიწოდდა დაკლული წამომეღო სატაბაკედ, მაგრამ თითქოს იგრძნო, მთელი დღე სათოფედ აღარ მომეკარა. მერე რის ტყუებით ძლივს დავიჭირე, დაკვლა კი ვეღარ მოვასწარი. არა უშავს, ხელად გააგდებინე თავი და შეგიბრაწავთ, გენაცვალოთ ბებიდა.

ზურიამ ყვინჩილა ჩამოართვა ბებიდას. ეტყობა გზაში დაღლილიყო ყვინჩილა, ისეთი დაოსებული და საცოდავი ჩანდა, თანაც ისეთი ლამაზი იყო, გადავწყვიტეთ ამ დიდებულ დღეს სისხლი არ დაგვეღვარა. ზურიამ ფეხები გაუხსნა, წაიყვანა და დაბუდებულ ქათმებთანა და შაჰაბაზასთან ქანდარაზე შესვა.

დილით რომ გაიღვიძეს ქათმებმა და ქანდარაზე აბუზული პატარა ყვინჩილა შენიშნეს, მაშინვე აიბუეს, ნისკარტზე დაისვეს და დაცინვა

დაუწყეს. შაჰაბაზა შეხვდა მხოლოდ რიგითა და წესით, როგორც მასპინძელს ეკადრება. მაშინვე მიხვდა, რომ ეს ყვინჩილა „უცხო“ არ იყო. ბებია სოფიოსი, შამანაურების, ოთარაანთი და მთელი ჩვენი უბნის ყვინჩილები აბა შაჰაბაზას არ ესწავლებოდა, და რადგანაც ეს პატარა ყვინჩილა შინაური სტუმარი უნდა ყოფილიყო, მასპინძლობაც კარგი გამოიჩინა შაჰაბაზამ. ჭამის დროს საკენკს უმარჯვებდა, მფარველობდა, ქათამთა შემოტევისაგან იცავდა.

ასე დაიწყო თეთრი ყვინჩილას ცხოვრება ჩვენს ეზოში. ძალიან კარგი თვისებებიც აღმოაჩნდა: მოკრძალებული, მორიდებული, ყველას თვალწარბში შემყურე. შაჰაბაზას ხომ განსაკუთრებით შეეთვისა. შვილობილივით სულ უკან დასდევდა. ლუქმას თვითონ არ შეჭამდა და შაჰაბაზას მიუბრუნებდა. შაჰაბაზაც ასწავლიდა ცხოვრების რიგსა და წესს. ბრძოლებში სულ თან დაჰყავდა, რომ ყვინჩილას სცოდნოდა რა და როგორ ხდებოდა.

მაგრამ საკვირველი ის იყო, იზრდებოდა ყვინჩილა, აი, უკვე ლამის მშვენიერი თეთრი მამალი დადგა, ჯილა დაიყენა, ბუმბული დაიწმინდა, დეზები მოუშვა და ხმას კი არ იღებდა, არ ყიოდა. ჯერ არვის არ გაგვეგონა მისი ყივილი. ჩვენ ამას შაჰაბაზასადმი დიდი სიყვარულით ვხსნიდით: არ უნდა შეგობარს მეტოქეობა გაუწიოსო.

ასე გავიდა ზამთარი და მოვიდა გაზაფხული.

სასიამოვნო დღე იდგა. ყველანი აივანზე გამოვიშალეთ. ბებია სამზარეულოს კედელთან მყუდროზე მზეს მიეფიცხა და ქალაღის გაშლა დაიწყო, დედა ჩალის მოწულ სავარძელში ჩაჯდა და წიგნი გადაშალა, ზურია კიბის საფეხურზე ჩამომჯდარიყო და ჩილიკა ჯოხს სთლიდა, მე კი, ძოჯირზე დაყრდნობილი, ბაღს გავყურებდი. ქათმები არ ჩანდნენ, ალბათ, შაჰაბაზამ სადმე მყუდროზე დააბუდა. მაგრამ შორს, ბაღში, თეთრად რაღაც მოძრაობდა. ჰო, ეს თეთრი მამალი იყო. არ ვიცი რატომ და დღეს მთელი დღე ქათმებსაცა და შაჰაბაზასაც გაუწაბირდა. გუშინაც კი შევნიშნე ამრეზა და გულისცარუებასავით რაღაც, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. ახლა კი თეთრი მამალი მოუსვენრად გადი-გამოდიოდა ხეივნის ქვეშ, თან თვალები ჩვენსკენ აწყდებოდა, თითქოს რაღაც ჰქონდა გადასაწყვეტი და ვერ გადაეწყვიტა. მერე, როგორც იყო, გაბედა და პირდაპირ ჩვენსკენ გამოემართა, სამზარეულოს წინ მოედანზე შეჩერდა, ჩვენსკენ გამოიხედა, შეფრინდა აუზზე და დიდებული ხავერდოვანი ბარიტონით ყიყლიყო, დაიყვილა. ბებია ქალაღს თავი დაანება, დედამ წიგნი გადადო, ზურიას ჩილიკა ჯოხი ხელიდან გაუვარდა.

დიად, ეს სწორედ თეთრი მამალი იყო. რომ უფრო მეტად დავერწმუნებინეთ, აუზიდან ჩამოფრინდა, აივნისაკენ გამოსწია, სწორედ ჩვენს ცხვირწინ მოაჯირზე შეფრინდა და სამჯერ ზედიზედ დაიყვილა, თან უკანასკნელ ყიყლიყოზე ისეთი ფერმატო გაჭიმა, ოპერის ბევრ მომღერალს შეშურდებოდა.

— ეს მამალი სხვანაირად მოყვივს, — დაიწყო ბებიამ, — ეს უეცარი გამხსნილება, იცოდეთ, უბრალოდ არ ჩათვალთ. ამას გულში სხვა უდევს.

დედა ბებიას არ დაეთანხმა: ეს მხოლოდ თეთრი მამლის უზომო სიამაყესა და თავმოყვარეობაზე მიუთითებს. სანამ არ დარწმუნდა, რომ უხრინწოდ დაიყვილებდა, არ მოისურვაო.

მაგრამ თეთრმა მამალმა რაკი მოისურვა და გაიმხსნილა, წერტილი ვეღარ დასვა. მოაჯირიდან ჩამოხტა, გაიქცა და ლელვზე შეფრინდა, ლელვიდან

ზეივანზე გადავიდა. თან ყიოდა და ყიოდა. მიწაზე ჩამოხტებოდა — ხმას არ იღებდა, შეფრინდებოდა რამეზე და დაიწყებდა ყივილს.

— სახელი უნდა გამოვუძებნოთ; მისი მშვენიერი ხავერდოვანი ბარიტონი ნამდვილად იმსახურებს კარგ სახელს, — და დედამ წიგნი საბოლოოდ დაკეცა.

— ორი ჯამბაზი ერთ თოკზე ვერ ითამაშებს — და ბეზიამ ქაღალდი მოკრიფა, აურია და ბუდეში ჩაალაგა.

— მაშ რა ვიღონოთ?

— ან უნდა დავკლათ, ან გავაჩუქოთ!

— დავკლათო?! როგორ თუ დავკლათ! — და ზურიამ კინაღამ ტირილი დაიწყო. — არც გავაჩუქოთ, არც დავკლათ.

— კარგი, გენაცვალოს ბეზია, ოღონდ შენ ნუ გნახავ თვალებურცხალს და მთელი ქვეყნის მამლებსაც დასდგომიათ თვალი; თუ გინდა მე თვითონ შევეურჩევ სახელსაც და გვარსაც.

გადავწყვიტეთ ყველას ჩვენ-ჩვენი კანდიდატურა წამოგვეყენებინა.

ზურიამ „ჩინგიზ-ხანი“ დაასახელა.

მე — როსტომი, მაგრამ ბეზიამ ერთი ისე გადმომიბრიალა თვალები, რომ მაშინვე ენაზე ვიკბინე; სულ დამავიწყდა, ბეზიას ბავშვობაში შვიდი წლის ძმა რომ მოუკვდა, სწორედ როსტომი რქმეოდა.

დედას კანდიდატურა ბათუ იყო.

ჯერი ბეზიაზე მიდგა. მან ჩაახველა, ძლევამოსილად გადმოგვხედა და: — მე მამუჩას ვარქმევო!

მამალი მამუჩა! ყველას მოგვეწონა. ზურია ეზოში ჩავიდა, განგებ არ გაუხედია თეთრი მამლისაკენ, ისე დაიძახა „მამუჩა“. თეთრი მამალი მაშინვე მიხვდა, რომ ეს დიდებული სახელი მას ეკუთვნოდა და ზურისაკენ გამოფარფატდა. ამ მშვენიერი სახელის ასე სწრაფად შეფერება სრულებითაც არ მომეწონა. ამ შეფერებაში გამოჩნდა თეთრი მამლის მდარე გემოვნება, ყოყლო-ჩინობა და აგრეთვე მეტიჩრობაც.

აივანზე დიდხანს აღარ გავჩერებულვართ. დედა თავის ავადმყოფებთან წავიდა, ზურია — ჩილიკაობის სათამაშოდ, მე და ბეზია კი ქაღალდს მივუსხედით.

მეორე დღით ადრე ზურიამ დამაფეთიანა: ფარდულიდან დედა გვეძახის, ჩქარა ადექითო — და თვითონ აღარ მოუცდია, ისე გავარდა. ფიცხლავ წამოვხტი, ღამის პერანგზე ხალათი მოვიცივი და ფარდულისაკენ გავქანდი. დედა საქათმის კართან იდგა. შორიდან დავუძახე, რა ამბავია-მეთქი.

— საქათმეში სრული გადატრიალება! — და დედამ კარი ყურამდე გამოაღო.

გულით ვისურვებდი ასეთი რამ აღარასოდეს არ მენახა.

ჯიღაჩამოხეული, ბოლოდაგლეჯილი, დამარცხებული შაჰაბაზა ბნელ კუთხეში, საქათმის ყველაზე ბნელ კუთხეში მიყუჟულიყო და აღარ იცოდა სად დაემალა გასისხლიანებული თავ-კისერი, სად დაემალა ბოლოში დარჩენილი ერთადერთი ბუმბული, რომელიც ისე სასაცილოდ და საცოდავად გამოიყურებოდა, თითქმის განგებ ჩაურჭვია ვიდაცასო. აღარ იცოდა სად წაეღო ოქროს მედალი, შერცხვენილ მკერდს რომ უწვავდა.

ეს რა უბედურება მოსვლოდა, ეს რა ღვთის რისხვა დატყდომოდა. დარწმუნებული ვარ, შაჰაბაზა სიზმარში პაპუნას ხედავდა: ვითომ პაპუნას ბეზია

სოფიოსათვის მახათი მოეპარა, ნისკარტში გაერჭო, მოხტომოდა შაჰაბაზას და უწყალოდ ჩხვლეტდა. კენესის შაჰაბაზა, უნდა ფრთა გაიქნიოს და ვერ მოუხერხებია. და როცა გამოფხიზლდა, გვიან იყო! სამეფო პატივი უკვე აყრილი ჰქონდა: ჯილა ჩამოხეული და ბოლო დაგლეჯილი.

მაგრამ დედლები, დედლები ერთი ხელისდაკვრით ამოდგომოდნენ მამუჩას, ერთი ხელის დაკვრით ედრიკათ ზურგი შაჰაბაზასათვის.

ჩვენ განზე დავდექით. მამუჩამ თავისი ამალით დატოვა საქათმე.

მე და ზურია ჭირისუფალსაც მიეუსამძიმრებდით, დავრდომილსაც ვანუგეშებდით, მაგრამ დამარცხებულ და შეურაცხყოფილ კაცს თვალს ვერ გაუსწორებდით. ამიტომაც უჩუმარი პირით გამოვტრიალდით და წამოვედით. გულზე კი ორივეს ცეცხლი გვეკიდებოდა.

იმ საზარელი დილის შემდეგ შაჰაბაზა გაუჩინარდა. მთელი სამი-ოთხი დღე აღარ გამოჩენილა. სად არ ვძებნეთ, მთელი ეზოები დავიარეთ, მაგრამ მის კვალს ვერ მივაგენით. ბოლოს ისევ ზურიამ იპოვა. ფარდულში, სადაც ხის მასალა და ხარახურა ელაგა, სწორედ იქ დამალულიყო. კოჭებქვეშ შემძვრალიყო. ბოლოში დარჩენილმა ერთადერთმა ბუმბულმა გასცა.

ზურიამ იქვე კოჭებთან სიმინდი დაუყარა. იმავე საღამოს საკენკი აკენკილი დაგვხვდა. ფარდულის კუთხეში ზურიამ ქანდარა მოუწყო შაჰაბაზას. ის უკვე ქანდარაზე ჯდებოდა და ფარდულიდანაც ნელ-ნელა დაიწყო ბაღში გამოსვლა. თუმცა რა ბაღში, მხოლოდ გაღავნის ძირს ჩაუყვებოდა ხოლმე. დავინახავდი თავჩაქინდრულ, ბოლოდაგლეჯილ, ოქროსმედლიან შაჰაბაზას და გული შემეკუმშებოდა; მიეუახლოვდებოდი, დავუყვავებდი:

— გამაგრდი, ამათ გულისად ნუ გახდები. დამერწმუნე, მეფობის გარდა ქვეყნად ბევრი სიხარულია. ნუ გეშინია, შაჰაბაზა, ჩვენო შაჰაბაზა!

თავის სახელს რომ გაიგონებდა, შაჰაბაზა ისე გადმომხედავდა, თითქოს ამბობსო: „ყოფილ შაჰაბაზას თუ კითხულობთ, აი, აქა ვარო“.

არ გასულა დიდი ხანი, ერთ მზიან დღეს გამოვიდა შაჰაბაზა თავის გაღავანთან. ჩაყოლებაზე ნამყენი ხეხილი იდგა: ალუბლები, ორი ძირი ვაშლი და ერთიკი ვაზი. ალუბლებსა და ვაშლებს საყვავილე კვირტები გამოეტანათ. ვაზი კი, ახლად გასხლული ვაზი ტიროდა. საკვირველია, წინათ არასდროს, არასდროს არ შეუძმჩნევია შაჰაბაზას ვაზის ტირილი. ახლა კი უყურა, უყურა და თვითონაც თვალეხი ცრემლით აევსო; მერე იქვე გაღავნის ძირას მყუდროზე ჩაიკეცა, ალუბლებსა და ვაშლებს გახედა და შვება იგრძნო. რა ლამაზი ბაღი ყოფილაო, გაიფიქრა.

ახლა შაჰაბაზას ბევრი დრო ჰქონდა. მოვალეობათაგან სრულიად თავისუფალი იყო. მიწასაც კი აღარ ქეჩავდა. უყურებდა, როგორ იქეჩებოდნენ ქათმები მთელი დღე ჩვენს ეზოში, ბებია სოფიოს ეზოში, შამანაურიანთ ეზოში და ყველგან, ალბათ, მთელი დედამიწის ზურგზე. უკვირდა შაჰაბაზას. — სხვები არ ვიცით, — ფიქრობდა, — და ჩვენი პატრონები გულუხვნი არიან, მათ ჩვენთვის ნაირ-ნაირი საკენკი არ მოუკლიათ, მაშ რად იქეჩებოდი მთელი დღე, რად იქეჩებიან მთელი დღე ეს დედლები, ნამდვილად მათ სხვა არაფერი აინტერესებთო!

როგორც წინათ შაჰაბაზა, ახლა მათ მამუჩა დაჰკურკურებდა და უმარჯვებდა ჭიადუასა და დამპალ მარცვლებს. მამუჩას იმ დილის შემდეგ შაჰა-

ბაზაზე აღარ გაუწევია. პირიქით, გალავნისაკენ არც თვითონ მიდიოდა არც ქათმები მიჰყავდა. დიდი ბედი ეწვია მამუქას: დამარცხებული მეტოქის თვალწინ ლაღობდა, ამ დიდ სიხარულსა და სიამოვნებას არც არასოდეს მოიკლებდა. ქათამთა ხასიათში კი არაფერი შეცვლილა. ისევე იყვნენ სავესენი სიყვარულითა და ვნებით, ისეთივე მოწიწებასა და ერთგულებას იჩენდნენ, როგორც შაჰაბაზას დროს. შეიძლება მეტადაც აღინთნენ ტრფობით, რადგან, ჯერ ერთი, მამუქა ახალი ხილი იყო და, მეორეც, ეს ვაჟბატონი ნარგიზას ჩირადაც არ აგდებდა, რითაც დიდად ამებდა თავის ქალბატონებს. ნარგიზა არ დაბნეულა. მან თავი კრუხად დაისახა (ახალგაზრდობის ოცნება სიბერეში განიხორციელა), მთელი ღღეები თავის ცანცარით უკან დასდევდა დედლებსა და მამუქას და კუტკუტით გულს უსიებდა. მაინც ჭკვიანი იყო ნარგიზა: ახალ-ახალ უბედურებას გასანთლული ისარივით აისხლეტავდა ხოლმე.

ხედავდა შაჰაბაზა ქათამთა საქციელს, ხედავდა აგრეთვე მამუქასაც: შემთხვევით თუ უცხო ქათამი გადმოვიდოდა, როგორც წინათ შაჰაბაზა, ახლა მამუქა კეთილს არ დააყრიდა, სანამ არ განდევნიდა თავისი სამფლობელოდან.

ღრმად შეურაცხყოფდა შაჰაბაზას მამუქას ასეთი საქციელი, თვითონაც ზომ სწორედ ასევე იქცეოდა ხოლმე.

„რა შავ დღეს ვაყრიდი მეც მეზობლის ქათმებს, როცა ისინი შემთხვევით გადმოვიდოდნენ ჩვენსკენ და მიეტანებოდნენ ჩვენს საკენკს. რას მიშლიდნენ, საკენკი ზომ ყველასათვის სამყოფი იყო, ეკენკათ და ეკენკათ. ეს, ალბათ, უფლებამოყვარებთი მომდიოდა. რაკი მეფე ვიყავი, უნდა მცოდნოდა, უთუოდ უნდა მცოდნოდა უცხო და შინაური“.

ახლა კი, ახლა რა სასაცილოდ ეჩვენებოდა შაჰაბაზას ყოველივე ეს. ახლა გახსნილიყო მისთვის ხელმოცარულთა ჭეშმარიტი თავშესაფარი: სიბრძნე და მარტოობა.

ახლა მთელ ღღეებს გალავნის ძირას მყუდროზე ატარებდა. შეჰყურებდა რჩეულ ალუბლებს და ვაშლებს და ტკებებოდა მათი სიახლოვით. მაინც კი შაჰაბაზასათვის ყველაზე საოცარი მზე იყო, დიდი ოქროს მამალი. მზეს მოჰქონდა მასთან სიბრძნე და სინათლე. თვალები უწითლდებოდა სირცხვილით შაჰაბაზას, როცა წარმოიდგენდა, რომ თავი ყველაზე მშვენიერი ეგონა.

— შენ მომიტევე მე, დიდო მეფევე, — მიმართავდა მზეს შაჰაბაზა, — შენ ყოფილხარ თურმე ულამაზესი მამალთა შორის, უძლიერესი ჯილოსანთა და დეზებიანთა შორის, უუხვესი მეფეთა შორის! მე მესმის შენი ძალუმი ყიყინა და მოძახილი, დიდო ოქროს მამალო!

მაგრამ როცა დაიბუდებდა ოქროს მამალი და ბინდი შემოადგებოდა რჩეულ ალუბლებს, გაპენტილ ვაშლებს, როცა ბაღში ღამე ჩამოწვებოდა და ფარდულსაც სიბნელე მიეზღვინებოდა, მაშინ აბორგდებოდა შაჰაბაზა თავის ქანდარაზე, მაშინ აგიზგიზდებოდა მის გულში შურისძიების ცეცხლი და გუგუნი გაჰქონდათ დაცემული მეფისა და მიტოვებული მიჯნურის დაუოკებელ ვნებებს. ზოგჯერ ველარ გაუძლებდა ბორგვას, ჩამოხტებოდა ქანდარიდან და საქათმისაკენ გასწევდა. ნაბიჯებს ფრთხილად დგამდა, თან აქეთ-იქით იყურებოდა, რომ არვის დაენახა და არვის გაეგო.

წარმოიდგენდა განა ოდესმე, რომ საკუთარ სასახლესა და სამყოფლოს,

სადაც ახლა უნეტარესი ძილით ეძინათ მის ყოფილ მეუღლეთ, საცოდავად გამიჯნურებულ ყვინჩილას მოკრძალებითა და სიფრთხილით მიეახლებოდა, ნისკარტს ჩუმად მიაბჯენდა კარს, გახურებულ ფრთებს გაშლიდა და მოწნულ კედლებს შემოხვევდა. განა წარმოიდგენდა ოდესმე, რომ მის ამაყ მეფურ თვალთაგან ჩამონადენი ცრემლი საკუთარი სასახლის გადაკეტილი კარის წინ გუბებს დააყენებდა.

შაჰაბაზას შეეძლო, ნამდვილად შეეძლო თავს დასხმოდა მამუჩას ღამით და კუდიტ ქვა ესროლინებინა. მაშინ დედლები სწორედ ისევე გადმოვიდოდნენ მის მხარეზე, როგორც იმ საზარელ დილას მამუჩასაკენ. მაგრამ შორს იყო შაჰაბაზა მუხანათობისაგან, ძალიან შორს; თანაც იცოდა, რომ გატეხილი პური არ გამთელდებოდა. ხვდებოდა შაჰაბაზა, (მარტოობამ მას ბევრი რამ ასწავლა,) რომ ეს ღამის გრძნობები იყო—უბერსპექტივო, მოსანელებელი გრძნობები, მაგრამ მაინც მთავარი ის არის, რომ იყო ქვეყნად დიდი ოქროს მამალი, რომელიც აი, სულ ცოტა ხნის შემდეგ ამობრძანდებოდა, მდელის მწვეანედ ააფერადებდა, ვაშლს თეთრად გადაპენტავდა, სიბრძნესა და სილამაზეს მოუტანდა შაჰაბაზას. ხვდებოდა შაჰაბაზა, გუმანიტ ხვდებოდა, რომ მეფობას ველარასოდეს ვერ შესძლებდა... ფრთებს ჰკეცავდა და უბრუნდებოდა თავის ქანდარას.

თანდათან სულ მეტად და მეტად დამშვიდდა შაჰაბაზა. ღამღამობით საქათმესთან აღარ მიდიოდა და თუ მის თვალებს კვლავინდებურად ძილი არ ეკარებოდა, და თუ კვლავ წარსული აგონდებოდა, ამას ის თავის მშვენიერ ძახსოვრობას აბრალებდა და ფიქრობდა, ყოფილ მიჯნურთა მიმართ გული გაუყუჩდა.

მოუთმენლად ელოდა გათენებას. ირიურაყებდა თუ არა, მაშინვე ჩამოხტებოდა ქანდარიდან, იქვე დაყრილ სიმიდს აჰკენკავდა და გალავნის გასწვრივ მდელის მიაშურებდა.

ვაზის კვირტები ფარჩასავით ნახ ფოთლებად გაიხსნა, ბებია სოფიოს ეზოში ხავერდის ვარდები გაიშალა. შეფრინდებოდა გალავანზე შაჰაბაზა და შორიდან უჭვრეტდა ვარდებს. დიდი სურვილი ჰქონდა გადასულიყო და ახლოს ენახა, მაგრამ ფიქრობდა, პაპუნა ამას სხვაგვარად ჩამომართმევსო. ეპ, რა იცოდა თავის ვნებებში გართულმა პაპუნამ, რომ შაჰაბაზას გულს საკუთარი დედლებიც აღარ ეხილებოდა, რომ შაჰაბაზას მხოლოდ ვარდების, ზასხასა წითელ ვარდების ნახვა სურდა.

ასევე შორიდან უყურებდა შაჰაბაზა შამანაურიანთ ეზოში გაშლილი თეთრი იასამნის დიდ ბუჩქებს.

— ნეტავი დამატარა მთელი ეზო-ბაღები და მაჩვენა, სად რა ყვავილი და ხე ხარობსო, — ნატრობდა შაჰაბაზა.

ერთხელ და ორჯერ არ ყოფილიყო შაჰაბაზა იმ ეზოებში, მაგრამ მაშინ ის მეფე და ფალავანი იყო და ბრძოლის მეტი არაფერი აინტერესებდა. ახლა კი, ახლა სხვა იყო. ახლა გახსნილიყო მის წინ სიბრძნისა და სილამაზის კარი და უნდოდა მთელი ქვეყანა თავის გულში მოექცია.

კარგი იქნებოდა ყველაფერი ამქვეყნად სიბრძნით ყოფილიყო გარიგებული, მაგრამ ვაი, რომ ასე არ არის და ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი უკულმა დატრიალდა, და მოხდა ის, რაც ადრე თუ გვიან, ალბათ, უნდა მომხდარიყო.

იმ დილით ადრე ადგა შაჰაბაზა, სურდა მზის ამოსვლას შეჰგებებოდა.

ლამე ტკბილად ეძინა (რამდენიმე ღამე იყო, რაც ჰპოვა ძილი და მოსვენება) და მშვენიერ გუნებაზე ადგა. კარგად დანაყრდა და ეზოს მიაშურა. ჯერ ვახებს დაუარა. ვახის ნორჩი, უნაზესი ფოთლები გულს უჩუყებდა შაჰაბაზას. მივიდა და ფრთხილად, ძალიან ფრთხილად, რამდენიმე ფოთოლს ნისკარტი შეახო. მერე დაიხარა, მდელოდან ცვარი შესვა და ცას ახედა. მოკამკამებული ცა დაჰყურებდა შაჰაბაზას: ეტყობოდა, კაშკაშა დღე გამოვიდოდა.

მდელი აშრილდა, ვახის ფოთლებმა თრთოლა იწყეს, ალუბლის დაზნე-ქილი შტოები შეირხნენ. გახედა შაჰაბაზამ ცაცხვებს, თანდათან გაუნათდათ ცაცხვებს ქორჩები და მათ გადაღმიდან ამობრძანდა ოქროს მამალი. აღტაცებული შეჰყურებდა შაჰაბაზა მის დიად, დარბაისლურ, მეფურ სელას და მისი უსაზღვრო უშურველობისა და თვალისმომჭრელი სინათლის პირისპირ საკუთარი მარცხი და გავლილი ვნებები სასაცილოდაც კი ეჩვენა. თვალზე სიხარულის ცრემლი მოადგა, თავი გაიქნია შაჰაბაზამ და იგრძნო ვაშლის ყვავილთა ნაზი სურნელი. აყვავებული, მზის სხივებში გახვეული ვაშლის ხე ისე მსუბუქად იდგა, ისეთი ქათქათი გაჰქონდა, თითქოს ხე კი არა, ზღაპრული თეთრი ფრთოსანი ყოფილიყო.

— ვაშლის ყვავილები ყველაზე ღამაში ყვავილთა შორის, ყველაზე სათუთი და წმინდა ვაშლის ყვავილებია. მათი ნაზი სურნელი უცნაურ ბურუსში ხვევს... და სიტყვა გაუწყდა შაჰაბაზას, იგრძნო, რომ სხელი თითქოს შეერყა, თავიდან ფეხამდე ძლიერმა ქრქოლამ დაუარა და ვაშლის ხე რომ არა, დაეცემოდა.

შაჰაბაზას გვერდით, სულ ახლოს, ფიფქია იდგა და თვალმოუშორებლად, გამომწვევად უყურებდა შაჰაბაზას. სწორედ მან შეახო თავისი ქათქათა, ხვერლოვანი ფრთა და ერთ წამში დაავიწყა მზეცა და ყვავილებიც. ერთ წამში იყო, რომ თავგზაბნეული დაბარბაცდა შაჰაბაზა, რათა თვალისდახამხამების უმაღლესი სიყვარულისა და ვნების გარდაუვალ ცხოველყოფელ ძალას შეეპყრო და ფიფქიას გამოჰკიდებოდა.

ფიფქია ფარდულისაკენ გაიქცა. დღისით იქ ქათმები არასდროს არ იყვნენ. ყველაფერი ცხადი იყო. ფიფქიას წინასწარ მოესაზრა ყოველივე.

შაჰაბაზაც ფარდულისაკენ გაენტო, მაგრამ ლელვამდე რომ მიღწია, თითქოს რაღაც საწინააღმდეგო ძალამ შეაჩერაო, ფიცხლავ გამოტრიალდა, ბალი-საკენ გამოქანდა და მამუხას დაუწყო ძებნა.

მამუხა სამზარეულოს წინ, აუზთან მზით განათებულ მოედანზე იდგა. ყველაფერს ხედავდა, მაგრამ საკუთარ ძალაში დარწმუნებულს წარბიც არ შეუხრია. მხოლოდ ფეხები განზე გაბოტა, როგორც შაჰაბაზამ იცოდა ხოლმე წინათ, დადგა ურყევ სვეტივით და დაელოდა პირველ დარტყმას.

დაუნდობელი ბრძოლა გაიმართა აუზთან. მკერდით ეძგერნენ ერთმანეთს, ბასრი ნისკარტებით კორტინდნენ, ფეხებით სამოსს აგლეჯდნენ. ბლუჯა-ბლუჯა სისხლიანი ბუმბული ცვიოდა აუზთან.

ბოლოს ისევ მამუხამ იძალა. დაუნდობლად ჩამოჰკრა შაჰაბაზას მკერდზე თავისი ალმასივით ჭანგი. თქრიალით მოსდიოდა სისხლი შაჰაბაზას.

ჯიდაჩამოხეული, გულმკერდგამოღადრილი ძლივს წაბარბაცდა ლელვამდე და იქ ნაცარში წაიქცა.

შაჰაბაზას სისხლმა წითლად შეღება ნაცარი.

ნისკარტს ალებდა შაჰაბაზა, ეტყობა პირი უშრებოდა.

ზურია მისი კოვზით ჩაასხა წყალი. ჭრილობის შეხვევაზე და მოვლაზე კი აღარც გვიზრუნია, — ეს უკვე მისი ზედმეტი წვალეა იქნებოდა. ისედაც მომკვდარი შაჰაბაზა ხრიალით სუნთქავდა და სიმწრისაგან ისე უსვამდა ნაცარში ფეხებს, რომ გადაქლეშოილი კანჭებიდან სისხლი სდიოდა.

მერე კისერი გადაავლო, თვალები დახუჭა, უკანასკნელად გაიზმორა და შაჰაბაზა აღარ იყო.

მე და ზურია კი, შაჰაბაზას უერთგულესი მეგობრები, მისი ჭირისა და ლხინის მოზიარენი, ვხედავდით როგორ ამაყად მიაბიჯებდა სიკვდილის მინდვრებზე ჩვენი მრავალტანჯული შაჰაბაზა.



ლოვენი
მელოზონია

ჩვენი მთავარი



ნახატი თენგიზ მირზაშვილისა

ისეთი სიცხე იყო, რომ მიწას თეთრი მტვერი ეფარა. მიწაზე ეყარა დიდი ოთხკუთხა რუხი ქვები. ქვებს შორის იჯდა ქვისმთლელები და მუშაობდა. მას ეცვა წყელი ტილოს ხალათი. ტლანქი და უხეში ტილოს ქუდი ეხურა. როცა უძრავად იჯდა, ჰგავდა იმ ქვებს, რომლებიც ირგვლივ ეყარა. ახლოს აშენებდნენ სახლს; იგი ამ სახლისაკენ ზურგშექცევით იჯდა და ისე მუშაობდა. ქვისმთლელს დაბალი კედლების ჩრდილი ვერ წვდებოდა. მიწაზე ეყარა სილა, კირი, ფიცრები. ადამიანები ზანტად დადიოდნენ და მათ ნაბიჯებს თეთრი მტვერი ჰყვებოდა.

ეს იყო ქალაქს მოშორებული დიდი ველი, სადაც უნდა აეშენებინათ სახლები, რომ იქ ხალხს ეცხოვრა.

ქვისმთლელები მუშაობდა მზეში და ფიქრობდა ჩრდილზე. მას ხორკლიანი და ჟანგისფერი სახე ჰქონდა. მისი ხელებიც ასეთივე იყო, მაგრამ უფრო ტლანქი და კოჟრიანი. მუშაობას იწყებდა ადრე დილით და შინ წასვლამდე შუადღისას ისვენებდა. მაშინ იგი ჯდებოდა შენობის დაბალი კედლების ჩრდილში, ხსნიდა სახლიდან წამოღებულ ფუთას და სადილობდა. სადილობის დროს ქვისმთლელთან მოდიოდა უშნო, ნაცრისფერი ძაღლი და მის ახლოს წევბოდა. ქვისმთლელები უგდებდა პურს და უხაროდა, რომ ძაღლი ყოველთვის მასთან მოდიოდა. ძაღლი უპატრონო იყო, ეს იცოდა ქვისმთლელმა და ამიტომ იყო იგი მისთვის ლამაზი. შემდეგ ქვისმთლელები სტოვებდა ჩრდილს, ჯდებოდა მზეში და იწყებდა მუშაობას. ძაღლიც მიჰყვებოდა და დიდ ოთხკუთხეულ ქვებში წევბოდა. ქვისმთლელები ხედავდა ამას, უნდოდა მოფერებოდა ძაღლს, მაგრამ იცოდა, რომ დიდი სიცხე ძაღლს ვნებდა და უწყრებოდა. ძაღლი შორდებოდა და ქვისმთლელს ეს სწყინდა. შემდეგ ისევ იწყებდა მუშაობას და ფიქრობდა ჩრდილზე.

მასთან მოდიოდნენ მაშინ, როცა დათლილი ოთხკუთხა ქვები დაგროვდებოდა. შემდეგ მიჰქონდათ ეს ქვები და აშენებდნენ სახლს. მშენებლობაზე ბევრი მუშაობდა, მაგრამ ქვისმთლელი იცნობდა იმათ, რომლებსაც დათლილი ქვები გადაჰქონდათ.

სახლის კედლები ჯერ ისევ დაბალი იყო და ქვისმთლელს ჩრდილი ვერ სწვდებოდა.

შუადღე მოახლოვდა და სიცხემ ქვისმთლელი შეაწუხა. შემდეგ მან დაღლა იგრძნო; თავი მაღლა აიღო და დათლილ ქვაზე მდგომი ბიჭი დაინახა. ბიჭი ათი-თორმეტი წლის იქნებოდა. ეცვა თეთრი ხალათი და შარვალი; ხელში პატარა ჯოხი ეჭირა, ჯოხს ქვებს ურტყამდა და უყურებდა ქვისმთლელს.

— ჩრდილში დადექი, — უთხრა ქვისმთლელმა, როცა შეამჩნია, რომ ბიჭი უქედოდ იყო. შემდეგ თავი უკან მიაბრუნა და თქვა: — აი, იმ კედელთან.

მაგრამ ბიჭმა არაფერი თქვა და ქვიდან ჩამოხტა. მას უნდოდა ეცქირა თუ როგორ მუშაობდა ქვისმთლელი. ქვისმთლელი მიხვდა ამას და უთხრა:

— დიდი სიცხეა, არ ვარგა სიცხეში დგომა. ახლა უნდა დავისვენო.

შემდეგ წამოდგა და შენობისაკენ წავიდა. დაბალი კედლების ჩრდილში იდო შეკრული ფუთა და პატარა ბოთლი. ბიჭი ისევ რუხ ქვებში იდგა.

— მოდი, არ გშია? — დაუძახა ქვისმთლელმა. ბიჭმა თავი გაიქნია.

— მოდი, ჩრდილში დაჯექი.

ბიჭი მივიდა და მოშორებით დადგა.

— ახლოს მოიწი, აილე რამე, — უთხრა მან, როცა ფუთა გახსნა და ქვაზე ჩამოჯდა.

— გწყურია? — ჰკითხა შემდეგ.

— არა, — უთხრა ბიჭმა და ჯოხით მიწის ჩიჩქნა დაიწყო.

— მე კი მწყურია, — თქვა ქვისმთლელმა და ხმამაღლა გაიცინა. მას თეთრი კბილები გამოუჩნდა და ბიჭმა გაიფიქრა, რომ ასეთ კაცს არ უნდა ჰქონოდა თეთრი კბილები.

— იცი რა, სახლს უკან წყალია და ამ ბოთლით მომიტანე, კარგი?

— კარგი.

ბიჭმა ბოთლი გამოართვა და გაიქცა. როცა დაბრუნდა, ქვისმთლელის გვერდით გაწოლილი ნაცრისფერი ძაღლი დაინახა.

— თბილი წყალია, — თქვა მან და ბოთლი მიაწოდა.

— მერე რა, მე მაინც დავლევ, — უთხრა ქვისმთლელმა და წყალი ისე დალია, რომ ბოთლი ტუჩებთან არ მიუტანია.

— კარგი ბიჭი ხარ, — თქვა შემდეგ და ძაღლს პური გადაუგდო.

ბიჭი ძაღლთან მივიდა და ჯოხი ზურგზე დაადო.

ძაღლმა დაიღრინა.

— თქვენია? — იკითხა მან.

— არა. აქ დადის ხშირად. შემომეჩვია.

— რა ჰქვია?

— არაფერი. არ ვიცი, იქნებ აქეს სახელი. მოგწონს?

ბიჭს არ მოსწონდა ძაღლი, მაგრამ თავი დააქნია.

— მოდი, დაჯექი, — თქვა შემდეგ ქვისმთლელმა, — აილე რამე.

— არ მინდა. მე სახლში უნდა წავიდე.

— აილე. ნუ გრცხვენია. ახლა არ ვარგა სიარული, დიდი სიცხეა. მოდი, ჩრდილში დაჯექი.

ბიჭმა ჯოხით მიწის ჩიჩქნა დაიწყო.

— შენ რა გქვია? — ჰკითხა შემდეგ ქვისმთლელმა.

— გიგი.

— გიგი. კარგი სახელია. მე ზაქარიას მეძახიან.

ბიჭმა გაიფიქრა, რომ ასეთ კაცს არ უნდა რქმეოდა ზაქარია და მოეჩვენა, რომ ქვისმთლელო ხუმრობდა.

— შენ აქ სად ცხოვრობ? — ჰკითხა ქვისმთლელმა.

ბიჭმა ხელი გაიშვირა.

— სახლი ჩანს აქედან?

— არა, აქედან არ ჩანს. შორს არ არის.

— აქ რატომ მოხვედი. ეძებ ვინმეს?

— არა. ისე. მინდა ვნახო რას აშენებენ.

— დიდ სახლს. ამ სახლში ბევრი ხალხი იცხოვრებს. ასეთ სახლებს კიდევ ააშენებენ აქ. ახლა შენ სკოლაში არ უნდა იყო?

— არა. სამი თვით დაგვითხოვეს. ახლა ზაფხულია და სამი თვით დაგვითხოვეს.

— რას გააკეთებ ამ სამ თვეს?

— მამამ მითხრა, მთაში წავიყვანო.

— ჰო? როდის მიდიხარ.

— მალე წავიყვანო.

— კარგია მთაში. იქ სიგრილეა და დიდი ჩრდილები. წყალიც ცივია იქ.

ნაცრისფერმა ძაღლმა მიწაზე დაგდებულ პურს თამაში დაუწყო. ქვისმთლელმა დაინახა ეს და თქვა:

— არ შია, ალბათ ვინმემ აჭამა რამე. ასეთ სიციხეში საშიშია ძაღლი. შეიძლება გაცოფდეს. წყალში ბანაობა მოუხდება.

— მე ვაბანავებ, — თქვა უცებ ბიჭმა, — სადმე წავიყვან და ვაბანავებ.

— არ წამოგყვება, — უთხრა ქვისმთლელმა, — მშიერი რომ იყოს, წამოგყვებოდა.

— წამომყვება, მე წამომყვება. თუ არა, მაშინ თოკს მოვაბამ და ისე წავიყვან.

— არ გეშინია?

— რისი.

— რომ გიკბინოს.

ბიჭს გაახსენდა, რომ წელან ძაღლმა დაუღრინა და დაფიქრდა. ქვისმთლელსაც მოაგონდა ეს და თქვა:

— არ გიკბენს. წელან ჯოხი რომ დაინახა, იმიტომ დაიღრინა. გადაადგე ჯოხი.

ბიჭმა ჯოხი გადაადგო.

ქვისმთლელო ადგა, ძაღლთან მივიდა და თავზე ხელი გადაუსვა.

— გაყევი ამას, გესმის? გაყევი და ვაბანავებს, — თქვა მან.

ბიჭს გაეცინა.

ძაღლმა კუდის ქიციანი დაიწყო.

— წადი, აქ სადმე იქნებ თოკი ნახო, — უთხრა მან ბიჭს, — იქნებ გდია სადმე.

— ქამარი შემოაბი, — თქვა ბიჭმა და ქამარი შემოიხსნა.

— ჰო, შეიძლება.

ქამარშებმული ძაღლი ბიჭს გაჰყვა. ქვისმთლელო ისევ ჩრდილში დაჯდა და ბიჭს მიაძახა:

— დიდხანს არ აბანაო, არ ვარგა. შემდეგ გაუშვი, ქამარი შემოხსენი და გაუშვი.

ქვისმთელელმა გვერდზე მიიხედა და დაინახა ის ორი მუშა, რომლებსაც დათლილი ქვები გადაჰქონდათ. მუშები იდგნენ და უყურებდნენ ქვისმთელელს. მათ გაკვირვებული გამომეტყველება ჰქონდათ.

— უცნაური კაცია, — თქვა ერთმა ისე, რომ ქვისმთელელს არ გაეგო, — ამდენს თუ ოდესმე ილაპარაკებდა, არ მეგონა.

— ჰო, მართლა უცნაურია, — თქვა მეორემ, — რამდენი ხანია აქ არის და არ გამოგვლაპარაკებია. არასოდეს არ იცინის.

— იცნობ?

— ისე, როგორც შენ. როგორ უნდა ვიცნობდე, არასოდეს თავის თავზე არ ლაპარაკობს.

— არც სხვაზე.

— ჰო, არც სხვაზე.

— ის ბიჭი ალბათ შვილია მისი.

— ალბათ.

ქვისმთელელმა ბოთლი და ფუთა კედელთან მიაწყო და შემდეგ ქვაზე ჩამოჯდა.

— ქვები კიდევ არის, — გასძახა მან მუშებს, — თუ გინდათ, წაიღეთ.

— ჯერ არა, — უპასუხეს მათ, — ჯერ არ გვჭირდება.

შემდეგ შებრუნდნენ და შენობის მეორე მხრისკენ წავიდნენ.

მეორე დღეს, როცა შუადღე მოახლოვდა, ქვისმთელელთან ნაცრისფერი ძაღლი მივიდა. მაგრამ ძაღლს ახლა ბეწვი სუფთა ჰქონდა და თითქმის თეთრიც. „დაუბანია“, — გაიფიქრა ქვისმთელელმა და იმ მხარეს მიიხედა, სადაც გუშინ ბიჭი იდგა. ძაღლის დანახვამ შიმშილი მოაგონა. შემდეგ ზურგზე მზის მცხუნვარება იგრძნო, შეაწუხა დიდმა სიცხემ და თავისთვის თქვა: „სადილობის დროა, ახლა უნდა ვისადილო“. იგი ორივე ხელით მუხლებზე იყო დაყრდნობილი და ისე იჯდა დათლილ ოთხკუთხა ქვებში. მან ისევ ძაღლს შეხედა. „კარგად დაუბანია“, — თქვა ხმამაღლა და წამოდგა. შენობის დაბალი კედლების ჩრდილში მივიდა და ფუთა გახსნა. პატარა ბოთლის დანახვაზე მოაგონდა, რომ გუშინ წყალი ბიჭმა მოუტანა.

— აქ იყავი, — უთხრა მან ძაღლს, — წყალს მოვიტან და შემდეგ ვისადილოთ.

ძაღლი ფუთასთან დაწვა.

შენობის მეორე მხარეს იდგა დიდი კასრი. ქვისმთელელმა კასრიდან ბოთლში წყალი გადმოასხა და უკან დაბრუნდა. იქ იდგნენ მუშები, რომლებმაც დაინახეს ქვისმთელელი და თვალი გააყოლეს.

— არ მომწონს ასეთი კაცი, — თქვა ერთმა, — დილით მოგესალმება და სხვა არაფერი.

— უხასიათო კაცია, — თქვა მეორემ, — ალბათ არაფერი არ აინტერესებს.

— იცნობ?

— როგორ უნდა ვიცნობდე, არასოდეს თავის თავზე არ ლაპარაკობს. ზოგჯერ თუ გეტყვის რამეს, საქმეზე გეტყვის.

— ჰო, საქმეზე თუ გამოგვლაპარაკება. ისე, არც სხვაზე უყვარს ლაპარაკი.

— ჰო, არც სხვაზე, კარგად კი მუშაობს თურმე.

— ჰო, კარგად მუშაობსო, ამბობენ.

ქვისმთლელო სადილობის შემდეგ ჩრდილში იჯდა და ისვენებდა. იგი ფიქრობდა პატარა ბიჭზე და მაღალ მთებზე, იმ მთებზე, სადაც ახლა იყო სივრცე და მსუბუქი ჰაერი. „ალბათ წავიდნენ დღეს, — გაიფიქრა მან, — ან ასეთ სიცხეში გარეთ აღარ გამოუშვეს“. ძაღლს პირი დაღებული ჰქონდა და ქშენით სუნთქავდა.

— წადი, — უთხრა ქვისმთლელმა, — წადი, სადმე წყალი მოძებნე და იზანავე.

ორი დღის შემდეგ ქვისმთლელმა, დილით, მისკენ მომავალი ბიჭი დაინახა. ბიჭი ღიმილით მოუახლოვდა მას.

— არ წასულხარ? — ჰკითხა გაკვირვებით ქვისმთლელმა.

— არა, ხვალ უნდა წავიდეთ.

— დაჯექი. ძაღლი კარგად დაგიბანია.

— დადხანს არ მიბანავენია, — გაუხარდა ბიჭს და შემდეგ აჩქარებით თქვა: — ჩემს გვერდით პატარა გოგო ცხოვრობს, სულ პატარა გოგოა და მან სახელი დაარქვა.

— ჩვენ ძაღლს?

— ჰო, ჩვენ ძაღლს. რომ დაინახა, შეეშინდა და ასე თქვა: ნაუ. მამამ მოთხრა, რომ ეს სახელი კარგიაო.

— რომელი სახელი?

— ნაუ.

— რა?

— ნაუ.

— ნაუ, — გაიმეორა ქვისმთლელმა და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ თქვა, — ჰო, კარგია, მეც ნაუს დავუძახებ.

ბიჭს ძალიან გაუხარდა, რომ ქვისმთლელს მოეწონა სახელი და იკითხა:

— დღეს არ მოსულა?

— არა, შუადღეზე მოვა. ჩამოჯექი ქვაზე, ახლა არ არის დიდი სიცხე.

— არა, მამამ თმები უნდა მოიკლოო.

— ჰო, კარგი, როცა ჩამოხვალ, მოდი. მოხვალ?

— მოვალ, — უთხრა ბიჭმა და გაიქცა.

— გოგი, — დაუძახა ქვისმთლელმა ბიჭს, — როცა ჩამოხვალ, ყველაფერი მომიყევი, კარგი?

ბიჭი შეჩერდა და მოიხედა. მას გაოცებული გამომეტყველება ჰქონდა. უკვირდა, ქვისმთლელმა რომ სახელი დაუძახა.

— კარგი, ბიძია ზაქარია, — უპასუხა მან და უფრო სწრაფად გაიქცა.

ქვისმთლელმა ისეთივე გამომეტყველება მიიღო, როგორიც წელან ბავშვს ჰქონდა. იგი დიდხანს უყურებდა თუ როგორ მირბოდა პატარა ბიჭი და სიამოვნებდა, რომ ბავშვმა სახელი დაუძახა.

გადიოდა დღეები და შენობის კედლები თანდათან მაღლა იწევდა. ცამ დიდი სიცხისაგან ლურჯი ფერი დაჰქარგა. ქვისმთლელო იჯდა მზეში დიდ ოთხკუთხეა ქვებში და მუშაობდა. გადიოდა დღეები და კედლების ჩრდილო ქვისმთლელს თანდათან უახლოვდებოდა.

შუადღეზე, როცა ყველა ისვენებდა, ქვისმთლელო ამჩნევდა თუ როგორები იყვნენ მასთან ერთად მომუშავე ადამიანები.

იაინი ხშირად ლაპარაკობდნენ თავიანთ თავზე, ხშირად ლაპარაკობდნენ სხვებზედაც, მაგრამ ქვისმთლელს არ ესმოდა მათი სიტყვები. იგი მოშორებით იჯდა და არ შეეძლო გაეგო მათი სიტყვები. მაგრამ ქვისმთლელო იცნობდა მათ, იცნობდა თითქმის ყველას. ერთ დღეს მშენებლობაზე ლამაზი ქალიშვილი

მივიდა, იგი ეძებდა თავის ძმას, რომელიც იქ მუშაობდა. ერთმა მუშამ ქალი-შვილს ცუდად დაუწყო ცქერა. ქვისმთლელობა დაინახა ეს და მან უკვე იცოდა: თუ როგორი კაცი იყო ის. მას შემდეგ, რაც პატარა ბიჭი მთაში წავიდა, ქვისმთლელი ნაცრისფერ ძაღლს „ნაუს“ ეძახდა. ერთხელ ნაუს შესვენების დროს მუშის ახლოს დაწვა ჩრდილში. მუშამ მას ქვა დაარტყა. ძაღლი წკავწკავით გაიქცა, მუშა იცინოდა. მასთან მივიდა მეორე და იმ მეორემ უსაყვედურა. იმან კი, ვინც იცინოდა, უხეშად უპასუხა. ქვისმთლელობა დაინახა ეს და იმ დღიდან იგი ორივეს იცნობდა. ერთხელ ერთი მუშა მშენებლობის უფროსს რაღაცაზე ელაპარაკებოდა. მშენებლობის უფროსი ყურადღებით უსმენდა და თავს უქნევდა. როცა მუშა შებრუნდა, მშენებლობის უფროსმა ირონიულად გააყოლა თვალი. ქვისმთლელობა დაინახა ეს და არ ესიამოვნა. ერთ დღეს, შესვენებისას ერთი მუშა იმით ერთობოდა, რომ მოზრდილ ქვას სწევდა. შემთხვევით ქვა უკან გადაუვარდა და ზურგსუკან მდგომი ამხანაგის ფეხებთან დაეცა. ამხანაგი დაფრთხალი შემობრუნდა და მთელის ხმით ლანძღვა დაიწყო. მან იცოდა, რომ ეს შემთხვევით მოხდა, მაგრამ მაინც ილანძღებოდა. ქვისმთლელობა დაინახა ეს და მიხვდა, თუ როგორი იყო ის კაცი.

ქვისმთლელებს არ ესმოდა მათი სიტყვები, მაგრამ იგი იცნობდა მათ.

გადიოდა დღეები და შენობის კედლები თანდათან მაღლდებოდა; გადიოდა დღეები და კედლების ჩრდილი ქვისმთლელებს თანდათან უახლოვდებოდა. იგი ხშირად ფიქრობდა ჩრდილზე; აგონდებოდა პატარა ბიჭი და ფიქრობდა მთებზე, მაღალ მთებზე, სადაც ახლა სიგრილე და მსუბუქი ჰაერი იყო.

ერთ დღეს იგი ისევ იჯდა მზეში დიდ ოთხკუთხა ქვებში და მუშაობდა. უცებ მან შენიშნა, რომ კედლის ჩრდილი სულ ახლოს იყო. ეს შეამჩნია ქვისმთლელობა და ძალიან გაუკვირდა. იგი თითქმის ყოველდღე ფიქრობდა ჩრდილზე და უკვირდა, თუ რატომ ვერ შენიშნა აქამდე მისი მოახლოება. იგი იმ ადამიანით გაოცდა, რომელმაც თავის ეზოში მდგარი ხის სიმწვანე გაზაფხულზე უცებ შეამჩნია. შემდეგ ქვისმთლელობა დაიწყო ანგარიში; ანგარიშობდა თუ რამდენი დღე უნდა გასულიყო, რომ ჩრდილს იგი სულ დაეფარა. „ათ დღეში ალბათ ჩემამდე მოაღწევს“, — გაიფიქრა მან და შემდეგ ხმამაღლა თქვა: — ჩრდილში აღარ გამიჭირდება მუშაობა. ქვისმთლელები კარგ გუნებაზე დადგა, უნებურად პატარა ბიჭი მოაგონდა და მისი აქ ყოფნა ინატრა. „ალბათ მალე ჩამოვა“, — გაიფიქრა მან და წამოდგა. ხელები გვერდებზე შემოიწყო და შენობისკენ მიბრუნდა. იგი უყურებდა მაღალ კედლებს და სიამოვნებდა, რომ კედლები მაღალი იყო, — ალბათ სულ მალე დამთავრდება, — თქვა მან წყნარად და იმ ქვაზე ჩამოჯდა, რომელიც ჩრდილში იდო. უცებ მან ნაცრისფერ ძაღლს მოჰკრა თვალი. ძაღლი თათებით მიწას ფხაჭნიდა და რაღაცას ყნოსავდა.

— ნაუს, — დაუძახა ქვისმთლელობა, — მოდი აქ.

ძაღლმა ყეფით უპასუხა და შემდეგ ისევ მიწის ფხაჭნა დაიწყო.

— ჯერ შუადღე არ არის, — თქვა ქვისმთლელობა და სიცილი აუვარდა.

იმ საღამოს დიდი წვიმა მოვიდა. წვიმდა დილამდე. დილით ცა ისევ მოიწმინდა და ქვისმთლელები მთელი დღე მუშაობდა მზეში. ჩრდილი სულ მალე დაფარავდა მას.

ზაფხული დაილია და გიგი მთიდან ჩამოვიდა. იმ დღესაც დიდი სიცხე იყო. როცა იგი ქვისმთლელებთან მივიდა. ქვისმთლელები ახლა მუშაობდა. ჩრდილში, ქვისმთლელებამდე ახლა აღწევდა კედლების ჩრდილი. ორივე ხელები მუხლებზე ეწყო და თავი დახრილი ჰქონდა. იგი უმოძრაოდ იჯდა დიდ ოთხკუთხა რუხ ქვებში და რაღაცაზე ფიქრობდა. იგი ახლა ჰგავდა იმ ქვებს, რომლებიც ირგვლივ

ეყარა. პატარა ბიჭი დიდხანს უყურებდა შორიდან და ხედავდა მის დიდ ზურგს, რომელსაც უხეში რუხი ხალათი ჰფარავდა, ქვებივით რუხი. ბიჭს უკვირდა თუ როგორ ჰგავდა ქვისმთლელო რუხ ქვებს. შემდეგ დაუძახა. ქვისმთლელმა თავისი სახელი გაიგო, უკან მოიხედა და თეთრი კბილები გამოაჩინა. იგი გამოეყო ქვებს და პატარა ბიჭი დარწმუნდა, რომ იქ იჯდა კაცი, რომელიც მას იცნობდა.

შენობის კედლებთან იდგნენ მუშები და უყურებდნენ ქვისმთლელს. ისინი ხედავდნენ თუ როგორ მივიდა პატარა ბიჭი ქვისმთლელთან. ქვისმთლელმა ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა. მუშები ხედავდნენ თუ როგორ იცინოდა ქვისმთლელო და პატარა ბიჭი.

— უცნაური კაცია, — თქვა ერთმა, — არ მეგონა, თუ ოდესმე ბავშვს მოეფერებოდა. ეს პირველი შემთხვევაა.

— იცნობ? — ჰკითხა მეორემ.

— როგორ უნდა ვიცნობდე. არასოდეს თავის თავზე არ ლაპარაკობს. ზოგჯერ საქმეზე თუ გეტყვის რამეს.

— ჰო, საქმეზე თუ გამოგელაპარაკება. ალბათ ის ბავშვი შვილია მისი.

— ალბათ.

— ზაქარია! — დაუძახა ერთმა, — შენი შვილია? — და ხელით პატარა ბიჭზე მიუთითა.

— არა, — უპასუხა ქვისმთლელმა და თავიც გააქნია. ცოტა ხნის შემდეგ მუშებისავე მიიხედა და ხმამაღლა დაიძახა: — ქვები თუ გინდათ კიდევია, დათლილი ქვები, — და ბიჭს მიუბრუნდა. — ჰო, ძალიან ადრე დგებოდი?

— ძალიან ადრე. ერთ დღეს გორაზეც ვიყავი. იქ ერთი დიდი გორაა და იქიდან ჩანს თუ როგორ ჩადის მზე.

— ჰო, ვიცი; იქ მეც ვყოფილვარ. კიდევ?

— კიდევ... ტყეშიაც დავდიოდით სულ. ჰო, მე მკვდარი დათვი ვნახე, ძალიან დიდი დათვი იყო. მონადირეებმა მოკლეს. მონადირეებს დიდი ძაღლები ჰყავდათ, ძალიან დიდი ძაღლები.

— ალბათ მწყემსები იქნებოდნენ.

— ჰო, — უპასუხა ბიჭმა აბნევით, — მამამ თქვა, რომ სამი ასეთი ძაღლი მოერევა დათვსო.

— ჩვენი ძაღლი დაგავიწყდა? — ჰკითხა უცებ ქვისმთლელმა. ბიჭმა ვერ მოიგონა ნაცრისფერი ძაღლი.

— ნაუ, — თქვა მაშინ ქვისმთლელმა.

ბიჭს სიხარულით სიცილი აუვარდა.

— ჰო, — თქვა მან, — მახსოვს, მე რომ დავბანე. ნაუ პატარა გოგომ დაარქვა.

— შენ რომ წახვედი, მას შემდეგ ნაუს ვეძახდი და ახლა იცის, რომ ნაუ მისი სახელია.

— ესმის?

— ჰო, ესმის, — უთხრა ქვისმთლელმა.

ბიჭს სიხარულით ისევ სიცილი აუვარდა.

— ახლა სად არის? — იკითხა მან შემდეგ.

— ჯერ ადრეა. როცა მოშივდება, აი მაშინ შუადღეც დადგება და მოვა, — ქვისმთლელმა გაიცინა. იცინოდა ბიჭიც.

— აქ სულ სიცხე იყო, ძალიან დიდი სიცხე, — თქვა შემდეგ ქვისმთლელმა, — მაგრამ მე უკვე ჩრდილში ვიმუშავე. კედლები ისე მაღალია ახლა, რომ მათი ჩრდილი ჩემამდე აღწევს. ჩრდილში იოლია მუშაობა.

— იქ ასვლა არ შეიძლება? — შეეკითხა ბიჭი.

— სად იქ.

— იმ სახლზე.

— ჰო, კი, მაგრამ საშიშია არ გადმოვარდე, სხვა დროს აგიყვან, მე თვითონ ავალ და აგიყვან. ჰო, დიდ სიცხეში ძნელია მუშაობა, მაგრამ მე უკვე ჩრდილში ვიმუშავებ.

— ნათეს კიდევ დავბან, — თქვა ბიჭმა, — მე რომ ნათე დავუძახო, ხომ გაიგებს.

— გაიგებს, — უთხრა ქვისმთლელმა, — წაიყვანე და დაბანე.

— ხვალ წაიყვან.

— ხვალ წაიყვანე.

პატარა ბიჭი წავიდა და ქვისმთლელმა მუშაობა გააგრძელა. იგი მუშაობდა ჩრდილში და გრძნობდა, რომ ახლა უწინდელივით აღარ იღლებოდა. „სამაგიეროდ აღრე მშვიდება, — ფიქრობდა ქვისმთლელი, — დიდ სიცხეში შიმშილიც არ გახსენდება“.

იმ საღამოს მას უთხრეს, რომ სახლის შენება დამთავრდა. კედლების უფრო მაღლა აყვანა აღარ იყო საჭირო და აღარც დათლილი ქვები სჭირდებოდათ.

დიდ ველზე კიდევ უნდა აეშენებინათ სახლები. იქ ჯერ არ იყო არც ერთი ხე და არ იყო ჩრდილებიც.

იქ უნდა ემუშავა ქვისმთლელს.



სადგურში...

ჩამოატარეს ბიჭებმა წაბლი,
ლიმილთან ერთად შემოგვთავაზეს.
მზე ეშვებოდა ზეციდან დაბლა
და ხეობებში ჰყრიდა ალმასებს.
ბაქანზე სჩანდა ორიოდ მგზავრი,
პატარა გოგო ხელბარგზე იჯდა.
უცებ ჩამოჰკრეს სანიშნო ზარი,
მატარებელი დაიძრა დინჯად.
და აირია ყიჟინი... კვამლი...
ფანჯრებს მიაწყდა ქალი თუ კაცი..
ჩვენ უბეები ავივსეთ წაბლით
და ძირს ვაწვდიდით კალათებს დაცლილს.
მერე გარბოდნენ ხეები მიჯრით,
თითქოს და ჩვენგან გაქცევა სურდათ
მატარებელს კი მოსდევდა ბიჭი
და თან გზა და გზა გვაწვდიდა ხურდას.

გამხმარი ბია

მთვარე სათოვრად დადის ყანებზე
ბუხარში ჯირკი იწვის და ღვივის
და კარლიაში სველ სოხანეზეც
შემოდის ჩრდილი გამხმარი ბიის...
და იმავ ჩრდილით, საკმაოდ გვიან,
როცა ბუხრის წინ ბებერი ხვნეშის
ამოძრავდება გამხმარი ბია,
რომ ჯირკთან ერთად ჩაიწვას ცეცხლში,
გამოიხურავს ბებერი კარებს
და ჩრდილს ძალღივით გააგდებს გარეთ.



ნახატი ჯემალ ლოლუასი

დღეს საღამოთი კონცერტია. ჩემი პირველი სოლო კონცერტი.

ვლელავ. ვცდილობ დავმშვიდდე—ხან ძველ ჟურნალებს ვათვალიერებ, ხან ეზოში მოთამაშე ბავშვებს ვუყურებ.

ვერ ვწყნარდები. დავდივარ ოთახში — ერთი კუთხიდან მეორემდე. რაღაცით უნდა გავიროთ თავი... რა ვქნა?

ჩამქრალ პაპიროსს ვუკიდებ. ტახტზე ვწვები და ჭერს თვალებით ვბურღავ.

დღეს ალბათ ბევრი ხალხი იქნება კონცერტზე. რომ შემეშალოს?... არა! არ შემეშლება. არ უნდა შემეშალოს, მაგრამ... რა ვქნა, როგორ დავწყნარდე? ვდგები და დავდივარ ერთი კუთხიდან მეორემდე.

რა ვქნა?..

კედელზე ჩამოკიდებულ სურათს შევაცქერდი.

სურათიდან პატარა ბიჭუნა მიყურებს და ეშმაკურად მიღიმის. მოკლე შარვალი ჩაუცვამს. ყელზე დიდი ბაფთა გაუკეთებია. ხელში სათვალე უჭირავს. მისი ღიმილი ჩემზეც გადმოდის და ვულიმი.

ეს ხომ მე ვარ, მე...

მე მაშინ პატარა, ძალიან პატარა ბიჭი ვიყავი.

მამაჩემი სხვა ქალაქში გაგზავნეს სამუშაოდ, დედაც მას გაჰყვა. დამტოვეს ბებიასთან.

ბებიას ჯერ „ბაბუსკას“ ვეძახდი, მერე „ბაბუს“.

ყოველი ბავშვივით თამაში, ცელქობა და განსაკუთრებით შეკითხვები მიყვარდა.

ცოტათი... ცოტათი კი არა, საკმაოდ ახირებულვით გახლდით.

როგორ მიყვარდა ეზო!..

ბებია და სახლი მაშინ მაგონდებოდა, როცა თამაშით დაქანცულს არაქათი აღარ მქონდა.

ავიდოდი კიბეებზე, კარზე ბრახაბრუს ავტეხდი და ლოყებდაწითლებული და ოფლიანი სავარძელზე მოვიკალათებდი ხოლმე.

— უუჰ, შე ყაჩაღო, — მეუბნებოდა ბებია და ტანსაცმელს მიცვლიდა, — სათვალისანი და ასეთი ცელქი!

სათვალეს მაშინვე ვიხსნიდი განაწყენებული, მაგრამ ისევ ვიკეთებდი. ბავშვობიდანვე სუსტი მხედველობა მქონდა.

ბებიას ჩემი სათვალეების გამოუღწეველი მარაგი ჰქონდა, რადგან თითქმის ყოველდღე ვტეხდი მათ — ხან ველოსიპედით მოვისურვებდი კიბეებზე ჩასვლას, ხან ბურთი მხვდებოდა სახეში, ხან სირბილის დროს წავიქცეოდი ხოლმე.

ეზოდან ამოსული ცოტა ხანს ვისვენებდი.

— ბაბუ, რამე წამიკითხე, — ვეტყოდი ხოლმე შემდეგ.

ბებიაც მიკითხავდა გრიმების ზღაპრებს, მიაშობდა ამირანის ამბავს...

ერთხელ „მუმუ“ წამიკითხა.

— ბაბუ! — შევშფოთდი — დაიდრჩო?

— დაიდრჩო...

— მოკვდა?

— მოკვდა...

— რატომ დაიდრჩო, ცოდვა არ არი? — შევაცქერდი ბებიას და ტირილი დავაპირე.

ტირილი ხმამაღალი მიყვარდა. ისეთ ღრიალს ამოვუშვებდი ხოლმე, რომ...

— დაცა, დაცა, — დაფაცურდა ბებია, — ჯერ არ დამიმთავრებია. მუმუმუ იცოდა კარგი ცურვა, — განაგრძო „კითხვა“ ბებია, — გასცურა მდინარე, მივიდა გერასიმესთან და ახლაც იქ ცხოვრობენ კარგად და ბედნიერად... ფქვილი აქა, ქაჭო იქა, — დაუმატა დამაჯერებლობისათვის.

მეც დავუჯერე და ცრემლიანი თვალებით გავუღიმე.

როცა გავუღიმებდი, ბებია ყოველთვის მეფერებოდა, თმას თითებით მივარცხნიდა და გულზე მიკრავდა.

— ჩემი პატარა ბიჭი, — იტყოდა ხოლმე.

„ჩემის“ ბებია ყოველთვის აგრძელებდა და მოფერებით „ჩემის“ ამბობდა. მე კიდე უფრო ვპატარავდებოდი მის მკლავებში.

— ჩემი სათვალისანი ბიჭი, — ამბობდა ბებია და თვალებში მკოცნიდა.

ჩვენს სახლში მოსულ სტუმრებს მოვალეობად მიაჩნდათ ჩემზე რაიმე აზრი გამოეთქვათ და, რა თქმა უნდა, ყოველთვის მაქებდნენ.

ბებია ცდილობდა არ შეემჩნია ჩემი ქება, მაგრამ ვერ ახერხებდა, ილიმე-ბოდა.

— რამდენი წლისა ხარ, ნუგზარ? — მეკითხებოდნენ სტუმრები.

მე საჩვენებელ თითს ცერით ვიჭერდი და სტუმრებს სამ თითს ვუჩვენებდი ხოლმე.

— უჰ! უკვე დიდი ბიჭი ყოფილა, — ამბობდნენ ისინი.

მე ვიცოდი, რომ არ ვიყავი დიდი.

— ბაბუ! შენ ხომ დიდი ხარ?

— კი, — მოგვიანებით მპასუხობდა ბებია, სტუმრებს უხერხულად გაეღიმებოდათ და ლაპარაკს იწყებდნენ, მაგრამ მე არ ვაცლიდი.

— ბაბუ, მე რატომ ვარ პატარა და შენ დიდი?

ბებია ბრაზდებოდა.

— ი-ძი-ტომ! — მეუბნებოდა ნერვიულად.

მე და სტუმრები უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებოდით. ასეთი კითხვების შემდეგ, ცხადია, ვერ შემაქებდნენ.

გამოსავალს ისევ ბებია პოულობდა.

— ნუგზარ, აბა უთხარი ბიძია გიორგის — ვინ დაწერა „თორნიკე ერისთავი“.

— აკაკი წერეთელმა, — ვპასუხობდი მე.

— უყურე შენ! — გაიკვირვებდა ბიძია გიორგი.

ბებია გაიბადრებოდა და განაგრძობდა:

— მუმუ?

— მუ-მუ — ტურგენევმა. მუმუმ ისეთი კარგი ცურვა...

— ნუგზარ! წადი, გენაცვალე, ეზოში ითამაშე.

ეზოში ჩავრბოდი და ომობანას ვთამაშობდი. სათვალეს ვიხსნიდი და ჯიბეში ვიდებდი — რომ არ მომეხსნა, აუცილებლად „გერმანელი“ ვიქნებოდა. გადიოდა დრო.

ჩემი წლოვანების საჩვენებლად აღარ მყოფნიდა ერთი ხელის თითები. სკოლაში შემეყვანეს.

ეზოში ცოტა ხნითაა ჩავდიოდი ხოლმე.

სკოლა კიდევ არაფერი, ბებიამ გადაწყვიტა რომელიმე ინსტრუმენტზე დაეკრა მესწავლა.

„რომელზე?“ — ფიქრობდა.

— რომელზე? — ეკითხებოდა ნაცნობებს.

როილისა და ვიოლინოს გაგონებაც არ სურდა — ყველა მაგაზე უკრავსო, ამბობდა, ბებიას ყოველთვის უნდოდა, რომ განსაკუთრებული ყოფილიყო.

ბოლოს ვიოლონჩელზე შეჩერდა.

დაიწყო ჩვენი სიარული მუსიკალურ სკოლაში! ბებია წინ მიმიძღოდა ვიოლონჩელით ხელში, მე ნოტები მიმქონდა.

როგორ ვბრაზდებოდი, ჩემს ტოლებს ეზოში ფეხბურთი უნდა ეთამაშათ, მე კი... მე უნდა დამეკრა.

გაბრაზება სწრაფად მავიწყდებოდა, ქუჩაში მრგვალ ქვას ამოვარჩევდი, ფეხს ვურტყამდი და თავს ფეხბურთელად ვთვლიდი. მივრბოდი თამაშით, ხტუნვა-ხტუნვით. ბებიას მივდევი, ხან ვუსწრებდი ხოლმე. ხანდახან ზედმეტად გართული ბებიას ვეჯახებოდი.

— უუჰ, შე ყაჩაღო, — ამბობდა მაშინ ბებია, — სათვალისანი და ასე ცელქი!

სათვალის მოსასხნელად ხელი სახესთან მიმქონდა, — მაგრამ ისევ ვუმვებდი.

გზად ბებიას ნაცნობი ქალი ცხოვრობდა. ღღენიადავ ფანჯარაში იყო გადმოდგარი და ქუჩას ათვალიერებდა.

— ნუგზარი როგორა გყავს? — ეკითხებოდა ბებიას.

— ცელქობს, — პასუხობდა ბებია, — კვირაში ორ სათვალეს ამტვრევს.

გაკვეთილის შემდეგ წინ მე მოვდიოდი ისევ თამაშით, ბებია უკან მომყევბოდა ვიოლონჩელით ხელში.

ნაცნობი ქალი იდგა ისევ და ქუჩას ათვალიერებდა.

— ბაბუ, ეს ქალი „შპიონია“? — ეკითხებოდა ბებიას.

— არ არის შენა საქმე!

სახლში მისვლისას ცოტახნით ბებია ეზოში სათამაშოდ მიშვებდა. რას არ ვთამაშობდით — ლახტს, დამალობანას, დაჭერობანას, ომობანას, ყველაზე

ზშირად კი ფეხბურთს. მე ყველაზე პატარა ვიყავი და ამიტომ მეკარედ მაყენებდნენ. თავდამსხმელად თამაში მერჩია, მაგრამ... მაინც გატაცებით ვთამაშობდი. ჩვენი ეზოს ნაკრების მეკარე ვიყავი.

— ნუგზარ, — დამიძახებდა უცებ ბებია, — ამოდი, გაკვეთილები მოამზადე.

— მოიცა რა, მოიცა რა, ბაბუ...

ბებია არ მიცდიდა.

— ნუგზარ! ამოდი.

ზანტად ავდიოდი სახლში.

მეცადინეობის შემდეგ ეზოში სტვენით ჩავრბოდი და დამალობანას ვთამაშობდი. კარგ ადგილს ვიპოვნიდი, დავიმალეობოდი და ამ დროს...

— ნუგზარ, — დამიძახებდა ბებია, — ამოდი, გენაცვალე, და დაუკარი.

„დაუკარის“ ბებია ხაზგასმით ამბობდა.

მე არ ვპასუხობდი. ბებია, როგორც ყოველთვის, არ მიცდიდა.

— ნუგზარ! ეხლავე ამოდი!

ოხვრით ავდიოდი კიბეებზე. ბებია ვიოლონჩელით მეგებებოდა.

— დაუკარი...

იმ წუთში ალბათ ძალიან შეწუხებული და დაღვრემილი გამომეტყველება მქონდა.

— დაუკარი, ჩემო კარგო ბიჭო...

ბებია მაგიდასთან სკამს მიდგამდა და სურაზე ნოტებს მიაყუდებდა.

მე ყოველშემთხვევისათვის უარის თქმას დავაპირებდი, მაგრამ...

— ნუგზარ! ჩქარა! დაჯექი და დაუკარი.

რაღა გზა მქონდა. ვჯდებოდი და ვუკრავდი.

ვიოლონჩელი კაცი იყო ჩემთვის, ბოროტი კაცი. ეს კაცი მუხლებშუა უნდა დამეყენებინა, მისი თავი მარცხენა მხარზე უნდა მიმესვენებინა, მარცხენა ხელის თითები ყელზე უნდა შემომეჭქდო მისთვის, ხოლო მარჯვენათი უნდა ამემლერებინა.

ვიოლონჩელს მაშინ ბოხი, ჩახრინწული ხმა ჰქონდა და მთვრალი კაცივით უსმენოდ მლეროდა.

ბებია გვერდით მეჯდა და მიყურებდა, რომ მარჯვენა ხელის მოძრაობა არ შემეჩერებინა.

რა ნელა გადიოდა დრო!..

ჩემზე მეტად მეზობლები იტანჯებოდნენ.

— ველარ გაათავა? — კითხულობდა ერთი.

— არ იქნა ჩემი მოსვენება, — ამბობდა სამსახურიდან დაბრუნებული ბუღალტერი.

ჩემი ბოროტი კაცი არავის ერიდებოდა და ჩახრინწული ხმით სიმღერას განაგრძობდა.

— ვა! ველარ გადახერხა? — ამბობდა მანამდე მოწყენილი მეწაღე სეროჟა და თავისი ხუმრობით კმაყოფილი კარგ ხასიათზე ღებოდა.

დაკვრის შემდეგ ისევ ეზოში ჩავრბოდი სტვენით.

— ნუგზარ, — მითხრა ერთხელ ბებიამ, — მე ცოტა ავად ვარ. წახვალ მართო?

— როგორ ვერ წავალ, — გავიკვირვე.

— ვიოლონჩელი ფრთხილად ატარე. სადმე არ დაამტვრიო. აბა, შენ იცი, ჩემი ჰკვიანი ბიჭი.

კიბეებზე მართლაც ფრთხილად ჩამოვიტანე ვიოლონჩელი.

ეზოში ფეხბურთის თამაშს აპირებდნენ ბიჭები.

— თამაში გინდა? — მეკითხა ეზოს გუნდის კაპიტანმა.

— კი...

— დადექი გოლში...

ჩემი კაცი მიწაზე დავაწვინე და დავდექი. ერთი ძნელი ბურთიც ავიღე და ნამდვილ მეკარედ წარმოვიდგინე თავი. „აი, ნამდვილ კარში რომ ვიდგე, რა იქნებოდა, — გაფიქრე, — ძელებიან კარში“. უცებ ისეთი გადაწყვეტილება მივიღე, რომ ყველას გაეხარდა. ერთი ძელის მაგიერ თხემი ჩავარტყე მიწაში, ხოლო მეორის ნაცვლად ვიოლონჩელი. ასეთ კარში მდგარი დამინახა ბებიამ... ერთი კვირის მანძილზე უმეკაროდ იყო ჩვენი ეზოს ნაკრები...

გადიოდა დრო.

ჩვენ ისევ ერთად დავდიოდით მუსიკაზე.

— ნუგზარი როგორ არის? — ეკითხებოდა ფანჯარაზე გადმომდგარი ქალი ბებიას.

— ცოტათი დაჰკვიანდა, ერთი კვირაა. სათვალე არ გაუტეხია, — ამაყად პასუხობდა ბებია.

ბებიასთვის ის დღე დღესასწაული იყო, როდესაც მე კონცერტზე ვუკრავდი.

— ბაბუ, რომ შეშვეშალოს, რა მეშველება? — ვეკითხებოდი შიშით ბებიას.

— არ შეგეშლება, — მაიმედებდა ბებია და მეფერებოდა, — არ შეგეშლება, ჩემი ჰკვიანი ბიჭი. როდის იქნება, სოლო კონცერტი რომ გექნება?

დრო არავის და არაფერს უყურებდა. მიდიოდა თავისთვის.

მე უკვე მეჩოთირებოდა მოკლე შარვლის ჩაცმა.

ვიოლონჩელი ისევ კაცი იყო ჩემთვის, ბროტტი კაცი, ოღონდ ისეთი ჩახრჩნული ხეა აღარ ჰქონდა.

ერთხელ ბებია ავად გახდა. დიდხანს იწვა.

ფრთხილად დამქონდა ვიოლონჩელი.

— თამაში გინდა? — მეკითხებოდნენ ბიჭები.

— არა...

მე ღრმად განვიცდიდი ბებიას ავადმყოფობას.

— ბაბუ, რამე ხომ არ გინდა? — ვკითხე ერთხელ.

— ის დაუკარი.

— რა?

— მე რომ მიყვარს.

ბებიას სენ-სანსის „მომაკვდავი გედი“ უყვარდა.

ვიოლონჩელი მუხლებშუა დავიყენე, თავი მხარზე მივადებინე, კისერზე თითები შემოვაჭდე და დავუკარი.

არასოდეს დამიკრავს ისე კარგად...

— ჩემი ჰკვიანი ბიჭი. მოდი. მოგეფერო, — მითხრა ბებიამ და ცრემლები მოიწინდა.

ისე მომეფერა, როგორც ყოველთვის მეფერებოდა — თითებით დამივარცხნა თმები, გულში ჩამიკრა, თვალებზე მაკოცა.

კარი გაიღო და ჩვენი მეზობელი ბუღალტერი შემოვიდა.

— კიდევ დაუკარი რა, ნუგზარ, — მთხოვა მან, — მუსიკა ისე მასვენებს...

მე რა თქმა უნდა, კიდევ დავუკარი.

იმ დღის შემდეგ შევიყვარე ვიოლონჩელი... ის ისევ კაცი იყო ჩემთვის,

ოლონდ ისეთი, რასაც მოსთხოვ, რომ აგისრულებს. მინდოდა და ბედნიერებაზე, სიხარულზე ავამღერებდი, მომინდებოდა და სევდიან ჰანგებს გადმოვადვრე-
ვინებდი.

ალარ მჭირდებოდა დაძალება. ალარც მეზობლებს ვაწუხებდი. პირიქით.

— დამწვრისა დაუკარი რა... — მოთხოვდა ხოლმე მეწაღე სეროჟა.

ბებია ამაყობდა ჩემით. ხანდახან დაფიქრდებოდა და იტყოდა:

„ჩემი ბიჭი, როდის გექნება ნეტავ სოლო კონცერტი?“

დრო გადიოდა, გადიოდა სხვადასხვანაირად — ხან მდორე მდინარესავით მიზლანებოდა, ხან მთის ნაკადივით მიისწრაფოდა. დრო შეუმჩნევლად მაშინ გადიოდა, როდესაც ვუკრავდი. ალარ ვიყავი პატარა ბიჭი — ბებია მხრებამდე ძლივს მწვდებოდა. კონსერვატორიის სტუდენტი გავხდი.

ბებია ერთხელ საწოლზე ჩამომიჯდა და მომეფერა. მივარცხნიდა თმებს და მიყურებდა თვალებში. რაღაცის კითხვას აპირებდა.

— ჩემი დიდი ბიჭი, — გაუბედავად მომმართა, — არავინ გიყვარს?

კინალამ გავწითლდი.

— არა ბაბუ, რა დროს ჩემი...

— რატომ რა დროს... შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ.

იმ წუთს პირველად ვიგრძენი, რომ ალარ ვიყავი ბავშვი.

— ნუგზარ, ვინმე რომ გეყოლება... ხომ გამაცნობ?

— კი, ბაბუ...

ბებია დაფიქრდა.

— სოლო კონცერტი რომ გექნება, მაშინ გამაცანი. კარგი?

— კარგი, ბაბუ...

რამდენი ვიფიქრე იმ ღამეს!

მართლაც, ალარ. ვიყავი ბავშვი. ვგრძნობდი, რომ ალარ შემეფერებოდა ცელქობა, ველარ ჩავიცვამდი მოკლე შარვალს, სათვალესაც ალარ გავტეხდი.

მე მხოლოდ მაშინ ვიყავი ბავშვი, როცა ბებია მეფერებოდა. მე ისე ხშირად მენატრებოდა მისი ალერსი...

— ბაბუ — ვეუბნებოდი, — ჩემო ბაბუ, მომეფერე, რა!..

ბებიაც მეფერებოდა. მეაღერსებოდა და მეუბნებოდა;

— ხომ გამაცნობ იმას... შენ სოლო კონცერტზე?

მე ტახტზე ვწევარ და ჰერს ვუყურებ.

დღეს საღამოს კონცერტია. ჩემი პირველი სოლო კონცერტი.

ვღელავ. ჩამქრალ პაპიროსს ვუკიდებ. ბოლი ბოლქვებად მიიწეეს ზევით. მერე იშლება და იფანტება.

რომ შემეშალოს?!

დღეს ალბათ ბევრი ხალხი იქნება კონცერტზე. ვიცი, მეზობლები გვირგვინს მიმზადებენ ჩუმად. ბევრი ხალხი იქნება. ისიც იქნება...

„იმას ხომ გამაცნობ?“ — მახსენდება ბებიას თხოვნა.

ის კი იქნება იქ, მაგრამ...

ცრემლი ნაოჭში ყოვნდება, მერე ჩარბის ქვევით ტუჩის კუთხესთან, მერე ნიკაპთან ჩერდება და მკერდზე მეცემა.

მეორე წვეთი პირველის ნაკვალევზე უფრო სწრაფად მოგორავს და ისიც მკერდზე მეცემა.

ბაბუ, ჩემო ბაბუ, როგორ გინდოდა ჩემი სოლო კონცერტის მოსმენა!

თვალებს ვიმშრალავ. საოცრად აწყნარებს ადამიანს თურმე ტირილი...

დღეს საღამოს ჩემს კეთილ, მგრძნობიარე კაცს მუხლებშუა დავიყენებ,

თავს მხარზე მივადებინებ, მარცხენა ხელის თითებს კისერზე შემოვაჭდობ და ავამღერებ. ავამღერებ სუფთა, ხავერდოვანი ხმით.

ოთახში დავდივარ ერთი კუთხიდან მეორემდე.

შემეშლება?

არა, არ შემეშლება!

ბაბუ, შენ ხსოვნას მიუძღვნის ჩემი სათნო კაცი თავის სევდიან სიმღერას.

თანამგზავნი

პატარა მატარებელი ბაკურიანიდან ბორჯომში მიდის. ერთ-ერთ ვაგონში სამი კაცია მხოლოდ. ერთმანეთის პირისპირ სხედან. ორი მათგანი ახალგაზრდაა. ბიჭებს სათხილამურო ფეხსაცმელები, ვიწრო შარვლები და ჯემპრები აცვიათ — ერთს — წითელი, მეორეს — ცისფერი. მესამე ხანშიშესული კაცია. მუნდშტუკს მუხლის თავზე თითებით ათამაშებს და ფანჯარაში იყურება. კაცი ზუგშექცეული ზის ორთქლმავლისკენ და მისი მხერა თითქოს რაღაცას მიჰყვება. ბიჭების თვალებს კი, როცა ისინი ფანჯარაში იხედებიან, თითქოს რაღაც ეგებება. კაცი უფრო ხშირად იხედება ფანჯარაში. ბიჭებს მობეზრდათ ბაკურიანი. პირველად კარგი იყო — თხილამურებით სრიალებდნენ, გუნდებს ესროდნენ ერთმანეთს, გორაკიდან ციგით ეშვებოდნენ. დამ-დამობით სეირნობდნენ: მძიმე სათხილამურო ფეხსაცმელების ქვეშ ჭრიალებდა თოვლი, სადღაც ვალისმოსახდელად აყვფდებოდა ძაღლი, ფანჯრებში ჰქრებოდა სინათლე — ბაკურიანი ზუჰავდნ თვალებს. სამაგიეროდ ცაში ინთებოდნენ ვარსკვლავები... ბიჭებს მოსწონდათ ყველაფერი, დიდხანს დადიოდნენ თოვლზე, განსაკუთრებით გაუკვალავ თოვლში სიამოვნებდათ სიარული. ცისფერჯემპრიანმა ფეხი იტყინა ერთხელ, ლოგინში ჩაწვა. სწრაფად გაიარა არდადეგებმა, დაცარიელდა ბაკურიანი. ცისფერჯემპრიანი ფანჯარასთან იწვა. წითელჯემპრიანიც სულ სახლში იჯდა, საჭმლის მოსატანად თუ გავიდოდა გარეთ. იყვნენ ასე — ერთი იწვა, მეორე იჯდა და იყურებოდნენ ფანჯარაში. გარეთ ყველაფერი დაეფარა თოვლს... ხანდახან რაიმეს უყვებოდნენ ერთმანეთს — ჯერ უხალისოდ ლაპარაკობდნენ, მერე გაახსენდებოდათ რაღაც, უფრო მნიშვნელოვანი. გატაცებით ამტკიცებდნენ რაღაცას. იწურებოდა კამათის თემა, ისევ ფანჯარაში იყურებოდნენ. გარეთ ყველაფერი დაეფარა თოვლს. თოვლი მობეზრებოდათ უკვე ბიჭებს, თავს მეორე მხარეს ატრიალებდნენ და კედელს უყურებდნენ. კედელზე ლაქები იყო. ზოგი ლაქა წვერებიან კაცს ჰგავდა, ზოგი დათვს, ზოგი ვინ იცის რას. ბიჭები ლაქებს უყურებდნენ და ერთობოდნენ.

ახლა ვაგონში სხედან. ვიღაც კაცის პირდაპირ.

კაცი ხშირად იყურება ფანჯარაში. ფანჯარაში თოვლი და ხეები ჩანს, მეტი არაფერი. ხეები ეგებებიან ბიჭებს — ხან თითო-თითოდ, ხან ორ-ორად, ხან ბევრნი ერთად. კაცის მხერა მიჰყვება ხეებს, ხან თითო-თითოს, ხან ორ-ორს, ხან ბევრს ერთად. ბიჭებს ჩქარა ბეზრდებათ ფანჯარაში ყურება. ხან ვაგონის ჭერს შეხედავენ, ხან იატაკს, რაიმე გასართობის პოვნის იმედით. ჭერი ახლახანს შეუღებიათ თეთრად. მოდი და გაერთე — ლაქა რომ ლაქაა, ისიც არა აქვს. იატაკის ფიცრები ერთმანეთს მიჰყვებიან და ხაზებს ჰქმნიან — კარგი გასართობია.

„ნეტა თხილამურები მაინც გადმოვარდეს, რომ, გავასწორო“, ფიქრობს ცისფერჯემპრიანი.

წითელჯემპრიანს ძალიან უნდა რომელიმე სიმღერა წაიღილინოს, მაგრამ კაცის ერიდება. რითი გაირთოს თავი? კაცი რომ არ იყოს, თემურის უამბობდა მაიაზე. უამბობდა, როგორი კარგი გოგოა მაია, როგორი მოსიყვარულე გული აქვს. იმდენად მოსიყვარულე, რომ ბაზარში ნაყიდი და თავქვე დაკიდებული ქათამიც ეცოდება — დაკლავენო. ამ კაცთან რა უნდა თქვას...

„გააჭირა საქმე,“ — ფიქრობს წითელჯემპრიანი და კაცის ჩექმებს უყურებს, — „ამოვიდა და დაგვიჯდა ცხვირწინ. ხომ ვერ გადავჯდებოდით. ვერაფერი მომიყოლია. გააჭირა საქმე“.

კაცი არაფერს აშავებს. ზის თავისთვის და იყურება ფანჯარაში. მზერა აცილებს ხეებს — ხან თითო-თითოს, ხან ორ-ორს, ხან ბევრს...

თოვლი თანდათანობით, შეუმჩნევლად ჰკარგავს სითეთრეს, ნაცრისფერი ხდება. ვაგონში ნათურები ინთება.

წითელჯემპრიანს კაცის სახის დათვალიერება უნდა. უცებ რომ შეხედოს, იცის, შეამჩნევს კაცი... ნელა აპარებს სახისკენ მზერას — ჯერ მუხლის თავზე მოთამაშე მუნდშტუქზე აჩერებს, შემდეგ გულისჯიბის ღილზე. ცოტაც და...

„რა დიდი ცხვირი აქვს“, ფიქრობს წითელჯემპრიანი.

კაცი ისევ ფანჯარაში იყურება.

„რა უაზრო გამომეტყველება აქვს“, ფიქრობს წითელჯემპრიანი. პატარა მატარებელი საკოჭაოში ჩერდება. ბიჭები უფრო ინტერესით იხედებიან — იქნებ აქ მაინც დაინახონ რაიმე გასართობი.

ბაქანი განათებულია. კედელზე ზარი ჰკიდია. ზართან კაცი დგას, ისეა შეფუთვნილი, ვერც გაიგებ, გამხდარია თუ მსუქანი. ბიჭები ხარბად უყურებენ. ფანჯარაში აქამდე იყო მხოლოდ ხეები და თოვლი და უცებ გაჩნდა ბაქანი, ზარი და კაცი. ეს რაღაც ახალია, რაღაცით დამაინტერესებელი.

შეფუთვნილი კაცი ბიჭების ისეთ დაჟინებულ მზერას გრძნობს, რომ ცოტათი იბნევა. არ უნდა, რომ ბიჭებმა დაბნევა შეამჩნიონ და, აქაო და ვითომ არაფერიო, გვერდზე იფურთხება.

„ერთი ლაქა მაინც იყოს ამ ჰერზე“

თოვლი უკვე რუხი ფერისაა. იმ ადგილზე, სადაც ვაგონის სინათლე ეცემა, თოვლი ბზინავს.

ბიჭებამდე ზარის ხმა აღწევს. შეფუთვნილმა კაცმა შეასრულა თავისი მოვალეობა და სადღაც მიდის. იცის, რომ ბიჭების დაჟინებული მზერა კვალდაკვალ მიჰყვება და ცდილობს კოხტა ნაბიჯებით იაროს. ხელებს ზომიერად იქნევს, მუხლებს ჩვეულებრივზე მაღლა სწევს, სასაცილო დაჭიმულობა იგრძნობა მის სიარულში. წითელჯემპრიანს ელიმება და თავს თანამგზავრებისაყენ ატრიალებს. თემურიც ილიმება. კაცი მუნდშტუქს აღარ ათამაშებს, მუხლზე აქვს დაბჯენილი.

„რა უაზრო გამომეტყველება აქვს... რამხელა ცხვირი...“

კაცი სადღაც იყურება.

„რა ნახა ნეტავ, ამ ფანჯარაში?“

კაცი არაფერს არ უყურებს, უბრალოდ იყურება.

პატარა მატარებელი განავრძობს გზას.

კაცის მუხლზე მუნდშტუქი თამაშს იწყებს — ხან იმ ბოლოთი ეხება მუხლს, სიგარეტს რომ სდებენ, ხან იმით, კაცის კბილები რომ იკაეებს.

- გიყვართ? — ეკითხება უცებ კაცს თემური.
- რა? — ვერ იგებს შეკითხვას კაცი და უღიმის.
- თოვლი... გიყვართ-მეთქი თოვლი?
- კი... კარგია თოვლი.
- თქვენ ალბათ ძალიან გიყვართ თოვლი, — ამბობს წითელჯემპრიანი, — თვალი არ მოგიცილებიათ ფანჯრისათვის.
- ხო... ძალიან მიყვარს.
- რატომ გიყვართ? — ეკითხება წითელჯემპრიანი, ოღონდ ისეთი გულ-უბრყვილო ტონით, რომ კითხვის ახირებულება არ იგრძნობა.
- რა ვიცი... — ამბობს კაცი, — როცა დათოვლილ მიწას და ხეებს ვუყურებ, სიმშვიდეს ვგრძნობ. დიდი სიმშვიდეა თოვლში, უზარმაზარი... შეიძლება, სიმშვიდეზე ითქვას უზარმაზარი?
- კი, როგორ არა... ყველაფერი შეიძლება იყოს უზარმაზარი.
- ხო... ამიტომ მიყვარს თოვლი.
- სიმშვიდე რომ იგრძნობა? — ეკითხება თემური.
- ხო. მე მიყვარს სიმშვიდე. დიდხანს, დიდხანს ვუყურებ ხოლმე თოვლს... მერე შევაცქერდები რომელიმე ნაძვს. ნაძვის ტოტებზე თოვლი დევს, არც მოხრილია და არც ირხევა. მაინც შემეშინდება ხოლმე, რომ ნაძვი არ გაინძრეს და თოვლი არ ჩამოყაროს მხრებიდან... ეგრე რომ მოხდეს, სიმშვიდე დაირღვევა.
- მე არ მიყვარს სიმშვიდე, — ამბობს წითელჯემპრიანი.
- ხო, შენ ახალგაზრდა ხარ, არც უნდა გიყვარდეს. შენ თოვლი ალბათ იმიტომ გიყვარს, რომ ზედ თხილამურებით სრიალებ. და აგუნდავებ.
- წითელჯემპრიანს არ მოსწონს კაცის პასუხი. ბრაზდება და ისეთ შეკითხვას ეძებს კაცისთვის, რომ დასცინოს, მაგრამ არ აგრძნობინოს.
- ბოდიში, თქვენ ლექსებს ხომ არ წერთ?
- არა, — იღიმება კაცი — რატომ მკითხეთ?
- წელან ისე ღრმად აღწერეთ ზამთრის პეიზაჟი...
- ეჰ, ეგ რა აღწერაა, — ამბობს კაცი — პოეტი რომ ვიყო, მეცოდინებოდა, ითქმებოდა თუ არა სიმშვიდეზე უზარმაზარი.
- კაცი სიგარეტს აბოლებს.
- უზარმაზარი, — დაფიქრებით ამბობს — რა კარგი სიტყვაა...
- როგორ კარგი?
- როგორ და... იცით, მე მეჩვენება, რომ ზოგიერთი სიტყვა საოცრად ლამაზად ეხამება თავის მნიშვნელობას. ესე იგი სიტყვის ჟღერადობა, ხმოვანება ეთანხმება. მაგალითად „ზარბაზანი“... რაღაც ძლიერი, მრისხანე ისმის ამ სიტყვის წარმოთქმის დროს. თუნდაც სიტყვა „ჩიტი“. ამ სიტყვაში თითქო ჩანს პატარა, ნაზი არსება, სუსტი და უმწეო... სიტყვა „უზარმაზარიც“, მგონი, შეეფერება თავის მნიშვნელობას. მგონი, ვერ გამიგეთ...
- მთლიანად ვერა...
- აბა თქვით „უზარმაზარი“.
- უზარმაზარი.
- ეგრე ჩქარა არა, ცოტათი ნელა...
- უზარმაზარი.
- ვერ გრძნობთ რაღაც დიდს, ძალიან დიდს?
- ვერა...
- მე ვგრძნობ, — ამბობს თემური — მე მგონი „ვეფხვიც“ კარგია.
- კი, კარგია, — მაშინვე ეთანხმება კაცი — „ლომი“?

— ლომი? „ლომი“, მე მგონი ცუდია. როგორღაც ნაზად ჟღერს.

— ხო. სად ის მრისხანე ცხოველი და სად, — კაცი ხმას იწვრილებს, — ლომი.

— „მთვარე“ კარგია, — იგონებს სიტყვებს თემური — „მზე“... აბა. მზეს რაღაც უფრო დიდი, უფრო მეტერადი სახელი უნდა ერქვას.

— ხო, აბა რა, — ამბობს კაცი და უხარია, თემურმა რომ გაუგო.

ჩუმდებიან, წითელჯემპრიანი დგება.

— საით, დათო?

— ცოტათი გაეხურდება, თორემ შემცივდა.

— რამ შეგაცივა, ბიჭო...

— რა ვიცი...

დათო ხელებს ჯერ აქეთ-იქით იქნევს, მერე წრეებს ხაზავს ჰაერში. სწრაფად ჯდება და სწრაფადვე იმართება, თემურის თავისი ნატკენი ფეხი ახსენდება.

— კარგია ახალგაზრდობა, — ეუბნება თემურის კაცი.

დათო რატომღაც უხერხულ მდგომარეობაში ვარდება და თავის ადგილს უბრუნდება.

მატარებელი ჩერდება.

— რა სადგურია, ნეტავ? — ამბობს თემური და ფანჯარაში იყურება.

თოვლი უკვე ლურჯია. მხოლოდ იქ ბზინავს, სადაც სინათლე ეცემა.

— პატარა ცემია, — ამბობს კაცი და ფანჯარაში იხედება — ხო, პატარა ცემია.

დათო კაცს უყურებს და ბრაზდება. რატომ მიაჩნება ვარჯიშს თავი? რატომ ერიდება ამ კაცის?

„რამხელა ცხვირი აქვს... რა სულელური გამომეტყველება“...

ისევ ისმის ზარის ხმა. ისევ წინ მიდის პატარა მატარებელი.

— მართლა აცივდა ცოტათი... ალბათ საიდანლაც უბერავს, — ამბობს თემური.

— გახსოვს თემურ, ზღვაზე რომ ვიყავით, ღამით რომ სიცხით ვიხუთებოდით, ღია ფანჯარას რომ შევყურებდით და ვნატრობდით, ნეტავ საიდანმე დაუბეროსო. გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს, — ამბობს თემური.

— რა კარგი იყო, გახსოვს, ზღვა, — ამბობს დათო და კარგ ხასიათზე დგება — არაფერი ჯობია ზღვას.

— ზღვაც მოგებზრდა ბოლოს, მახსოვს.

— არაფერიც, სრულებითაც არ მომებზრებია.

— როგორ არა...

— რას ამბობ, ზღვას რა მომებზრებდა... ეჰ, რა კარგია ზღვა. ჯერ მარტო ის რად ღირს, სილაზე რომ დაწვები, არა, დაწვები კი არა, დაეგდები და მზეს მიანდობ სხეულს. მზე დაგწვავს, დაგთენთავს, დაგეუფლება, ვერაფერზე ფიქრობ, აღარ გახსოვს არაფერი, მზეს გრძნობ მხოლოდ. ბოლოს წამოდგები, ხარ... შეიძლება ითქვას „მზით გაყლენთილი“?

— რა ვიცი...

— შეიძლება, ალბათ... ხარ გაყლენთილი მზით და შედიხარ გრილ, სასიამოვნო ზღვაში. ისეთ ღამაზე ზღვაში. აი, ზღვა მართლაც უზარმაზარია. უზარმაზარი ზღვა... ზღვას მართლა უნდება სიტყვა „უზარმაზარი“, — ამბობს დათო და კაცს უყურებს.

კაცი ფანჯარაში იყურება. მუქი ლურჯი ფერისაა უკვე თოვლი.
„რა უაზრო გამომეტყველება აქვს“, — ფიქრობს დათო და კაცთან
ლაპარაკის ხასიათზე დგება — თქვენ გიყვართ ზღვა?

— რა ვიცი, აბა...

— როგორ! ალბათ არ გინახავთ, არა?

— კი, მინახავს...

— მერე, როგორ შეიძლება არ გიყვარდეთ ზღვა. ზღვა ისეთი ლამა-
ზია, ისეთი დიდებული... ხომ გინახავთ მზის ჩასვლა ზღვაში?

— კი, როგორ არა, მინახავს... — უხალისოდ ამბობს კაცი და ფანჯარას
თვალს არ აშორებს.

„როგორ ვიყავი დარწმუნებული, რომ ბუნება უყვარდა“, — ფიქრობს
თემური.

— მერე, არ მოგწონებიათ? რა ლამაზია მზის ჩასვლა ზღვაში... — ამ-
ბობს დათო და ჭერს უყურებს. ჭერი ხდება მოლურჯო-მომწვანო და ლურჯი.
ლურჯ ფერში ჩნდება ოქროსფერი, მოწითალო დისკი. დისკი ნელა, აუჩქა-
რებლად ტოვებს ლურჯ სივრცეს და მოლურჯო-მომწვანოში იმალება.

— ეჰ, რა კარგია ზღვა, — ამბობს დათო — განა შეიძლება ზღვა არ
გიყვარდეს?

— ალბათ შეიძლება, — ამბობს კაცი.

— ნუთუ მარტო სიმშვიდე გიყვართ? თუმცა, ზღვაზე ისეთი სიმშვიდეა
მზის ჩასვლის დროს... იცით, მე დაკვირვებული ვარ, როდესაც მზე ზღვაში
ჩადის, მზის და ზღვის სანახავად მისული ადამიანები, რომლებიც ნაპირზე
დგანან, ჩუმად ლაპარაკობენ. მათ ეშინიათ სიმშვიდის დარღვევა.

— მე ისეთი სიმშვიდე მიყვარს, თავდავიწყება რომ მოაქვს.

— მერე? განა ზღვა არ იძლევა თავდავიწყების მიზეზს? განა მხოლოდ
სიმშვიდეს მოაქვს თავდავიწყება? ვერაფერი მაგრძნობინებს ისეთ ღრმა თავ-
დავიწყებას, როგორც ადევლებული ზღვა. უხ, რა კარგია ზღვა, როცა ღელავს...
კაცის ხელი ნერვიულად აკაკუნებს მუხლზე მუნდშტუტს.

— რა კარგია ღელვის ყურება, — ამბობს დათო და სადღაც იყურება —
ზღვა შორიდანვე ამზადებს ტალღას — ჯერ ოდნავ ატოკებს, მერე ატორ-
ტმანებს, მერე სხვა ტალღებს უერთებს ბლუჯა-ბლუჯად, მერე მოიქნევს და...
ისმის ხმაური, ტალღა მოდის ნაპირისაკენ, ჯერ დიდ ქვევს მოაგორებს, მერე
კენჭებს, მერე, სულ ბოლოს სილას ებლაუჭება და მე მეჩვენება, რომ ტალღას
აქვს თითები... ნუთუ არ გიყვართ ზღვა?

კაცის სახეზე ყვრიმალეები თამაშობენ.

— ნუთუ არ გიყვართ მღელვარე, ძლიერი ზღვა?

— დამანებე თავი!!! რა გინდა ჩემგან, რა?

კაცი წამომხტარა ადგილიდან. ანთებული თვალებით უყურებს დათოს,
თვალებში სიძულვილი დაუგუბებია, მზადაა მივარდეს.

— რა დაგიშავეთ? — გაკვირვებით ეკითხება დათო.

კაცი ხედავს მათ გაკვირვებულ სახეებს. ჯდება. მშვიდდება თითქოს.

— მაპატიეთ, — ამბობს კაცი და თავს ხრის.

დათო მხოლოდ ეხლა გრძნობს გაბრაზებას. „რატომ მიყვირა? რატომ,
როგორ გამიბედა უმიზეზოდ ყვირილი?“

— იცით რა, — ამბობს დათო — ჩემ ტოლს არ მოვუთმენდი.... თქვენ
კი... თქვენ რა უნდა გითხრათ... მამაჩემის ხნის კაცი ხართ...

— მაპატიეთ, იატაკს ეუბნება კაცი — ამ ერთი წლის უკან... ზაფხულში... შვილი დამეხრჩო ზღვაში... ერთადერთი შვილი... მღელვარე ზღვაში... ასეთ დროს სიჩუმე საჭიროა და აუცილებელი.

იატაკის ფიცრები ერთმანეთს მიჰყვებიან და ხაზებს ჰქმნიან.

დათოს უნდა, რომ შეხედოს კაცს, მაგრამ უცებ შეხედვის ეშინია, იცის, რომ კაციც შეხედავს.

მატარებელი განაგრძობს გზას. მატარებელი თურმე რომელიღაც სადგურზე გაჩერებულა, ცოტა ხანს მდგარა, მერე ზარიც დაურეკიათ და დაძრულა მატარებელი.

დათო ჯერ კაცის ჩექმებს უყურებს, მერე მის მუხლს, მერე გულისჯიბის ღილს...

დათო უყურებს კაცს.

კაცს სულაც არა აქვს დიდი ცხვირი.

კაცს აქვს სევდიანი გამომეტყველება.

— მაპატიეთ, — ამბობს დათო.

— რა გაქვს, შვილო, საპატიებელი, შენ ხომ არ იცოდი... პირიქით,

— მე მაპატიეთ, რომ ავყვირდი. მე შენ კი არ გიყვიროდი... ზღვას ვუყვიროდი, ზღვას...

ისევ სიჩუმე... კაცის მუხლზე თამაშს იწყებს მუნდშტუკი. ხან იმ ბოლოთი ეხება მუხლს, კაცი რომ კბილებით იჭერს, ხან იმით სიგარეტს რომ სდებენ.

დათოს უნდა, რომ ანუგეშოს კაცი, ან ისეთი რამ თქვას, რომ კაცს ესიამოვნოს. ვერ პოულობს სიტყვებს...

ისევ ფანჯარაში იყურება კაცი. მთლად გაშავებული თოვლი, შავად ჩანს, მაინც თეთრია ალბათ...

— ხო... ძალიან მიყვარს. სულ ის ზღვა მიდგას თვალწინ, მღელვარე ზღვა... თოვლს რომ ვუყურებ, მავიწყდება ყველაფერი, სიმშვიდეს ვგრძნობ მხოლოდ. ხანდახან შევაცქერდები რომელიმე ნაძვს. ნაძვს ტოტებზე ბევრი თოვლი ადევს, მაგრამ არ არის მოხრილი, არც ირხევა. მაინც შემეშინდება ხოლმე, რომ ნაძვი არ გაიძრეს და თოვლი არ ჩამოიყაროს მხრებიდან... ეგრე თუ მოხდა, დაირღვევა სიჩუმე, თვალწინ დამიდგება ზღვა და გამახსენდება... მეტკინება გული... მე მიყვარს სიმშვიდე...

კაცი ნაღვლიანად იღიმება — უზარმაზარი სიმშვიდე.

ისევ ფანჯარაში იყურება კაცი. ისევ წინ მიდის პატარა მატარებელი.

„უზარმაზარი“... ფიქრობს დათო — „მართლა კარგი სიტყვაა ეს „უზარმაზარი“.





ნახატი ჯემალ ლოლუასი

ჭირისუფალთაგან ბევრმა არც კი იცოდა, რომ მიხა დარდაშელი თავისი საქციელით ერთგვარ ხარკს უხდიდა უდროოდ გარდაცვლილი მეუღლის ხსოვნას, როცა სამგლოვიარო დროში ხელში წინ მიუძღოდა დასაფლავების პროცესიას.

არავის დაუვალებია დროშის ტარება მისთვის, არც არავის აუტრიალავს. ის თავად სცემდა პატივს მიცვალებულთა ხსოვნას და არავითარ შემთხვევაში არ იღებდა გასამრჯელოს. ჩირალა ჭიბაშვილს ეხმარებოდა ხოლმე გვირგვინებისა და თიგულების შეკვრაში, ქალაქგარეთ მინდვრებში ყვავილებს კრეფდა და მიჰქონდა საყვავილეში. ჩირალას წერტი ჰქონდა გახსნილი და შეკვეთებს ღებულობდა გვირგვინებზე. ჭირისუფლები როცა გვირგვინებს წაიღებდნენ, მიხას დაუტოვებდნენ გარდაცვლილი ადამიანის ყოფილი სახლის მისამართს და დანიშნულ დროზე მიხაც სათავეში ჩაუდგებოდა ხოლმე სამგლოვიარო პროცესიას.

— სიკვდილივით მეჯავრება ეს კაცი! — ამბობდა მის დანახვაზე ტაქსის მძღოლი გულო გუგუშაშვილი, რომელსაც, მიხას აზრით, გულის მაგივრად სიბი ქვა ედო საგულეს.

გულო მოსვენებას არ აძლევდა მას, სადაც თვალს შეასწრებდა, სეირი უნდა ეჩვენებინა ხალხისათვის. აწვალებდა, აბუჩად იგდებდა და „საიჭიოს ფოსტალიონს“ უწოდებდა. როცა დარდაშელი სამგლოვიარო პროცესიას მიუძღოდა, მაშინ ბუხსაც ვერ უფრენდა, ზმასაც ვერ სცემდა. იცოდა, რომ ჭირისუფლები არ აპატიებდნენ.

დღეები გადიოდა.

არც მიხა იშლიდა თავისას, არც გულო.

*

შემოდგომის ქარიან საღამოს მიხა დარდაშელი მეუღლის საფლავის სანახავად მიდიოდა. იგი ხშირად დადიოდა საფლავზე, ყვავილებს წყალს უსხამდა, ღორღისა და ხრეშისაგან ასუფთავებდა და აგურის ფხვნილს აყრიდა დაცარიელებულ ადგილებში. საფლავი მავთულხლართით იყო შემოღობილი უბრალოდ და მიწაში ჩასობილ თუნუქის ფირფიტაზე ეწერა:

„ესმა დარდაშელი“.

1930 — 1950 წ.

ოცი წლის დაიღუპა ესმა, პირველსავე მშობიარობას გადაჰყვა და ნუგეშად შვილიც ვერ დაუტოვა მიხას.

ციოდა.

ძლიერი ქარი დაცვნილ ფოთლებს ხვეტავდა, იტაცებდა პაერში, ატრიალებდა, ფანტავდა და აფრიალებდა, ფოთლები რაა, ხეებს აზანზარებდა ქარი-მიხა დარდაშელი ფეხით ადიოდა ქალაქის ყველაზე გრძელ აღმართზე და ვერ გრძნობდა, როგორ უვლიდა სიცივე ძვალსა და რბილში.

„ქარი ძირიანად მოგლეჯს ყვავილებს საფლავზე და დაწყვეტს მავთულხლართს“, — ფიქრობდა ის და ჩქარობდა.

სასაფლაოს დასავლეთით კანტი-კუნტად ცხოვრობდა მოსახლეობა, უმთავრესად ალიზით ნაშენებ და თეთრი კირით შეღესილ სახლებში. ამ სახლების მიღმა მდებარეობდა ესმას საფლავი.

მიხამ ქუჩა აათავა და საცალფეხო ბილიკზე უნდა გადასულიყო, როცა ალიზით ნაშენ ერთ სახლთან ორი ადამიანი შენიშნა.

— საცოდავი, როგორ წვალობს.

— ვინაა ახლა მაგის პატრონი, — ლაპარაკობდნენ ფანჯარასთან მდგომი ქალები.

მიხა შეჩერდა. ჯერ შორიანლო დადგა და ყური მიუგდო ქალებს. მერე ერთი კაცი შენიშნა, რომელიც ნამძინარეგ თვალებს იფშვნიტდა და ამოქნარებდა.

— რაშია საქმე? — მიუახლოვდა მას და ჰკითხა მიხამ.

— კაცების საქმე არ არის, ქალები მოუვლიან, — თქვა მან და სახლში შებრუნდა.

მოხუცი დედაკაცი მოიყვანეს საიდანაც ქალებმა. მიხამ შეხედა და სისხლი აუვარდა თავში.

„ამ ქალის ხელობამ დაღუპა ესმა. ვინ იცის რამდენს დაღუპავს კიდევ“. იგი წინ გადაუდგა ბებერს და უთხრა:

— ხელი არ ახლო ქალს.

— ეს ვინლაა ქა? — შეიცხადა ბებერმა და მიხას რომ შეხედა, შიშისაგან კინალამ ჩაიკეცა. — არა, არა! მე არ შევალ მშობიარესთან, — ჩაიჩიფჩიფა ბებერმა დედაკაცმა და უკან გატრიალდა.

— ახლავე ვიშოვნი მანქანას! — თქვა მიხამ და უკან დაეშვა დაღმართზე. იგი სწრაფად მირბოდა და თან მანქანებს ათვალიერებდა. ოქტომბრის ქუჩაზე, რომ ჩამოვიდა, თავისუფალ ტაქსს შეასწრო თვალი. ხელი აუწია და გააჩერებინა. მანქანასთან მივიდა და მოულოდნელობისაგან გაშრა. გულო იჯდა ტაქსში. იგი საშინლად განრისხდა:

— დიდი ხანია, რაც ფეხით აღარ დაეთრევი?! — დაუყვირა და მანქანა დაძრა.

მიხამ უჩუმრად გააყოლა თვალი. სხვა ტაქსის დაკავება აღარ განუზრახავს. პირდაპირ გაიქცა სასწრაფო დახმარების პუნქტისაკენ, რომელიც რკინიგზაზე გადასასვლელი ხიდის თავთან მდებარეობდა, და მორიგე ექიმს ყველაფერი აუხსნა.

— ჩაჯექი მანქანაში და გვაჩვენე ის სახლი — უთხრეს მას. ელვის-სისწრაფით მიჰქროდა მანქანა და ქალამანივით ცვეთავდა აღმართს.

— მოვედით! — თქვა მიხამ და მანქანიდან გადმოვიდა.

თითრხალათიანი ექთანები სახლში შევიდნენ და ქალი გასინჯეს. მერე საკაცით გამოიყვანეს და მანქანაში ჩასვეს.

— არავინ მოყვება ქალს? — იკითხა ექიმმა.

— ვინც დაეხმარა, ბარემ ის გამოჰყვეს, — ცხვირაბზევით თქვეს ქალებმა და დაიშალნენ.

„ჩემს საქციელზე გაბრაზდნენ, რომ იმ ჯოჯოხეთის მოციქულს არ ჩავუგდე ხელში ქალი“, — გაიფიქრა მიხამ.

— დრო არ ითმენს. დაჯექი და წამოდი, უპატრონოდ ნუ მიატოვებ ქალს, ეტყობა არვინ ჰყავს, — უთხრა მანქანის მძღოლმა მიხას.

დარდაშელი ჩაჯდა მანქანაში.

საშინლად უცემდა გული. მაღი-მალ გადახედავდა ხოლმე ქალს, რომელსაც თვალები ეხუჭა და კვნესოდა. მიხას ასე ეგონა, ესმა იწვა საკაცებზე და შველას ითხოვდა. ეგონა, მეორდებოდა ის დაწყევლილი ღამე, როცა ჯადოქარი-ბებრის ნახელავით ცოცხალმკვდარი ესმა ასეთივე მანქანით სამშობიაროში გააქანეს.

ყველაფერი ამოა აღმოჩნდა. ესმას სისხლი მოსწამლოდა და გათენებისას სული განუტევა.

*

დარდაშელი იჯდა ქალაქის პირველი სამშობიაროს მოსაცდელ ოთახში და ელოდა. შუალამის თორმეტ საათზე მიხასთან ჩამოვიდა მორიგე ექთანი და უთხრა:

— მძიმე მშობიარობა აქვს, წვალობს. ეშინია კიდევ... ბოდიში, თქვენ რა გქვიათ?

— მიხეილი.

— გულოს ხომ არ გეძახიან შინაურულად?

— არა, რატომ მეკითხებით?

— ისე... სხვათაშორის, — ჩაილაპარაკა ექთანმა და წასვლა დააპირა.

— მოითმინეთ... როგორ თქვით? გულოს ახსენებს ქალი?

— არა ბატონო! ისე გკითხეთ, ნაცნობს მიგამსგავსეთ, — დაიბნა ექთანი, ეტყობა, მშობიარე ქალის ქმრად მიიღო მიხა და ეუცხოვა, რომ ქმრის სახელის მაგივრად სხვას ახსენებდა ქალი.

მიხამ უცებ მოისაზრა და უთხრა:

— გადაეცით მშობიარეს, რომ გულო აქ არის და იცდის.

ექთანმა გაკვირვებით შეხედა.

— მშობიარეს სახელი არა აქვს?

— როგორ არა... — მიხა გაეხა, შემდეგ ექთანს ყველაფერი უამბო, როგორც მოხდა.

— ესე იგი, ქმარმა არ იცის?

— არა! — თქვა მიხამ.

— უნდა შევატყობინოთ როგორმე. ქალს სიცხე დიდი აქვს და ქმარს ახსენებს.

— გადაეცით, რომ მისი ქმარი აქ არის და იცდის.

ექთანი აირია.

— როგორ?... თქვენა ხართ?

— არა, მე არა. წავალ და შევატყობინებ, თქვენ წინასწარ უთხარით, ეს მხნეობას შემატებს.

ექთანს მოეწონა მიხას აზრი.

იგი სამშობიარო ოთახისკენ წავიდა. მიხამ კი სასწრაფოდ დატოვა მოსაცდელი დარბაზი.

მშობიარე ქალის მეზობლებისაგან შეიტყო, რომ ქალს არც ქმარი ჰყავდა და არც მშობლები. ნანა ქვარიანი მარტოდ-მარტო ცხოვრობდა. ერთი-ორჯერ მეზობლებს მანქანა შეუნიშნავთ მის კარებთან. მაგრამ ვინ იჯდა იმ მანქანაში და ნამდვილად ნანასთან იყო თუ არა ის ვილაც, ეს კი არ იცოდნენ. სხვა ვერაფერი შეიტყო დარდაშელმა.

ერთი რამ ნათელი იყო, ქალი ვილაცამ შეაცდინა და შემდეგ უარი უთხრა ცოლად წაყვანაზე. ან შეიძლება ცუდი ყოფაქცევის ქალი იყო ნანა? ადამიანი მაინც ადამიანია და შეველა სჭირდება.

თავისდაუნებურად ერთი აზრი დაებადა მიხას, აეკვიატა, და ველარ მოიშორა. დაჟინებით იმეორებდა იმ აზრს და თითონაც უკვირდა, თუ საიდან მოუვიდა ფიქრად.

დრო, დრო, ძალიან ცოტა დრო ჰქონდა მიხას.

იგი კი არ დადიოდა, დარბოდა და დაღლას ვერც კი გრძნობდა.

*

მისი სახლის კართან „საიქიოს ფოსტალიონის“ დანახვამ გულო გუგეშაშვილი კინალამ გადარია.

— ჯერ ხომ არ მოვმკვდარვარ, რად დამადექი თავს! — შეეყვრა მან.

— როგორ გყვარებია შენი თავი! — ღიმილით უთხრა მიხამ.

— მუდრეგო, პრასა ხომ არა ვარ, მეორედ ამოვიდე. მაინც რამ მოგათრია ჩემთან ამ შუალამისას?

— დრო ცოტა მაქვს და პირდაპირ გეტყვი, — აქ მიხამ ეშმაკობა იხმა-რა და გულოს ხმამალა უთხრა — ნანა ქვარიანი მძიმე მდგომარეობაშია.

გულო გაფითრდა, უკან გადადგა ნაბიჯი, მერე გონს მოვიდა და მიხას შეუყვრა.

— მერე რად მოხველ ჩემთან, მე რა შუაში ვარ?!.

— ის ქალი შენ შეაცდინე და მერე ხელი ჰკარი.

მიხას არ გამოჰპარვია მხედველობიდან მისი წელანდელი ფერისცვალება და ისეთი დარწმუნებით ლაპარაკობდა, თითქოს ყველაფერი ზუსტად იცოდა. გულო გაშმაგებული შეჰყურებდა და მზად იყო თავითფეხებამდის „შეეჭამა“ იგი.

— ნანა მძიმე მდგომარეობაშია, ძალიან უჭირს. სიცხეში ბოდავს თურმე, შენს ხსენებაშია სულ. შენმა ერთმა სიტყვამ იქნება სულიერი მხნეობა შემატოს და გადაატანინოს.

— მერე მე ექიმი ხომ არ ვარ, რა ვუშველო?

— უნდა წამოხვიდე.

— სად?

— სამშობიაროში.

— ხომ არ გაგიყდი, სად რომელ ქალთანაც დროს გავატარებ, ყველას სამშობიაროში უნდა ვდიო, სად წავა?!

მიხა მიხვდა, რა კაცთანაც ჰქონდა საქმე.

— მაშინ ბარათი დაწერე.

— რა ბარათი?

— გაიგე, საქმე ეხება ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს. დაწერე, რომ სამშობიაროს მოსაცდელში ხარ და მოუთმენლად ელი შვილს. სხვა არაფერი.

— მახეს ხომ არ მიგებ? — დაეჭვდა გულო.

— არა!

— კარგი, მხოლოდ ბარათს დაწერ. რაც უნდა იყოს, ცოდვას ქალი. მაგრამ მშობიარობის მერე სახლში ვერ შევუშვებ.

— ეს უკვე შენი საქმეა.

დილის ხუთი საათისათვის მიხამ ბარათი გადასცა მორიგე ექთანს და შეიტყო, რომ სულ მალე გადაწყდებოდა ნანას ბედი, რომელიც კიდევ სასწორზე იდო.

ექვს საათზე ბებია ქალი ჩამოვიდა მიხასთან და ახარა:

— მომილოცავს, ბიჭია!

მიხას ცრემლი გაუბრწყინდა თვალზე. ეს არც სიხარულის ცრემლი იყო და არც მწუხარებისა. რაღაც იყო ამ ორს შუა, რომელსაც სახელს ვერავინ დაარქმევს.

*

— დაიღალა ბავშვი ტირილით, ძუძუ მიეცე, ქალო.

— რძე არ ყოფნის, მგელივით ჭამს.

— მგლის მუხლი ექნება ჩემს ბიჭს, ფოცხვერით მარდი გაიზრდება და ავაზასავით მოქნილი. შეხედე, როგორ იჭერს წელს.

მიხამ ბავშვი აიყვანა და მოეფერა.

— სახეზე ნუ კოცნი, არ ვარგა.

— აბა სად ვაკოცო, ქალო?

— ტაკუნებში მაკოცე, მამიკო, გავიზრდები დიდი ბიჭი, ვისწავლი, ვასახელებ დედიკოს და მამიკოსო, ბავშვის ენით ლაპარაკობდა ქალი. — ისეთი ბიჭი გავიზრდები, ისეთი თქვენ რომ გავეხარდებოდ. მე ვიმუშავე და თქვენ დაგასვენებთ.

— მაგის დაფუკაცებას მოვესწრებოდე და ვინ მამაძაღლი, საქმეს შევაკვდები. ჩემს შვილს ყველაფერი ექნება...

— წინასწარ ლაპარაკი არ ვარგავ, კაცო. მოვითმინოთ. გაიზრდება და ძერე ჩვენ ვიცით, — ამბობდა ქალი.

— მამა ენაცვალოს... ფუი, ფუი! თვალი არ ეცეს...

— მომეცი ბავშვი, აკვანში ჩავაწვინო, ძილის დრო აქვს.

მიხამ ღელას მისცა ბავშვი და თან შეჰყურებდა, როგორ აწვენდა ქალი

აკვანში შეიღს.

უცებ აირია ყველაფერი, ხმამაღალი ბრახუნი გაისმა კარზე და გაჰქრა ძიხას ცოლშვილი. მიხამ გარშემო მიმოიხედა და სასოწარკვეთილი ყვირილი მორთო:

— ესმა, სადა ხარ. ესმა? ბავშვი რა უყავი, ქალო!

არვის გაუცია ხმა. სახლის კარებზე ისევ ისმოდა ბრახუნი. მიხას გამო-
ღვდა, საშინელი სიცარიელე იგრძნო ოთახში.

— ვინ არის! — უხალისოდ იკითხა.

— გააღე კარი.

მიხამ გააღო კარი და ოთახში ორი უცხო ადამიანი შემოვიდა.

— რა გნებავთ?

— სადა ხარ, შე კაი კაცო, ორი საათია გიცდი საყვავილეში.

მიხა დღეს არ ჩასულა ჩირაღასთან, სამშობიაროდან ღამენათევი პირდა-
პირ სახლში დაბრუნდა და ღრმა ძილს მისცა თავი.

— დღეს სამ საათზე მიცვალებული გაგვაქვს, აი მისამართი. გელოდე-
ბით.

— ახლა რომელი საათია?

— თერთმეტი დაიწყო....

უცხო ადამიანები წავიდნენ.

მიხამ ორი ლუკმა გაღეჭა და ჩირაღასაკენ გასწია.

მეტად უგუნებოდ იყო, თავი სტკიოდა. სიზმარი რა არის, ისიც კი
დაენანათ მისთვის. არ აცალეს, საკუთარი თვალით ენახა, როგორ ჩააწვეწდა
ესმა აკვანში ბავშვს, როგორ გადაუჭერდა წელზე არტახებს და როგორ
ეტყოდა ნანას.

მიხა უგუნებოდ შევიდა ჩირაღასთან. ის ჩვეულებრივად გვირგვინებს
ჰკრავდა.

— სად იყავი აქამდის? გეძებდნენ.

— ვნახე, — ცივად მიუგო მან.

— შენ რაღაც უგუნებოდ ჩანხარ, ფერიც არ გაქვს კარგი.

მიხამ სარკეში ჩაიხედა და შეეზიზღა თავისი სახის დანახვა.

— ათი მანეთი მომეცი სესხად, — თხოვა ჩირაღას.

ჩირაღამ მისცა ფული და გაუშვა, თან გააფრთხილა, არ დაგავიწყდეს,
სამ საათისათვის დასაფლავებაზე უნდა წახვიდეთ.

... როცა მიხა აფთიაქის კარზე გაჩნდა, თანამშრომლები საშინლად
შეშფოთდნენ. ერთმა მათგანმა გაგდებაც დაუპირა.

აფთიაქის გამგემ სასტიკად დატუქსა თანამშრომელი.

— სასაფლაოზე წასაღებ ხალხს არჩევს, — გაიცინა ვიღაცამ.

საშინლად დაღონდა მიხა.

მერე ერთ თეთრხალათიანს მიუბრუნდა და ხმადაბლა რაღაც უთხრა.

— ვისთვის გინდა მიხა? — გაუკვირდა ქალს.

— ჩემთვის.

თეთრხალათიანი ქალები გაკვირვებულები დარჩნენ.

ელვისისწრაფით გავრცელდა ამბავი ქალაქში:

„მედროშე მიხამ აფთიაქში ხელის საპონი, კბილების ფხვნილი, სახეხი
ჯაგრისი და სავარცხელი იყიდა“.

მიხა იმავე საღამოს სუფთად პირდაბანილი და წესიერად დავარცხნილი წავიდა სამშობიაროში და შეიტყო, რომ „მეუღლე“ თავს ბავშვთან ერთად კარგად გრძნობდა და სამ დღეში გამოწერდნენ კიდევ.

*

მეორე დღეს საღამოს დარდაშელი რაიონის დასასვენებელ პარკში შევიდა და გრძელ სკამზე ჩამოჯდა. ხარბად აკვირდებოდა ხალხს, ცოცხალ ადამიანებს. ზოგი წყვილ-წყვილად დასეირნობდა, ზოგი კარუსელზე ტრიალებდა, ზოგიც კინო-თეატრის ბილეთების რიგში იდგა.

პარკის ერთ კუთხეში, დარდაშელის ახლოს, ლაზღანდარა ბიჭები შეყრილიყვნენ და მხიარულობდნენ.

— ბიჭებო, ეს მიხეილ-გაბრიელი საიდან შემოიპარა აქ? — შეამჩნია ერთმა და მიხასკენ წამოვიდა.

ბიჭები მიხას გარშემო შემოეხვივნენ და, ვინ იცის, რას არ ეუბნებოდნენ. მიხა მოთმინებით იტანდა.

— გადი რა აქედან, რომ გიყურებ სიკვდილი მელანდება, — გაიწია ერთმა და საყელოში ჩაავლო ხელი.

ამ დროს გულო შემოვიდა ბარბაცით და შემთხვევის ადგილისაკენ გაემართა.

— ახლა ნახეთ მაგის სეირი.

— მგონი, მთვრალიც არის?

ბიჭები განზე დადგნენ და გზა დაუთმეს გულოს.

— ვერა და ვერ მოვაშორეთ აქედან, — უთხრა სწორედ იმ ბიჭმა, რომელმაც მიხას გაგდება განიზრახა.

გულომ წინ წადგა ნაბიჯი, მუშტი მოიმარჯვა და ერთი ისეთი ჩასცხო სახეში ბიჭს, რომ იგი მოცელილივით დაეცა.

— რას სჩადი, გულო.

— მთვრალია და შეეშალა.

— არაფერი შეგეშალოთ, — თქვა გულომ და გაჰფანტა ბიჭები.

ისინი შორიახლო დადგნენ და გაკვირვებული შესცქეროდნენ მათ.

გულო დაჯდა მიხას გვერდით და პაპიროსს მოუკიდა. ბოლომდის მოწია, გადაავლო და ახალს მოუკიდა. მიხა იჯდა თავის ადგილზე და ხმას არ იღებდა.

— რაღა ხარ ჩუმად? — დაარღვია ღუმილი გულომ.

— რა ვთქვა.

— როგორ არის ქალი? — ჩურჩულით იკითხა გულომ.

— კითხვას ნახვა სჯობს, — ჩურჩულითვე უპასუხა მიხამ.

გულო დადუმდა, უფრო ღრმად მოქაჩა პაპიროსი.

— ბიჭი?

— იზრდება.

— ღმერთმა გაზარდოს.

— ღმერთმა რატომ უნდა გაზარდოს, დედა ჰყავს.

— მამაც ხომ არ გამოუჩნდა? — ირონიით იკითხა გულომ.

მიხა მიხვდა, საითაც უმიზნებდა გულო.

— არა, მამა იმალება, — უპასუხა მან და პარკიდან გავიდა.

*

— აღარ მოვკიდებ ხელს სამგლოვიარო დროშას, — უთხრა იმავე დღეს ჩირალს.

— რა დაგეტაკა?

— მომბეზრდა ამენი ხეტიალი სასაფლაოზე, ცოცხლებს უნდა ვემსახურო.

ჩირალა სრულიად არ ელოდა მისგან ამ სიტყვებს. მიხვდა, რომ სხვა ქარმა დაუბერა მიხას.

— ვის გულისხმობ იმ ცოცხლებში?

— ყველას, მკვდრების გარდა!

— რას ყვირი? თუ არ გსურს ჩემთან იმსახურო, ვინ გაძალებს?

— მე აღარ მსურს სიკვდილის მოციქულად მთვლიდნენ, საიქიოს ფოსტალიონს ან მიქელ გაბრიელს მიწოდებდნენ. მე ძველებურად დაეუბრუნდები ჩემს ხელობას, მღებავად ვიმუშავებ ისევ.

— ვისთვის? — შემპარავად ჰკითხა ჩირალამ.

საშინლად ატკინა ამ კითხვამ გული. მაშ მთლად ეული ყოფილა მიხა, მაშ მიზანი აღარ ჰქონია ცხოვრებაში.

— აკლდამა უნდა დავადგმევინო ესმას საფლავზე, მარმარილოში ჩავასმევინებ სურათს და ორიოდ სიტყვას ამოვაჭრევინებ ზედ, — თქვა მიხამ.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

— მადლობთ.

ჭირისუფლები ძალაუვნებურად შეუთრიგდნენ იმ ამბავს, რომ მიხამ ხელი აღარ მოჰკიდა სამგლოვიარო დროშას. ამბობენ, სხვამ აღარავინ იცისრა ეს საქმე და ეს ზნე-ჩვეულება თავისთავად გაქრაო.

*

დადგა ნანა ქვარიანის სამშობიაროდან გამოწერის დღე. მიხას დიდი საფიქრალი გაუჩნდა. აქამდის ქალი თვალთ ვერ ხედავდა „თავის ქმარს“. მის ბარათებს კითხულობდა მხოლოდ და აღფრთოვანებული პასუხებს იწერებოდა. ახლა კი ქმარი უნდა დახვედროდა და სახლში უნდა წაეყვანა. რა ექნა მიხას? ქალს სრული იმედი ჰქონდა, რომ გულო გუგეშაშვილი, თავისი საკუთარი ქმარი ელოდებოდა გარეთ.

— მიდი გულოსთან, იქნებ წამოვიდეს? — ურჩია ჩირალამ.

— სახლში ვერ შევუშვებო, წინასწარ თქვა.

— არ ყოფილა კაცი... ვიდრე ქალი შეიტყობს იმ ამბავს, რომ საშინლად მოატყუეს, სჯობია იმედი მაინც ჰქონდეს. სჯობია არც შენ გამოჩნდე.

— ეგ პირდაპირ ხელისკვრა იქნება. მან იცის, რომ ქმარი შეუთრიგდა და სხვაგან სადღა უნდა წავიდეს?

— ეშმაკმა დალაზვროს, ის ოხერი სახლში არ შეუშვებს.

— ჰო და აქაა საქმე. ქალი უცებ შეიტყობს ყველაფერს და ვინ იცის, როგორ იმოქმედებს ეს ამბავი.

მიხა ჩიხში მოემწყვდა.

„არა, სინამდვილე უნდა იცოდეს, როგორი მწარეც არ უნდა იყოს მოსტეის“.

მცხა წავიდა სამშობიაროში.

ნანა ქვარიანი გამოწერეს. მას ბავშვი ეჭირა ორივე ხელში მაგრად შეფუთული. მოსაცდელში ელოდებოდა ქმარს.

უცებ მანქანა შეჩერდა სამშობიაროს კართან. მიხამ მშვიერი თვალებით გაიხედა იქით. ვილაც ხანშიშესული კაცი გადმოვიდა პორტფელით ხელში და შევიდა სამშობიაროში.

მოსაცდელში ნანას გაუღიმა.

— ბიჭიკო როგორ გრძნობს თავს?

— გმადლობთ პატივცემულ პროფესორო, კარგად.

— მამიკოს ელის ალბათ, ხომ?

— კი, პატივცემულ პროფესორო.

— მოვა! — თქვა მან და წავიდა.

მიხა იქვე იდგა და ისმენდა ამ საუბარს.

მეორედ გაჩერდა მანქანა სამშობიაროს კართან.

მიხა კვლავ შემობრუნდა.

მანქანიდან ფრთხილად გადმოიყვანეს ფეხმძიმე ქალი და სამშობიაროში შეიყვანეს.

მიხამ ნანას გახედა. ნანა ვერ ცნობდა მას. სასწრაფო დახმარების მანქანით, რომ წაიყვანეს, იგი მძიმე მდგომარეობაში იყო და იმის საშუალება არ ქონდა, დაკვირვებოდა ადამიანებს. ახლა ოდნავ ფერმიხდილი იდგა და დარწმუნებული ელოდებოდა ქმარს.

მესამედ გაჩერდა მანქანა სამშობიაროს კართან. მიხას აღარ გაუხედავს იქით. გადაწყვიტა, მისულიყო ქალთან და ყველაფერი ეთქვა, მაგრამ ნანას სახე გაეზადრა უცებ, სასწრაფოდ მოძებნა კარისკაცი და გააღებინა კარი. კარებში გულო შეხვდა მას, ბავშვი გამოართვა, ცალ ხელში დაიჭირა, მეორეთი ხელ-კავი გამოსდო და ფრთხილად მიიყვანა მანქანამდის.

არც შეუნიშნავს და არც გახსენებია მიხა.

მანქანა დაიძრა და წავიდა ნელი სვლით.

დარდაშელი კმაყოფილი სახით ჩამოვიდა კიბეზე, ტრამვაიში ჩაჯდა, „ბნელ“ ხილთან ჩამოვიდა და სასაფლაოსკენ მიმავალ გზას ფეხით აჰყვა.



სიმონ წვკაკაძე

კახაფსუღი სურნელი

მიხეილ აბზიანიძემ ჯერ ივანეს ჩამოართვა ხელი, მერე მე და შეზღვე იქ მყოფთ, იქ კი ძალიან ბევრი იყვნენ. აგერ ბაგრატ სულაბერიძე, ვასილ მშველიძე და ბევრი სხვა. სარდიონი მასპინძელივით დატრიალებს. მართალია დღეს აკაკი ღვაბერიძემ თავისი ბრიგადის სახელით მხოლოდ ბუხუტისთან უნდა გააფორმოს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება, მაგრამ ბუხუტის ბრიგადის გარდა სხვებიც მოსულან.

უცნაური შეკრებაა, არ ჰგავს ჩვეულებრივ თავშეყრას. მიხეილმა რაღაც თვალთ ანიშნა სარდიონს, თავმჯდომარემ კი მაშინვე გადაულაპარაკა ბუხუტის, მანაც ბევრი აღარ დააყოვნა, აკაკი ღვაბერიძეს ხელი მოჰკიდა და წინ გაუძღვა, მარჯვნივ რაიგომის მდივანი ამოუდგა, სარდიონი კი ხან წინ გაუსწრებდა მათ და ხან უკან ჩამორჩებოდა, დანარჩენები თითქოს დემონსტრაციის კოლონაში დგანანო, სამეუღეს მიყვებოდნენ, ერთი დროში აკლდათ, თორემ მათი სვლა ნამდვილად დემონსტრაციას ჰგავდა.

აკაკი, რომელსაც იშვიათად გააკვირვებდით კარგი სიმიანდის ყანით, გაოცებული იყო მცენარის ჯანსაღი ფერით. როგორც ექიმი ავადმყოფს, ისე გებულობდა იგი სიმიანდის ვარგისიანობას ფერის მიხედვით, ერთს შეხედავდა თუ არა, მაშინვე გეტყვოდათ, რა მოსავლის მომცემი იყო სიმიანდის ესა თუ ის ყანა.

მდივანი გულსაკვით გრძნობდა თავს ამ ყანების მომხიბვლელი სანახაობით. აკაკი და ბუხუტი, როგორც ორი მოპირდაპირე მხარე, როგორც შეჯიბრების თავკაცები, ერთის შეხედვით ახლა მართლაც მეტოქეებს ჰგავდნენ, ერთმანეთს შინაგანად ებრძოდნენ კარგი საქმისკენ, აბა, ვინ უფრო მეტ მოსავალს მიიღებსო. ამიტომ, ერთიც და მეორეც, ახლა გულში რაღაც საწინააღმდეგო განწყობილებებს აღვივებ-

დნენ, მაგრამ არა შუღლის, არა მტრობის, არამედ კეთილი, სასარგებლო საქმის. თითქოს მათს გულში ჩაიხედაო, რაიგომის მდივანი ამას კარგად ამჩნევდა ორივეს, ამიტომ უხაროდა და კი არ ახშობდა ამ განწყობილებას მათში, არამედ უფრო ამძაფრებდა.

— ეგ რა სიმიანდია, შენ აკაკის უნდა ნახო! — გადაულაპარაკა მიხეილმა ბუხუტს ისე მოხერხებულად, რომ აკაკის არ გაეგონა, სწორედ იმ დროს, როდესაც სტუმარს ივანე ეკითხებოდა მამამისის, ზაქარია ჯანმრთელობის ამბავს, რომელსაც იგი კარგად იცნობდა, როგორც გამრჯესა და ნამუსიან გლეხკაცს.

— ვითომ ჩემზე უკეთესია? — დაგვიანებით შეეკითხა ბუხუტი მდივანს.

— ბევრად!

— მოკვდეს ეს ბიჭი, აკაკი ღვაბერიძემ თუ მაჯობოს!

— სსსუ, არ გაიგონოს, ისე კი აბა, შენ იცი!

— არ გაიგონოს კი არა, რასაც ვამბობ ხელშეკრულებაში ჩაეწერ.

— ხელშეკრულებაში მუქარა კი არ უნდა ჩასწერო, არამედ ციფრი, ვალდებულება, ამდენ და ამდენს მოვიწვიეთქვა, უფრო მეტი, ვინემ მან იკისრა! — გულში კი მიხეილი სხვას ფიქრობდა, ასეთი სიმიანდის ყანები რომ მთელს რაიონში მომცა, მაშინ წელს სამას ტონას კი არა, ათას ტონას ჩავაბარებ სახელმწიფოსო.

ახლა მდივანი აკაკისთან მივიდა, გვერდზე გაიყვანა, თითქოს საიდუმლო რამ აქვს გასამხელიო, შორს გაახედა და მერე ჩაულაპარაკა:

— ტყვილია ჩემო აკაკი, ბუხუტის შენ ვერ აჯობებ, ხომ ხედავ რა სიმიანდის ყანაა, აა? — და ეშმაკურად, გამომცდელოდ ჩახედა თვალბში. აბა, როგორ იმოქმედა ამ სიტყვებმაო. ისედაც დაეჭვებული და შეფიქრებულ აკაკი ახლა უფრო დაეჭვდა, მაგრამ მაინც მტკიცედ განუცხადა:

— რითი მაჯობებს? მოკედეს მაშინ აკაცი ღვაბერიძე...

— აბა, შენ იცი, მაგრამ...

— გეუკვებათ, თუ?

— გაჯობებს ძაო, გაჯობებს! — კიდეც მცდელი თვალებით გახედა მდივანმა.

— რითი მაჯობებს?

— აი, ამ ზღვასვით მიმდგარი ყანით.

— ეს ყანა თუ ზღვაა, მაშინ მე ჩემსას ოკეანედ ვაქცევ! — ცოტა ხმაოდლა გამოუვიდა აკაცის, მაგრამ ბუხუტის მაინც არ გაუგონია, რადგან იგი ივანეს ელაპარაკებოდა.

— აბა, შენ იცი, აბა შენ იცი, არ გაჯობოს! — კიდეც უფრო წააქეზა მდივანმა.

აკაცი შედგა, ბუხუტიმ იგი სწორედ იმ ხუთ ჰექტარიან ნაკვეთთან მიიყვანა, რომელიც მკერდამლის სწვდებოდა ყველას. აქ აკაცი ერთ ადგილას დაესო და ნაბიჯი ველარ წარსდგა წინ. თითქოს რაღაც ზღაპრული, საოცარი სანახაობა გადაიშალა მის თვალწინ, აქაც ერთი წუთით მის ყანას გადახედა გონების თვლით, მერე ამ მშვენიერ სიმინდს, თავის თავსაც არ გაუმხილა რომელი სჯობდა, თითქოს შეეშინდა ამის გაცხადება...

— ბიჭოს, ამას არა უშავს! — ისე, სხვათაშორის სთქვა მდივანმა. არაუშავს კი არა, მთელს რაიონში ამის მსგავსი ყანა არავის ჰქონდა, მაგრამ არა სთქვა ის, რასაც ფიქრობდა, რამაც იგი ახლა უზომოდ გაახარა. ამ სიხარულს თავისი სახელი მაინც ალარ დაარქვა.

— ამხანაგო მიხეილ, არა უშავს და მეტი არა? — იკითხა ივანემ.

— ჰო, არა უშავს!

— ამაზე უკეთესი სიმინდი აქვს ვინმეს?

— როგორ არა, სუნჩაში, ჩვენს აკაცის.

— მართლა, აკაცი?.. — მიუბრუნდა ივანე სტუმარს, მაგრამ მიხეილმა რაღაც ანიშნა ღვაბერიძეს, მოხუცი ველარ მიუხედა მდივანს და კიდეც გაუმეორა:

— მართლა აკაცი?.. — ღვაბერიძე საგონებელში ჩავარდა, ტყუილს ხომ ვერ იტყოდა? არა და მდივანი რაღაცას ანიშნებდა, თვლით ეუბნებოდა, სთქვი უკეთესი მაქვსო. ბრიგადირმა მაინც ვერ გაბედა, იფიქრა, მდივანი ხომ არ მცდისო.

— ამაზე უკეთესი... შეჩერდა აკაცი, რადგან კიდეც იგეგმო მდივანის თვალუბრის შემოხედვა.

— ჰო, სთქვი! — ეს კი ბუხუტის ხმა იყო, რომელსაც სრულებით არ ემჩნეოდა მდევარება, იგი თავისთავში ღრმად იყო დარწმუნებული.

— ტყვილს ვერ ვიტყვი, ეს ყანა მგონი უფრო უკეთესია, ვიდრე ჩემი!

— უკეთესი? — ჩაესმა მდივანის ხმა.

— ნამდვილად, მიხეილ...

— წლის ბოლოს გამოჩნდება, რომელია უკეთესი და რომელი არა! — დასაკვნა მდივანმა და ახლა ბუხუტის თვითონ წაართვა ინიციატივა, თვითონ გაუძღვა სუხეღმ მესიმინდეს წინ, თითქმის მთლად შემოატარა მთელი ფართობი, აჩვენა აკაცის, ბუხუტისა და მისი ბრიგადის წევრების მარჯვენის ნახელავი.

იზოლდა თამარს გაეხმო და ორივენი მუხის ჩრდილში აკვანთან დამჯდარიყვნენ, იზოლდა თავის ნამუშევარ ხელებს ჩვილს ლოყებზე უთათუნებდა, ბაბი კი ისე უყურებდა, თითქოს შურსო.

— აბა, ახლა აქ მოდით, ამ ჩრდილში დავისვენოთ!

— მოდით, მოდით! — გაიმეორა მდივანმა. ცხადია პურმარილზე არ იწვევდნენ, შეჯიბრების ხელშეკრულება უნდა გაეფორმებინათ.

აკაცის ბრიგადის ოცდაერთი ჰექტარი სიმინდის ყანა აქვს. თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ სამოცდახუთი ცენტნერი უნდა მიიღონ. პირადად აკაცი ერთ ჰექტარზე ორასი ცენტნერის მიღებას კისრულობს.

— ჩემს ბრიგადას — დაიწყო ბუხუტიმ — ორმოცი ჰექტარი ფართობი აქვს. ოცდახუთმეტ ჰექტარზე ასორმოცდაათს, ხოლო ხუთზე ორასი ცენტნერის მიღებას ვკისრულობ, პირადად მე ერთ ჰექტარზე ორასოც ცენტნერს, თქვენ! — მიმართა აკაცის.

აქ რაღაც საოცარი დღეილი ჩამოვარდა, სდუმდა არა მარტო სტუმარი, რომელსაც თავი ველარ აეწია მალა, არამედ სდუმდნენ მასპინძლებიც. სდუმდა ბაგრატი და ვასო, ერთმანეთს რომ გაკვირვებული თვალებით უყურებდნენ.

— გადირია ეს ჩვენი ბუხუტი!

— ეჰ, ჩემო ვასო, სისხლი ერჩის და გადაირევა, აბა რას იზამს? — ველარ მალავდა თავის გოცებას მოხუცი ბრიგადირი, რომელმაც მთელი თავისი ფართობი მთლიანად კომპლექსური მექანიზაციით დამუშავა.

— თქვენ ამას კისრულობთ სრული მექანიზაციის საშუალებით, არამედ კავით, ჯვარედინთებში რაღა უნდა გავაკეთო? მე რა უნდა გითხრა, ჩემს პირობებში მეტს ველარ გავებედავ, რაც რაიონულ შეკრებაზე ვიყისრე, სარეკორდო მოსავალია, თქვენ იცით, სადაც მდებარეობს ჩემი ფართობი, ცხენისწყლის ნაპირზე, ყელში, ოხოჯიასა და მუხიძირის მთის ფერდობებზე. იმ ვიწრო წელში, მდინარის პირას, სადაც ათი ჰექტარი დავთესე, ტრაქტორი ძლივს ბრუნდებოდა, მაგრამ მაინც კვადრატულ-ბუდობრივად დავთესე, ისიც არა მექანიზაციის საშუალებით არამედ კავით, ჯვარედინად დაკვალვის შემდეგ, ბუდნებში ხელით ჩავაგდე თესლი, თქვენ კი აგერ ვაკეზე ხართ.

არაფერი გიშლით ხელს! — რაღაც თავმდაბლად, მორცხვად ლაპარაკობდა აკაკი ღვამერძემ, რაიონის ნაძვლილი პირველი შუქურა, როდესაც შემდეგ ბუხუტი გამოეხსურა. აქიტი ბუხუტის მეორე შუქურას ეძახიან.

ორი შუქურა

რაიონის ამ ორმა შუქურამ შეჯიბრების მუხლებს მოაწერეს ხელი და იკისრეს იბრძოლონ დიდი მოსავლის მისაღებად. მთისა და ბარის ამ ორი ვაჟაკის შეჯიბრებით თითქოს მთა და ბარი შეებძნენ ერთმანეთს. ასე იფიქრებდა კაცი, როდესაც სარდიონის წაქეზებით ხელის მოწერის შემდეგ ხელი ჩამოართვეს თუ არა, მაშინვე ერთმანეთს დაეჭიდნენ.

ეს მართლაც საინტერესო ამბავი მოხდა. ნეტავ სარდიონმა ხომ არ ჩაიფიქრა? ერთის შეხედვით, თითქოს ამ თავისუფალი ჭიდაობის დროს უნდა გადაწყვეტილიყო ვინ გაიმარჯვებდა მაღალი მოსავლის მიღების საქმეში. არ ვიცო სჯეროდა თუ არა ეს გულუბრყვილო აზრი სარდიონს, სულ ბუხუტის ფეხებთან ტრიალებდა.

— ე, ბიჭო, დოუღე კვანტი! არ დაცვის! — ჰბუტავით ხტოდა სარდიონი. ბუხუტიმ ზურგზე რომ წამოიკიდა აკაკი, სარდიონი ერთ საყენზე შეხტა და წამოიძახა.

— ე, მასე, გადმეიყვანე თეძოსთავზე, გადმეიყვანე, რას უყურებ!

— რას შვები, შე ცეცხლმოკიდებულო, ნუ დეიგლიჯე სულ შარკალ-ხალათი! — იფოფრებოდა ბაბი. ეშინოდა, შვილი არ დამემტვრესო, რადგან აკაკი ზოგჯერ მართლაც ისე ღონივრად მოიქნეოდა ბუხუტის, იფიქრებდით კვახივით დაახეთქებს მიწაზეო. მაგრამ, როცა ყველას ასე ეგონა, იგი მაინც ფეხზე იდგა. ხოლო, როცა ბუხუტიმ მთელი ტანით აიყვანა აკაკი ხელში და ძირს დასაცემად მოიქნია, ისე იკივლა ბაბიმ, გული კინაღამ შეუღონდა ბუხუტის და მოჭერილი ხელები გაუშვა, ამით აკაკიმ ისარგებლა და ბუხუტი თეძოსთავზე გადმოიყვანა, ესეცაა უნდა დაახეთქოს ძირს, მაგრამ ბაბიმ ამ დროს კიდევ ისე იკივლა, ახლა აკაკის გაუშვდა ხელები.

— ე, ბიჭო, უყელე, აქედან მოუღექი! — ურჩევდა დათო ბრიგადირს და თვალს არ აშორებდა, თავი იმათ ფეხებამდის ქონდა დახრილი. ბრიგადის წევრები ისე ღელავდნენ, თითქოს მართლაც აქ უნდა გადაწყვეტილიყო მოსავლის მიღების ბედი.

ერთხელ კიდევ დაეძგერნენ, ერთხელ კიდევ წამოიკიდეს ერთმანეთი ზურგზე და მერე რომ ვერაფერი უყვეს ერთმანეთს, მიხეილი ჩაერია.

— ჭიდაობით გინდათ, ვაჟაკებო, შეჯიბრე-

ბაში გამარჯვება? დაანებეთ თავი, გეყოფათ, — და მან ორივე დააშორა ერთმანეთს.

— სტუმარი, თორემ, ბუხუტი ამდენხანს ფეხზე რავა გააჩერებდა! — სიხანულით სთქვა კაკუნამ.

— მთიელი კაცი ბუხუტიზე ნაკლები ღონიერი კი არაა! — ეს მგონი გულდაწყვეტილი ვალა იყო.

ასე იყო თუ ისე, მთა და ბარი ბარიბარ დარჩნენ. დაე, მათმა ამ დაქმნულმა კუნთებმა მოსავლის საქმე კეთილად გადასწყვიტონ, მაშინ გავიგებთ, ვის უფრო ღონიერი მკლავი და მაგარი მუხლი ქონიათ.

ეს ჭიდაობა მაინც რაღაც სიმბოლურ ხასიათს ატარებდა.

აკაკი ღვამერძის სახელი მთელს რაიონში კარგად იყო ცნობილი. მას წლების მანძილზე კარგი მოსავალი მოჰყავდა, გასულ წელს კი ყველა გააკვირვა.

აკაკიმ დაასრულა თუ არა საშუალო სკოლა მათხოჯში, ჯარში გაიწვიეს, ომის დროს, როგორც უმცროსი მეთაური, ერთ-ერთ ქართულ დივიზიაში მყოფი, ფაშისტების მოწოლის გამო, ბაქსანის ხეობიდან სვანეთით ზუგდიდში გადმოვიდა, იქედან ცოტა შესვენების შემდეგ ისევ ფრონტზე გაგზავნეს. ომიდან სოფელში დაბრუნდა და მას შემდეგ სულ დიდი მოსავალი მოჰყავს. ახლა ეს ვაჟაკი აგერ არის, რაიკომის მდივანს ელაპარაკება.

— როგორ არის შენი და ძუკუს საქმე? — შეეკითხა მიხეილი მას,

— ძუკუ ვინაა? — გაკვირვა ივანემ.

— ძუკუ რიგავა, არ გაგიგონია, ბაბია?

— აჰ, ისაა, მეგრელი ყაძახი? მაგი როგორ არ გამიგონია, მიხეილ ბატონო! — უთხრა ივანემ მდივანს.

„ორი რაიონის მოწინავე მესიმინდები ერთმანეთს ეჯიბრებიან. ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს“ ასე იტყობინებოდა რაიონული გაზეთი, ქვევით კი დეპეშის ტექსტი იყო დაბეჭდილი: „გალი საქართველოს კპ გალის რაიკომის პირველ მდივანს ხ. ტუფუბიას. წულუკიძის პარტიის რაიკომი გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 11 თებერვალს რაიონის მოწინავე მესიმინდთა თათბირზე, სუხჩის რუსთველის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მესიმინდე ბრიგადირმა, აკაკი ზაქარიას-ძე ღვამერძემ ივალდებულა, ბრიგადაზე გაპიროვნებული ოცდაერთი ჰექტარი სიმინდის ნათესი ფართობის თვითულ ჰექტარზე მიიღოს სამოცდახუთი ცენტნერი სიმინდი, ხოლო პირადად მასზე გაპიროვნებულ ერთ ჰექტარ ფართობზე — ორასი ცენტნერი. მან სურვილი გამოსთქვა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებას თქვენი რაიონის, სოფელ ქვემო ბარლების, კოლმეურნეობის მესამინდე —

ბრიგადირ ძუკუ რიგვასთან. გთხოვთ გავცნობოთ თანხმობა გამოწვევაზე. შეჯიბრების პირობებს გაცნობებთ შეიდეგ.

საქართველოს კპ წულუკიძის რაიკომის პირველი მდივანი მ. აბზიანიძე.

ამას სულ მალე პასუხიც მოჰყავს:

„საქართველოს კპ წულუკიძის რაიკომის პირველ მდივანს აბზ. მ. აბზიანიძეს. პარტიის გალის რაიკომი გაცნობებთ, რომ ჩვენი რაიონის მოწინავე მესიძინდემ, სოფელ ქვემო ბარლების, კოლმეურნეობის ბრიგადირმა ძუკუ მიხეილისძე რიგვამ მიიღო თქვენი რაიონის სოფელ სუხჩის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მესიძინდე-ბრიგადირის აკაკი ზაქარიას-ძე ღვაბერძის გამოწვევა. შეჯიბრების პირობებს გაცნობებთ წერილობით.

საქართველოს კპ გალის რაიკომის პირველი მდივანი, ხ. ტუფურია“.

ეს მართლაც გაბედული ნაბიჯი იყო, ძუკუ რიგვას მომრევე სიმინდის მოყვანის საქმეში ჯერ არავე ჩანდა. აკაკი ღვაბერძემ მალე მისგან ასეთი წერილი მიიღო: „პირადად მე თავდაპირველად აღებული მქონდა ვალდებულება ერთ ჰექტარზე ასსამოცი ცენტნერი სიმინდი მიმეღო. ახლა, ვიღებ რა თქვენს გამოწვევას, ვეისრულობ მეც მოვიყვანო ორასი ცენტნერი“.

ეს წერილი ღვაბერძეს თან ჰქონდა. მან იგი ბუხუტის წაუკითხა. ბუხუტის ამ წერილის აზრი მოეწონა და კარგადაც გამოიყენა.

— აი ხომ ხედავ, ძუკუს ასსამოცი ჰქონია მაისირი, შენი გამოწვევის შემდეგ ორმოცი წაუმატა და ორასი იქისრა, მოდი შენც ასე მოიქეცი, შენ ოცი წაუმატე, მიიღე ორასოცის გამოწვევა!

— ორასოცი ცენტნერი?

— ჰო, სადაც ორასია, იქ ოციც იყოს!

— იყოს, აკაკი, იყოს! — მოესმა ივანეს სიტყვა.

— ძნელი საქმეა! — ჩაფიქრდა აკაკი.

— ძნელი რომაა, მაგალითი მარტო! — უთხრა სარდიონმა.

— რადგან ასეა, იყოს, დაე, ამ ხელებმა აგონ პასუხი! — დაიხედა აკაკი ხელისგულებზე.

მიხეილ აბზიანიძე გლეხებს ესაუბრებოდა, რომ ეს ხმა ჩაესმა. იგი მაშინვე მობრუნდა და ორივეს ხელი ჩამოართვა, წარმატება უსურვა, თან აქ შეკრებილთ ერთხელ კიდევ მოაგონა ათასჯერ თქმული: ჩვენ წელს შვიდასი ჰექტარით გავდიდეთ სიმინდის ფართობი, ხუთი ათასი დავთესეთ, აქედან სამასზე, რომელიც კვადრატულ-ბუდობრივად დავთესეთ და სრული კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებით დავამუშავეთ, საშუალოდ ერთ ჰექტარზე სა-

მოც ცენტნერს მივიღებთ; წელს ასეთივე გადიდებული ვალდებულებები ვიკისრეთ ყველა დარგში. კერძოდ ჩაის საქმეში ჩვენ დიდი იმედი გვაქვს იზოლდა წოწონავასი, რომელიც აგერ ჩვენთანაა ახლა. მის მამაკურ შრომას მიმდევრებიც გამოუჩნდნენ ჩვენს რაიონში, თქვენმა კოლმეურნეობამ უნდა იამაყოს, რომ მას ასეთი მსოფლიო რეკორდსმენი ჰყავს, ჩვენ კი, მთელი რაიონის სიამაყედ მიგვაჩნია იგი. ყველაფერი ეს იმაზე ლაპარაკობს, რომ ჩვენ წელს დიდი მოსავალი უნდა მივიღოთ. მაინც მთავარი ჩვენთვის სიმინდი, აბრეშუმი და ჩაი. სიმინდი რომ ძვირფასი კულტურაა, ამას ანლა მტყიცება არ უნდა...

იზოლდას შეჯიბრება

იზოლდას არასოდეს არ დაავიწყდება გასული წლის ორი აგვისტოს „წარადა“, სადაც პირადად მისი და მისი ბრიგადის წევრების სურათი იყო დაბეჭდილი. მას შემდეგ რომელ გაზეთში არ სწერენ მის მამაკობაზე, რა ჯილდოებს არ აძლევენ, რომელ საპატოო წიგნში არ შეაქვთ, მისი კომუნისტური შრომის რგოლს სად არ იწვევენ შესახვედრად. ამიტომ გაბედა მან გურული მეჩაიეს, ტატიანა ჩხაიძისა და მეგრელი მეჩაიეს ტატიანა ტყებუჩავას გამოწვევა შეჯიბრებაში.

იანვარში იზოლდა ტატიანა ტყებუჩავას წერდა: „მარშან ოთხ მეთედ ჰექტარზე ჩაის პლანტაცია მქონდა, საიდანაც გევით ათასი, ხოლო ვალდებულებით ექვსი ათასი კილოგრამი უნდა მომეკრიფა, სინამდვილეში მოვკრიფე თერთმეტი ათას ორასორმოცდაათი კილოგრამი ჩაი. რგოლმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. მოკრიფა ოცდაშვიდი ათასი კილოგრამი, რისთვისაც ჩვენს რგოლს კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება მიენიჭა. წელს მე, ნაცვლად ექვს მეთედ ჰექტარზე გევით გათვალისწინებულ 2,4 ტონისა, მოვკრიფე თექვსმეტ ტონა ჩაის, ხოლო რგოლი მთლიანად ოცდაათ ტონას, გიწვევთ შეჯიბრებაში, თან გთხოვთ გეწვიოთ“.

ამაზე იზოლდამ ასეთი პასუხი მიიღო: „გეწვევი, ამხანაგო იზოლდა. ცოტა რამ მინდა მოგიტხოთ ჩემი საქმიანობის შესახებ: ათასცხრას-ორმოცდახუთმეტში მოვკრიფე თერთმეტი ტონა, თექვსმეტში — თორმეტი ტონა, ჩვიდმეტში — თორმეტი, თვრამეტში — თორმეტი ტონა და ექვსასორმოცდაათი კილოგრამი, ცხრამეტში 0,7 ჰექტარზე — თუთმეტი ტონა და ოთხმოცდაერთი კილოგრამი, ხოლო სამოც წელს — ჩვიდმეტი ტონა.

ძვირფასო იზოლდა! ჩვენი მეგობრული შეჯიბრება იყოს მტყიცე პირობა შეიღწეულის მესამე წელს კვლავ ახალ ზღუდეთა დასაპყრო-

ბად. გეწვევით ამხანაგო იზოლდა. როდის? ამაზე დამატებით გაცნობებთ, ცხაკიას რაიონის სოფელ ზანის, ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ტყეუზჩაივა.

იზოლდა წოწონავა ორმხრივ შეჯიბრებაში ჩაება, როგორც ცხაკიას, ასევე მახარაძის რაიონის მეჩაიე, ტატიანა ჩხაიძესთან. აი ფაქტიც: „პარტიის მახარაძის რაიონის პირველ მდივანს ვ. თოხაძეს: პარტიის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიემ იზოლდა წოწონავამ ვალდებულება აიღო მასზე გაპიროვნებულ ექვსი მეათედი ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან წელს სეზონზე მოკრიფოს თექვსმეტი ტონა ჩაის ხარისხიანი ფოთოლი, მან სურვილი გამოსთქვა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიოს თქვენი რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე ტატიანა ჩხაიძე.

გთხოვთ გვაცნობოთ ტატიანა ჩხაიძეს თანხმობის შესახებ.

საქართველოს კპ წულუკიძის რაიონის პირველი მდივანი მ. აბზიანიძე.

აი პასუხიც: „საქართველოს კპ წულუკიძის რაიონის პირველ მდივანს ამხანაგ მ. აბზიანიძეს. თქვენი დებუშის თანახმად გაცნობებთ, რომ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ტატიანა ჩხაიძემ, მიიღო თქვენი რაიონის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე იზოლდა წოწონავას გამოწვევა და თანახმაა ჩაებას სოციალისტურ შეჯიბრებაში. მისი ვალდებულებაა ნახევარ ჰექტარზე მიიღოს თორმეტნახევარი ტონა ჩაის მწვანე ხარისხიანი ფოთოლი.

საქართველოს კპ. მახარაძის რაიონის პირველი მდივანი ვ. თოხაძე.

ცეკვა აკნით

ივანე გულდაგულ უსმენდა მიხეილს, რომელიც ხშირხმირად გადახედავდა იზოლდა წოწონავას. მოხუცს ბევრჯერ ენახა იზოლდა ჩაის კრეფის დროს. მიხეილს რომ უსმენდა, იზოლდას მიუბრუნდა:

— შეილო, ახლა რაფერ გაქვს საქმე ტატიანებთან? — ამ უკანასკნელი სიტყვის გამო ყველას სიცილი აუტყდა.

— ტატიანეები, ზოძია ივანე, იზოლდამ კარგა შორს ჩამოიტოვა! — წამოიძახა სიცილში სარდიონმა.

— მაინც შეილო, შენი ხმა გამაგონე! — იზოლდა საერთოდ უთქმელი ქალიშვილი იყო და ახლა თავისთავზე რაფერ ელაპარაკნა. ეს

გასაქირი კარგად გაუგო მისივე რგოლის წევრმა დალი წიფვიძაძემ.

— ბაბუა ივანე — ჩაერია ლაპარაკში დალი — ჩვენი იზოლდა ყოველდღე საშუალოდ ორას სამოც კილოგრამ ჩაის კრეფს. ამას წინათ ცხაკიას რაიონული გაზეთი იტყობინებოდა, რომ ტატიანა ტყეუზჩაივა ყოველ დღე საშუალოდ ორას კილოგრამ ჩაის კრეფსო, ოცდაექვსი მაისისათვის ორიათასსხუთასი კილოგრამი ჩაი ჰქონდა მოკრეფილიო.

— მეორე ტატიანას, გოგონა? — ეს ბაგრატ სულაბერიძის წვრილი ხმა იყო.

— მახარაძის გაზეთი კი იუწყებოდა, — დაიწყო დალი — ტატიანა ჩხაიძე ყოველდღე საშუალოდ ოთხმოც-ოთხმოცდაათ კილოგრამ ჩაის კრეფსო, ოცდაექვსი მაისისათვის ორიათას ოცდახუთი კილოგრამი ჰქონდა მოკრეფილიო.

— კარგი დაგემართოთ, კარგი საქმეა, მაგრამ მაგ რიცხვისთვის ჩვენს იზოლდას რამდენი ჰქონდა მოკრეფილი! — ისევ ივანემ იკითხა.

მიხეილი იქვე ახლოს იჯდა და სიამოვნებით უსმენდა მათს დიალოგს.

— იზოლდას ამ რიცხვისათვის ოთხიათას ორმოცდაჩვიდმეტი კილოგრამი ჩაი ჰქონდა მოკრეფილი.

— დიღუ! — წამოიძახა ბაბიძე.

— თითქმის ორჯულ მეტი. — გაიანგარიშა სარდიონმა.

— მაჩვენე გოგო მაგ ხელები, რაა ამისთანა! — წამოდგა ზევით ივანე და იზოლდას ხელები თავის მთლად ძარღვებად ქცეულ გახევებულ ხელებში ჩაიდო, მერე შუბლზე აკოცა და უთხრა:

— ოქროს ხელები გქონია გოგო, დიდხანს იცოცხლე! — აღელვებული მოხუცი ისევ მიუბრუნდა იზოლდას.

— ბესარიონის შვილისშვილი ყოფილხარ, პაი დედასა, ბაბუაშენი რომ გაეარვარებულ ქურიდან რკინას გამოიღებდა და უროს დასცებდა გრდემლზე, მისი ხმა შეედლების უბანში მართო კი არა, ავერ ცხენისწყლამდის ისმოდა, კაი ნამუსიანი მჭედელი იყო. შენ გახსოვს? თუმცა რა გამახსოვრება, ადრე მოკვდა. რა მაგის პასუხია და მითხარი შენი ჰიორიზე, ის გოგონა ვინ არის? — მიუთითა დალი წიფვიძაძეზე.

— ჩემი რგოლის წევრია, დალი წიფვიძაძე...

— კომსომოლე?

— ჰო ბატონო, ჩვენი კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

— კი მაგრამ მე რატომ ვერ ვიცნობდი?

— იმიტომ ბაბუა, რომ დალი, სტურუას სახელობის კოლმეურნეობის წევრი იყო, ახლა რომ შემოუერთდა, ჩვენია, — იზოლდამ ისევ

განაგრძო — საშუალო სასწავლებელი დაამთავრა და კოლმეურნეობაში დარჩა სამუშაოდ.

— ძლიერ კარგი უქნია, ნამდვილად კარგი! დიდი მართლაც იზოლდას კვალს მიჰყვება და აგერ მას რომ ჩაეკრია, თითქოს ახლაც ჩაესმის მისი სიტყვები: „გვკრიფთ ყოველგვარ ამინდში, არ დავუშვავ ჩამორჩენა ჩაის ფოთლის კრებაში, მაქსიმალურად გამოვიყენოთ თვითელი დღე და თვითელი საათი“.

ეს სიტყვები თითქოს მეგზურივით მიუძღოდა წინ დალის და მის ამხანაგებს ჩაის ბუჩქებისკენ. იზოლდას კი თავის, მხრივ ყოველდღე ესმოდა რადიოდან და გაზეთებიდან: „ამხანაგო მეჩაიებო! გვკრიფთ რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხიანი ჩაის ფოთლო, წარმატებით შევასრულოთ ნაყისრი ვალდებულებები“.

ამ მოწოდებაში მას ხან მერიელი ნაირა გოგატაძის, ხან ნაგომრელი ლილა მალულარიას, ხან ზუგდიდელი მერი ქარდავას და ხან შეჯიბრებაში გამოწვეული ორივე ტატიანას ხმები ესმოდა. ისიც თავის ხმას უერთებდა მათ და სულ წინ-წინ მიდიოდა. ახლა კი ქობულეთელეების მომხიანი ხმა ჩაესმა, ჩაის წარმოების შეიღწიანი გეგმა სამ წელში შევასრულოთ.

— კიდეც შევასრულებთ! — აღმოხდა მას მისდაუნებურად, უცებ აქეთ-იქით მიიხედა, ხომ არავის გაუგონიაო, მაგრამ ისე ხმამაღლა წამოიძახა, როგორ ვერ გაიგონებდნენ. ამიტომ იზოლდას შერცხვა და თავი ძირს ჩაღუნა.

— როგორ გვითხრა, ბიძიკო, იმ დიდმა სტუმარმა, ქართულ ჩაიზე თბილისში, სპორტის დიდ სასახლეში?

— ქართული ჩაი მთელ მსოფლიოში ყველაზე უკეთესიაო! — გაიხსენა ბუხუტამ, რაკი მას მიმართა ივანემ.

და აი აქ თავი ვერ შეიკავა ივანემ და მღელვარედ უამბო დამსწრეებს, რაც მან საკუთარი თვალით ნახა თბილისში თორმეტსა და ცამეტ მაისს. იმ ზეიმს, რომელსაც დიდი სტუმარი, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ესწრებოდა, სადაც ყველა რესპუბლიკის დელეგაციები ჩამოსულიყვნენ სტუმრად, რაიონის დელეგატებს შორის, როგორც უხუცესი ბოლშევიკი ივანეც იყო. არა მარტო ივანე, არამედ მიხეილის მეთაურობით მთელი დელეგაცია, მათ შორის აკაკი ღვინაძე და ბუხუტაძე.

— სარდიონ, სარდიონ! — გაისმა ამ დროს მიხეილის ხმა. სარდიონი ექ არ ჩანდა, იგი კარგა მოშორებით ოთხ ახალგაზრდას რაღაცას ეჩუბჩულებოდა, ხელებს შლიდა.

— მაშ დავამთავროთ, გისურვებთ ორივეს წარმატებით შეგესრულებინოთ ნაყისრი ვალდებულებანი! — მიმართა მდივანმა აკაკისა და ბუხუტის.

— მეც გისურვებთ, შეიღებო წარმატებას,

აბა, თქვენ იცით, ამჯერადაც კიდეც თუ გამახარებთ! — და ივანემ ორივე გადაკიცხა. ამ დროს სარდიონმა რაღაც ხელის მაღლა აწევით ანიშნა ბუხუტის. იგი მაშინვე მიუბრუნდა მათ და მიმართა:

— ამხანაგებო, ყოველგვარი კარგი საქმის დასაწყისს კეთილი დასასრული უნდა ჰქონდეს, წამობრძანდით თითო ჰქვით დავლოცოთ ეს მიწა! მრავალი კარგი სიტყვა და სადღეგრძელო ითქვა დიდი მუხის ქვეშ, მწვანე ბალახზე, გაშლილ სუფრასთან ერთხელ კიდეც დალოცეს აკაკისა და ბუხუტის მარჯვენა, ყველა გამარჯვების მარჯვენა, მინდვრის დედოფლების გამახარებელთა მარჯვენა.

ეს ლხინი სწორედ იმ ადგილას გაემართათ, სადაც გასულ წელს თამარისა და ბუხუტის ქორწილი იყო. ახლა კი იმ ქორწილის მთავარ ნაყოფს, აგერ სულ ახლოს, მუხის ქვეშ, მუხის პატარა აკანში ეძინა და ბებიაშის ნანინას უმღეროდა.

ერთხელ კიდეც გაისმა მრავალამიერი, რომელსაც მალე ცეკვა მოჰყვა. ახალგაზრდები ერთმანეთს ეცილებოდნენ. ვიღაცამ დაიძახა:

— ივანე ვაცეკვოთ, ბიჭებო! — ამ დაძახილზე სარდიონმა ივანე წრეში შემოიყვანა, მოხუცი არ გაუძლიანდა, ერთი კი სიქვა, რა დროს ჩემი ცეკვაო და მერე ისე გაშალა მკლავები, გეგონებოდათ ორმოცი წლის მოწიფული ვაჟაკითა, წრეში ვიღაცას ძებნა დაუწყო, მგონი მასავით მოხუცს, აი კიდეც მიაგნო და მიუცეკვა.

— გაჰყევ, ბაგრატ, გაჰყევ!

— ო, ბიჭი! — გაისმა აქეთ-იქიდან და ბაგრატ სულაბერიძე ჩოხა-ახალუხ აკაბიწებულ ივანეს კინაღამ გაშლილ მკლავებში შეუვარდა. ცოტახანი და აკაკი შედრინდა წრეში და ივანეს გადაუდგა წინ, ბაგრატმა ვერც კი შენიშნა ეს, რომ მის წინ ხელგებაშლილი ბუხუტი გამოიჭიმა და გაუსვა და გაუსვა. მოხუცები რომ მოიღალნენ, აკაკი და ბუხუტი მიუბრუნდნენ ერთმანეთს და ისე შეებნენ ცეკვაში, როგორც შეჯიბრებაზე ხელისმოწერის შემდეგ ჰიდაობის დროს.

მართლაც რომ ვაჟაკურად, მთელი აღზნებით ცეკვავდნენ.

იზოლდა სადღაც მიმაღულიყო, დიდი კი სულ წინ იდგა, აბა, ვინ მომიცეკვებსო. დათომ ეს შეამჩნია და წრეში შევარდა, პირდაპირ მასთან გაჩნდა. ივანემ დამკვრელებს რაღაც ანიშნა, და მოცეკვავენიც შედგნენ.

— ეს ბერიკაცი დღეს ცოტა ავჩუჩუტდი, მაგრამ თქვენი ბრალია, ახალგაზრდებო, თქვენ ამიყოლიეთ, თქვენს შორის ყველაზე უხნესი მე ვარ, მგონი ამ მუხის ტალი — აღმართა მარცხენა ხელი მაღლა — მოდით და ამ სასმისით

ახლა ის ადამიანი ვადღერძელოთ, ვინც ჩვენს შორის ყველაზე უფროსი იყოს...

— ესე იგი ისევ ივანე?

— გაჩუმდი ვალა! — დატუქსა იგი კაქუნამ.

— აბა, მაგაზე უფროსი აქ ვინაა, ბიჭო!

— გაჩუმდი-მეთქი!

— ეს იმ აკვანში მყოფ ყრმას გაუმარჯოს — განაგრძო ივანემ — ქონოდეს მას დიდი სიცოცხლე, ამ მუხების სიმაგრე და ამ მიწა-წყლის სიყვარული! — აღარც კი დააცალეს დაღევა, რომ ტაში დასცხეს, ტაშს ისევ საცეკვაო მოკყვა და მთელი ცხენიწყლის ნაპირი მიწიანად, სიმინდებიანად და ადამიანებიანად ხარობდა.

უცებ ბუხუტი საცეკვაოდ გავარდა, დაუარა, დოლ-გარმონმაც უმატა. ეს წელგამართული ვაჟკაცი კი პირდაპირ თამარისკენ გაფრინდა, თამარი ბაბისთან ერთად აკვანს უჯდა, ბუხუტიმ მიუცეკვა, ჩაბუქნა, თამარმა იუარა, მაგრამ ბაბიმ ხელი ჰკრა და ზედ წრეში შეაფრინა ხელუბავსილი რძალი. თამარმა ერთი ორჯერ შემოუცეკვა და მერე წრიდან გასვლა დააპირა, ბუხუტი დაედევნა, მაგრამ ხელის წავლება ვერ მოასწრო, რომ თამარი აკვანთან გაჩნდა და ბაბის კალთაში ჩაუვარდა ბავშვით. მაშინ ბუხუტი ყველასათვის მოულოდნელად აკვანს ეცა, ხელში აიტაცა და ისევ წრეში შემოვარდა, გაქანებული ცეკვავდა და აკვანს ხელში ატრიალებდა, ეს რომ დაინახეს დამკვირვებმა დოლ-გარმონი უფრო გაახტრეს, დასცხეს და დასცხეს, მის მაღალ ტემპს აყოლილი ბუხუტი ელვისებური სისწრაფით დაჰქროდა აკვანიანად. ხალხის მღელვარე ტაშსა და სიცელ-ხარხარში ბაბი გიჟივით შევარდა წრეში და აკვანი ძლივს გამოგლიჯა ხელიდან შვილს.

ეს იყო რაღაც ამაღელვებელი სურათი, დასასრულ მიხეილმა მანქანაში ჩაისვა ივანე, აკაი, იზოლდა და ქალაქისკენ გამოეშურა. ბუხუტი გვიანობამდე დარჩა იქ თავის წვერებთან ერთად. შექეიფებული ვაჟკაცი აკვანს ახლო უჯდა და სარდიონთან და აჯვის ბრიგადის წვერებთან ერთად დიდხანს მდეროდა, თითქოს ყრმას სიმღერით აძინებდაო.

ბრმა მოხუცი ცხენისწყალთან

სალამოს ქამამაც დაჰკრა და ცხენისწყლის ხეობაში გრილმა ნიაშმა დაუბერა, მდინარემაც უმატა ტალღების შხუილს. მე ავდექი და წყაროებთან ჩავედი, ბუხუტიც გამომყვა. ვილაცამ მსუბუქი მანქანა ზედ წყაროებთან მოაყენა, ორივენი მანქანასთან გავჩნდით. გავვოციდი კაცი, ამას რას ხედავს ჩემი თვალებში!

— სარდიონი, სარდიონი! — ისე ხმაშალა წამოვიძახე, რომ მე თვითონ შემეშინდა ჩემივე ხმის. მანქანაში ორ ვაჟკაცს, მის ძმისშვილებს

ბრმა და ღრმა მოხუცი, დავრდომილი სარდიონი ქეთელაძე, შუაში ჩაუჯენიათ.

ახლა კი მართლა ამირთყდა გული, ვეცი, და წავეშველე მათ მანქანიდან გადმოყვანაში.

— ბიძია, იცი 'შენ ვინ გვიღებს ხელს ახლა? — მიმართა მას ძალზე ხმაშალა 'შალვამ, მისმა საყვარელმა და სჯიფარმა უფროსმა ძმისწულმა.

— აბა, რა ვიცი, შვილო.

— მე ვარ, ბიძია სარდიონი!

— შენ ვინ ხარ ყმაწვილო? — მომესმა წვრილი, კნავისებური ხმა.

— შენი ძველი მეზობელი, სიმონი!

— რომელი სიმონი, კამოიცი!!

— ჰო, ბიძია, ჰო!

— ღმერთო მომკალი, საიდან, ბიჭო მინადო — რა ხომ არ ჩამოგიყვანია? — და ხელები მომიფათურა, თავისი მისუსტებული ხელები ისე მედებოდა, თითქოს რაღაც შეუმჩნევლად დაცოცვდა სხეულზე.

— არ ჩამომიყვანია, ბიძია სარდიონ.

— მერე რატომ, ბიჭო, ჩამოიყვანდი, თავისი ძველ ეზო-გარემოში გაივლ-გამოივლიდა და გაეხარდებოდა, ჩვენც გაგვხარდებოდა. მართალია მე უბედური კი ვერ დავინახავდი, მაგრამ მის ხმას ათას ხმაში გამოვიცნობდი. ეჰ, ეჰ, რა ვქნა, რა ვქნა, რომ ვერ ვხედავ. გახსოვს შარშან რომ გეხვეწებოდი და გემუდარებოდი. ბიძაშენ იასონასავით ცხენისწყალზე ჩამიყვანეთქვა?

— მახსოვს, მახსოვს.

— ისიც ხომ გახსოვს, მე რომ არ წამიყვანე.

— მახსოვს, მახსოვს.

— ახლა ხომ მოვედი, იასონე თუ ურმით მოიყვანე შენ აქ, მე კი მანქანით მომიყვანეს ბიჭებმა! — აქეთ-იქიდან მხრებში ამოვუდექით და ბრმა მოხუცი წყაროსთან დავსვით ბავშვით, წყაროს წყალი რომ დავალევივით, ძალიან ეამა, თითქოს ფერზეც მოვიდა, გახალისდა, მერე გვთხოვა, წყაროში ხელები ჩამადებინეთო, შევუსრულეთ. უფრო ესაბოვნა, ისე მოირთხა ფეხი, წამოსვლას აღარ აპირებდა. ძმისშვილებმა კი ხელი მოჰქიდეს.

— მაცალეთ ბიჭებო, რა გეჩქარებათ, რამდენი ხანია არ ვყოფილვარ აქ, სული მომატე-მევიხეთ, მე შენ გეტყვი მეორეჯერ არ მომიყვანოთ. — ვერაფრით რომ ვერ მოვაშორეთ იქაულობას, შალვამ უთხრა:

— აგიყვანთ, ბიძია, გეყოფა, წამოდი!

— ამიყვანეთ, მაგრამ მანქანაში არ შემიტანოთ, მდინარესთან მიმიყვანეთ!

— შე ოხერო ღმერთო, თუ გამაჩინე და ამდენხანს მაცოცხლე, თვალებში სინათლე რათ წამართვი, ბარც ვერ მომკალი, სულიც ამ თვალების სინათლესთან ერთად ვერ წაიღე, ჩემდა

სატანჯველად რომ დამიტოვე? — ამ სულთმობრძავი ადამიანის ღალატისმა სულ გადაშრია. სწორედ ამ დროს ბავშვის ტირილი მოისმა. სარდიონმა თავი წამოსწია მალლა.

— დია, ვინაა, ბიჭო, რომ ტირის? — ხელუბი მოაფათურა, ვილაცს ეძებდა.

— ბიძია, ბუხუტის პატარა ბიჭია! — ვთხარა მე.

— ბუხუტის? როდის გეყოლა შვილო და ხელები კიდეც აფათურა.

— ერთი თვის წინ.

— მიიყვანეთ მასთან! — ახლა აკვანთან მიიყვანეთ. აკვანს ხელები მოუფათურა, ყოველ ნაწილს შეახო, თითქოს ამოწმებდეს როგორი გაკეთებულიაო. ის ხომ საუკეთესო დურგალი იყო, აშენებდა სახლებს, აკეთებდა აკვნებს, მისი გაკეთებული აკვნები ახლაც შემორჩათ სოფლებს, შეიძლება ესეც მისი ნახელავი იყოს. საუკეთესო მშრომელი იყო, სიმინდი ბევრი მოჰყავდა, მაგისტანა მონადირე და მეთევზე მეორე არ იყო სოფელში. რაღაც იგრძნო, მგონი მართლაც მისი გაკეთებული უნდა იყოს ეს აკვანი, აბა როგორ შინჯავს, როგორ ამოწმებს, რაღაცას გონების თვალთვლით იგონებს. ნუთუ მის ხელებსაც პატრონივით აზრი აქვს?

— მისი, გაკეთებულია მისი! — თითქოს ჩემს გულში ჩაიხედაო, მომმართა ბაბიმ და თვალუბზე ცრემლები მოადგა, მისი ხელების ფათურს რომ ვერ გაუძლო. ამ დროს ბავშვმა წამოიტირა.

— ნანა! — აღმოხდა სარდიონს და რაღაც ძველთაძველი სიმღერა მიაბა ზედ ბავშვის გასაყურებლად, ბავშვი მართლაც გაჩუქდა.

ამ დროს ბუხუტიმ რაღაც წასჩურჩულა თამარს. მალე პატარა სუფრა აკვანთან გაიშალა. ბუხუტიმ სარდიონს ყველაფერი უთხრა, რისთვისაც ვიყავით აქ. ეს რომ გაიგო სულ გადაირია, ივანე მომიყვანეთ სად არისო. ბუხუტიმ ღვინით სავსე ჭიქა აიღო ხელში.

— ბიძია, სარდიონ, ეს შენ გაგიმარჯოს, კიდეც გვენახოს შენი თავი აქ ამ წყაროებთან, ამ მუხებთან და ამ ცხენისწყალთან, მხოლოდ თვალბილული!

— ჰი, საიქოში არა? — დაიკნავლა მოხუცმა და ბუხუტისგან გადაცემული პატარა ჭიქა ძლივს დაიჭირა ხელში.

— ღმერთმა ეს ბავშვი გაგიზარდოთ, დიდხანს ეცოცხლოს, მაგრამ სულ თვალბილული ყოფილიყოს! და ცრემლები ჩაუდგა მიფშუტულ, მიმქნარ თვალის გუგუბში.

რამდენიმე საღმრთაძელოს შემდეგ სიმღერაც წამოიწყო, საოცარი ის იყო, რომ შეუშმდარად მღეროდა, სულ წვრილ, პირველ ხმაზე. ჩვენც ავყევით, როგორც შეგვამჩნევდა სწორედ არ ვიღებდით ტონს, გვაჩერებდა:

— მასე არა, ბიჭებო, აი ასე! — და თვითონ გაგვიმეორებდა. უკვე მთლად რომ დაღამდა და ჩვენ ბაბისგან წამოღებული ჭრაქი ავანთეთ, იკითხა:

— რა დროა ახლა, ბიჭებო?

— სამხრობის, ბიძია, სარდიონი — იცრუა ბუხუტიმ და ღვინო ჩაუსხა ჭიქაში.

— მატყუებო, შვილებო, არა? — სარდიონის წვრილ, სულ კნავილისებურ ხმასა და ამ ყრმის კნავილში განსხვავება არ იყო, ისინი ერთმანეთს ერწყმოდნენ, ერთმანეთს ეხმიანებოდნენ.

ისე გაეყარა ერთმანეთს დღე და ღამე, როგორც სარდიონისა და ამ ჩვილი ყრმის სიცოცხლე ეყრებოდა ერთმანეთს.

— კამოია, კამოია, ბიჭო, აქაურობა არ გენატრება? — და ხელები მომიფათურა. მე უზომოდ გავიხარე, რომ სარდიონმა ბავშვობის დროინდელი სახელით მომმართა.

— როგორ არა, ბიძია, სარდიონ.

— მერე, ჩამოდი, ბიჭო, ისევ დასახლდი აქ, მინადორა ჩამოიყვანე, მის ხმას რომ გავიგონებ გამეხარდება, შენს ეზოგარემოსაც მოვიგონებ.

— ჩამოვალ.

— გაფიცებ ყველაფერს! — ბავშვივით გაეხარდა და ისევ მომართა ხელების გულმკერდზე ფათურივით.

— არ გენატრება, ბიჭო, ხაჩოურები, გოგიტოურები, ნაბოგირები, ნაჯაო და ნაბულოარი?

— როგორ არა!

— აბა ჩამოდი, ჩამოდი!

— ჩამოვალ, სარდიონ, ჩამოვალ! — ვუთხარა ეს და ალბათ თუ დღიჯერა ჩემი ნათქვამი, კიდეც უფრო გამოცოცხლდა და სიმღერა წამოიწყო. მერე აკვნიანი ბავშვი, სარდიონი, ბაბი, თამარი და შალვა მანქანით გავისტუმრეთ, მე და ბუხუტი კი ფეხით წამოვედით. ბნელოდა, მაგრამ მე გონების თვალთვლით კარგად ვიცოდი სად ვიყავი, რომელ ფართობზე გადმოვდიოდი და რომელ ალაგას ვადგამდი ფეხს.

მოვდიოდი და ნიაზე სიმინდების შრიალი მესმოდა. ბუხუტი იმ შრიალს რაღაც სიმღერას უხამებდა, მეც ავყევი და ასე გამოვარდევით გაშვალი ღამე და შემოვედით სოფელში.

გამარჯობათ, გაშკაცებო!

გაზაფხულის სურნელი რახანია სისხლძარღვებში გასჯდომოდა აფუებულ მიწასა და მცენარეებს, სიმინდებსა და ჩაის ღუყებს. გასჯდომოდა და კიდეც ჩამცხრა-ჩაშაქრებულიყო შიგ ამ ტყბილი შემოდგომის თბილ ღლებში.

ცხენისწყლის პირას ნიაზე ისევ საამოდ ჰქროდა. ადრე, მარტ-აპრილში ნათესი ყანა გამხმარ

ტაროებს ვაჟკაცის მკლავებივით იქნედა, შიგ მობუბუნე ბუხუტის თვალი მათზე რჩებოდა, ფუჩჩეშემოხეთქილ ტაროდან ყვირთელი მარცხლები, თითქოს თვალებს უჭყეტენ და უცინიანო, მისკენ იწვევდნენ. ბუხუტიმაც აღარ დააყოვნა და თავისი ზრიგადის წვერები შეუსია, შერჩევით ტეხვა დაიწყო. ტეხდნენ ახალგაზრდები წყრთიან ტაროებს და სიმინდის კალო თანდათან მალდებოდა.

ბაბი — ბუხუტის დედა ქვის გახურებულ კეცებზე მკაღს მკადებზე აკრავდა, ვაჟკაცებს საუზმესა და სადილს უმზადებდა, ხოლო თამარი კი კვლავინდებურად მუხის აყვანს უჯდა ცხენისწყლის პირას და როგორც კი მიეღულებოდა ჩვილი თვალები ყრმას, მაშინვე სიმინდების ტევრში შევარდებოდა. საესე გოდრებს აკუნა და დათო კრუსუნ-კრუსუნით მიარბენინებდნენ კალოსკენ.

ყანის ბოლოში სიმღერა ისმოდა. მისი პირველი წამომწყები ვალა იყო, ხოლო ბუხუტის ომახიანი ბარიტონი შორს მიჰქონდა ნიავს სამეგრელოს ველ-მინდვრებისკენ. აჲ, გვაზაურის ახლოს, ცხენისწყლის მარცხენა ნაპირას, ბუხუტის ყანაში „მინდვრის დედოფალთა“ კალოები მთასავით მიიწვედნენ ლურჯი ცის კაბადონისკენ, ხოლო იჲ, შორს, მთის კალთების ძირში, ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირას, სუხჩის მიწაზე, აკაკი ღვაბერიძის ყანაში სიმინდის მთა ირგვლივ შემოჯარულ მაღალ მთებს ეჯიბრებოდა.

გაზაფხულის სურნელით სახეშებოლილ ჩვენს ივანეს ამ ტბილ შემოდგომაზე შინ რალა გააჩერება?

— ბიძია ივანეს სიცოცხლე! — ერთბაშად დააგუგუნეს ბიჭებმა, როცა მათკენ მომავალი მოხუცი დაინახეს.

— გაგიმარჯოთ, ბიძიკოებო! — ცოტა დაგვიანებით შეეხმინა მათ ივანე და ცამდის ასულ კალოების ნახვით გულანთებული, მაჰაშვილურად გადაეხვია ბუხუტის. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თვალი ვეღარ მოაშორა მიწაზე დახვავებულ სიმინდის ბარაქას, ხელები მოიჩრდილა და ხეობისკენ გაიხედა, კარგახანს იყურა იქით და მერე უცებ დაიძრა აღგილიდან, ბუხუტიც თან გაჰყვა უკან, მოხუცი ხელმოჩრდილული მიდიდა მუხებისკენ. მივიდა კიდევ იჲ, სადაც ერთ-ერთ მუხის ქვეშ ყრმა იწვა აკვარში და რაღაცას თავისთვის, თავისებურ ენაზე გალობდა.

— გეიზარდე, დიდი ბიჭი! — მოესმა ზურგიდან აკვანზე გადამხობილ თამარს და მაშინვე ზევით წამოვარდა.

— პატივცემული ივანე, მობრძანდით! —

ისე მიმართა თამარმა, თითქოს სახლში ებატიყებო.

— ბიძიკო, ბავშვი არ გაგიცივდეს.

— არა, ბიძია ივანე, თბილად მყავს ჩაქმული, თანაც თბილი დღეა!

— მართალი ხარ, შვილო, მაგრამ, მაინც მოარიდე ნიავს, თუმცა კაცმა რომ თქვას, ასე სჯობია, აქედანვე მიეჩვევა, გააჟღებოს! — და მოხუცმა მთლად ძარღვებად და ძვლებად ქცეული ხელები ბავშვს ლოყებზე მოუთათუნა და ბუხუტის უთხრა:

— ბიჭოს, ზაფხულის შემდეგ ძაან გაზრდილა ეგ ბაღი, რამხელა თვალები აქვს, რა ფართო შუბლი აქვს, მთლად შენა გავეს, მალე მოგესწრება, ბიძიკო! — ერთხელ კიდევ მოუთათუნა ხელი.

— ივანეს გაუმარჯოს! — მოისმა ამ დროს შორიდან ვილაცის ხმა. მოხუცს უკან აღარ მოუხედავს, ისე ჩაილაპარაკა!

— ბიჭებო, სარდიონეა ნამდვილად.

ამასობაში სარდიონიც მოვარდა, საოცრად დღეავდა, ხელში რაღაც ფარატიანა ქალადი ეჭირა და დროშასავით მოაფრიალებდა, სულს ძლივს ითქვამდა.

— წაიკითხეთ, წაიკითხეთ...

— რა წაიკითხოთ, კაცო, გაგიყდი! — მიმართა მას ბუხუტიმ. ამგვარად აფორიაქებულ სარდიონს რომ მოჰკრეს თვალი ბიჭებმა, სიმინდის ტეხვას თავი ანებეს და მათთან შოირბინეს. სარდიონი მაინც თავისას გაიძახოდა.

— წაიკითხეთ, წაიკითხეთ...

— რა წაიკითხოთ, კაცო! — ისევ ბუხუტი შეეხმინა თვალებაბრიალებულ სარდიონს.

— ეს დღეშა წაიკითხეთ! — მაშინ ბუხუტიმ ხელიდან გამოსტაცა ქალადი, დახედა, ჩათვალიერა, სახე გაუბრწყინდა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა: „წულუქიძე, წულუქიძის სახელობის კოლმეურნეობა. იზოლდა ნიკოლოზის ასულ წოწონავას, სულითა და გულით გილოცავ შესანიშნავ წარმატებას, ჩაის ფოთლის წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებას. თქვენი დაუღალავი და ენერგიული მუშაობით სამშობლოს მიეცით 17047 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ წარმატებით შეასრულებთ ნაქისრ ვალდებულებას. თქვენი მუშაობა და შემართება შრომაში მისაბამი მაგალითია ყველა მეჩაიესათვის. გვჯერა, რომ თქვენ არ დაშურებთ ენერგიას, რათა ჩაის უხვი მოსავლის მიღების მოწინავე მეთოდი აქციოთ თქვენი კოლმეურნეობის, რაიონის მეჩაიეების მიღწევად, რათა ღირსეულად შეხვდნენ მშობლიურ კომუნისტური პარტიის ოცდამეორე ყრილობას.“

ვახილ მუჟავანაძე

— შევანაძე? — გაისმა აქეთ-იქიდან და მერე ამ გაკვირვებულ ძახილს ისეთი ტაში და გრილი მოჰყვა, ალბათ იზოლდა რომ იქ ყოფილიყო, არა თუ ბუხუტისა და მის მეგობრებს, არამედ ივანესაც ვერავინ შეაკავებდა, ხელში აიტაცებდა და მთელ ცხენისწყლის ქალებს შეათარებდა.

ამ ცნობამ ყველას დიდი სიამაყის გრძნობა ჩაუსახა გულში, ყველამ საკუთარ გამარჯვებად და საკუთარ მილოცვად მიიღო ეს ამბავი. მართლაც ასედაც უნდა მომხდარიყო, იზოლდა, სახელოვანი ახალგაზრდა, ჩაის კრეფის რეკორდსმენი ხომ მათი კოლმეურნეობის წევრია?

ასე ფიქრობდნენ არა მარტო აქ, მდინარის პირას თავშეყრილნი, არამედ ყველანი, როგორც ამ კოლმეურნეობის, ისე მთელი რაიონის მშრომელი ადამიანები. ამ სიხარულით აღტაცებულმა მოხუცმა ივანემ ბუხუტის მიმართა:

— აბა შენ იცი ახლა, ბიძიკო!

— ბიძია ივანე, უნდა გახარო, რომ აღებულ ვალდებულებას გადავაჟარებ, გამოვიანგარიშეთ და ჯერჯერობით რაც მოვტეხეთ, პეტარზე ორასი ცენტნერი გამოვიდა.

— ორასი?

— ჰო, ჯერ ასეა, მთლად რომ მოვტეხთ, დანარჩენი მერე ვნახოთ, პირადად ჩემზე გაპიროვნებული ნაკვეთი ჯერ არ მომიტეხია, მარა წინასწარ გეტყვი, რომ ორასორმოცდაათ ცენტნერს მივიღებ.

— აბა აკაი ღვაბერიძეს წამოაჩოქებ შენ!

— მერე რაფერ, სულ მუხლით ვახვენივინებ ნიწას! — ამ ხუმრობის შემდეგ ბუხუტიმ სერიოზული სახე მიიღო და განაგრძო — ამ რამდენიმე დღის წინ ჩვენს სახელოვან მესიმიდეს აკაი ღვაბერიძეს გალიდან ძუკუ ეწვია.

— ძუკუ?

— ჰო.

— ვინაა, ბიჭო, ძუკუ?

— რიგვაა, ბიძია ივანე, სიმინდის მაღალი მოსავლის ოსტატი, იგი ხომ აკაკიმ გამოიწვია შეჯიბრებაში და ასსამოცის მაგიერ ორასი ცენტნერი აიკისრებინა. ჰოდა ის ჩამოსულა, მარტო ის კი არა, მთელი დელეგაცია.

— მერე რა უთქვამს?

— ამას აგერ ჩვენი თავმჯდომარე უფრო კარგად, დალაგებულად გეტყვით, ის ახლდა სუხჩაში დელეგაციას. — და ბუხუტიმ სარდიონ კინწურაშვილს ანიშნა, სთქვი რამეო, მანაც აღარ დააყოვნა და მოკლედ მოსჭრა:

— ძუკუმ ღვაბერიძის სიმინდის ყანები რომ ნახა, ჯერ ღრმად ჩაფიქრდა, მერე თავი მაღლა ასწია ამაყად და წამოიძახა, ყოჩაღ, ბარაქალა, ძმაო, შენს მარჯვენასო და მხარზე მეგობრულად დაჰკრა ხელი. ასე მოიქცნენ დელეგაციის წევრები: გალის რაიონის მდივანი ყიფიანი, ოტობაიელი მესიმიდე ვენერა ჭანია, რაიონის განყოფილების გამგე ჩიკვატია, სოფელ ბარდების კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. გიგაშკორი, აჩიგვარის მეურნეობის აგრონომი ბოკუჩავა, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ საკუთარი კორესპონდენტი ჭკალუა და სხვები.

— ყოჩაღ აკაკი! — წამოიძახა ივანემ და მერე ბუხუტის გახედა.

— მაშ, ყმაწვილო ღვაბერიძე რიგვას ერევა, შენ კი ღვაბერიძეს, არა?

— ძუკუ რიგვამ ღვაბერიძეს უთხრა სუხჩაში — დაიწყო სარდიონ კინწურაშვილმა — ოცდაშვიდ სექტემბერს თბილისში საქართველოს კომუნისტური პარტიის ოცდამეერთე ყრილობაზე შევხვდებით და მაშინ ვუთხრათ ერთმანეთს, ვინ რამდენი მოვიწიეთო.

— რაღა დარჩა მანამდე, სულ რამდენიმე დღე, — სიცილით უთხრა ბუხუტიმ.

— შენც იქ არ. იქნები, ბიძიკო?

— მეც და თქვენც, ბიძია ივანე, თქვენც ხომ დელეგატი ხართ ჩვენი რაიონიდან, როგორც უხუცესი კომუნისტი?

— ჰო, ვარ, მაგრამ ალბათ ეს უკანასკნელი იქნება, მეტს ვეღარ მოვესწრები, შვილო! — რაღაც საოცრად ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მოხუცმა.

— აჰ, რავა გეპაღრებოთ, ბიძია ივანე, თქვენ დიდხანს, სულ დიდხანს უნდა იცოცხოთო.

როცა ცხენისწყლის პირას, ბუხუტის სიმიდის ყანებში ასეთი სურათები იშლებოდა, მათგან ზუთითღე კილომეტრის დაშორებით, ქალაქის აღმოსავლეთით, იზოლდა წოწონავა თავისი რგოლის წევრებთან ერთად ჩაის ფოთლის გახურებულ კრეფაში იყო. რესპუბლიკის ხელმძღვანელის მილოცვით აღფრთოვანებულმა დამატებით კიდევ ახალი ვალდებულება იკისრა. განთიადიდან დაბრუნებამდის თავისი დალოცვით ათივე თითებით მარტო ადამიანებს კი არა, თვით ჩაის ბუჩქებსაც ახარებდა.

და აი, რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთმა „კომუნისტმა“ ქვეყანას ამცნო: „ბრწყინვალე გამარჯვება“. ამ სათაურს სასიხარულო სტრიქონებიც მოაყოლა: „წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ახალგაზრდულმა რგოლმა, რომელსაც ნოვატორი მეჩაიე იზოლდა წოწონავა ხელმძღვანელობს, გუშინ გადაჰარებთ შეასრულა ჩაის კრეფის ნაკისრი ვალდებულება...“

ჩაის კრეფაში პირველობას კვლავ იზოლდა წოწონავა ინარჩუნებს. სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად აღსანიშნავ სოციალისტური შეჯიბრებით მან თექვსმეტი ათასი კილოგრამი ჩაის ფოთლის მოკრეფა იკისრა. ეს ვალდებუ-

ლებს აგვისტოში შეასრულა. გადასწყვიტა ვალდებულების გადამტეხებით კიდევ მოეკრიფა ორიოთხს სამასი კილოგრამი ჩაის ნედლეული. იზოლდამ პირბაა წარმატებით გაანაღდა, მოკრიფა და მრეწველობას ჩააბარა თერამეტი ათას ცხრაასორმოცდახუთი კილოგრამი „მწვანე ოქრო“. მისი რგოლის წვერები მონდომებით მუშაობენ, იმისათვის, რომ ნაქისრი ვალდებულების გადამტეხებით მოკრიფონ ხუთი ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ეს იყო თოთხმეტი სექტემბრის გაზეთში. სასწაულოაო, იტყვიან თქვენ, მეც ვიდარტურებით, მკითხველებო, აბა, წარმოიდგინეთ თქვენ ასეთი სურათი: იზოლდა წოწონავას გეგმით ექვს მეათედ ჰექტარზე უნდა მოეკრიფა ორიოთხს ოთხასი კილოგრამი, ხოლო ვალდებულებით თექვსმეტი ტონა. როცა პირველიც შეასრულა და მეორეც, კიდევ დამატებით იქისრა ახალი ვალდებულება და ცამეტი სექტემბრისათვის თითქმის ცხრამეტ ტონამდე შეათავა, რაღა აკლდა, სულ ხუთი კილოგრამი. იმ დღეს კიდევ ახალი ვალდებულება იქისრა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ოცდამეერთე ყრილობისათვის ოც ტონას გადააჭარბა, ბევრად ჩამოიტოვა უკან შეჯიბრებაში გამოწვეული სოციალისტური შრომის გმირები ტატიანა ჩხაიძე და ტატიანა ტყეშელაშვილი, პირველი — შვიდი ტონით და მეორე — სამი ტონით.

სასწაულოა, აბა რა?

მადლობა შენ, ჩვენი საამაყო გოგონა, იზოლდა! დიდება შენს სახელს, შენს გმირულ შრომას, შენს ქალიშვილობას, შენს ათივე თიხს, სასწაულთმოქმედებით რომ დასრიალებენ ჩაის ზავერდოვან ბუჩქებზე.

სწრაფად გავეშურე მთავრობის სასახლისაკენ, რომ ყრილობაზე ჩამოსულ ჩემი წიგნის გმირებს შევხვედროდი.

...აი ივანეც, ე, გვერ ბუხუტიც, უჰ, ბუხუტის უკან რაფერ ილიმება აკაკი ღვაბერძენი, მგონი მის წინ რომ მაღალ-მაღალი, შავ-შავი და სახეგრძელი კაცი დგას მეგრული ჩაბალახით თავწყარული, ძუძუ რიგვავა უნდა იყოს, დიხ, მგონი კი არა, ნამდვილად ისაა.

— გამარჯობათ, გუჯაცებო! — შორიდან მივაძახე მათ და შორიდანვე გავშალე ხელები ჩამოსართმევად.

სხვა დელეგატებთან ერთად, მთავრობის სასახლის დიდ დარბაზში, სადაც ქართველი ხალხის რჩეულებს მოეყარათ თავი, რომ უფრო კარგად მოესმინა ტრიბუნიდან წარმოთქმული სიტყვები, მოხუცი ივანე პირველ რიგში დაჯდა. რაკი წინ, პირველ რიგში მოთავსდა, ბუხუტი და აკაკი აღარ მოიშორა, ბევრი ეხვეწნენ, ბოლოში ან შუაში დაესხდებოთ, მაგრამ

ივანემ აღარ ქნა, ორივენი აქეთ-იქით გვერდზე მოისვა.

უსმენდა მოხუცი მომხსენებლებს დაძაბული ყურადღებით და მათს გულმსურვალე, ქვეყნის ინტერესებით გამსჭვალულ სიტყვებში მთელი საქართველოს გუშინდელი, დღევანდელი და ხვალისდელი დღე, თითქმის ხელისგულზე გადაშლოდა.

მალე ივანესთან იზოლდა მივიდა.

— მომილოცავს ბიძიკო, რომ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა, ვასილ პავლეს ძე მუხანაძემ სხვებთან ერთად შენც დავასახელა ჰო, ჰო, ჰო, რა გავგებხარა ჩვენი რაიონის დელეგატებს? რომ ვიცავით, ორი იმდენი გავიზარდეთ პირდაპირ! — და ივანემ ბუხუტის გაზეთი გადასცა — წაუკითხე, ბიჭო, რა სწერია შიგ!

— ვიცით, ბიძია ივანე, ვიცით, — დასძახეს გოგოებმა, იზოლდამ კი თავი დახარა ძირს.

— ვიცით, არ ვიცი მე, წაუკითხე, ბუხუტი! ბუხუტმა დაიწყო: „რესპუბლიკის შეუძლია იამაყოს ქართველი ხალხის სახელოვანი ქალიშვილებით, სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმების ინიციატორებით, ჩვენი ნამდვილი შუქურებით — ესენი არიან ახალგაზრდა მკრეფავები შერი ქარდავ, ნაირა გოგატაძე, იზოლდა წოწონავა, ნორა ბაკელიანი, ლეილა მალულარია და ბევრი სხვა“.

— გესმის გოგო, ვინ გახსენა ყრილობაზე!

— მესმის, ბიძია ივანე, მესმის.

— ეგი რაა, მეტე ყველასაგან მხოლოდ შენ გამოგარჩია.

— აბა, აბა! — დაუდარტურა მოხუცს აკაკი ღვაბერძენი.

— წაუკითხე ბუხუტი ის ადგილიც!

— ახლავე! — და ბუხუტიმაც დაიწყო: „წულუკიძის რაიონიდან მეჩაიე ქალმა წოწონავამ ერთი ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან თორმეტ ტონაზე მეტი ხარისხიანი ჩაი მოკრიფა. შეიძლება თუ არა ასეთ მაღალ მოსავალს სხვა მეჩაიეებმაც მიიღწიონ? რატომ უნდა ეს შესაძლებელია, თუ ჩაის პლანტაციებს ყველგან სანიმუშოდ დავამუშავებთ და მოვუვლით. მარტო სამოცი ათასი ჰექტარი ფართობი რომ ვიანგარიშოთ და ყოველ ჰექტარზე მხოლოდ იმის ნახევარი რაოდენობით მოეკრიფოთ ჩაის ფოთოლი, რაც წოწონავამ მოკრიფა, მივიღებთ სამას სამოც ათას ტონა მწვანე ჩაის ფოთოლს, მარტო ორასი ათასი ჩაის ფოთლის მიღების შემთხვევაში ჩვენი რესპუბლიკა სავსებით შეძლებს უზრუნველყოს საჭიროთა კავშირის მოთხოვნილება მაღალხარისხიან ჩაიზე, საჭიროა ყველა კოლმეურნეობა, ყველა მეჩაიე მუშაობდეს ისე, როგორც მოწინავენი მუშაობენ.“

— ესე იგი, როგორც იზოლდა წოწონავა,

არა? — ველარ შეიკავა თავი ივანემ და ალტაცებოთ წამოიძახა.

— ხედავთ, ვისი შრომა აიღო საზომად ვასილ პავლესძე მეფიანაძემ? — ჩაილაპარაკა ამ ამბის რომელიღაც მაყურებელმა.

— ვისი და ჩვენი იზოლდისი, ჩაის იმდენი მოწონავე მკრეფელებიდან, გოგო, მარტო შენ გამოგარჩია, ნამდვილად შენი გმირულა შრომის მაგალითზე გაიანგარიშა ის ციფრები, გესმის მერე სად სიტყვა, სად? მთელს ყრილობაზე, კმ, შენ, ქარჩხაფში, კოლმეურნეობის კრებაზე, ჩვენი სარდიონ კინწურაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა არ გეგონოს! — და ივანეს გაეცინა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დამხვედრთაგან სარდიონი დაუდგა თვალწინ.

— კი, მაგრამ, ივანე ბატონო, მაგ მოწინააღმდეგეში ნათქვამია, ერთ ჰექტარზე თორმეტ ტონაზე მეტი ხარისხიანი ჩაი მოიწია იზოლდამო, სინამდვილეში კი ერთ მეექვსედ ჰექტარზე ოც ტონაზე მეტი მოიწია, ხოლო თუ უფრო ზუსტად ვიანგარიშებთ იზოლდამ ერთ ჰექტარზე არა თორმეტი, არამედ ოცდაცხრა მთელი და ერთი მეათედი ტონა მოიწია, ამისხენი ეს რაფერა!

— რაფერაა და ძალიან კარგად, ვერ მიხვდი, სარდიონ? ჯერ ერთი აქ იგულისხმება ის ახალგაზრდული რგოლი, რომელსაც იზოლდა ხელმძღვანელობს, სწორედ იმათ გამოუღდით თორმეტი ტონა, მეორეც თუნდაც ასედაც რომ იყოს, ნათქვამია, თორმეტ ტონაზე მეტიო და არა თორმეტი, მეტი იმას ნიშნავს, რომ მეტი უნდა იგულისხმოდ, თორემ ვინც მაგი სიტყვა, იმან არ იცის, რომ თორმეტზე მეტი მოიწია იზოლდამ? ის არ იყო, რომ აგვისტოს ბოლოს მიუღოცა ჩვიდმეტ ტონაზე მეტი ჩაის ფოთლის მოკრეფა?

— მართალი ხარ, ივანე ბატონო, მართალი — დარცხენილად ჩაილაპარაკა თავმჯდომარემ.

ეს შეხვედრა, რომელიც ქალაქის ბაღის წინ, მოსაფლავებულ მოედანზე მოხდა, სახელდახელოდ გამართულ მიტინგს უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ შეხვედრას.

მერე ახალგაზრდებმა ხელი სტაცეს ივანეს და ბავშვით ატატავებულები დასძრეს. მოხუცმა ძლივს გაინთავისუფლა თავი ახალგაზრდების ხელებისაგან. მაგრად დაადგა თუ არა ფეხი მიწაზე, ახალგაზრდებით გარსშემორტყმულმა ამაყად გასწია თავის უბნისკენ.

ივანე თავის სახლს გაუსწორდა, მაგრამ ეზოში როდი შეუხვია, პირდაპირ ყანენიშკენ, ცხენისწყლის პირას გავიდა. როცა ბუხუტისა და მისი ამხანაგების ბრიგადების ყანებში სიზინდის კალოები დაინახა, სიხარულისაგან ხელები ფართოდ გაშალა და წამოიძახა:

— ასე იმრავლოს, შევილებო, ჩვენი ქვეყნის ბარაქამა და დოვლათმა!

— იმრავლოს, იმრავლოს! — გაისმა ცხენისწყლის პირას სიმინდის მტეხელთა ომახიანი ხმები.

ივანემ ახლა იზოლდა მოწონავს რგოლის ჩაის პლანტაციისკენ აიღო გეზი. იზოლდა ბევრი ეხვეწა მოხუცს, დადლილი ხარ, დაისვენეო, მაგრამ ივანემ თავისი აღარ დაიშალა. იზოლდასა და მისი რგოლის წევრების ნახელავის ხილვამ კიდევ უფრო აღაფრთოვანა მუხლმავარი ბერიკაცი.

— მომისმინეთ, — დაიწყო ბუხუტიმ — სიმინდის აღება გუშინ დავამთავრეთ, ბრიგადამ ორმოცი ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ ას სამოცი ცენტნერი სიმინდი მიიღო. პირადად მე ერთ ჰექტარზე ნაცვლად ვაღდე-ბულებით ნაკისრი ორას ოცისა, ორას ორმოცდაათი ცენტნერი სიმინდი მოვიწიე.

— სინამდვილეა, ბატონო ივანე! — ისევ გაისმა სარდიონის ხმა.

— ყოჩაღ, ბიძიკო, მაშ აკაკი ღვაჭერიძე წამოაჩოქე, არა?

— სამაგიეროდ ღვაჭერიძემ ძუკუ წამოაჩოქა, ორასის მაგიერ ორას ოცი ცენტნერი სიმინდი მოიწია ერთ ჰექტარზე! — განაცხადა იზოლდა მოწონავამ.

— მართლა, სარდიონ?

— დიახ, სინამდვილეა, ბატონო ივანე!

— შევილებო, ამ თქვენი ვაჟკაცობის შესახებ მოსკოველებს დაწვრილებით უამბობენ ყრილობის ქართველი დელეგატები, — თქვა ივანემ.

მეორე დღეს დელეგატებით სავსე საგანგებო მატარებელი მოსკოვისკენ დაიშრა და თან წაიყვანა უხვი მოსავლის ქართველი ოსტატები. ცხენისწყალი რომ დაინახა, ბუხუტის ყანებში დახვავებული სიმინდის კალოები დაუდგა თვალწინ. ამ ფიქრებსა და დელეგატებთან საუბარში გზაც გაილია.

მალე მატარებელი მოსკოვში შევიდოდა...



აკაკი ბელიაშვილის ხსოვნას

უბედურმა შემთხვევამ ქართული მწერლობის ავანგარდს გამოაქლო სასიქადულო წარმომადგენელი, ცნობილი ბელეტრისტი აკაკი იონას ძე ბელიაშვილი, ქართული სიტყვის ოსტატი, რომანისტი და პუბლიცისტი, რომლის მაღალმხატვრული ქმნილებები რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ამდიდრებდნენ ჩვენს ლიტერატურას.

აკაკი ბელიაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისი სოციალისტური საქართველოს განთიადს დემთხვა და იგი, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატი, იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა ჩვენს სამშობლოსთან ერთად. მის შემოქმედებაში მრავალმხრივად აისახა ჩვენი თანამედროვეობა, საბჭოთა ადამიანის ფსიქიკა და ყოფა, ჩვენი საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი.

მის შემოქმედებაში ყოველთვის იგრძნობოდა ის დიდი სიყვარული გმირებისადმი და თემისა ღრმა ცოდნა, რომელიც აკაკი ბელიაშვილია ნაწარმოებებს მკითხველისათვის უაღრესად მიმზიდველსა და პოპულარულს ხდიდა.

განათლებით სამთო ინჟინერი და სპეციალობით მწერალი პარმონიულად ათანხმებდა ჰუმანიზმისა და ტექნიკის ეპოქის მოთხოვნილებებს და ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა, იქნებოდა ეს მშვიდობიანი მშენებლობის დღეები, რომელსაც არაერთი მაღალმხატვრული რომანი, ნოველა და სტატია მიუძღვნა, თუ სამამულო ომის მძიმე ხანა, როცა უანგარო პატრიოტი და მწერალი თავისი გულწრფელი შემოქმედებით, მტრისადმი ზოზლით და გამარჯვების რწმენით ათასობით მკითხველს საბრძოლველად აღაფრთოვანებდა. მისი მოთხრობების კრებული „პატარა ნოყელები“, „ქორწილი სოფელში“ და რომანი „უღელტეხილი“ სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანების გმირობასა და შრომის ასახავდა, როგორც ფრონტზე, ისევე ზურგში. იგი ყოველთვის კეთილი ნებისა და ახლის მშენებელთა მხარდამხარ იბრძოდა და მათი ოცნებებისა და ინტერესების უპირველესი დამცველი იყო; მთელი თავისი პატოსიანი და სამართლიანი ბუნებით სძულდა უსამართლობა და არ ერიდებ-

ოდა მხილებას. მისი მსჯავრი საბჭოთა მწერლის მსჯავრი იყო, რომელსაც ნაკლოვანებანი უნდა აღმოეფხვრა და სიმართლისა და სილამაზისათვის აღეზარდა თაობები.

მისი გმირები ჩვენი თანამედროვეები არიან, მათი სახეები აკაკი ბელიაშვილმა დიდი ფსიქოლოგიური სიმართლითა და დამაჯერებლობით აგვისახა. მისი ნაწარმოებები თემატური და ჟანრული მრავალფეროვნებით ხასიათდება. იგი წერდა რომანებს, მოთხრობებს, ნოველებსა და სცენარებს, სადაც დრამატული სიმძაფრითა და გულთბილი იუმორით დაგვიხატა თავისი გმირების ყოფა და სულიერი სამყარო.

აკაკი ბელიაშვილი კარგად იცნობდა საკოლმეურნეო სოფელს და ინდუსტრიულ ქალაქს, მეტალურგთა ცხოვრებას (რომელსაც მიუძღვნა ვრცელი ეპიური ტილო „ვეფხია ხალიბაური“) და მაღაროელი ახალგაზრდობის ცხოვრებას. (რომელიც ასახულია რომანში „შვიდაცა“). იგი გულდასმით სწავლობდა ტექნიკური ინტელიგენციისა და ფაბრიკა-ქარხნების მუშათა ყოფას. განახლებული ცხოვრება მისთვის დაუშრეტელი შთაგონებისა და შემოქმედებითი აღმაფრენის წყარო იყო. აკაკი ბელიაშვილი ორგანულად აკავშირებდა წარსულს, აწმყოსა და მომავალს ერთმანეთთან და ყოველთვის პერსპექტიული ზრდის, ნათელი ზვალინდელი დღის ასპექტში განიხილავდა. იგი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ცხოვრებას და ყოველი ახალი წამოწყება, ყოველი ახალი გამარჯვება და განხორციელებული ოცნება დაუყოვნებლივ ჰპოვებდა გამომავლის მის შემოქმედებაში. რაც მთავარია, იგი იცნობდა ადამიანს, იცოდა მისი გულისტივილიცა და სიხარულიც. მას უყვარდა ადამიანი და მწერლის უზენაეს დანიშნულებას ადამიანის სამსახურში ხედავდა.

სამამულო ომის წლებში აკაკი ბელიაშვილმა ისტორიულ წარსულს მიმართა და შექმნა მაღალმხატვრული ისტორიული რომანი „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“ და მისი გაგრძელება — „ოქროს ჩარდახი“. მწერლისათვის ჩვენი ერის წარსული მხოლოდ თემა როდი იყო,

იგი მასში გმირობისა და თავდადებისაკენ მოწოდებას ხედავდა და წინაპართა გმირული სახეებით თანამედროვეთა გმირულ სულს ამტკიცებდა.

მწერალმა რომანის თემად საქართველოს წარსულის ერთ-ერთი რთული და დრამატული მონაკვეთი აირჩია, ასახა ის ხანა, როცა ყოველ გადადგმულ ნაბიჯს ერის ყოფნა-არყოფნის მნიშვნელობა ენიჭებოდა; აკაკი ბელიაშვილის რომანის გმირები ამ პასუხისმგებლობის ღრმა შეგნებით ცხოვრობენ. რომანი ქრონიკაა, რომელშიც დიდი მხატვრული დამაჯერებლობითაა მოცემული ერის ისტორიული და კულტურული წარსული, ხალხთა მეგობრობა და რწმენა მომავლისა.

მწერალმა დიდი სიყვარულით დახატა რომანის მთავარი გმირი ბესიკი, მოგვითხრო შემოქმედის ცხოვრების ამბავი, სადაც გაითვალისწინა შემოქმედის ფსიქიკის თავისებურება, აგვიწერა ლექსის დაბადების სირთული და სიღამაზე, ისტორიკოსის დაკვირვებული ხედვა პოეტური აღმადგენის ღირსშეს შეუთანხმდა და ეპოსისათვის დამახასიათებელი სიღინჯე სატრფიალო სიმღერის მელოდიით გაამდიდრა.

მან ასახა ხალხის ძლიერი სული და შემოქმედებითი ძალა, ყოველივე ამის გამო რომანი „ბესიკი“ ქართველი მკითხველის ერთ-ერთ უსაყვარლეს წიგნად იქცა და იგი მოუთმენლად ელოდა „ოქროს ჩარდახის“ გაგრძელებას.

მრავალფეროვანია აკაკი ბელიაშვილის გმირების გალერეა; აქ არიან „უღელტეხილის“ გმირები, რომლებიც არ ემორჩილებიან სტიქიას, მიისწრაფვიან კავასიონის მწვერვალებისაკენ, რათა უფსკრულში გადაჩეხონ მტერი. აქაა ვეფხია ხალიბაური, რომლის ძარღვებშიც იმ დავიწყებული მეფოლადეთა სისხლი ჩქეფს, რომელნიც ჯავარდნებს აწრთობდნენ; ახლა ისინი სამშობლოს რუსთავის ფოლადს აძლევენ. აქაა მეფე ერეკლე, რომლის ცხოვრების არსი მისი ხალხის მომავალია და ბესიკი — თავისი მიწის და სიყვარულის მომღერალი. აქ არიან შეიდაცას გმირები, კომუნისტური შრომის

ბრიგადის წევრები, რომელთაც იციან შრომისა და მიწის მიღწევის მაღალი პოეზია... და კიდევ ბევრი, აღზრდილი კომუნისტური მორალით, ახალი ჩვევებითა და ახალი იდეებით.

აკაკი ბელიაშვილის კალამს ეკუთვნის არაერთი ლიტერატურული და კრიტიკული სტატია, რომლებშიც იგი ქართული ლიტერატურის აქტუალურ საკითხებს აშუქებდა და თავის ლიტერატურულ შეხედულებებს გამოხატავდა. მათში ყოველთვის იგრძნობა ჰუმანისტი მწერლის ოპტიმიზმი და წამოჭრილ პრობლემათა გულწრფელი და მართებული გადაჭრა. იგი ქართული კინემატოგრაფიის მესვეურიც იყო და ემსახურებოდა მას თავისი გემოვნებითა და დიდი გამოცდილებით, როგორც სცენარისტი, ლიტერატურული კოსულტანტი და შემფასებელი.

ჩვენი მკითხველი ახალგაზრდობა აკაკი ბელიაშვილის არაერთ ნაწარმოებს გასცნობია ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე. ჟურნალი უახლრეს ნომერში დაბეჭდავს აკაკი ბელიაშვილის გამოუქვეყნებელ „მოგზაურის დღიურებს“, რომელშიც მწერალი ჩვეული ობიექტურობითა და დაკვირვებით, იუმორითა და სოციალურ ვითარებათა ღრმა გაგებით გადმოგვცემს თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჟურნალ „ცისკრის“ მკითხველებისა და ახალგაზრდა მწერლების სახელით გამოვთქვამთ ღრმა მწუხარებას ჩვენი სასიკაძულო მწერლის ტრაგიკულად დაღუპვის გამო, მწერლისა, რომელიც შემოქმედებითი სიმწიფისა და გამარჯვების მწვერვალზე იდგა და ჯერ კიდევ ბევრს შექმნიდა ისეთს, რაც ჩვენი ახალგაზრდობის მორალური და ესთეტიკური აღზრდის საქმეში ფასდაუდებელ წვლილს შეიტანდა. მისი ცხოვრება ჩვენთვის მწერალ-მოქალაქის დაუცხრომელი და კეთილშობილური ცხოვრების მაგალითია, მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურებოდეს საბჭოთა მწერალი თავის ხალხს. გვწამს, რომ მაღლიერი მკითხველი არასოდეს დაივიწყებს ქართული ლიტერატურის გამოჩენილი ოსტატის ნათელ სახელს.





რევაზ ლომონაძე

დიდი რუსი მეცნიერი და პოეტი

რევალუციამდელი რუსეთის ისტორიაში ძნელად მოიძებნება მეორე ისეთი მოღვაწე, რომელიც თავისი ცხოვრებითა და მრავალმხრივი საქმიანობით გვერდში ამოუდგებოდა მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვს. ალექსანდრე პუშკინის სიტყვებით რომ ვთქვათ „ლომონოსოვმა მოიკცა განათლების ყველა დარგი... მან — ისტორიკოსმა, რიტორმა, ქიმიკოსმა, მინერალოგმა, მხატვარმა, მელექსემ — ყველაფერი სცადა და იგი ყველაფერს ჩასწვდა“.

ხალხის წილიდან გამოსულმა გენიალურმა ადამიანმა საკუთარ მხრებზე გადაიტანა ბრძოლა რუსული მეცნიერებისა და კულტურის პროგრესისათვის. ვ. ი. ლენინის განსაზღვრით მ. ლომონოსოვი საკუთარი ჭკუით მივიდა დიდ ჭეშმარიტებამდე.

ლომონოსოვის მთელი ცხოვრება და შემოქმედება შეუზოვარი სწრაფვის, მეცნიერებისადმი უანგარო სიყვარულისა და ხალხისათვის თავდადებული სამსახურის ნიმუშია.

მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვი დაიბადა 1711 წლის 8 (19) ნოემბერს არხანგელსკის გუბერნიის სოფელ მიშანინსკოში, ჩრდილოეთ დვინის ნაპირებთან, თეთრი ზღვიდან 150-მდე კილომეტრის დაშორებით.

მიხეილის მამა, როგორც ყველა ზღვისპირეთელი, მიწის დამუშავებასთან ერთად, მეთევზეობასაც მისდევდა. რუსი ზღვისპირეთელები, თუმცა განიცდიდნენ ბატონყმობის უღელს, მაგრამ რუსეთის სხვა მხარის გლეხებთან შედარებით უფრო თავისუფალი იყვნენ.

ფეოდალური რუსეთის ჩრდილო განაპირა მხარეში ვითარდებოდა თვითმყოფადი ხალხური კულტურა. იქაური სახალხო მოქმედები თაობიდან თაობას გადასცემდნენ თქმულებებსა და ლეგენდებს, სიმღერებს, რომლებიც ხოტბას ასხამდნენ სამშობლოს მამაც დამცველებს. ჭაბუკი ლომონოსოვი ცნობისმოყვარეობით ეწაფებოდა ყოველივეს, რაც ხალხის გენიას შეექმნა. გარდა ამისა, იგი უშუალო მონაწილე

იყო ზღვისპირეთელთა ყოველდღიური საქმიანობისა, მამასთან ერთად ხშირად მიემგზავრებოდა შორეულ ნაოსნობაში, აკვირდებოდა ბუნებას და ფიზიკურადაც კავდებოდა.

პირველი წიგნები, რომლებსაც ლომონოსოვი გაეცნო, იყო მაგნიტის „არითმეტიკა“ და სმოტრიცის „გრამატიკა“, რომლებსაც ლომონოსოვმა შემდგომში „თავისი განსწავლულობის კარიბჭე“ უწოდა. შემდეგ ლომონოსოვმა სიმეონ პოლცის „გარითმული ფსალმუნები“ იშოვნა.

მაგრამ ყოველივე ეს ცოდნას მოწყურებულ ახალგაზრდას გელარ აკმაყოფილებდა. და აი, ცხრამეტი წლის ლომონოსოვი სტოგებს მამისეულ კერას და სასწავლებლად მოსკოვს მიემგზავრება. იმდენად დიდი იყო ცოდნისაკენ სწრაფვა, რომ ლომონოსოვმა უზარმაზარი მანძილი, ჩრდილოეთ დვინის ნაპირებიდან მოსკოვამდე ფეხით გამოიარა.

მოსკოვში ლომონოსოვმა სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიის მიაშურა. წაგრამ მისთვის ამ სასწავლებელში მოხვედრა არც თუ ისე ადვილი იყო. საქმე ის არის, რომ სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში დაბალი ფენის წრმომადგენლებს არ იღებდნენ და ლომონოსოვიც იძულებული გახდა თავისი წარმომოხმად და თავი აზნაურის შვილად გაესაღებინა.

აკადემიაში სწავლის პერიოდი მძიმე წლები იყო ლომონოსოვისათვის. იგი აუტანელ ხელმოკლეობას განიცდიდა, რადგან მოსწავლეებს მეტად ცუდი საარსებო პირობები ჰქონდათ. ამასთან 19 წლის, ზორბა აღნაგობის ლომონოსოვის გამოჩენა აკადემიაში მისი დაცინვისა და აბუჩად აგდების საბაბი გახდა მცირეწლოვანი მოსწავლეებისათვის. მაგრამ ვერც აუტანელმა გაჭირვებამ და ვერც თანაკლასელთა დამცინავმა დამოკიდებულებამ ვერ შეაჩერეს მიხეილ ლომონოსოვის დაუცხრომელი სწრაფვა ცოდნის მიღებისაკენ.

ლომონოსოვის ბეჯითმა, დაუზარელმა შრომამ სულ მალე სასურველი შედეგიც გამოიღო. იგი ერთ წელიწადში სამი წლის კურსს ითვისებდა. აკადემიაში ზუთი წელი დაჰყო და ამ დროის მანძილზე იგი სრულყოფილად დაეუფლა ლათინურ ენას, შეისწავლა ანტიკური და ძველი რუსული მწერლობა, რიტორიკა და ლექსწყობის საკითხები.

მაგრამ ყველაზე მეტად მას მაინც საბუნებისმეტყველო მეცნიერება იზიდავდა, სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში კი საბუნებისმეტყველო დარგებს საერთოდ არ ასწავლიდნენ. ლომონოსოვი მაინც ახერხებს დამოუკიდებლად გაეცნოს კოპერნიკის, გალილეოს, დეკარტისა

და სხვა გამოჩენილ მსოფლიო მეცნიერთა მოძღვრებას.

1736 წლის 1 იანვარს, როგორც ერთ-ერთი უნიჭიერესი მოსწავლე მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვი პეტერბურგს გაგზავნეს და მეცნიერებათა აკადემიის სტუდენტად ჩაირიცხეს.

რამდენიმე თვის შემდეგ მას კვლავ სწავლის გასაგრძელებლად აგზავნიან, ამჯერად კი უკვე გერმანიაში. თავდაპირველად მ. ლომონოსოვი მარბურგში სწავლობს ცნობილ მეცნიერ ვოლფთან. აქ იგი უპირატესად ფიზიკისა და ქიმიის მიღწევებს ეცნობა. შემდეგ ლომონოსოვი ფრეიბერგში გადადის და სამთო საქმის მრჩეველ გენკელის ხელმძღვანელობით სამთო საქმესა და მეტალურგიას ეუფლება.

დამოუკიდებელი, გაბედული აზრის მქონე ლომონოსოვი ბრძალ როდი მისდევს თავისი მასწავლებლების მოძღვრებას. იგი მტკიცედ უარყოფს ყოველივე სქოლასტიკურსა და მეტაფიზიკურს. მისი მსოფლმხედველობა მატერიალისტური მიმართულებით ვითარდება. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ რუსეთიდან გამოგზავნილ სტუდენტსა და ფრეიბერგელ მასწავლებელს შორის უთანხმოებამ იჩინა თავი და ლომონოსოვიც იძულებული გახდა დაეტოვებინა გერმანიის მიწა-წყალი და გეზი სამშობლოსაკენ აეღო.

საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ლომონოსოვი თავგამოდებით იბრძვის რუსული მეცნიერების აყვავებისათვის.

იმ დროისათვის უკვე სახელმწიფოებრივ მეცნიერს უდიდესი სიძნელეები ედოება. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში მოკალათებული უცხოელი მეცნიერები ქედმაღლურად დაჰყურებდნენ ყოველივე რუსულს, არ სურდათ ელიარებიანთ რუსი მეცნიერის მაღალი ნიჭი და მიღწევები, მით უფრო, როდესაც ეს მეცნიერი „უაზნო“ იყო. უცხოელებს ბანს აძლევდა ბევრი რუსი მეცნიერიც, რომლის სქოლასტიკური აზროვნება ვერ ეთვისებოდა ლომონოსოვის გაბედულსა და პროგრესულ შეხედულებებს. მაგრამ შეუპოვარმა ბრძოლამ და ხალხმა ნიჭმა თავისი გაიტანა: ლომონოსოვს 1796 წელს აკადემიკოსად, ქიმიის პროფესორად ამტკიცებენ. ამ დროიდან იშლება მისი ბრწყინვალე სამეცნიერო და ლიტერატურული მოღვაწეობა.

ლომონოსოვს ეკუთვნის მრავალი ღირსშესანიშნავი აღმოჩენა მეცნიერების სხვადასხვა დარგში, რითაც დიდად წინ უსწრებს დასავლეთ ევროპის მეცნიერებს. ლომონოსოვის მრავალი მოსაზრება შემდგომში ბრწყინვალედ იქნა დადასტურებული მეცნიერების უახლესი მიღწევებით.

ფასდაუდებელია მ. ლომონოსოვის წვლილი ფიზიკისა და ქიმიის განვითარებაში. მან პირველმა მსოფლიო მეცნიერებაში წამოაყენა გაბედული აზრი ფიზიკისა და ქიმიის გაერთიანებისა. და შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ლომონოსოვის მიიჩნევენ მეცნიერების ახალი დარგის — ფიზიკური ქიმიის მამამთავრად.

ლომონოსოვის სახელთან დაკავშირებულია მატერიის შენარჩუნების კანონის აღმოჩენა, მან პირველმა იწინასწარმეტყველა, ვენერაზე ატმოსფერო არსებობსო და სხვ.

მაგრამ ლომონოსოვი მართო დიდი მეცნიერი როდესაც იყო. როგორც თავისი სამშობლოს ჰუმანიტური პატრიოტი, იგი დიდსა და მრავალმხრივ საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდა. მთელი მისი შემოქმედება გამსჭვალულია ახალგაზრდობისადმი მოწოდებით ისწავლონ, დაეუფლონ მეცნიერებას. ლომონოსოვის სჯეროდა თავისი ერის უდიდესი შემოქმედებითი პოტენციალისა, სწამდა რომ „რუსეთის მიწას ძალუძს საკუთარი პლატონები და ნიუტონები წარმოშვას“.

ლომონოსოვის საგანმანათლებლო საქმიანობის მწვერვალი მოსკოვის უნივერსიტეტია, რომელიც მისი ინიციატივით დაარსდა 1755 წ. და რომელიც მისსავე სახელს ატარებს.

„ლომონოსოვი დიდი ადამიანი იყო... — აღნიშნავს ალექსანდრე პუშკინი. — მან შექმნა პირველი უნივერსიტეტი. უკეთ რომ ვთქვათ, იგი თავად იყო ჩვენი პირველი უნივერსიტეტი“.

გენიალური რუსი პოეტის ამ სიტყვებში ჩაქსოვილია თანამემამულეთა მხურვალე მადლობისა და მგზნებარე სიყვარულის გრძნობა იმ უდიდესი დამსახურებისათვის, რაც მიხეილ ლომონოსოვს რუსული მეცნიერებისა და განათლების წინაშე მიუძღვის.

როდესაც ლომონოსოვი მეცნიერებათა აკადემიის პროფესორად დანიშნეს, გამოჩენილმა მათემატიკოსმა ეილერმა ასეთი აღფრთოვანებული სიტყვებით დაახასიათა ლომონოსოვის მეცნიერული შრომები: „ქიმიისა და ფიზიკის დარგში ლომონოსოვის ყველა ჩანაწერი არა თუ კარგია, არამედ შესანიშნავიც არის... კარგი იქნებოდა, რომ ყველა დანარჩენ აკადემიკოსს ჰქონდეს ისეთი აღმოჩენები, რაც ლომონოსოვს აქვს“.

ლომონოსოვს უდიდესი დამსახურება მიუძღვის რუსული ფილოლოგიისა და პოეზიის განვითარებაშიც. თუ მათემატიკოსი ეილერი აღფრთოვანებულ სიტყვებს არ იშურებდა ლომონოსოვის სამეცნიერო მოღვაწეობის დასახასიათებლად, უფრო მეტად აღფრთოვანებული სიტყვებით მიმართავს ლომონოსოვს — ლიტერატორსა და პოეტს — მე-18 საუკუნის რუსუ-

ლი მწერლობის ბრწყინვალე წარმომადგენელი რადიშჩევი, როდესაც წერს:

„სიტყვა შენი, შენს კმნილებებში მარად და უკუნისადმე ცოცხალი, სიტყვა რუსთა ტომისა, ჩვენს ენაში შენს მიერ განახლებული, საუკუნეთა თვალუწყდენელ მანძილს გაივლის თაობიდან თაობამდე“.

ლომონოსოვმა არა მართო რუსული მეცნიერება დააყენა ახალ საფეხურზე, იგი რუსული პოეზიის ნამდვილი რევოლუციონერიც იყო.

როგორც ცნობილია, თანამედროვე რუსული ლექსი სილაბურ-ტონური ლექსწყობის პრინციპზეა აგებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ლექსის ზომა განისაზღვრება არა მართო მარცვალთა რაოდენობით, არამედ მახვილთა რიცხვითა და მათი მდებარეობით. მე-18 საუკუნის რუსულ პოეზიაში ერთხანს გაბატონებული იყო სილაბური ლექსი, ე. ი. ლექსწყობის ისეთი სისტემა, რომელსაც საუფუძვლად უდევს მარცვლების თანაბარი რაოდენობა. ასეთი სისტემის წინააღმდეგ პირველად ხმა აიმაღლა იმდროინდელმა რუსმა პოეტმა-კლასიკისტმა ვასილ ტრეტიაკოვსკიმ, მაგრამ მან ვერ შესძლო ბოლომდე მიეყვანა წამოწყებული საქმე. მხოლოდ ლომონოსოვმა თავისი ფილოლოგიური და პოეტური შემოქმედებით საბოლოოდ განდევნა რუსული პოეზიიდან სილაბური ლექსწყობა და მასში სილაბურ-ტონური პრინციპი დაამკვიდრა.

1739 წელს მიხეილ ლომონოსოვი საზღვარგარეთიდან რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრებს უგზავნის თავის ახალ ოდას „ხოტი-ნის აღებაზე“. ამ ოდას თან ახლდა „წერილი რუსული ლექსწყობის წესების შესახებ“, რომლითაც იგი მტკიცედ იცავს სილაბურ-ტონურ ლექსწყობას. ხოლო თავად ოდა „ხოტი-ნის აღებაზე“, რომელიც სილაბურ-ტონური პრინციპით იყო დაწერილი, ბრწყინვალედ ადასტურებდა ლომონოსოვის მოსაზრებას.

ამასთან, თავის პრინციპებს რომ ასაბუთებდა, ლომონოსოვი ეყრდნობოდა რუსული ენის თავისებურებას, და აცხადებდა, რუსული ლექსწყობა რუსულ ენას უნდა შეესაბამებოდეს. ამიტომ იყო, რომ დიდი რუსი კრიტიკოსი ბე. სარიონ ბელინსკი ამბობდა: „ჩვენი ლიტერატურა 1739 წლიდან დაიწყო“.

რუსული ლექსის გარდაქმნით ლომონოსოვმა დაამკვიდრა რუსული კლასიკური ლექსწყობის ახალი სისტემა.

ლომონოსოვს დიდი დამსახურება მიუძღვის აგრეთვე რუსული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში. მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის სალიტერატურო ენა მეტად მოუწესრიგებელი და ლექსიკურად აჭრელებული იყო. საეკლესიო-სლავურ სიტყვებთან ერთად იგი საქ-

მაოდ დანავიანებული იყო ბარბარიზმებით, ქარგონებით.

ლომონოსოვმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი რუსული ენის მეცნიერულ შესწავლას. იგი სწავლობდა გრამატიკასა და სტილისტიკის საფუძვლებს, აყალიბებდა რუსულ სამეცნიერო ტერმინოლოგიას. მას სწამდა, რომ ხალხის მეტყველებაში ბევრი ისეთი სიტყვაა, რომლითაც ყოველგვარი მეცნიერული ცნების გამოხატვა შეიძლება. ლომონოსოვი, როგორც ქეშმარიტი პატრიოტი თავისი ქვეყნისა, მაღალ შეფასებას აძლევდა რუსული ენის ბუნებას, აგი სიამაყით აღნიშნავდა: „ქარლოს მეხუთე, რომის იმპერატორი ამბობდა, ესპანური ენით ღმერთთან, ფრანგულით მეგობრებთან, გერმანულით მოწინააღმდეგეებთან, იტალიურით ქალთან სქესთან საუბარი შეიძლებაო. მაგრამ მას რომ რუსული ენა სცოდნოდა, მაშინ რა თქმა უნდა, დასძენდა, რომ მით ყოველ მათგანთან საუბარი შეიძლება“.

რუსული სალიტერატურო ენის მოწესრიგების საქმეში მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლომონოსოვის „სამი შტილის“ თეორიას, რომელიც მან ჩამოაყალიბა თავის ნაშრომში „საეკლესიო წიგნების სარგებლობის შესახებ რუსულ ენაში“.

ლომონოსოვი განასხვავებს სიტყვათა სამ სახეობას. პირველს განეკუთვნება ის სიტყვები, რომლებიც იხმარება როგორც საეკლესიო-სლავურ, ისე რუსულ ენაში. მეორე სახეს ის საეკლესიო-სლავური სიტყვები შეადგენს, რომლებიც თუმც ნაკლებად იხმარება მეტყველებაში, მაგრამ ყველა განსწავლულმა ადამიანმა იცის, მესამე სახე მოიცავს სალაპარაკო რუსულ ენიდან ამოკრეფილ სიტყვებს, რომლებიც „არ იხმარება საეკლესიო წიგნებში“.

სწორედ ამ სახეობათა მიხედვით აყალიბებს იგი სამ „შტილს“: მაღალს, საშუალოს და დაბალს. ამასთან ერთად თვითეულს მიუჩენს სათანადო სალიტერატურო ქანრს. მაგალითად, „მაღალი შტილით, — აცხადებს იგი, — შეიძლება დაიწეროსო გმირული პოემები, ოდები და სხვ“.

„სამი შტილის“ თეორიას იმ დროისათვის ქეშმარიტად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა: საესეებით განდევნილ იქნა სალიტერატურო ენიდან არქაიზმები, მეტად შეიზღუდა სლავური სიტყვების ხმარება.

როგორც აღვნიშნეთ, ლომონოსოვს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის რუსული ლიტერატურის განვითარების საქმეში. „რუსული ლიტერატურის პეტრე დიდი“ — ასე უწოდა ლომონოსოვს ბესარიონ ბელინსკიმ.

მე-18 საუკუნის რუსულ ლიტერატურაში ყველაზე გავრცელებულ ქანრს ოდა წარმოად-

გენდა. ლომონოსოვიც, უწინარეს ყოვლისა, თავისი საზოტო პოეზიით არის ცნობილი.

ლომონოსოვის ოდების დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიის ტახტის მპყრობელთ ეძღვნება, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი ადვილად შენიშნავს, რომ ამ ნაწარმოებთა ძირითად თემას სამშობლოს ქებათა-ქება შეადგენს. მოქალაქეობრიობის მაღალი გრძნობა დამახასიათებელია მე-18 საუკუნის თითქმის ყველა რუსი პოეტისათვის, მაგრამ ლომონოსოვის შემოქმედებაში იგი განსაკუთრებულ სიმადლეზე აღის, რადგანაც ლომონოსოვი სამშობლოზე ყველა თავის ნაფიქრსა და ნააზრებს პრატიკულ, კონკრეტულ ამოცანებს უკავშირებს. მაგალითად, 1750 წელს დაწერილ ოდაში ლომონოსოვი ხობტას ასხამს ელისაბედ პეტრეს ასულს იმისათვის, რომ იგი მეცნიერების მიმართ დედობრივ ზრუნვას იჩენსო.

საერთოდ, მეცნიერების თემას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მ. ლომონოსოვის მხატვრულ შემოქმედებაში.

მის ლექსებში იშვიათი როდია ქება ისეთი მეცნიერებისა, როგორიც არის ქიმია, ფიზიკა, ასტრონომია, სამთო საქმე და სხვ. ხშირად ბევრ საინტერესო მეცნიერულ მოსაზრებას იგი ორიგინალური მხატვრული ფორმით გამოხატავს.

მაგალითად, კოპერნიკის პელიოცენტრისტული მოძღვრების დასაცავად იგი შემდეგ ლექსს წერს:

„ერთხელ ლხინში მიწვეული ასტრონომი

იყო ორი.

მაღე ცხარე პაექრობა გაიმართა იმათ შორის,

„მიწა ბრუნავს ირგვლივ მზისა“, —

ამტყიცებდა ერთი მკვეთრად.

მეორემ თქვა: თვითონ მზეო ცთომილებთან

ბრუნავს ერთად.

პტოლომესა და კოპერნიკს შორის იყო ეს

კამათი.

მზარეულმა ჩაცინებით გადაწყვიტა დავა

მათი.

შეეკითხნ მზარეულსა: „როგორია აზრი

შენი?

ვარსკვლავების მოძრაობა შენ თუ იცი,

ავციხსენი“;

მან მიუგო: „კოპერნიკის აზრს დიადაც

ვეთანხმები,

თუმცა მზეზე არ ვყოფილვარ, მაინც

გვადრებთ მორიდებით:

ვის უნახავს მზარეული ყვეყნი და ისე

ბრიყვი, —

ვინაც კერას მუგუზლიანს ატრიალებს

მწვადის ირგვლივ!“

ლომონოსოვის ესთეტიკურ-ლიტერატურული შეხედულებების ქვაკუთხედს მაღალი მოქალა-

ქეობრიობა, რომ შეადგენდა, ეს ლომონოსოვის დამაჯერებლად ცხადყო თავის ცნობილ „ანაკრეონთან გასაუბრებაში“. ეს ნაწარმოები წარმოადგენს ოთხი ანაკრეონისეული ოდის თარგმანს. თვითველ მათგანს რუსი პოეტი საკუთარ პასუხს ურთავს. ეს ერთგვარი პაექრობაა ვიწრო პირადული პოეზიის, ბახუსისა და სიყვარულის მომღერალთა კლასიკურ წარმომადგენელთან. მართალია, ლომონოსოვის მიერ თარგმნილი ოდები თვით ანაკრეონს არ ეკუთვნის, არამედ მხოლოდ მას მიეწერება, მაგრამ მთავარი აქ ანაკრეონი როდია, არამედ ის პრინციპები, რაც ანაკრეონულ პოეზიას უდევს საფუძვლად.

სიყვარულის, უღარდულობისა და ღვინის ანაკრეონისტულ ქებას ლომონოსოვი სამშობლოს გმირ დამცველთა მარადიულ დიდებას უპირისპირებს. ეს აზრი განსაკუთრებით ნათლად გამოსკვეთის მეოთხე ოდაში. ანაკრეონი საუკეთესო მხატვარს ავალებს, ჩემი სატრფოს სურათი შექმენ, მისი სახე სიყვარულის ყველა მშვენიერებით შეამკო. ლომონოსოვი კი მხატვარს მოუწოდებს, სათაყვანებელი დედა-სამშობლოს სურათი დამხატვო.

თუ ანაკრეონისათვის პოეზიის შინაარსი მშვენიერების ასახვაა, ხოლო მისი დანიშნულება სიამოვნების აღძვრა, ლომონოსოვი, პირიქით, პოეზიაში საზოგადოებრივ დანიშნულებასა და მოქალაქეობრივ პათოსს ხედავს.

მართლაც სამშობლოს ინტერესებთან მჭიდრო კავშირი, მისი წარსულისა და აწმყოს ასახვა არსებითია ლომონოსოვის შემოქმედებისათვის. გენიალური რუსი პოეტი აღფრთოვანებული სტრიქონებით ხვდება რუსეთის ყოველ გამარჯვებას, აღიღებს მის გმირებს, ხოტბას ასხამს რუსულ იარაღს, რომელმაც სამარადისო დიდება შესძინა პოეტის დედა-სამშობლოს.

მაგრამ მე-18 საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში, ალბათ, ძნელად მოიძებნება სხვა ისეთი პოეტი, რომელსაც ლომონოსოვზე მეტი დაეწეროს ხალხთა შორის მშვიდობაზე. თითქმის ყოველი მისი ოდა, რომელიც რუსეთის მძლეთა-მძლე ლაშქარს აქებს და რუსულ იარაღს აღიღებს, გამსჭვალულია მშვიდობისადმი, „სიმშვიდისადმი“ დაუცხრომელი ლტოლვით. იგი ოცნებობდა ისეთ დროზე, როდესაც.

მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის შეუწელებელი სწრაფვით ლომონოსოვის შემოქმედება კვლავაც არ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას. დღესაც, როდესაც საბჭოთა ხალხი დაუცხრომლად იბრძვის მშვიდობისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, აქტუალურად გაიხმის რუსი ხალხის გენიალური პოეტისა და მოაზროვნის მიხეილ ლომონოსოვის მგზნებარე სიტყვები:

„შენსა მოწამლულ შუბსა და მახვილს გუთნად და ნამგლად გადავადნობდი“.

ლომონოსოვის აზრით, ხალხთა შორის მშვიდობის დამყარება, დედამიწაზე ომების მოსპობა კაცობრიობის პროგრესის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. აი, რას წერდა იგი:

„წარმოიდგინეთ, მთელი მეცადინეობა, ზრუნვა, სახსრები და ომის საშინელებით განადგურებული და მოსპობილი უთვალავი ადამიანი გამოყენებული რომ ყოფილიყო მშვიდობიანი სამეცნიერო ზღვაოსნობისათვის! ახლა უკვე აღმოჩენილი იქნებოდა არა მარტო დასახლებული მსოფლიოს ჯერაც უცნობი მხარეები... არამედ ადამიანთა დაუცხრომელი გარჯით თვით ზღვის ფსკერის საიდუმლოებაც გამოაშკარავდებოდა“.

მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვი რუსული მეცნიერებისა და კულტურის ბრწყინვალე წარმომადგენელია. მაგრამ მისი შემოქმედება მართო რუსეთით როდი შემოიფარგლა. ლომონოსოვის გენიალურმა მეცნიერულმა აღმოჩენებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს მსოფლიო მეცნიერული აზრის განვითარებაში, მისი პოეტური ქმნილებები შორს გასცდა რუსეთის ფარგლებს.

ლომონოსოვის მემკვიდრეობამ ადრევე მიიპყრო ქართველი ხალხის ყურადღება. მე-18 საუკუნის დამლევსა და მე-19 საუკუნის დამდეგს, როდესაც ქართველმა ხალხმა თავისი ბედი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთს, ლომონოსოვის სამეცნიერო ნაშრომებმა და მხატვრულმა ქმნილებებმა ჯეროვანი ადგილი დაიმკვიდრეს ჩვენში.

ცნობილია, რომ თელავის სემინარიაში ფიზიკას ლომონოსოვის ამავე სახელწოდების სახელმძღვანელოს ქართული თარგმანით ასწავლიდნენ. ეს წიგნი ანტონ პირველმა თარგმნა.

ანტონ კათალიკოსმავე საქართველოში შემოიტანა და განავრცო ლომონოსოვის „სამი შტილის თეორია“.

ერეკლე მეორის მდივანებმა დავით ჩოლო-

„განხეთქილების და ბრძოლის ნაცვლად, მიმოფანტავდა ყვავილებს ფლორა“.

მისი ოცნება იყო ადამიანებს ერთმანეთის წინააღმდეგ არ აღემატათ მახვილი, უფრო მეტიც, საერთოდ ყოველგვარი საბრძოლო იარაღი გამოერიცხათ საზოგადოების ცხოვრებიდან.

ყაშვილმა თარგმნა ლომონოსოვის რამდენიმე სასულიერო პიში. ხოლო გასული საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი ქართველი მოღვაწე სოლომონ დოდაშვილი განსაკუთრებულ შეფასებას აძლევდა მ. ლომონოსოვის მოღვაწეობას. დოდაშვილი ლომონოსოვს მსოფლიოს უდიდეს რიტორად და გრამატიკოსად მიიჩნევდა.

ლომონოსოვის თხზულებები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ შემდეგდროინდელ საქართველოშიც. მაგრამ ინტერესი ლომონოსოვისადმი განსაკუთრებით გაიზარდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, როდესაც სრულად და მრავალმხრივ იქნა შესწავლილი დიდი პოეტისა და მოაზროვნის შემკვიდრეობა, როდესაც ქართველ მკითხველს ხელთა აქვს მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული მრავა-

ლი გამოკვლევა, რომლებიც ლომონოსოვის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავენ.

ლომონოსოვის უდიდესი შემკვიდრეობა მთელი საბჭოთა ხალხის საკუთრებაა. დღეს, როდესაც საბჭოთა მეცნიერება ყველაზე მოწინავეა მსოფლიოში, როდესაც საბჭოთა კულტურა და სიტყვაკაზმული მწრელობა შორს გასცდა საბჭოეთის ქვეყნის ფარგლებს, როდესაც ჩვენი ხელოვნური თანამგზავრები საპლანეტათშორისო სივრცეში დაჰქრიან, ხოლო საბჭოთა კოსმონავთებმა იური გაგარინმა და გერმან ტიტოვმა პირველებმა დაარღვიეს კოსმოსის მარადიული მყუდროება, ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყოველი კუთხის ადამიანები სიყვარულით იგონებენ გენიალურ მეცნიერსა და მოაზროვნეს, რომელმაც ესოდენ დიდი ღვაწლი დასდო სამამულო მეცნიერებისა და კულტურის აყვავებას.



ლომონოსოვი — პოეტი და ღიბერატორი

ლომონოსოვი ერთდროულად მეცნიერების შემოქმედიც იყო და მისი მეზობეც. აქედან გამომდინარეობს ლომონოსოვის პოეზიის ერთი ნიშანდობლივი თვისება: ლიტერატურაში მეცნიერული თემის დაფუძნება და პოეზიის მეცნიერულ დონემდე აყვანა.

პეტრე დიდიდან მოყოლებული რუსეთი ეკონომიური და პოლიტიკური განახლების გზას დაადგა. მაგრამ მეცნიერულ-კულტურული დონე ჯერ კიდევ ძალზე დაბალი იყო. პრაქტიკულ საქიროებასთან დაკავშირებული მეცნიერების მნიშვნელობას, სხვაზე უკეთ, ლომონოსოვი გრძნობდა. ამიტომ ეწეოდა იგი მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას და ამ მიზნისათვის პოეზიაც გამოიყენა. ლომონოსოვის პოეტურ ლექსიკაში მტკიცედ დამკვიდრდა სიტყვა „მეცნიერება“. აქვე გვხვდება ისეთი ტერმინები, როგორც „თერმომეტრი“, „გრადუსი“, „ბარომეტრი“, „ატმოსფერო“ და მრავალი სხვა. ლომონოსოვის პოეტური და პრაქტიკულ-მეცნიერული მოღვაწეობა მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. ამ მხრივ საგულისხმოა „წერილი მინის სარგებლობის შესახებ“ და მისი პრაქტიკული გაგრძელება. წერილი, რომელშიც დაწვრილებით და მეცნიერული სიზუსტით არის განმარტებული მინის მნიშვნელობა, ასეთი სტრიქონებით მთავრდება:

Далече до конца стеклу достойных хвал,
На кои целый год едва бы мне достал.
За тем уже слова похвальные оставляю,
И что об нем писал, то делом начинаю.

და მართლაც, პოეტი დაუყოვნებლივ გადადის პრაქტიკულ საქმიანობაზე. დიდი დრო არ გასულა და ლომონოსოვმა მიიღო პატენტი და სუბსიდიები რუსეთში პირველი ფერადი მინის ფაბრიკის შესაქმნელად.

ლომონოსოვი აღფრთოვანებულ ჰიმნებს

უძღვნიდა მეცნიერებას, მის დიად გარდამქმნელ ძალასა და ყოვლისშემძლებლობას. მისი ლექსები გამსჭვალულია დაუცხრომელი ძიების სულისკვეთებით და ბუნების მოვლენათა შეცნობის პათოსით. ხოლო ლომონოსოვის ცნობილი სიტყვები, წარმოთქმული სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში, დღესაც მგზნებარე მოწოდებად გაისმის:

Пройдите землю и пучину,
И степи и глубокий лес,
И нутр Рифейский, и вершину,
И саму высоту небес.
Везде исследуйте всечасно,
Что есть велико и прекрасно
Чего еще не видел свет.

ლომონოსოვი ცოდნის დიდი თაყვანისმცემელი იყო. ცოდნის შეძენის გზაზე საკუთარი მამის წინააღმდეგ ამხედრებასაც კი დანაშაულად არ ჩაველიო, ამბობდა იგი. ასეც მოხდა და 19 წლის ყმაწვილი, მამისაგან ფარულად, შორეული მოსკოვის გზას დაადგა. შესაძლოა, სწორედ ეს იყო მისი პირველი გმირული ნაბიჯი. მაგრამ ლომონოსოვი განყენებულ, პრაქტიკიდან მოწყვეტილ ცოდნას კი არ აფასებდა, არამედ ისეთ ცოდნას სცემდა პატივს, რომელსაც თავისი მიზნის შესაბამისად გამოიყენებდა, მიზანი კი სამშობლოსა და ხალხის სამსახური იყო.

საოცრად მრავალმხრივია ლომონოსოვის შემოქმედება. მაგრამ ასევე საოცრად მტკიცედ შეკრული და პარმონიულ მთლიანობაში წარმოდგენილი: ლომონოსოვს პოეზიაც მისი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის განუყოფელი ნაწილი იყო.

როდესაც ლომონოსოვის პოეზიაზე ვსაუბრობთ, უპირატესად მისი ოდები გვაქვს წყევლობაში. მიუხედავად ოდების საყოველთაოდ ცნობილი, პირდაპირი დანიშნულებისა, ლომონოსოვმა ისინი პროგრესული იდეების პროპა-

განდისათვის გამოიყენა. ამ იდეების წრეს ეკუთვნის ხალხში განათლებისა და ცოდნის წყურვილის დანერგვა, მეცნიერების მიღწევათა გამოყენება ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის, პოეზიის მნიშვნელობის გარკვევა, ისტორიული და თანამედროვე პოლიტიკური მოვლენების შეფასება და კიდევ ბევრი სხვა.

ლომონოსოვი პოეტი-მოქალაქე იყო. პოეზიის დანიშნულებასაც საზოგადოებისა და სამშობლოს სამსახურში ხედავდა. „რა სასიამოვნოა იშრომო საზოგადოების სასარგებლოდ და მისი კეთილდღეობისათვის“, წერდა იგი გრაფ შუვალოვისადმი მიძღვნილ ერთ ლექსში. აქედანვე გამომდინარეობს ლომონოსოვის დამოკიდებულება ვიწრო პირადული, სატრფიალო თემატიკისადმი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ლომონოსოვის გასაუბრება ანაკრეონთან. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელს სიკვდილამდე შერჩა ახალგაზრდული გული, ღვინისა და განცხრომისადმი მისწრაფება, ტრფობის სიხალისე. ის იყო მაღალი საზოგადოების ქეიფის სულის ჩამდგმელი, სიყვარულისა და ღვინის გატაცებული მეზობლე. მაგრამ ანაკრეონის სიმღერებში ვერ ვიპოვებ ვერც აზრის სიდრემს, ვერც ფაქიზ და ნახვრდობებს. იგი ვიწრო პირადული პოეზიის კლასიკური წარმომადგენელია.

და სწორედ ანაკრეონის პოეზიისთან შეპირებისგან, ლომონოსოვმა ნათელჰყო პოეზიის საზოგადოებრივი დანიშნულება, განსაზღვრა პოეზიის თემა და მოტივები. ლომონოსოვმა თარგმნა ანაკრეონის ოთხი ლექსი და ყოველ მათგანზე საკუთარი „პასუხი“ დაწერა. ამრიგად, გასაუბრება ანაკრეონთან ოთხი წყვილულისაგან შედგება. ჩვენ აქ მხოლოდ უკანასკნელზე შევჩერდებით. ანაკრეონი მოუხმობს სალუკეთოსს მხატვართა შორის და სთხოვს მას შექმნას მისი სატრფოს პორტრეტი. იმავე თხოვნით მიმართავს მხატვარს ლომონოსოვი, მაგრამ სატრფო მისი სულ სხვა ვინმეა:

О мастер в живописстве первой,
Ты первой в нашей стороне
Достоин быть рожден Манервой,
Изобрази Россию мне.

როგორც ყოველთვის, ლომონოსოვი ამ შემთხვევაშიც გასცდა წმინდა ლიტერატურული პაექრობის ფარგლებს. „გასაუბრებას“ უარესად რადი პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონდა. XVIII საუკუნის რუსული საზოგადოების მაღალ წრეებში სახელდობრ სატრფიალო ლირიკას ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი. გავრცელებული იყო ცხოვრებისადმი ანაკრეონისე-

ბური დამოკიდებულება. ლომონოსოვის „გასაუბრება“ კი, ისევე როგორც მთელი მისი შემოქმედება, საზოგადოების ინტერესებისათვის ზრთისაყენ მოწოდება და ნაკლავანი მხარეების დაგმობა იყო. მაგრამ აქედან ალბათ სრულიად არ გამომდინარეობს, რომ ლომონოსოვი პატივს არ სცემდა ფაქიზ ადამიანურ ღრძნობებსა და განცდებს, გაუბრბოდა ამქვეყნიურ სიამოვნებას. ლომონოსოვის პოეზიაში ჩვენ ვხვდებით სატრფიალო თემასაც, მაგრამ ამ უკანასკნელმა არამც თუ წამყვანი, არამედ რამდენადმე მნიშვნელოვანი ადგილიც ვერ დაიკავა პოეტის შემოქმედებაში. ეს ადვილად აიხსნება, თუ გავითვალისწინებთ ლომონოსოვის მიერ პოეზიისათვის დასახულ მიზნებსა და ამოცანებს: მგზნებარე პატრიოტიზმი დაუტყრომელი ბრძოლა სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობისათვის, აი ის ძირითადი მოტივები, რომელთაც წარმოშვეს და დაავაჟიკეს ლომონოსოვის პოეზია.

პირველი მხატვრული ნაწარმოები, რომელმაც სახელი გაუთქვა და შემდეგ თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ლომონოსოვის შემოქმედებაში, იყო „ოდა ზოტინის სიმამრის აღებაზე“. გარკვეული თვალსაზრისით, იგი დღესაც მეცნიერულ-ფილოსოფიური მატერიალისტური ლირიკის ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ ოდაში ლომონოსოვმა პირველად გამოიყენა სახალხო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემა. იგი უმღერის რუსეთის გამარჯვებულ მხედრობას, ზოტბას ასხამს რუს ხალხს. აქვეა მსჯელობა მშვიდობიანი ცხოვრების მნიშვნელობაზე, სამართლიანობასა და ხალხის ბედნიერებაზე, რუსეთის მომავალ სიდიადეზე.

ლომონოსოვის პოეზიაზე როცა ვსაუბრობთ, განსაკუთრებით მისი ჰუმანური ხასიათი უნდა აღვნიშნოთ. ლომონოსოვის ჰუმანიზმი ომისა და მშვიდობის პრობლემაზე მსჯელობის დროსაც გამოვლინდება. პოეტის მთელი შემოქმედება მგზნებარე მოწოდება იყო მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომისაკენ, მეცნიერების დაუფლებისა და მისი საშუალებით ადამიანისათვის ბუნების დამორჩილებისაკენ. ის ილაშქრებდა ურთიერთ გამანადგურებელი ომების წინააღმდეგ, რომელთაც აურაცხელი ზიანი მოჰქონდათ მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის. მაგრამ, ამავე დროს, ომი ლომონოსოვს ყველა ერისათვის ბედით განკუთვნილ აუცილებლობად მიაჩნდა მაგრამ, ყველა ამ შემთხვევაშიც, ლომონოსოვს მხედველობაში ჰქონდა სამართლიანი, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ომები. ამიტომ უძღვნიდა იგი

აღფრთოვანებულ ჰიმნებს რუსეთის ძლიერებასა და რუსი მხედრობის ტრიუმფალურ გამარჯვებებს. ადარებდა ერთიმეორეს ელისაბედსა და ფრიდრიხს, რომელთაგან უკანასკნელი უცხო ტერიტორიების მიტაცების სურვილით იყო შეპყრობილი.

საინტერესოა ლომონოსოვის შეხედულება, რომ ომი ზოგჯერ ომების დათრგუნვისა და მშვიდობის დამყარების საშუალებას წარმოადგენს. „ომი ომიანობის წინაღმდეგ!“ ასეთი ლოზუნგით გამოდის პოეტი 1748 წლის ერთ წარწერაში:

Российска тишина пределы превосходит
И лют избыток свой в окрестные страны:
Войет воинство твоё против войны;
Оружие твоё Европе мир приводит.

თეთრი ზღვის სანაპიროებთან, ხოლომგორის ახლოს სოფელი მიშანსკაია მდებარეობდა. აქ, შეძლებული გლეხის ოჯახში დაიბადა და დავაჟაცდა ლომონოსოვი. ისტორიული მოვლენების წყალობით, რუსეთის ეს მხარე საგმირო თქმულებების დაუმრეტელ წყაროდ გადაიქცა. ალბათ პატარა მიხეილიც ხშირად ისმენდა ხალხური პოეზიის შედევრებს, რომელნიც რუსეთის წარსულის, რუსი გმირების შეუდარებელი ვაჟკაცობისა და მათი კეთილშობილური ბუნების შესახებ მოუთხრობდნენ. შესაძლოა, ნაწილობრივ ამანაც განაპირობა ლომონოსოვის სცყვარული რუსეთის წარსულისა და რუსი გმირებისადმი.

ისტორიულ მოღვაწეთა გმირულმა სახეებმა თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს ლომონოსოვის პოეტურ შემოქმედებაში. რუსეთის ისტორიის შესანიშნავმა მცოდნემ და მკვლევარმა არა ერთი ნაწარმოები ააგო ისტორიულ თემაზე. ამ თემაზეა შექმნილი ლომონოსოვის ცნობილი ტრაგედია „თამირი და სელიმი“. მიუხედავად პირობითი ტრადიციულ-სატრფიალო ფაბულისა, ყურადღება ამ პიესაში ერთ ისტორიულ მოვლენაზეა გამახვილებული. სახელდობრ, კულიკოვის ველის ბრძოლაზე, რამაც უდიდესი როლი შეასრულა რუსი ხალხის ცხოვრებაში.

ისტორიული სახელები და ეპიზოდები ჩვენ არაერთხელ გვხვდება ლომონოსოვის ოდებში, მაგრამ განსაკუთრებული ადგილი მაინც პეტრე დიდსა და მის მოღვაწეობას აქვს დათმობილი. ეს ბუნებრივად არის: ლომონოსოვისათვის პეტრე პირველი იყო ყველაზე გენიალური სახელმწიფო მოღვაწე. ამიტომ მოუწოდებდა იგი შთამომავლებს გაჰყოლოდნენ პეტრე დიდის მიერ გაკეთულ გზას და მიემათ ამ დიდებული მეფისათვის. განათლების გავრცელება და მეცნიერული ცოდნის დანერგვა იყო ის ძირითადი მიზანი, რომელსაც ლომონოსოვმა მოახმარა მთელი თავისი უზარმაზარი ცოდნა და

ენერგია. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ იგი დიდად აფასებდა პეტრე პირველის მოღვაწეობას, რომელიც, ლომონოსოვის სიტყვით, ებრძოდა ძველ რუსულ ჩამორჩენილობას და რუსეთში ყოველსშემძლე განათლებას ნერგავდა, ლომონოსოვის ყოველი ოდა პეტრეს დიდი საქმეებისა და მისი რეჟიმის ხიბობა იყო.

თანამემამულეთა შორის პატრიოტული გრძნობის გაღვივებამ, ხალხის ბედნიერებისათვის დაუცხრომელმა ზრუნვამ, მეცნიერებისა და პოეზიის დანიშნულების მართებულმა განსაზღვრამ და უაღრესად დიდმა ჰუმანიზმმა განაპირობეს ლომონოსოვის პოეზიის იდეური ცხოველყოფილობა და სიძლიერე, მაგრამ მას უმოუოდ ჰქონდა ერთი სუსტი მხარეც; პეტრე პირველის თვითმპყრობელური რეჟიმის პროგრესულობის გადაჭარბებული შეფასება.

თავდაპირველად ლომონოსოვი მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში სწავლობდა. სასწავლებელი სასულიერო იყო და, ცხადია, იქ მწიგნობრულ-საეკლესიო ენა იყო გაბატონებული. მაგრამ ბუნებასა და ხალხთან უშუალო კავშირში გამოწრთობილი ლომონოსოვი, როგორც ჩანს, ხალხურ, სასაუბრო ენას უფრო ეთვისებოდა. ლომონოსოვი მის წინამორბედ და თანამედროვე პოეტთაგან იმითაც განსხვავდებოდა, რომ იგი ბრწყინვალედ ფლობდა მშობლიურ ენას. რუსული ენის ბუნებრივი ცოდნა შემდეგში ლომონოსოვმა მეცნიერული ცოდნითაც განამტკიცა და მისი ერთი მნიშვნელოვანი დამსახურება სწორედ ის არის, რომ რუსული სალიტერატურო ენა ხალხურ, სასაუბრო ენას დაუახლოვა. გარდა ამისა, ლომონოსოვის პოეტური ენა აზრის სიცხადითა და გამოკვეთილობითაც გამოირჩევა. ყოველივე ეს, ერთის შეხედვით, შესაძლოა, უცნაურადაც კი მოგვიჩვენოს პუშკინის ენაზე აღზრდილ მკითხველს, მაგრამ ლომონოსოვის სწორი გაგებისა და შეფასებისათვის აუცილებელია იმ ეპოქის ენობრივ თავისებურებათა გათვალისწინება, რომელშიაც ლომონოსოვს მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის რუსული ენისათვის დამახასიათებელი იყო ცოცხალი მეტყველებისათვის უცხო ძველი სლავური ფორმებისა და ლექსიკის ჭარბი გამოყენება. XVII საუკუნიდან მოყოლებული კი იგი იცვება უცხოური, ევროპული სიტყვებითა და გამოთქმებით. არ არის დადგენილი რუსული ენის ნორმები. ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის წესების უქონლობა, აგრეთვე ნებისმიერი გამოთქმები ზოგჯერ იმდენად აბუნდოვანებენ მას, რომ პეტრე პირველის მართებული შენი-

შენით, ძნელი ხდება სიტყვებში რაიმე აზრის გარკვევა. არა სახარბილო იყო ის გარემოც, რომელშიაც ლომონოსოვს უხდებოდა მოღვაწეობა. რუსეთის აკადემიაში ჰარბოზდნენ გერმანელი ჰინოვნიკ-ადმინისტრატორები, რომლებიც უარყოფითად ექიდებოდნენ ყველაფერს რუსულს.

ლომონოსოვი დაუცხრომლად იბრძოდა რუსული ნაციონალური სალიტერატურო ენის დამოუკიდებლობისა და ხალხურ მეტყველებასზე დაყრდნობით მისი გამდიდრებისათვის. მან საფუძველი ჩაუყარა რუსული ენის მეცნიერულ შესწავლას და ნორმათა დადგენას. და ბოლოს, ლომონოსოვმა შეჰქმნა ახალი სალიტერატურო ენა, რომელიც თითქმის საუკუნის განმავლობაში დაკანონებულად ითვლებოდა, ხოლო შემდეგ საფუძვლად დაედო პუშკინის ენას.

რუსული ლექსის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლექსთწყობის სილაბურ-ტონური პრინციპის შემოღებას და მის დანერგვას. ჯერ კიდევ ტრედიაკოვსკიმ შენიშნა, რომ რუსული ენის ბუნებას ტონური ლექსი შეეფერებოდა. ტრედიაკოვსკიმდე და მის დროსაც რუსულ პოეზიაში სილაბური ლექსი იყო გაბატონებული, რომელიც სტრიქონებში მარცვალთა თანაბარ რაოდენობას ემყარება. ლომონოსოვმა გაიზიარა ეს შეხედულება და ტრედიაკოვსკის მიერ დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა. ლექსთწყობის საკითხებზე ლომონოსოვის შეხედულებებს რომ განვიხილავთ, მხედველობაში გვაქვს მისი „წერილი როსიული ლექსის კანონებზე“. ეს წერილი ლომონოსოვმა საზღვარგარეთ ყოფნის დროს 1739 წელს, დაწერა. ამჟვე პერიოდში დაიწერა „ოდა ხრტიანის სიმღერის აღებაზეც“, რომელიც რუსულ პოეზიაში სილაბურ-ტონური პრინციპით შექმნილი ლექსის პირველი ბრწყინვალე ნიმუშია. და თუ ტრედიაკოვსკის სახელთან არის დაკავშირებული რუსულ პოეზიაში ლექსთწყობის ტონური პრინციპის შემოღება, ლომონოსოვს მისი პრაქტიკული დანერგვა და რუსულ პოეზიაში სილაბურ-ტონური ლექსის უეჭველი უპირატესობის მეცნიერული დასაბუთება მიეწერება.

მიუხედავად იმისა, რომ ტრედიაკოვსკიც და ლომონოსოვიც სილაბურ-ტონური პრინციპის შემოღებასა და დამკვიდრებას მოითხოვდნენ, მათ შორის მაინც დაუცხრომელი პაექრობა მიმდინარეობდა. ეს გამოწვეული იყო ლექსთწყობის ზოგიერთ საკითხზე მათი შეხედულებების მკვეთრი განსხვავებით. ასე, მაგალითად, ტრედიაკოვსკი რუსულ პოეზიაში მხოლოდ ქალური რითმების გამოყენებისაკენ მოუწოდებდა. ლომონოსოვის დამსახურება ისიც არის, რომ რუსულ პოეზიაში მან დამკვიდრა ვაჟური რითმიც და, ამასთან, გამოიყენა ვაჟური და ქალური რითმების შეერთება.

შემდეგ, ტრედიაკოვსკის აზრით ტერფებით შეიძლებოდა შექმნილიყო მხოლოდ გრძელი, თერთმეტ ან ცამეტმარცვლიანი ლექსები. ლომონოსოვი არ ეთანხმებოდა ტრედიაკოვსკის ამ შეხედულებას და სრულიად სამართლიანად თვლიდა, რომ რუსული ლექსი შეიძლებოდა შექმნილიყო როგორც ორმარცვლიანი, ისე სამმარცვლიანი ტერფებით და აგრეთვე მათი შეერთების კომბინაციებით.

ლომონოსოვს, რუსული ენის შესანიშნავ მცოდნეს და მკვლევარს, ღრმად სწამდა ამ ენის ფართო შესაძლებლობანი.

„წერილის“ მიზანი სწორედ ის იყო, რომ მას ხელი შეეწყო რუსული ლექსის ბუნებრივი განვითარებისათვის რუსული, ნაციონალური ენის შესატყვისად და მის ნიადაგზე. დიდი ლომონოსოვის დამსახურება რუსული პოეზიის განვითარების საქმეში. ბელისკის მართებული შენიშვნით, მას წილად ხვდა ბედნიერება, რუსული პოეზიის ნიმუში და კანონმდებელი გამხდარიყო.

ლომონოსოვის თეორიული და პოეტური მოღვაწეობა პოეზიის დარგში შემდეგდროინდელი რუსული ლიტერატურის განვითარების მტკიცე საფუძველი იყო. და იქნებ სწორედ ამიტომაც ლომონოსოვი-ლიტერატორი თამამად უსწორებს თვალს ბუნებისმეტყველ ლომონოსოვს.



მისი ოჯახის გედი

რომანში „ჯარისკაცის ქვრივი“ საბოლოოდ ჩამოყალიბდა რევაზ ჯაფარიძის ორიგინალური სამწერლო სტილი, იგი შეიძლება მომავალშიც დაიხვეწოს, მაგრამ მისი არსი ამ ნაწარმოებში უკვე გამოვლინდა. „ჯარისკაცის ქვრივიში“ ნათლად ჩანს მწერლის თავისებური დამოკიდებულება სინამდვილისადმი. იგი ყოველთვის ბუნებრივია, სადა და მართალი. ყოველთვის ღრმადაა დარწმუნებული იმაში, რასაც წერს და მკითხველს იმასვე ეუბნება, რასაც თავისთვის იტყვოდა. იგი შეგნებულად გაურბის პათეტიურობას და მოგვითხრობს ჩვეულებრივი, სასაუბრო ენით.

მისი გმირებიც ჩვეულებრივი ადამიანებია, არავითარი განსაკუთრებული თვისებებით არ გამოირჩევიან და არაფერს განსაკუთრებულს არ აკეთებენ. მათი ცხოვრებით დაინტერესებას მწერალი აღწევს დიდი უშუალობით და პერსონაჟთა ხასიათის ღრმა წვდომით, მათი მოქმედების შინაგანი მოტივის დამაჯერებელი ანალიზით.

ხათუნა მინდელმა სამამულო ომის ფრონტზე დაღუპული ქმრის კერა არ გააცივა, მიატოვა მამის ოჯახი და სამი მცირეწლოვანი შვილით შალიკო მინდელის კარმიდამოს დაუბრუნდა. ეს უბრალო და ჩვეულებრივი ამბავი მხატვრული ღირებულების ლიტერატურულ ფაქტად შეიძლება გადაქცეულიყო მისი სიღრმეში ჩაწვდომით, ყველა იმ წინააღმდეგობათა გამოაშკარავებით, რაც ქალს გზაზე ელოებოდა.

ხათუნა მინდელს პირველ რიგში მამის, სპირიდონ ყანჩაველის წინააღმდეგობა უნდა დაეძლია. მოსიყვარულე შვილს უნდა დაეთმო მოსიყვარულე მამა, რომელიც თავისას მოითხოვდა და თავისებურად მართალი იყო. მას სავსე სახლკარი ჰქონდა და მეგობიდრე კი არ ჰყავდა, ვისაც უნდა განეგრძო სიცოცხლე სპირიდონ ყანჩაველის კერაზე, გაემართლებინა მისი არსებობა. სპირიდონს სურდა თავისი გვარი მიეცა ზურაბისთვის, მინდელის უფროსი ვაჟისთვის და ის ეხლა თავისი ავლადიდების მემკვიდრედ.

ცხადია, ეს სიმდიდრის სიყვარულის გამო როდი ხდება, — განა რა ასეთი მდიდარი იყო მოხუცი ყანჩაველი. აქ ჩანს გლეხკაცის მიერ საუკუნეებით შეთვისებული სიყვარული თავისი ეზო-კარისა, თავისი ხელით დარგული და გახარებული ხეხილისა, თავისი შრომით შეძენილი ყოველი წვრილმანი ნივთისა. მაგრამ მართლდენ ეს როდი იყო სპირიდონ ყანჩაველის წინააღმდეგობის მიზეზი. იგი ხედავდა, გაუძნელებოდა ხათუნას ოჯახის მეთაურობა, სახლკარის სათანადოდ მოწყობა და ყოველივე ოჯახური დავიდარაბის ტვირთვა. ამასთან სპირიდონი ფიქრობდა — ხათუნა ხელმეორედ გაეთხოვებინა. ხათუნა მინდელს არ სურდა შალიკოს სახელი წაეშალა და შვილები მამის კერას მოეცილებინა.

ცივ ზამთარში, თავისი პატარა ბიჭების თანხლებით, ხათუნა საკაჟრაში ჩავიდა და მინდელის გაპარტახებულ ეზოსა და სანახევროდ დანგრეულ სახლში დაბინავდა.

მწერალი დიდი სიყვარულითა და სითბოთი აგვიწერს პატარა შალვას, პალიკოსა და ზურაბის ცხოვრებას, მათს ბალღურ ცელქობას და სიკისკასეს, მათს სიხარულსა და წყენას, გასაჭირსა და დაღწინებას.

ბევრი უსიამოვნება სდევს უკაცო ოჯახს. ჯერ იყო და უსინდისო ხელს შალვა მინდელის სახლის მასალად მოგროვებული ხე-ტყე გაეზიდა, აფური მოეკლო. ამას ისიც დაერთო, რომ ბოროტმა ენებმა ხათუნაზე ცუდი ხმები დაარხიეს. ამ ხმების პირველი ავტორი პეპიჩად წოდებული პეტრე მირიტიძე იყო.

ყველაზე ძნელი მაინც ამ ხმებთან შებრძოლება აღმოჩნდა. კაცი და ქალი თითქო უხმო შეთქმულებას უწყობდა ხათუნას და არც კი მოაკითხეს კომლის აღსადგენად დაბრუნებულ ქალს. „მე აზრადაც არ მომსვლია ვისმესთვის შემევერებინა ჩემი ცხოვრება შალიკოს შემდეგ, — ეუბნებოდა თავისთავს ხათუნა, — შალიკო ყველაფერი იყო ჩემთვის და ახლაც,

ამდენი წლის გასვლის შემდეგ, მე ისევ იმას ვეკუთვნის სულით და ხორციით. არავინ არ იცის როგორ ხდება ეს, მაგრამ მე ვიცი... თუ ეს ხალხი მე მემღურის, მეტადრე ქალები, დავიჯერო თვალში იმიტომ ამომიღეს, რომ მე ჩირქი მოვცხე იმ ადამიანის სახელს, რომელიც ჩემი ქმარი იყო, ჩემი სული და გული იყო, ჩემი სიკვდილ-სიცოცხლე იყო...

მეზობლის ქალების ღუშის ხათუნა შეეჩვია, მაგრამ მაინც იმდენად მძიმედ მოქმედებდა ეს ამბავი მასზე, რომ თვითონაც ცდილობდა აღარ მიემართა რაიმე თხოვნით მათთვის, ქალი იმედოვნებდა, რომ მისი სიმართლე ოდესმე მაინც დამტკიცდებოდა. თუმცა ამ პერიოდისათვის ხათუნას არ მიაჩნდა მინცდამინც საქიროდ ასეთი მტკიცება და ცდილობდა არც კი ეფიქრა ამას, რადგან „ის სუფთა და უმწიკლო იყო საკუთარი სინდისის წინაშე“.

მაგრამ ხათუნა ჩვეულებრივი წვერია ადამიანთა კოლექტივისა, განსაკუთრებული შინაგანი, ან გარეგანი ძალა მას არ გააჩნია. ის არ ჰგავს ტიტანებს ან გამორჩეულ გმირებს, რომლებიც არღვევენ საზოგადოების მორალურ ნორმებს და აღწევენ, ხათუნა მალე დარწმუნდება, რომ მისთვის საქმარისი არ არის პიროვნული სიმართლე, შინაგან სიმართლესთან ერთად აუცილებელია სალი და მართებული საზოგადოებრივი აზრის მოპოვება, გამართლება საზოგადოების თვალში. „განა საქმარისია ადამიანი მარტო შენი თავის წინაშე იყო მართალი, როცა შენს გარშემო სხვებიც ცხოვრობენ? შენ მათ თვალშიაც უნდა იყო მართალი, უამისოდ არ გიგუებენ თავის წრეში, არ გიგუებენ, რადგან მათ აზრს არაფრად აგდებ, თვითონ კი ერთი იმათგანი ხარ...“

ეს არის ახალი ადამიანის თვისება — შეგრძნობა კოლექტივისა, საზოგადოებისა, რომელიც მისგან მოითხოვს — დადგეს კოლექტივის წინაშე გულმართალი და პირსწორი, თავისი აზრები და გრძნობები შეუწონოს საზოგადოების მორალურ კანონებს, და არა მარტო შინაგანი სიმართლე იქონიოს, არამედ იგრძნოს პასუხისმგებლობაც კოლექტივის წინაშე, ბედნიერება წარმოუდგენელია ხალხის გარეშე, რადგან ამ ხალხის ერთ-ერთი წევრი ხარ, „ხათუნა არავისგან არ მოითხოვდა განსაკუთრებულ პატივისცემას, მხოლოდ განუზომლად სურდა ყველას ადამიანურად შეეხედა მისთვის, მაგრამ სად იყო ეს ადამიანობა? ნუთუ ყველაფერი მართლა იმაზე იყო დამოკიდებული, აიტანდა თუ ვერ აიტანდა ქვრივი ქალი უმამაკოდ ცხოვრებას?“.

მიუხედავად ამ გულისტკენისა, პასუხისმგებლობის გრძნობა კოლექტივის მიმართ იყო საწინდარი ამ ადრე გამოუსვლელი და ოჯახურ

საქმეზე გადაგებული ქალის საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმისა, ხათუნა თანდათანობით უახლოვდება თითქოსდა დაშორებულ მეზობლებს. ისინი მისი ახლობლები ხდებიან და თანდათან მელაგნდება მათი უაღრესად ადამიანური ბუნება. კალისტრატე, ზაქარა მჭედელი, სერგო, რომელიც ახლახან ექიმი გამხდარა, და სხვები უშუალოდ ინტერესდებიან ხათუნას ოჯახის ბედით. ზურია შეგიძლია იწყებს მუშაობას სამჭედლოში, ხათუნა თანდათან ებმება საზოგადოებრივ შრომაში და საკუთრის საბავშვო სახლის აგება მის ღვიძლ საქმედ გადაიქცევა.

მაგრამ საზოგადოებრივ შრომაში ხათუნას ჩაბმა ერთგვარად გაძნელებულია და ნელა მიმდინარეობს. ამ შთაბეჭდილებას ისიც ქნის, რომ რომანში ხათუნას ცხოვრების ინტიმური მხარე წინაა წამოწყებული, რაც თვითნაღიზით იწყება. ხათუნა დიდ ადგილს უთმობს საკუთარ თავს. ქალს, რომელსაც სამი წვრილშვილი ღარჩა, სახლი ეს-ესა თავზე ენგრევა და ღღენილად ლუქმა-პურზე უნდა იფიქროს ობლების გამოსაყვებად, ძალიან მცირე დრო რჩება საკუთარ თავზე ფიქრისათვის, თავისი ინტიმური გრძნობების გამოსაღწევად. აკო მოხდენილად ეუბნება ხათუნა პორფილე ჩინჩალაძეს — „მე არც სასაცილოდ მცალია და არც სატირლად“. ეს სრული სიმართლეა.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ხათუნას ინსტიქტების და თვითნაღიზის, თავისთავზე დაკვირვებების, სენტიმენტალური გამუდმებული ცრემლოფარქვევის დაწვრილებითმა აღწერამ თანდათანობით დაჩრდილა ჯარისკაცის ქვრივი, შვილების დედა და აღმზრდელი, მათი მომავლისათვის მოჭირახულე ქალი, ჩამოგავშორა რომანის მთავარ მხატვრულ პრობლემას — ჯარისკაცის შვილებისა და ოჯახის ბედის პრობლემას — და ნაწარმოების ცენტრში მოაქცია ხათუნას, როგორც ქვრივი ქალის ცხოვრების პრობლემა. რომანის დასაწყისში თვით ხათუნა იყო საკითხის ამგვარი დაყენების სასტიკი წინააღმდეგი. „ნუთუ ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, აიტანდა თუ ვერ აიტანდა ქვრივი ქალი უმამაკოდ ცხოვრებას?“ — სამწუხაროდ რომანის მეორე წიგნის მეტი ნაწილი სწორედ ამ საკითხის გარკვევას შეეწირა.

ხათუნას გრძნობებში პორფილე ჩინჩალაძის მიმართ, რომანის მიხედვით, სიყვარულის ჭეშმარიტი გრძნობა არ არის. ხათუნა თვითონაც კარგად ერკვევა ამას. მას არ უყვარდა, კიდევაც სძულდა ეს კაცი და ახლა თუ სიხარულს იწვევს მისი ყოველი დანახვა და ყოველი გახსენება, აქ სულ სხვა ამბავია, — „რადაც იღუმალი ძალა... მიერეკებოდა პორფილესაკენ“.

ეს იდუმალი ხმა და იდუმალი ძალა სხვა არაფერია, თუ არა განსხვავებული სქესის ურთიერთმიწრაფება. ხათუნა პირდაპირ აყენებს საკითხს: „განა ეს ლტოლვა სიყვარულია? მხოლოდ ერთმანეთს ატყუებენ და თავსაც იტყუებენ, რაღა დროს სიყვარულია, სიყვარულის დრო რახანია წავიდა. ეს სხვა რამ არის. ხათუნამ იცოდა რა იყო ეს სხვა რამ, მაგრამ გონებას იჩლუნგებდა, თავს უძალიანდებოდა, არ უნდოდა გულის ფსკერი მოეჩხრიკა და იმ „სხვა რამეს“ წასდგომოდა.“

შალვა მინდელი მის წარმოდგენაში ნათესავად ვადაიქცა, რომელსაც არაფერი ესაქმებოდა ხათუნას გრძნობებთან და ქალი ახლა ნატრობდა უკან დაბრუნებოდა იმ დროს, როცა ვაშლის გასაყიდად წაჰყვა მამას რაიონულ ცენტრში, სადაც პორფილე ჩინჩალაძე შეხვდა. შალიკო მინდელი მაშინ მისი ქმარი არ იყო.

ხათუნას უნდა დაეთანხმოთ, როცა ის ამბობს: „ყველაფერი ჩემი ბრალია, ჩემი! დასაკლავ ციკანავით ვარ ატროვებული!“. და თუ ამის შემდეგ კალუბნისაკენ მიმავალ გზაზე იგი საბოლოო ცდუნებას გადაურჩა, ამას როდი აქვს დიდი მნიშვნელობა.

ყველაზე ცუდი ამაში ის არის, რომ თავის მოქმედებას ხათუნა დასაბუთებას უძებნის, ცდილობს განაზოგადოს ყოველივე ეს და საერთო დასკვნები გააკეთოს. „ხათუნას შიში იპყრობდა. სირცხვილის ნაცვლად სრულიად სხვა გრძნობა უძვრებოდა სულში. თვალების დახუჭვა უკვე აღარ შეეძლო, თავს ვეღარ მოიტყუებდა — ცხოვრებაში ასე მარტოდმარტო ყოფნა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენსო. რაღაც გაურკვეველი, ბუნდოვანი შიში აკვიბებული სირცხვილის ადგილს იკავებდა და ქალს ძვალ-რბილში უჯდებოდა.“

„ჩემი თავი ჩემს ხელთ არ არის?“ — გულს იმაგრებდა ხათუნა.

ეს სიჯიუტე იყო, რომელსაც სახელად შეუბღალავი ნამუსი ერქვა, თვალთმაქცობა იყო, რომელსაც პატიოსნებად ნათლავდნენ, მაგრამ ხათუნა აქ მაინც ვერ ხედავდა რაიმე უკადრისს, რადგან მთელი ქვეყანა, ყველა ქალი, ვისაც კი იცნობდა, ამ თვალთმაქცობით ცხოვრობდა.

„ჩვენი ცხოვრება ბაღების თამაშსა ჰგავს.— ფიქრობდა დროადირო, — საკვირველია გულუბრყვილო ტყუილს როგორ ვიჯერებთ და ვემონებოთ!“.

ამნაირი ფიქრი მტანჯველიც იყო და შეებასაც ჰკვირდა. ქალი ბუნდოვნად გრძნობდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, რათა თავის თავი „ცუდ ფიქრებში“ აღარ დაეჭირა და ძველებურადვე ჰყვარებოდა მორცხვი, მორიდებული ხათუნა, რომელსაც შვილები სანთლად ენთო,

ქმრის მოგონება კი უზენაეს სალოცველად გადაქცეოდა.

ერთადერთი ხსნა ხალხში გარევა იყო და ისიც ჩაეჭიდა „ცუდი ფიქრებისგან“ განკურნების ამ ერთადერთ წამალს.

მაგრამ ხათუნას „ხალხში გარევა“, მის შრომითს საქმიანობას ძალიან მცირე ადგილი უკავია რომანში. ისე კი, ვფიქრობთ, რომ ისეთი განწყობილებები, როგორიც ხათუნას ჰქონდა, ძნელად თუ შეეთვისებოდა ხალხის აზრსა და მორალს, საუკუნეებში გამოვლილ ტრადიციებს, რომლის მიხედვით შეუბღალავი ნამუსი სიჯიუტე რადიკალი, ხოლო პატიოსნება თვალთმაქცობაა. არც ის შეიძლება სარწმუნოდ ჩაითვალოს, თითქმის ყველა ქალი ამ საკითხში თვალთმაქცობით ცხოვრობდეს. ხათუნა ჩვეულებრივი მოყვადვია და მას არ ძალუძს საზოგადოების მორალური ნორმების დარღვევა. აქ მწერალი და მისი გმირი ჯერჯერობით სუსტად გამოიყურებიან.

ხათუნას თავგადასავალი შეიძლება ყველა ქვრივს გადახდომოდა. ხათუნა ჯარისკაცის ქვრივი იყო. ამა სცადეთ და სიტყვა „ჯარისკაცი“ მოაკლეთ რომანის სათაურს. მაშინვე შეიცვლება ნაწარმოების თემა და იდეურ-მხატვრული ფაქტურა, აღარ იქნება ისეთი დიდი ინტერესი ნაწარმოებისადმი, როგორსაც იწვევს სამშობლოს დამცველი ჯარისკაცის ოჯახის ბედი.

ხათუნას სახე რომანის კონკრეტული მხატვრული კონცეფციის მიხედვით განუშორებლად და დაკავშირებული სამშობლოს დამცველ ჯარისკაცთან შალიკო მინდელთან. ეს განაპირობებს მოთხოვნას ხათუნას ამოღებული ზნეობისადმი, ესაა მისი ხასიათის მთლიანობისა და ნაწარმოების დიდი აზრის საწინდარი.

ეს რომ სათანადოდ გაეთვალისწინებინა მწერალს და ბოლომდე გაეაზრებინა, მაშინ ხათუნას ინტიმურ გრძნობებს უფრო მოკრძალებითა და მორიდებით მოეკიდებოდა. როგორც ჩანს მწერალი ისე გაიტაცა გმირის „გადაღმიაურების“ სურვილმა, რომ ნაწარმოების მხატვრული კონცეფციისა და ხასიათის ლოგიკის შეთანხმებაზე ნაკლებად იფიქრა. მიუხედავად ამისა, რ. ჯაფარიძე მაინც ახერხებს რომანსა და მის მთავარ გმირს შეუწარმუნოს ის მაღალი იდეალი და ჟღერა, რაც მას სინამდვილემ უკარნახა და მის ჩანაფიქრში ჩაისახა.

ხათუნას წინააღმდეგობრივ ხასიათში უძლიერესი ნაჟიდა შვილების სიყვარული და დაღუპული ქმრის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა. ის უღიღესი დამაბეით ძლებს პირად მოთხოვნილებებს და სამუდამოდ ცოდვება პორფილე ჩინჩალაძეს. შვილები მას ნებას არ აძლევენ მიატოვოს ქმრის კერა. ზურია დაჯე-

რებული ვაჟკაცის გამბედაობით იღებს გადაწყვეტილებას და კალსტუნიდან საკუთარში დაბრუნებულ ხათუნას კოლმეურნეობის კანტორიდან მამის ფუძემზე გადაბარებული ხედე-ბა. აქ ხათუნა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისი პირადი ოცნებები დასრულებული იყო. მისი სიცოცხლე შვილებს ეკუთვნოდა და უდიდესი სიხარულით და თავდადების გრძნობით შევიდა სახლში, სადაც „მის ბოვერებს ეძინათ“. ამ გრძნობამ საბოლოოდ გაიმარჯვა მასში და გაამართლა ხათუნას ადრევე წარმო-თქმული სიტყვები:

„ენაცვალოთ დედა... დამეგრდებიან, ადამიანები გამოვლენ, მტერსაც გასცემენ პასუხს და მოყვარესაც! მანამ ტყვია ჩამესხას გულში, სანამ ამათ ვუღალბებდე! რა ვუყოთ, მარტო ჩემს თავსაა ეს ამბავი? ვინ იცის, რამდენია ქვეყანაზე ჩემისთანა. ოღონდ მშვიდობა იყოს, ოღონდ კიდევ ნურაფერი ატყდება და რაც არის არის!“.

როგორც დედა, ხათუნა დიდ შეუბოვრობას იჩენს და ამ მხრივ ქართული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციების გამოძახილსაც ეხმარება: „არავისი არ მეშინია... თუ ჩემს შვილებს დასჭირდა, მშიერ მგელს შევეყვები ტყეში“.

მაგრამ ხათუნა, ცხადია, აქამდე ვერ მივიღოდა, იგი ახალი საზოგადოების წევრი იყო და მისი მეზობლები და კოლმეურნეობა მონაწილეობას იღებენ მის ბედში. რევაზ ჯაფარიძე ხათუნას ცხოვრებას სოფლის გაშლილი სურათების ფონზე ხატავს. ხათუნას ოჯახის ისტორიასთან ერთად გვიხატავს ომის შემდგომი სოფლის ცხოვრებას. მწერალმა მონახა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში, რომელთა ირგვლივ ცხადდება ადამიანთა მისწრაფებები და იხსენება მათი ხასიათები. ასეთი პრობლემებია რომანში მეცხოველეობის ფერმის შენახვა კოლმეურნეობაში და ვაზის პლანტაციის გაშენება.

ამ საკითხებით ხათუნა, გასაგები მიზეზების გამო, არ დაინტერესებულა. მას თავისი დარდი ჰქონდა და სოფლის თავკაცების დავაში არ ეტყოდა. მწერალი აქ უთუოდ ზომიერებას იცავს და ყალბ რომანტიკას არ მიმართავს. ხათუნა არ გამოყავს დიდ საზოგადოებრივ მებრძოლად. ოღონდ ამავე სიმაართლემ წარმოშვა მეორე უკიდურესობა, სწორედ ამიტომ ყველა ეს ამბავი, რომელიც სოფლის ცხოვრების სულს შეადგენდა იმხანად იდეურ-მხატვრულად ნაკლებად უკავშირდება ხათუნას ხაზს, მათს ერთ გარემოსა და ერთ დროში განვითარებას, ფიზიკურ შეხვედრას აკლია ლოგიკური კავშირი, რომელიც მათ ერთ კონკრეტულ მხატვრულ კონფლიქტში გააერთიანებდა.

ამან გამოიწვია კომპოზიციური და სიუჟეტური ნაკლოვანებები რომანში, ერთგვარი ფრაგმენტულობა და თხრობის მკაცრი საზღვრების დაუდგენლობა — დეტალისა და ზოგერთი პასუხის ზედმეტობა. ბევრი ამბავი ვერ გადაენასკვა ერთმანეთის და პარალელურად ვითარდება ერთმანეთთან დაუკავშირებლად. თვით ეს საკითხები სათანადო სიცხადით ვერ არის დაყენებული რომანში. ფერმის შენახვა რომ ძვირად უჯდება კოლმეურნეობას და წაგებას აძლევს მას, ამას კარგად ასაბუთებს ეგნატე სივსივაძე. მაგრამ ასევე ნათელი არ არის, რატომ არიან კალისტრატე მასწავლებელი, ისაია და სხვანი ვაზის გაშენების წინააღმდეგი. მიუხედავად ამისა, ეს სამეურნეო საკითხები საფუძველს იძლევიან რთული საზოგადოებრივი პრობლემების დასაყენებლად და ცოცხალი მხატვრული ხასიათების გამოსავლენად.

ბორის ლოლაძე ის ხელმძღვანელია, რომელიც მასების ხმას ყურს არ უგდებს და ყველა საკითხს თვითონ წყვეტს. მაგრამ წინააღმდეგობა კოლმეურნეობასა და ბორის შორის ადვილად გადაიჭრება რაიკომის მდივნის უჩა მესხის ყოვლისშემძლე ჩარევით. ჩვენის აზრით, მწერალი აქ აიოლებს საქმეს. არც უჩა მესხის მსჯელობა მიგვაჩინა მთლად გამართულად. საკოლმეურნეო არტელი კოოპერაციულ საკუთრებას რომ ეკუთვნის, ამიტომ მას ადვილად როდი შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, უარი თქვას სახელმწიფო გეგმის გათვალისწინებაზე. თუმცა ბორისის ხასიათის სუსტი მხარე აქ როდი იმალება. საქმე იმაშია, რომ მას ვაზის გაშენების საკითხი სამსჯელოდაც კი არ უნდა გამოიტანოს კოლმეურნეების წინაშე. ამიტომ იძაბება ატმოსფერო რომანში და საკმაოდ რთული კონფლიქტი ინსცენება. მაგრამ რაკი მას განვითარება არ ეძლევა და ერთი სულის შებერვით ქრება ალი, მის ორბიტში მოქცეული ხასიათებიც უდიდამოდ გადიან სცენიდან.

კალისტრატე მასწავლებლის სახე უფრო ჩამოყალიბებული და დასრულებულია. ომმა მეტნაკლებად ყველას აგება სიმწარე. ბორის-მაც ოჯახი ვერ შექმნა და პირადი ცხოვრება მოუწყვრიგებელი დარჩა. მაგრამ ყველაზე მძიმე მაინც კალისტრატეს ხვედრი იყო. მას ერთადერთი შვილი ფრონტზე დაეღუპა და მარტოლმარტო დარჩა ოჯახში ბერეკაცია. მაგრამ როგორადაც მძიმე არ იყო მისი ბედი, მოხუცი მასწავლებელი, როგორც ნათელი იდე-ლებით აღჭურვილი მტკიცე ხასიათის ადამიანი, არ წყდება თავის დასაყრდენს ცხოვრებაში, ძლევს შვილის დაკარგვით მიყენებულ უდიდეს სულიერ ტკივილებს და პოულობს ძალას

სხვები დააყენოს ცხოვრების ჭეშმარიტ გზაზე, ასწავლის სოფლის ახალგაზრდობასა და უფროსებსაც, ხოლო როცა მართოდენ რჩევა-დარიგებას სასურველი შედეგი არ მოაქვს, ნამდვილ ბრძოლას მართავს. ეს სახე თავისი ბედით და ცხოვრების ფილოსოფიით, აგრეთვე მხატვრულადაც, ყველაზე მეტადაა დაკავშირებული რომანის ძირითად ხაზთან. აი რა პასუხს აძლევს კალისტრატე ხათუნას, კითხვაზე,

— რა ქვია აბა შენს სიცოცხლეს, კალისტრატე ბიძია?

— რა ქვია? არ თქვა ეგ! როგორ თუ რა ქვია! რა ქვია და სიცოცხლე! ცხოვრება ქვია ამას, ჩემს სიცოცხლეს! აბა ერთი ჩემთან ამოდი და გამოშვების სურათები ნახე, მაშინ გაიგებ ჩემს სიცოცხლეს რა ქვია! ამ მაღლიან მიწას პირუტყვივით კი არ ვთელავ მე. მიზანი მაქვს ცხოვრებაში და იმას ვემსახურები. ცოცხალ აღამიანებს ვზრდი. ამაზე უკეთესი სიცოცხლე იქნება? ეს მინახავს მე, შვილო, ხათუნა, თუ არა ერთი დაუნაგული ხანჯალი ჩემთვისაც არ გაწყდებოდა, ერთი წუთითაც არ მიფიქრია, არა! რა ვუყოთ, გავუბედურდი. საყვარელი საქმე ხომ დარჩა, ესეც ხომ არ მოუკლავთ ფრონტზე. შალიკო მინდელის შვილები ხომ დარჩა, რომ ვასწავლო... შენ კი მეუბნები, რა სიცოცხლეა შენი სიცოცხლეო? კალისტრატე მასწავლებლის მხატვრული სახე უთუოდ მწერლის მიღწევაა.

მაგრამ რომანის ყველაზე რელიეფური ფიგურა, ხათუნას შემდეგ, არის პეტრე მიროტაძე — პეპიჩა. ჩვენი აზრით ის არა მარტო რევაზ ჯაფარიძის მიღწევაა, არამედ ქართული ლიტერატურის შენაძენია. ეს თვითმყოფი ხასიათი თითქოს ცხოვრებდან ამოგლიჯა მწერალმა და თავის რომანში შეიყვანა. იგი იმდენად კოლორიტული სახეა, იმდენად დამაჯერებელი და ზედმიწევნით გამოსახული, რომ იყარგება ზღვარი რეალურსა და შეთხზულს შორის. ხოლო მდიდარი მხატვრული ფერების მეშვეობით იგი ზოგად ხასიათს იღებს და, ანატოლ ფრანსის სიტყვებით რომ ვთქვათ, — „თვით სინამდვილეზე უფრო ნამდვილია“. პირველი შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ეს კაცი გენახოთ, შემდეგ თქვენ გაოცებით მწერლის ღრმა თვალთახედვა, მისი პალიტრის ძალა, — როგორ შესძლო ასე ხელშესახებად დაეხატა ეს ტიპი. თქვენს წინ დგას მაღალი, გამხდარი კაცი, რომელსაც კისერზე „ყიყვი“ უთამაშებს, პირი სანახევროდ გდებული აქვს და ეს-ეს არის ახლა წამოიყვანებს: „გაეშვი ახლა მე, აბა!“. იგი ყველა საქმის „ორგანიზატორია“, ყველა საქმის „სულის ჩამდგმელი“. ყველგან პეპიჩაა — ქორწილში, ტირილში, წყალში თუ ხმელეთზე, ყველას პეპიჩა „ეხ-

მარება“, ყველა ახალ საქმეს პეპიჩა „თაობს“. უმისოდ ლაშქების ძაღლის ჯალხანას მოკვლის საქმეც კი ვერ მოგვარდება, მაგრამ პეტრე მიროტაძემ კარგად იცის ვის მიეხმაროს. იგი სიამოვნებით ეხმარება ზაქარა მჭედელს ქორწილში და წყალშიაც შეტოპავს შუა ზამთარში, მაგრამ ადვილად მოატყუებს ქვრივობლებს და სადგურზე მის მოიმედეთ მიატოვებს.

პეტრე მიროტაძეს ყველასთვის „თავთავისი“ მიმართვა აქვს. ხათუნა მისთვის უბრალოდ ხათუნაა, ზაქარა მჭედელი — ზაქარა, ხოლო რაიკომის მდივანი — ლაზარიჩი, კოლმეტურნეობის თავმჯდომარე — ყარამანიჩი, ელეფთერ ლაშხი, რომლისგანაც აგრეთვე სიკეთეს გამოვლის — ამბერკიჩია. მაგრამ საკმარისია ბორის ლოლაძის საქმე საუკუძმანოდ გახდეს, რომ მაშინვე დაიკარგოს სადღაც „იჩი“. ამისთანა კაცს სოფელში მედროვეს ეძახიან, ფლიდსა და გარეცხილს. მაგრამ ესეც კია, მას გვერდს ვერავინ აუვლის და თითქმის ყოველთვის სჭირდებათ ამ ტიპის ასე ცოცხლად დახატვა, მისი მაღალმხატვრული სახის შექმნა ყველა შემოქმედს დაამშვენებდა.

კარგად არის რომანში დახატული სერგოსა და მაყვალას სახეები, მათი სიხარული, მათი ბედნიერება, მათ აღტაცებით და ოდნავ შურითაც შეჰყურებს ხათუნა. მაგრამ სერგოსა და მაყვალას სახე მხოლოდ კონტრასტისათვის როდი სჭირდება მწერალს. ისინი განამტკიცებენ სიყვარულსა და აღმაფრენას, აღამიანის სულის უნაზეს სიმებს ეხებიან და აღმოაცენებენ მკითხველში სათუთ გრძნობებს, განამტკიცებენ მასში სიცოცხლისა და ყოფნის უღიდეს აზრს და სილამაზეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ესთეტიკურ ხაზს ავსებს და ავითარებს ზურისა და გვანცას ბალღური, გულწრფელი და მიაშიტი სიყვარული.

კარგად დახატა მწერალმა მოხუცი იორამის სახე, რომელიც წლების ტვირთმა ვერ დაძაბუნა და სიცოცხლის ხალისი ვერ დაუთარგა. ღრმად მოხუცებული ბერიკაცი ყოველთვის ცდილობს ხალხში ერიოს და მონაწილეობას იღებდეს ცხოვრებაში და თავისი დიდი გამოცდილება გაუზიაროს შთამომავლობას.

ნაკლებ დამაჯერებელია ელეფთერისა და ელენეს სახეები. საერთოდ ლაშქების ოჯახის ისტორია სუსტადაა დაკავშირებული სიუჟეტურად რომანთან და ამიტომ ძნელი გასარკვევია მხატვრული ფუნქცია, რომელიც ამ ოჯახის წევრთა მხატვრულ სახეებს აქისრიათ. ელენე თითქმის უმიზნო და უიდეალო ქალს განასახიერებს, რომელსაც არც შვილი ჰყავს და არც სხვა საზრუნავი აქვს ამ ქვეყანაზე. არც სამსახური გააჩნია და არც სხვა რაიმე საქმე, აქედან უნდა გამომდინარეობდეს მისი უტანადობანი, ავადმყოფობა და კარგადმყოფობა. ოღ-

ონდ ყველაფერი ეს ძალიან ბუნდოვნად, ნათელი აზრისა და მხატვრული გაპირობების გარეშეა ასახული. ებმე რომ ელფეთერისა და ელენეს სიყვარული დაარღვია, ეს გასაგებია მკითხველისათვის, მაგრამ რა კონკრეტული მოტივებით, რა კონკრეტული ზეგავლენით, რა გრძნობების აღძვრით მოახერხა მან ელფეთერის გულის გაცივება ელენეს მიმართ, ეს ჩვენთვის საიდუმლოდ რჩება.

რევაზ ჯაფარიძის შემოქმედების მხატვრული თავისებურება საგანგებოდაა შესასწავლი, ჩვენ რამდენიმე შენიშვნით დავკმაყოფილდებით.

„ჯარისკაცის ქვრივი“ ლაშების ოჯახის ცხოვრების ერთგვარი დაუკავშირებლობა რომანის სიუჟეტურ ქარგასთან ერთადერთი ხარვეზი როდია. ნაწარმოებში საკმაოდ ხშირად გვხვდება ამბის გაგრძელება, გაჭიანურება, ზოგიერთი სიტუაციის დეტალური, ზედმიწევნითი აღწერა, რაც ხანდახან განმეორების „თაბუქი“-ლებსაც ქმნის, ხოლო თავისთავად კარგად შესრულებულ პასაჟებს სიუჟეტის განვითარებისათვის მნიშვნელობა არა აქვთ და არც გმირის დახასიათებას მატებენ რაიმეს. მაგალითად, ქალაქიდან დაბრუნებული სერგო ზვარში შეხედება ზაქარა მკედელს და მათ შორის დიალოგი იმართება, რაც სიუჟეტის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია. ამის შემდეგ სერგომ გზა უნდა განაგრძოს და შინ მივიდეს. მწერალი დაწვრილებით აგვიწერს როგორ წამოვიდა წვიმა, როგორ დასველდა სერგო და როგორ მივიდა შინ. თავისთავად ეს ეპიზოდი კარგადაა აღწერილი და კარგ სურათსაც ქმნის, ერთგვარი თავისთავადი ესთეტიკური ღირებულებაც გააჩნია — კარგად აღიქმება წვიმით განბანილი დედამიწა და მცენარეები, აგრეთვე სოფლის ცალკეული სურათები. მწერალი თითქო სულს უდგამს გზაში მიმობნეულ ქვებს, რომლებიც წვიმამ გააბრწყინა. აბზინდნენ ტირიფებიც, ყორზე გადახრილი ბროწეულის ალისფერი ნაყოფიც, თითქოს „ჰიშკართან აქაიქ გადამხმარ ბლახს უქვდავების წყალი მისახურეს“. მაგრამ მთლიანად ამ ეპიზოდს სიუჟეტის განვითარებისთვის მნიშვნელობა არა აქვს და არც სერგოს დახასიათებისათვის იძლევა რაიმე ახალს. ზურია ბევრჯერ ესტუმრება ხოლმე ზაქარა მკედლის ეზო-კარს და ეს ბუნებრივია ყოფითს რომანში, მაგრამ მწერალი რაც შეიძლება უნდა ერიდოს ერთი და იმავე დეტალების განმეორებას. „კარები დაგმანული იყო“, „ალბათ ზაქარა მკედელი შინ არ იყო“, „ტყუპები მაყვალსთან თუ წავიდნენ“ და სხვ. და სხვ. ასეთი დეტალები ზურიას მოსვლის დროს მრავალჯერ მეორდება და თვით ზურიას

მოსვლას უბრალო განმეორების მნიშვნელობას აძლევს.

რ. ჯაფარიძე წერს ძარღვიანი და ხატოვანი ქართულთ, არ ერიდება ლექსიკაში დიალექტის მარაგის გამოყენებას, არამარტო გმირის სასაუბრო ენაში, არამედ მწერლის თხრობაშიც. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ზედმეტად მივიჩნიოთ ზედმიწევნითი დიალექტური ფორმების გამოყენება (მოეფოთარე-ბინა, არჯალი, გაღვერილი, მგვანე და სხვ.)

რ. ჯაფარიძის წინადადება გამართულია და გასაგებია, აზრი ჩამოყალიბებული და ნათელი, მეტყველება სადა და ზუსტი. ხანდახან თუ წამოცდება ხოლმე „აინუნშიაც არ იყო“, „შაქანება არ ჩანდა“, „...დაბალქუსლიანი სადა ფეხსაცმელი და ასეთივე ფერის ნაჭრებისაგან ნაქსოვი თავსაბური“ და სხვ.

მწერალს კარგი თვალი აქვს და ყველაფერს ამჩნევს, ბევრ რაიმეს ისეთს მიგვითითებს, რომელსაც ჩვეულებრივი თვალი ვერ შეამჩნევდა ან თავის დროზე ვერ იტყოდა მთხრობელი. მაგრამ ზოგჯერ რევაზ ჯაფარიძე თავს ვერ აღწევს ზედმეტი დეტალებით სახეებისათა ვითარებათა დამძიმებას.

ხათუნას გამგზავრებას ხალხი შეუყრია ყანჩაველების ეზოსთან. სპირიდონი რომ შარაზე გამოვიდა, ახლა ისინი აქ აღარ იყვნენ, მაგრამ თოვლს მათი ნაფეხურები აჩნდა და იქვე ეყარა პაპიროსის ნამწვავები. პაპიროსის ნამწვავებისა და ნაფეხურების ხსენება სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მოხუცმა გაიგოს აქ მეზობლების თავშეყრის ამბავი, მაგრამ მწერალი არ სჯერდება პაპიროსის ნამწვავების აღნიშვნას. მან შენიშნა, რომ ამ ნამწვავებმა თოვლში „პატარა შავი ღრმული“ გაიკეთეს და უნდა ესეც აცნობოს მკითხველს, მაგრამ ამას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა მკითხველისთვის, რომელიც ახლა სპირიდონის ფიქრებს მიჰყვება და მწერალიც იმას უნდა ცდილობდეს — არ მოაცილოს მას. იგი კი აჩერებს თავის ყურადღებას შავ პატარა ღრმულზე.

ზოგი რამ გმირის ენაზეც უნდა შევნიშნოთ. გმირის გამოსახატავად, მწერალი ძირითადად, ოთხ საშუალებას იყენებს: გმირის მოქმედებას, გმირის ენას და სიტყვიერ მასალას, სხვათა სიტყვით დახასიათებას და პირდაპირ დახასიათებას. მთვანე უკანასკნელს თითქმის სრულებით არ მიმართავს რევაზ ჯაფარიძე, იშვიათად იყენებს სხვათა სიტყვით დახასიათებას, ხოლო ძირითადად ეყრდნობა გმირის მოქმედებას და ენას, რომელშიაც სიტყვიერი მასალაც იგულისხმება — ე. ი. რას ამბობს გმირი და როგორ ამბობს. ამ შემთხვევაში ჩვენ არ გვაინტერესებს, ლიტერატურული ენით საუბრობენ

„ჯარისკაცის ქვრივის“ გმირები, თუ დილაქტით. აქ სხვა მომენტი იპყრობს ყურადღებას: რამდენად შეესიტყვება სიტყვიერი მასალა გმირის ფსიქიკას, მისი განვითარების დონეს, ცოდნის მარაგს, მის სულიერ მოთხოვნილებებს.

აქ უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ რევოლუციური ჯაფარიძის, როგორც მხატვრის ერთერთი დამახასიათებელი თვისება სწორედ ესაა. მისი გმირები ლაპარაკობენ თავიანთი, საკუთარი ენით და მათი საუბრის სტილი, აზროვნების მანერა, ლექსიკა და მთელი სიტყვიერი ფაქტურა კარგად გამოხატავს და შეესატყვისება ხასიათის არსსა და ბუნებას. ეს მწერლის დიდი ღირსებაა. ნაკლოვანი მხარეები შეინიშნება „ჯარისკაცის ქვრივშიც“. რამდენიმე მაგალითს მოვიყვანოთ.

ახალგაზრდა ექიმი სერგო აიშვებდა ხათუნას, ზურისას კარგი ბელი შეხვედბაო მომავალში: „—ნუ გეშინია, შეხვედბა. სახარებაში წერია, ძვირად და ჰპოვებდნენ...“. მაგრამ ათქმევინა თუ არა მწერალმა ეს თავის გმირს, მაშინვე მოაგონდა, რომ სერგო არ იცნობდა სახარებას და იქპარის შეილაშროს ნათქვამი: „...ასე წერია თუ რაღაცა სხვანაირად, ამნაირი აზრია შიგ. ერთი სიტყვით“. მაგრამ ეს როდი ასწორებს საქმეს. სერგოს არ უნახავს სახარება, არ წაუთხოვს და არც თვით სახარება და მერემისი აფორიზმების მოშველიება, საერთოდ აფორისტული მეტყველება არ შეადგენს რევოლუციური ჯაფარიძის მხატვრული სტილის დამახასიათებელ თვისებას, მაგრამ თუ იგი მას გამოიყენებს, ეს ბუნებრივ ელფერს უნდა ატარებდეს. „ნიჭი საქმეში იბადება“ — ეს საკმაოდ კარგ, ანდაზისებურ თქმად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ იგი ისევე სერგოს ექუთვნის და ამიტომ ნაკლებად დასაჯერებელი გვეჩვენება, იგი ახალგაზრდა ექიმს არ შეიძლება ექუთვნოდეს.

წელან სახარებაზე ჩამოვარდა სიტყვა და ვთქვით, ნაკლებად შეეფერებოდა ეს სერგოს, ახლა ბაბუა იორამის გამო უნდა შევნიშნოთ, მას მწერალი საკმაოდ „ახლებურად“ ალაპარაკებს. „...არ კადრულობ ბაბუე დაწოლას თუ? პამაკში ჩაგაწვენ მამაშენის ცხონებამ! მოდი! — შეუწყრა იორამი წითელ ძროხას, რომელიც ზარმაცად იზმორებოდა სვეტთან“. რასაკვირველია პამაკი ბაბუა იორამმა შეიძლება იცოდეს, მაგრამ ასე მისი გამოყენება სიტყვაში ნაკლებ დასაჯერებელია მოხუცისაგან. ნატურალისტურია იორამის რეპლიკა „კიღამ მომყოლი გადაყლაბა ძროხამ“, და მიუხედავად იმისა, რომ იგი პერსონაჟის სიტყვებია, მაინც არასასურველია და არაესთეტიკური.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ

„ჯარისკაცის ქვრივის“ ამ ნაკლოვან მხარეებს, რადგან ჩვენი სურვილია, რომ მწერალს მისი უძლიერესი იარაღი — პერსონაჟის ენის ბუნებრივი ინდივიდუალიზება უფრო გამახვილებული ჰქონდეს და მუდამ მისიწრაფოდეს მისი სრულყოფისაკენ. განსაკუთრებით აღსანიშნავი ის არის, რომ პერსონაჟის ენის შესატყვისობას მის ფსიქიკურ წყობასთან მწერალი აღწევს ძალდაუტანებლად, ყოველგვარი გარეგნული ეფექტის გარეშე.

რ. ჯაფარიძის მხატვრობის მეორე და უმთავრესი ღირსება, რომელიც ჩვენ „ხევის პატარა ღაზზე“ და „ჯარისკაცის ქვრივზე“ დაკვირვებისას გვესახება, ეს არის მხატვრული წარმოსახვის ცხოველყოფილობა. რ. ჯაფარიძეს ცხადად აქვს წარმოდგენილი მხატვრული სახე და, რაც მთავარია, აღძრავს მას მკითხველში. მწერლის ამ თვისების ახსნასა და აღსაბუთებას, ალბათ, დიდი ხნის დაკვირვება დასჭირდება. ჩვენ გვსურს მივუთითოთ ერთი მხარე; სურათის გაცოცხლებას რევოლუციური ალწევს დეტალის მოხდენილი გამოყენებით. ჩვენ თუ ზემოთ მოვიყვანეთ მაგალითები, სადაც მწერალი ზედმეტი სიზუსტით ცდილობს აგვიწეროს მოვლენა ან საგანი, ახლა შევეცდებით მკითხველს ვუჩვენოთ, თუ როგორ აცოცხლებს მწერალი მთელ სურათს და ყოფით სცენებს გამჭირაბი თვალით შენიშნული პატარა დეტალით. ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ როცა სერგო თბილისიდან დაბრუნდება, გზად შეხვედბა ზაქარა მკედელს და იმართება მათ შორის საუბარი. საუბარი ეხება ფრიად საინტერესო საკითხს ორივე მხარისათვის. წინასწარ ვიცით, რომ ზაქარა ვენახში მუშაობს, მაგრამ საუბარმა კარგა ხანი გასტანა, ჩვენი ყურადღება სხვაგან გადაიტანა და თითქოს დაგვივიწყა რას აკეთებდა ზაქარა, როგორ იდგა სერგო. მაგრამ მწერალი არ დაუშვებს, რომ მკითხველის წინაშე მისი გმირები ყოველთვის არ იდგნენ, რომ მათ შორის ემოციური კონტაქტი მოიშალოს. იგი ერთი წუთითაც მხედველობიდან არ უშვებს პერსონაჟებს და არც მკითხველს აძლევს საშუალებას დაივიწყოს ისინი. საკმარისია ზაქარამ საუბარში სრულიად ბუნებრივად ჩაუბროს „გაიწი წყალი არ მოგვეშხვოს“, რომ მაშინვე აღდგეს მთელი სურათი და ღინამიური ვახდეს.

ებე გარდაიცვალა.

„ელეფთერი მოვიდა. გულხელდაჭდობილი იქვე გაჩერდა. კალისტრატემ სკამი მიუწია.

შუკაში ვილაც აკივლიდა.

სამივე შეკრთა მოულოდნელობისაგან, რადგან ირგვლივ სიჩუმე იყო. ჭიშკარში თმაგაწეწილი ედუიკი შემოვიდა და განათებულ დერეფანს მოთქმით მიაშურა. თან მოთქმამდა, თან

მალულად აქეთ-იქით იცქირებოდა, ძალღი დაბმულია თუ არაო. როდესაც ჯალხანა არსაიდან გამოეხაურა, ელუკი უფრო მოუმატა კივილს და მოთქმას.

აქ საქმე ელუკის სახის იუმორისტულ ხატვაში როდია მართო. თმაგაშლილი მოტირალის მიერ თვალებით ძაღლის ძეხნის დეტალი საოცარი ძალით აცოცხლებს და აბუნებრივებს მთელ ეპიზოდს.

წყალში მთლად დასველებული პეტრე მიროტაძე და მისი ღირსეული მეუღლე ელუკი ქორწილის დროს ზაქარა მჭედლის „პალატში“ შევიდნენ. აქ ისინი მოზარდების „ჯგუფს“ წააწყდებიან და პეტრე მაშინვე ჩაებმება ღვინის სმაში. მასზე განაწყენებული ელუკი სრულიად არ ეპიტნავენა ახლა მას.

„— მაღადეც თქვენ — კარის გაღებისთანავე წამოიძახა პეტრემ, — ქეიფობთ? იყავით, იყავით, მასწავლებელი კი არა ვარ! მე ცოტა უნდა გავშრე. წადი ახლა შენ, ელუკი, პატარა შევშრები და ახლავე ამოვალ. ზაქარას უთხარი, არ შეშინდე, თუ რაიმე გაგიჭირდეს, აქა ვარ-თქო. ზურია, ბიჭო, ღვინოა მაგ ბოთლში? წადი შენ. რას მიყურებ! დამისხი აბა, ბიჭო, თუ ღვინოა?...“

ეს მეორე მიმართვა — „წადი, წადი, შენ, რას მიყურებ“ — სრულიად უმისამართოდაა თითქმის ნათქვამი, მაგრამ მწერალს არ დავიწყებია კარებთან მდგომი ელუკი. მკითხველსაც

იქით გაახედებს და უცბათ სივრცის შეგრძნობას იწვევს. თავიდან ათვალეერებს მკითხველი ოთახს და დინამიურობაში აღიქვამს მას. მხატვრული სახე კინოკადრივით ცოცხლდება და იწყებს მოძრაობას. ეს ყველაფერი ხდება პეპიჩას მონოლოგში ერთი პატარა დეტალის მეშვეობით და მხატვრული ოსტატობაა.

ასევე დინამიურია იმერეთის ბუნების სურათი „ჯარისკაცის ქვრივში“: „მთელი ღამის განმავლობაში გადაუღებელი წვიმა. ლუხუნი ადიდდა. იქაურობას იკლებდა ღრიალით. წვიმა მხოლოდ გათენებისას დაცხრა, მაგრამ მდინარის ყრუ გუგუნი კვლავინდებურად ისმოდა. გათენდა თუ არა, პერანგას დაკბილულ თხემზე ვეება წითელი მზე ამოიწვერა. მოსარკულ ცაზე ერთი ფთილა ღრუბელიც აღარსად იყო“.

დიდებულია ბუნების ეს გამკვირვალე და ნათელი სურათი ამომავალი მზის შუქზე. მას იგივე მოძრავი სიცხოველე და შთამბეჭდავი ემოციურობა ახასიათებს, რაც საერთოდ მხატვრულ სახეს „ჯარისკაცის ქვრივში“, რომელშიც ასე ხელშესახებად და უშუალოდ არიან დახატული ადამიანები, და რომელსაც ასევე კარგი, თითქმის ფერწერული, და ამავე დროს მოძრავი, დიდი იდეურ-მხატვრული დატვირთვის მატარებელი სიმბოლიური სურათი ასრულებს: „ხათუნა წინ მიუძღოდა შვილებს, წინ ყორიდან გადმოცვენილი უსწორმასწორო ქვებით აჩინჩხლული შარავზა იყო, უკან კი გარდასულ თაობათა სამუდამო ადგილსამყოფელი“.



სელინჯერის გმირები

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვიდა ჯერომ სელინჯერის ახალი წიგნი „ფრენი და ზუია“, რომელსაც ამერიკული კრიტიკა დიდი ინტერესით შეხვდა. ახალ წიგნში შეტანილია ორი დიდი მოთხრობა, რომლებიც 1955 — 57 წწ. გამოქვეყნდა „ნიუ-იორკში“. „ფრენი“ და „ზუია“ დაწერილია უფრო მოგვიანებით, ვიდრე რომანი „თამაში ჭვავის ყანაში“, და კრიტიკოსების აზრით უფრო მომწიფებული ნაწარმოებებია. ორივე ნაწარმოების გმირი ისევ და ისევ იმედგაცრუებული ახალგაზრდობაა, რომელიც ვერ ეგუება „ამერიკული ცხოვრების წესს“ და გამოსავალს ეძებს ფსიქოლოგიურ ექსპურსებსა და ქვეცნობიერ სამყაროში. — სელინჯერის მტკიცება, რომ ადამიანის შინაგანი ცხოვრება ძალიან ბევრს ნიშნავს, — წერს ჯ. აბდაიკი გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“, — იმაზე მეტყველებს, რომ მწერალი ხატავს იმ ამერიკას, სადაც უმრავლესობას ვერ მოუწახვავს თავისი შესაფერი საქმე და ამიტომ გრძნობათა სამყაროში ეფლობა.

დისნეის ფილმი შტრაუსზე

ცნობილმა ამერიკელმა კინორეჟისორმა უოლტ დისნეიმ დაიწყო ფილმის გადაღება იოჰან შტრაუსის ცხოვრებაზე. ფილმის სახელწოდება იქნება „ვალსის მეფე“.

„მამაშვიტის არ სცალია“

ფირმამ „მეოცე საუკუნე — ფოქსი“ განაცხადა, რომ გადაღებები რეჟისორ ჯორჯ სტივენსის ფილმისა „ქრისტეს ისტორია“ განუსაზღვრელი დროით გადაიდება. იესო ქრისტეს როლი უნდა შეესრულებინა ცნობილ შვედ მსახიობს მაქს ვან სილდოს. ფილმში მონაწილეობა უნდა მიეღოთ აგრეთვე კინოვარსკვლავებს ელიზაბეტ ტეილორს, სპენსერ ტრესის, ალექ გინეს, სილენი პუატის... ამ გადაწყვეტილების მიზეზი ეტყობა, ის ცამეტი მილიონი დოლარის ზარალია, რომელიც კომპანიამ ნახა გასულ წელს. ამის გარდა დეკემბერში განზრახული აპრემიერა ამავე სიუჟეტზე გადაღებული სხვა ფილმებისა „მეფეთ მეფე“, რომელიც კინოფირმა „მეტრო-გოლდვინ-მაიერმა“ გამოუშვა. უკანასკნელ დროს კინემატოგრაფისტები ისე გაიტაცა მითოლოგიურმა და ბიბლიურმა თემებმა, რომ პროდუსერმა სემუელ გოლდვინმა იხუმრა: „მამაშვიტის იხე დაკავებული კინოფილმების წარმოებით, რომ დრო აღარ რჩება იფიქროს თავის ყოველდღიურ საქმეზე“.

„სახიფათო ამერიკელი“

მარლონ ბრანდო ასრულებს ერთერთ მთავარ როლს რეჟისორ ჯორჯ ინგლუნდის ფილმში „სახიფათო ამერიკელი“. ეს ფილმი წარმოადგენს უ. ლედერერისა და ე. ბურდიკის გახმაურებული რომანის

ერანიზაციას. ამ რომანში მხილველია ამერიკული დიპლომატიის კულისების საქმიანობა.

ერთერთ როლს ამ ფილმში ასრულებს იაპონელი მსახიობი ეიჯი ოკადა, რომელიც თამაშობდა ფილმში „ნიროსიმა — ჩემი სიყვარული“.

„სახიფათო ამერიკელი“ წარმოადგენს აგრეთვე მარლონ ბრანდოს დის — ჯოსელინ ბრანდოს დებიუტს.

უილიამ უაილერის

„პატივმოყრის“

უილიამ უაილერი ისევ მიუბრუნდა ლილიან ჰელმანის პიესას „ბავშვების საათი“. მასვე ეკუთვნის ამ პიესის ეკრანიზაცია 1988 წელს. მაშინ მთავარ როლებს ასრულებდნენ მარიამ შოპინსი და მეროლბერი. ახლა მთავარ როლებს ასრულებენ ოდრი ჰეპბერნი და შირლი მაკ ლინი. პიესას საფუძვლად უდევს 1908 წელს ედინბურგში მომხდარი ცნობილი ამბავი.

ინტერნატის ერთერთმა მოწაფემ ორ მასწავლებელს შუარისძიების მიზნით ლესბიურ სიყვარული დააბრალა. ატყდა სკანდალი და ამას ის მოჰყვა, რომ მასწავლებლებმა არსებობის წყარო დაკარგეს და იძულებულები იყვნენ ქალაქი დაეტოვებინათ. ფილმს „პატივმოყრის“ ეწოდება.

მძვინვარე ბმინგუშის

კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულმა ჟურნალმა „სეტერდერევიუმ“ საგანგებო ნომერი

მიუღწევნა ერნესტ ჰემინგუეის ხსოვნას. მრავალრიცხოვანი სტატიების ავტორები არსებითად დაინტერესებულნი არიან ერთი თემით: რა ადგილი უჭირავს ამერიკულ ლიტერატურაში, როგორია ჰემინგუეის მსოფლიო მნიშვნელობა.

საერთო სათაურით („მსოფლიო აფასებები ჰემინგუეის მნიშვნელობას“) ჟურნალში მოთავსებულია სტატიები იმაზე თუ როგორ აღიქვამენ მწერლის წიგნებს ესპანეთში, იტალიაში, საბჭოთა კავშირში, იაპონიაში, ინგლისსა და ინდოეთში.

ჟურნალში მოთავსებულია მწერლის ნაწარმოებთა კრიტიკის მიმოხილვა.

ერთერთი სტატიის ავტორი უ. კარლოს ბეიკერი იძლევა ცნობებს ჰემინგუეის ხელნაწერების შესახებ. ესაა, პირველ რიგში, „სახეფათო ზაფხული“, რომლის რამდენიმე თავიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ლაიფში“. აქვე დასახელებულია მემორიული ხასიათის წიგნი „ოციაინი წლების პარიზი“, რომელიც უკვე გამოცემილია ჰქონია. შემდეგ ავტორი ასახელებს ხელნაწერს პირობითი სათაურით „მიწა, ზღვა, ჭაერი“ (ინახება ჰავანაში, ეროვნული ბანკის სეიფში). ამ წიგნის შესახებ ჰემინგუეი ესაუბრა ბეიკერს ჯერ კიდევ ათი წლის წინათ. იგი ნაწყვეტებს უკითხავდა თავის ცოლს და მიაჩნდა, რომ თუ მას სმენისას კანი აებუძებოდა, ე. ი. მწერალმა მიზანს მიაღწია. ჰემინგუეის მეოთხე ხელნაწერის შავს სათაურად აქვს „ზღვის დაბადება“. თავის დროზე ამ ხელნაწერიდან იქნა ამოღებული „მოსუცი და ზღვა“. აღნიშნული ხელნაწერი აიღახოს შტატის ბანკის სეიფში ინახება.

მწერლის ცოლმა ხუთი კვირა დაჰყო კუბაზე, გადაარჩია მთელი არქივი, მწერლის მითითების თანახმად გაანადგურა ბევრი წერილი და დოკუმენტი და ხელნაწერები ამე-

რიკის შეერთებულ შტატებში გადაიტანა. რეპორტიორების კითხვაზე თუ ჰემინგუეის რა ახალი გამოცემა მოსალოდნელი, მწერლის ქვრივმა განაცხადა, რომ იგი ზუსტად შეასრულებს განსვენებულის სურვილს.

უოლტ უიტმენის წარმომადგენელი

აშშ-ში განზრახულია უოლტ უიტმენის ნაწარმოებთა სრული კრებულისა და წერილების მონუმენტური თოთხმეტტომიანი გამოცემა. უკვე გამოქვეყნდა წერილების პირველი ორი ტომი, რომელიც მოიცავს მწერლის ცხოვრების 33 წელს (1842—1875).

„ნიუ-იორკ ტაიმს ბუკ რევიუ“ წერს, რომ აღნიშნული წერილები უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს, რადგან ისინი „მეტად უბრალოა და ადამიანური“. პოეტს უყვარდა წერილებში ყოველივე იმის აღწერა, რასაც ხედავდა, აგრეთვე თავისი შეხვედრების, ადამიანებთან დამოკიდებულებების, საუბრების ფიქსაცია.

დიდი ადგილი უჭირავს სამოქალაქო ომის დროს დაწერილ წერილებს. ნაწილი ამ წერილებისა უკვე გამოქვეყნდა ცალკე კრებულში „უოლტ უიტმენი სამოქალაქო ომის შესახებ“, რომელიც შეადგინა პოეტმა ლოუენფელსმა.

აღსანიშნავია, რომ თითქმის არ არის შემორჩენილი 1850—1855 წწ. წერილები, როცა უიტმენში თანდათან მწიფდებოდა „ბალახის ფოთლების“ შექმნის იდეა. ეს ის პერიოდი იყო, — წერს ყოველკვირეულის რეცენზენტი, — როცა კაცი, რომელიც თანამედროვეებს მიაჩნდათ დიდი-დიდი ჩვეულებრივ ჟურნალისტად თანდათან ყალიბდებოდა, როგორც მე-19 საუკუნის უდიდესი პოეტი.

ბერმანია

ბერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

ბიოლის წერილი

გაზეთ „ველტში“ გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც სინანულია გამოთქმული იმის გამო, რომ წამყვანი დასავლეთ გერმანელი მწერლები დღემდე უვლიან გვერდს „19 აგვისტოს მოვლენებსა და მის შედეგებს“. მიმართავს რა მწერლებს, გაზეთი პროვოკაციულად ცდილობს აამხედროს ისინი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც ზომები მიიღო რესპუბლიკის საზღვრების გასამაგრებლად.

აღნიშნული სტატიის საპასუხოდ ჰენრიხ ბიოლმა რედაქციას მიმართა წერილით, რომელშიც განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება ბონის მთავრობის პოლიტიკის, აგრეთვე „ველტის“ მოთხოვნების მიმართ. მწერლების მიერ გამოთქმულ შეხედულებებს პოლიტიკურ საკითხებზე ფედერაციულ რესპუბლიკაში ყოველთვის ცუდი ბედი ეწევა ხოლმე, — წერს ჰენრიხ ბიოლი — ასე იყო მაშინ, როცა მწერლებმა ხმა აღიმალეს ატომური შეიარაღების წინააღმდეგ და მაშინაც, როცა ფრანგი მწერლების შეზღუდვების წინააღმდეგ გამოვიდნენ. დღეს ფედერაციულ რესპუბლიკაში დიდი ვაჟაკობაა საჭირო იმისათვის, — წერს შემდეგ ბიოლი, — რომ საჭვეწნოდ ახსნა იმის მიზეზები თუ როგორ მოხდა კედლით ბერლინის შუაზე გაყოფა. ეს ამბავი შეიძლება არც მომხდარიყო, დასავლეთი რომ პოლიტიკურად შეთანხმებული ყოფილიყო. დასავლეთი სახელმწიფოების პოლიტიკამ მიგვიყვანა იქამდე, რომ პირობები საბჭოთა კავშირთან მო-

ლაპარაკებისათვის ამჟამად გაცილებით არახელსაყრელი ავინემ წინა წლებში“.

სამწუხაროდ ამავე წერილში ბიოლის მხრივ აღვლილი აქვს დაუშვებელ გამოხედვებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

სამარცხვინო გადაწყვეტილება

რამდენიმე სტრიქონმა, რომელიც გამოჩნდა დასავლეთ ბერლინის წიგნის საფარო ბიულეტენში და რომელსაც ხელს აწერს ფრანკფურტის მსხვილი გამომცემლობა „ი. ფიშერ-ფერლაგი“, საბოლოოდ გამოუთხარა ძირი ამ გამომცემლობის რეპუტაციას.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ გამომცემლობამ დააპირა გამოცემა დასავლეთ გერმანიის შვიტხველთათვის აღმოსავლეთ გერმანიის თანამედროვე მწერლის მნიშვნელოვანი ნაწარმოები — ერვინ შტრიტმატერის ცნობილი რომანი „სასწაულთმოქმედი“, მაგრამ გამომცემლობამ მოულოდნელად უარი თქვა თავის განზრახვაზე. „აღმოსავლეთ ბერლინის უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით ჩვენ იმ გადაწყვეტილებამდე მივედით, რომ არ გამოვცეთ საბჭოთა ზონის მწერალთა კავშირის პირველი მდივნის რომანი“. განცხადებაში ნაჩვენებია თარიღი — 1961 წლის 18 აგვისტო — ის დღე, როდესაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო ღონისძიებანი დასავლეთ ბერლინიდან პროვოკაციათა აღკვეთის მიზნით.

„ძველი გერმანული გამომცემლობა, რომელიც ამაჟამად თავისი ტრადიციებით და იმით, რომ მისი ავტორი იყო თომას მანი, განუღდა ჭეშმარიტს. მან გადაწყვიტა ღუმილით გვერდი აუაროს ომისშემდგომი დროის გერმანული ლიტერატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნა-

წარმოებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი ავტორი, როგორც სოციალისტი, ამაჟამად აცხადებს თავისი ერთგულების შესახებ თავის სახელმწიფოსადმი“, — აღნიშნავს გაზეთი „დერ მორგენი“.

გამომცემლობის სამარცხვინო გადაწყვეტილება ამტკიცებს იმას, რომ თომას მანის გამომცემლებმა დაივიწყეს დიდი გერმანელი მწერლის გაფრთხილება, რომელიც ანტიკომუნისტურ აზროვნებასთან დაკავშირებით გამოცემის დროს დიდ სისულელეს.

„პური შრომისა“

ჰამბურგში რეჟისორი ჰერბერტ ვესელი იღებს ფილმს „პური შრომისა“ ჰენრიხ ბიოლის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით.

ესპანეთი

მიხეილ მარნაშვილის ხმა

ფრანგულმა გამომცემლობა „სეგურმა“ გამოაქვეყნა გამოჩენილი ესპანელი პოეტის მიხეილ მარნაშვილის ლექსები პროზად „ფრეგების სამყაროში“. კრებულში მოთავსებულია ავტორის უცნობი ლექსები დაწერილი ჯერ კიდევ მაშინ, როცა პოეტი 21 წლის იყო.

გაზეთ „მონდის“ რეცენზენტი მაღალ შეფასებას აძლევს წიგნს. „აქ თავმოყრილია პატარა სურათები, — წერს რეცენზენტი, — მოკლე სცენები, რომელთა სიუჟეტები აღებულია სოფლის ცხოვრებიდან. აქაა მრეცხავი, რომელსაც თეთრეული გაუფენია, აყვავებული ნუშის ხეები, პატარა სოფელი ბიჭები... პოეტის ყველა ნაწარმოები გამსჭვალულია ღრმა ადამიანური ჭეშმარიტებითა და სიწმინდით“...

ცანუშის მიერ

პარპალური რომანი

ხუან გოიტისოლის რომანს „ერთი კუნძულის ქრონიკა“

ფრანკისტულმა ცენზურამ აკრძალა, ამიტომ წიგნი საფრანგეთში გამოქვეყნდა. წიგნის გმირები არიან მდიდარი ამერიკელი და ესპანელი უსაქმურები, რომლებსაც დაკარგული აქვთ ადამიანური სახე და ღირსება. მწერალმა მოახერხა ერგენებინა ამ ადამიანთა არსებობის უაზრობა, ადამიანებისა, რომლებიც „ფრანს-ნუველის“ აზრით, დაღალა გარესამყაროსაგან კუნძულივით მოწყვეტილ ქვეყანაში ცხოვრებამ. თავდავიწყების მიზნით ეს ადამიანები სვამენ, ერთობიან, მაგრამ მათ ტვინს არ შორდება ერთი აზრი: „რა იქნება შემდეგ?“ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მათ აღარ ძალუძთ.

„ერთი კუნძულის ქრონიკა“ ფრანკისტულ ესპანეთში საზოგადოების დეგრადაციის მასხილებელი რომანია, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ფრანკისტული ესპანეთის ცენზურამ ავტორს მისი გამომცემის ნება არ ღართო.

ინგლისი

ლოურენს ოლივიას ახალი რომლი

ლოურენს ოლივია შეასრულებს მთავარ როლს ფილმში „გამოცდილების პერიოდი“, რომელიც წარმოადგენს ინგლისელი მწერლის ჯეიმზ ბაროუს პოპულარული რომანის ეკრანიზაციას. სცენარის ავტორმა გვენ ლემერტიმ ამას წინათ მიიღო ოსკარის პრემია ფილმ „ვაიშვილები და საყვარლები“ სცენარისთვის (დ. ლოურენსის რომანის მიხედვით). ფილმს დგამს პიტერ გლენვილი.

ახალი ინგლისური ფილმები

ცნობილი ინგლისელი მწერლის დ. ლოურენსის რომანის „ზნედაცემული ქალიშვილის“ მიხედვით ჯეკ კლივტონი იღებს ფილმს, რომელშიაც

მთავარ როლს ანა მანიაჩი ასრულებს.

გოგოლის „ტარას ბულბაჲ“ ერთბაშად სამი რეჟისორის ყურადღება მიიქცია.

ლი ტომასონი (ფილმ „ნავარონის ზარბაზნების“ დამდგმელი) ამ ფილმს იღებს არგენტინაში. მთავარ როლებს ასრულებენ ტონი კერტისი, იულია ბრინერი და ბრეტ დექსტერი. ზაგრებში თავის „ბულბას“ ვან ზეფლინთან ერთად იღებს ჰენრი ზეფირატოსი. ამავე სიუჟეტზე ფილმის გადაღებას აპირებს რობერტო როსელინი.

პაი ჰამილტონი, რომელიც საბჭოთა მაყურებლისათვის ცნობილია, როგორც ფილმ „ნისბექტორის ვიზიტის“ დამდგმელი, იტალიაში მუშაობს ახალ ფილმზე „ორი მტერი“. ფილმის მოქმედება ვითარდება მეორე მსოფლიო ომის დროს, იტალიის ფრონტზე. მთავარ როლებს ასრულებენ დევიდ ნივენი (ინგლისელთა არმიის მაიორი) და ალბერტო სორდი (იტალიელი კაპიტანი).

მისტარ კოკშუტი დიკენსის შესახებ

მთელმა კაცობრიობამ კარგად იცის თუ ვინ არის ჩარლზ დიკენსი, მაგრამ არავინ იცის მისტერ კოკშუტის არსებობა. და აი მისტერ კოკშუტმა გადაწყვიტა დაეწერა მეცნიერული გამოკვლევა ჩარლზ დიკენსზე. „მეცნიერმა“ ამოცანად დაიხაზა... ლაფში ამოცნადა დიდი ინგლისელი მწერლის სახელი.

„დიკენსი იყო ვულგარული... დიკენსს უხეში აზროვნება ჰქონდა... დიკენსი ფარისეველი და სნობი იყო... დიკენსისთვის არ არსებობდა რაიმე წმინდა... დიკენსი ერთი გაუზრდელი ვინმე იყო...“ და ზოლოს, დიკენსისთვის თურმე „დაზნაული იყო სულიერი და ინტელექტუალური განვითარების გზა...“

ყველა ეს და ამის მსგავსი

მტკიცებები თავმოყრილი აკოკშუტის წიგნში „ჩარლ დიკენსის შემოქმედება“, რომელიც ახლახან გამოსცეს ინგლისში.

რით არის გამოწვეული მისტერ კოკშუტის ამგვარი მეცნიერული აღშფოთებები? მისივე სიტყვებით „ჩარლზ დიკენსი ბავშვობიდანვე ავადმყოფურად იყო დაინტერესებული ციხითა და სიღარიბით, ძალადობით, ფულით და ხალხით“. აი თურმე სად იმალება ძალის თავი! მისტერ კოკშუტს ხელს არ აძლევს ინგლისის ბურჟუაზიული საზოგადოების ყოფისა და ჩვევების მკაცრი და მამხილებელი სურათები, რომელიც ესოდენ დიდი სიმართლით დახატა მწერალმა. დასასრულ, ალბათ თავისი „ოზიექტურობის“ საჩვენებლად კოკშუტი დაასკვნის, რომ ყველაფრის მიუხედავად დიკენსი მაინც კარგი ჟურნალისტი და ნიჭიერი არტისტი იყო, რომელსაც შეეძლო „დამიანების გართობა“.

გაცეხას იწვევს მხოლოდ ინგლისის გამოცემლობა „კოლინსი“, რომელმაც შესაძლოდ მიიჩნია ამ წიგნის გამოქვეყნება.

იტალია

ფილმები ისტორიულ თემაზე

იულიოს ცეზარის როლის შესახებ უძველესი ფილმები „იულიოს ცეზარი გალთა მფარველი“ მოწვეულია ამერიკელი მსახიობი კამერონ მიტჩელი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ფილმებში „ვიკინგთა მძევნადარება“ და „უკანასკნელი ვიკინგი“ და მაყურებელთა დიდი სიმპატია დაიმსახურა. ფილმს იუგოსლავიაში იღებენ. სცენარს საფუძვლად დაედო ცეზარის სახელგანთქმული „ჩანაწერები გალის ომზე“. რეჟისორია ამერიკელი ანტონი.

პიერო პიეროტი დე პაულოს

სტუდიაში შეუდგა ფერადი ისტორიული ფილმის „მარკო პოლოს“ საპავილიონო გადაღებებს. მთავარ როლებს ასრულებენ ამერიკელი მსახიობები რორი კელსონი და იაპონელი კინოვარსკვლავი იოკო ტანი.

ვიარეჯოს პრემია 1961 წელს

ვიარეჯოს პრემია, ერთერთი დიდი ყოველწლიური ლიტერატურული პრემია იტალიაში, მიენიჭა ალბერტო მორავიას რომანისათვის „მოწყენილობა“. პრესა ფართოდ განიხილავს ჟიურის გადაწყვეტილებას და ხაზს უსვამს, რომ პრემია მიეცემა არა იმდენად რომანს, რომელმაც თავის დროზე მძაფრი პოლემიკა გამოიწვია, არამედ მორავიას მისი ხანგრძლივი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მრავალმხრივი შემოქმედებისათვის. თუ კრიტიკოსებსა და ჟიურის წევრებს შორის რომანის შეფასებისას აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა, ავტორთან დაკავშირებით ამგვარ აზრთა სხვადასხვაობას ადგილი არ ჰქონია. მორავიას დამსახურებათა აღნიშვნას და მისი რომანისათვის ვიარეჯოს პრემიის დაგვიანებულ მინიჭებას, როგორც პრესა აღნიშნავს, გარკვეული მიზეზები აქვს, პირველი: შეუნარჩუნოს ამ უკანასკნელ წლებში შერყეული პრესტიჟი ვიარეჯოს პრემიას პოპულარობა საზღვარგარეთ, რომ ამით ნიადაგი მოემზადოს მისთვის ნობელის პრემიის მინიჭების საქმეს, რომლის ღირსადაც მწერალს უკვე დიდი ხანია თვლიან იტალიის ლიტერატურულ წრეებში. ალბერტო მორავიას ამ რომანს დიდი კომერციული წარმატებაც ჰქონდა, — გაიყიდა 85 000 ეგზემპლარი, რაც იტალიისათვის არც თუ ისე მცირეა. ამ უკანასკნელი წლების იტალიურ ლიტერატურაში

არ მოიძებნება არც ერთი რომანი, რომელიც თავისი მხატვრული ღირსებებით გვერდში ამოუდგება მორავიას „მოწყენილობას“. ამიტომ მორავიას გამარჯვება წინდაწინვე გადაწყვეტილი იყო. ამ წლის ვიარეჯოს პრემია მიეკუთვნა აგრეთვე ახალგაზრდა მწერალ ქალს ლორენცო მაძეტის რომანისათვის „ჩამოქცეული ცა“. ეს მწერლის პირველი ნაწარმოებია. რომანში მოთხრობილია ორი იტალიელი ქალიშვილის თავგადასავალი 1948 წლის ქარიშხლიან დღეებში. პროგრესული პრესა იწონებს ჟიურის გადაწყვეტილებას, რომელმაც პრემია მიაკუთვნა მორავიას, ყველაზე დიდ იტალიელ რომანისტს. ჟიურის აკრიტიკებენ იმისათვის, რომ შან არ განიხილა მთელი რიგი ნიჭიერად დაწერილი ნაწარმოებები ლიტერატურის ისტორიისა, ესთეტიკისა და სოციოლოგიის დარგი.

„მისტიფიკაცია“

ამ ცოტა ხნის წინათ იტალიელმა ლიტერატორებმა კარლო დელა კორტემ და ალჩიდე პაოლინემ გამოსცეს საინტერესო წიგნი სათაურით „მისტიფიკაცია“. ესაა თავისებური გამოკვლევა იტალიელი გრაფომანების შესახებ.

ავტორებს ხელთ ჰქონდათ უმდიდრესი ფაქტიური მასალა: ხელნაწერები, რომლებსაც განუწყვეტლივ იღებენ გამოცემლობანი და სხვადასხვა ლიტერატურული პრემიების მიმნიჭებელი ჟიური. საერთო სურათი საშინელია: წვრილმანი გრძნობები და ინტერესები. მწერლურ კულტურაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. დელა კორტესა და პაოლინეს წიგნში მრავალაა აქვთ მოტანილი ციტატები, რომლებიც ცხადყოფენ მათი ავტორების უნიჭობასა და მხატვრულ თუ იდეურ უსუსურობას.

ელეო პეტრის ფილმი

ახალგაზრდა პროგესულმა რეჟისორმა ელეო პეტრამ, რომელიც აქამდე მხოლოდ სცენარისტისა და ჟურნალისტის სახელით იყო ცნობილი (მისი რეპორტაჟი დაედო საფუძვლად ცნობილი კინოსურათის „რომი 11 საათზე“ სცენარს), დადგა ფილმი „მკვლელი“. ფილმი მძაფრ სოციალურ პრობლემებს ეხება და გვიჩვენებს ბურჟუაზიული მართლმსაჯულების მექანიზმს. ფილმში მთავარ როლს ასრულებს მსახიობი მარჩელი მასტროიანი.

ახალი სპანდალი „ფიარა ლეპარარის“ რედაქციაში

იტალიური კულტურის მოღვაწეთა ერთმა ჯგუფმა ნაციონალურ სინდიკატს, ევროპულ მწერალთა გაერთიანებასა და აგრეთვე გაზეთების რედაქციებს მიმართა წერილით, რომელიც ააშკარავებს იტალიის ლიტერატურული ცხოვრებისათვის დამახასიათებელ საზოგადოებრივ ჩვევებს. ამ პროტესტს ხელს აწერენ გვიდო პიოვენე, ჯანკარლო ვიგორელი, ჯუზეპე უნგარეტი, გოფრედო ბელონჩი და სხვა ცნობილი მწერლები და კრიტიკოსები. პროტესტის მიზეზია ის სკანდალური ისტორია, რომლითაც კვლავ მიიქცია საზოგადოების ყურადღება იტალიურმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა „ფიერა ლეტერარია“.

რამდენიმე თვის უკან ჟურნალის რამდენიმე თანამშრომელი იძულებული იყო დაეტოვებინა რედაქცია, რადგან „რედაქციაში გამეფებული განწყობილება შეუთავსებელი იყო მათ მორალურ და პოლიტიკურ ღირსებასთან“, მაშინ ამ ინციდენტის მიზეზი იყო ამ ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატია, რომელიც რუმინელ ფაშისტს ვინტილა ხორიას ეკუთვნოდა.

რა მოხდა ახლა?

მრავალი წლის განმავლობა-

ში „ფიერა ლეტერარია“ რედაქტორობდა უფროსი თაობის ცნობილი პოეტი ვინჩენცო კარდარელი. მისი მოადგილე იყო ნაყოფიერი კათოლიკი დრამატურგი დიეგო ფაბრი. რედაქტორის გარდაცვალების შემდეგ დიეგო ფაბრიმ სადავე აიშვა და ჟურნალმა თავის ძირითად ხაზს გადაუხვია და ზურგი შეაქცია თავის წინანდელ დემოკრატიულ და ანტი-ფაშისტურ პოზიციებს. ამის ნათელი დადასტურება იყო ყოველკვირეულის ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატია, რომელიც ვიდაც გაეტანო არქანჯელოს ეკუთვნოდა. ავტორი ლაფში სვრის განსვენებული რედაქტორის ხსოვნას და ილაშქრებს მისი ტალანტის, ერუდიციისა და ლიტერატურული გემოვნების წინააღმდეგ.

მაგრამ მთავარი ეს კი არ არის. ბოლოს და ბოლოს ეს ვიდაც არქანჯელი მესამეხარისხოვანი ფიგურაა, რომელიც ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში არავითარ როლს არ თამაშობს. პროტესტის ავტორები სამართლიანად აღნიშნავენ: „ჩვენ არც წერილსა და არც მის ავტორს და არც იმ ორგანოს, რომელშიაც იგია მოთავსებული, ყურადღებას არ მივაქცევდით, რომ მრავალი წლის განმავლობაში ამ ჟურნალს სათავეში არ სდგამოდა განსვენებული კარდარელი, რომელსაც ახლანდელი რედაქტორი დიეგო ფაბრი ასე ვულგარულად შეურაცხყოფს. ჩვენ ხმას ვიმაღლებთ ღირსეული ლიტერატურული კოლექტივისა და ყოველი ცალკეული მწერლის სახელით“.

კუბა

ჰემინგუეის გმირის პროტოტიპი

საბჭოთა ჟურნალისტების ჯგუფი ესტუმრა კონიარის მეთევზეთა კოოპერატვის შავანის ახლოს. აქ საბჭოთა ჟურნალისტებმა გაიცნეს მოხუცი

მეთევზე ანგლიმო ერანდესი, რომელიც, ჰემინგუეის ქვრივის დამოწმებით, „მოხუცისა და ზღვის“ გმირის პროტოტიპია. როგორც მოხუცმა უამბო ჟურნალისტებს, „დიდი ჰავანელი“ ერნესტ ჰემინგუეი მრავალჯერ გასულა მასთან ერთად სათევზაოდ ზღვაში.

ჰოლანდია

ჟოზეფ კონრადის ცნობარება პარანზე

ცნობილი ინგლისელი მწერალი ჟოზეფ კონრადი (1857—1924) წარმოშობით პოლონელია. მისი ნამდვილი სახელი და გვარია ტეოდორ იოზეფ კონრად კოჟენეცკი. 1663 წ. აჯანყებაში მონაწილეობისათვის მისი ოჯახი გადაასახლეს რუსეთში. უპატრონოდ დარჩენილი ჩვიდმეტი წლის კონრადი მარსელში ჩავიდა, სადაც საზღვაო საქმეს სწავლობდა. 3 წლის შემდეგ იგი ინგლისში მოხვდა და მრავალი წლის განმავლობაში მსახურობდა ინგლისის საზღვაო ფლოტში. 1894 წელს ავადმყოფობის გამო მან მიატოვა საზღვაო სამსახური და მწერლობას მოკიდა ხელი.

ფართოკრანიან ფერად ფილმს იმ მწერლის ცხოვრებაზე, რომელიც უმღეროდა გმირობასა და ჰუმანიზმს და ილაშქრებდა კოლონიზატორების წინააღმდეგ, გადაიღებს რეჟისორი ალექსანდრ ფორდი.

საზრანგეთი

როდენის შემოქმედება

ამ სათაურით გაზეთმა „ლიბერალიზმმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც მიმართულია როდენის მუზეუმში გამართულ

ლი თანამედროვე აბსტრაქტული სკულპტურის გამოფენის წინააღმდეგ. გაზეთი წერს, რომ მუზეუმის ტერიტორიაზე ცუდად დამუშავებული ცემენტის, უზარმაზარი, გაუგებარი ნაგებობების, რკინის უფორმო ზოდებისა და თიხის არაფრის-მთქმელი ნაჭრების გამოფენა შეურაცხყოფას აყენებს როდენს, რომლის ნაწარმოებები თავისი ოსტატობით ანცეფრებს მთელ მსოფლიოს. ე. წ. ნოვატორებს, განაგრძობს გაზეთი, შეეძლოთ მოსულიყვნენ მუზეუმში. აქ ისინი მკეღულობას მაინც ისწავლიდნენ, რადგან ყოველი აივნის მოაჯირი მათთვის მიუწვდომელი ოსტატობითაა შესრულებული. გაზეთი აღნიშნავს, რომ სრულებითაც არ იყო საჭირო ამდენი დროისა და თანხის დახარჯვა იმისათვის, რომ ოცდაშვიდი ქვეყნიდან აბსტრაქციონისტების ნაცოდვილარი გადმოეზიდათ. ამგვარი ღონისძიება ხელს უთბობს მხოლოდ გაიძვერა საქმოსნებსა და სპეკულანტებს და საერთო არაფერია აქვს ნამდვილ ხელოვნებასთან.

თანამედროვე „ჰორაციუსი“

რენე ფალე, ჟან-პოლ ლე შანუა და ანდრე ვერსინი წერენ სცენარს კორნელის ტრაგედიის „ჰორაციუსის“ საფუძველზე. ტრაგედია გათანამედროვეებულია. მოქმედება გადატანილია კორსიკაზე. თანამედროვე ჰორაციუსებსა (ფაბიანის ოჯახი) და კურიაციებს (კოლონას ოჯახი) შორის არსებობს შუღლი — ვენედეტა, რომელიც შურისძიებას მოითხოვს. სამი ძმა ფაბიანის როლებს ასრულებენ შარლ აზნაურო, ჟან-ლუი ტრენტინიანი და ეტიენ ბერი; სამი ძმა კოლონასა კი — რაიმონ პელიგრინი, ლუი ლალანი და ემი

დემარში. ფაბიანთა დის — კამილას როლს, რომელსაც ერთ-ერთი კოლონა უყვარს, ასრულებს ჯოვანა რალი.

ფილმი ლაზარიაზე

დამთავრდა რეჟისორ ჟან ღრევილის ისტორიული ფილმის „ლაზარიაზე“ გადაღებები, რომელიც რვა თვეს გრძელდებოდა. მოსამზადებელმა სამუშაოებმა ძალიან დიდხანს გასტანა. „სინემატოგრაფი ფრანსეზის“ ცნობით, ფილმში მონაწილეობდა 20 კინოვარსკვლავი, 200 კინომსახიობი, 30 ათასი სტატისტი და 5 ათასი ცხენოსანი.

„ტარტარენ ტარასკონელი“ პარანზე


მსახიობი ფრენსის ბლანში, რომელიც პაპა შულცის როლს ასრულებს ქრისტიან-ჟაკის ფილმში „ბაბეტა მიდის ომში“, პირველად იღებს დამოუკიდებელ ფილმს „ტარტარენი“. იგი ალფონს დოდეს „ტარტარენ ტარასკონელის“ ეკრანიზაციას წარმოადგენს და ტარტარენის როლს თვით ფრენსის ბლანში ასრულებს.

ახლა „შემინალი“...

„ტირეზა რაკენის“ წარმატებით ეკრანიზაციის შემდეგ მარსელ კარნე კვლავ მიუბრუნდა ზოლას ნაწარმოებებს. ამჟამად იგი მუშაობს ზოლას ერთერთი საუკეთესო ქმნილების „ჟერმინალის“ კინემატოგრაფიულ ხორცშესხაზე, ფილმის სცენარი დაწერა შარლ სპაკმა.

დე სიკა თამაშობს დანტას

ვიტორიო დე სიკა ასრულებს დანტეს როლს მორის კლოშის ფილმში „ღვთაებრივი კომედია“.



პ რ ო ზ ა

- ირაკლი აბაშიძე — „იტალიური ჩანაწერები“
ნოდარ დუმბაძე — „მე ვხედავ მზეს“ (რომანი)
როსტომ ბაქანიშვილი — „ჩვენი უკანასკნელი თამაში“ (რომანი)
გიორგი ნატროშვილი — „დაკარგული ბავშვები“ (მოთხრობა)
ედიშარ ყიფიანი — „მწვანე ფარდა“ (მოთხრობა)
მერაბ ელიოზიშვილი — „თეთრი კედლები“ (მოთხრობა)
ჩვენაჲ ჭიჭიშვილი — „ტშუპაჲის ავადმყოფობის ისტორია“ (მოთხრობა)
ვანო ურჯუშელაშვილი — (ახალი მოთხრობა)
დავით ჯავახიშვილი — პირველი მოთხრობები
ზაზუნა ამირაშვილი — „ბანაჩენი“ (მოთხრობა)
ანდრო ლომიძე — „ღალატი“ (მოთხრობა)
გერმან ტიტოვი — ავტობიოგრაფიული მოთხრობა „ჩვიდმეტი კოს-
მოსური ცისკარი“.
თენისიზ ნოკრები — „ემერესტო“
იური ნაგიბინი — „მოთხრობები საქართველოზე“

პ ო ე ზ ი ა

- გიორგი შატბერაშვილი — „ზაფხულის ღამის ქრონიკა“ (პოემა)
ხუტა ბერუღვა — „უბის წიგნიდან“ (ახალი ლექსები)
მუხრან მაჭავარიანი — ლირიკული ლექსები.
ზოთა ნიშნაიძე — ლექსები
ტარიელ ჭანტურია — „ცისარტყელა“ (ლექსების ციკლი)
ზაურ გოლჭვაძე — „მომავლის გზები“ (ახალი ლექსები)
ოთარ ჭილაძე — „დევებით სავსე ქუდი“ (პოემა)
რობერტ ბერესი — ლექსები (თარგმანი თამარ ერისთავისა)
ომარ ხაიამი — რობაიები (თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა)
ჰერსი ბიუი უელი — „ბათავისუფლებული პრომეთე“ (თარგმ. ზვიად
გამსახურდიასი)
ნიჟამი ბანჯალი — „ლეილი და მაჯნუნი“ (ნაწყვეტი. თარგმ. მადალი
თოდუასი)

პ ჩ ი ზ ი ა და კ უ ბ ლ ი მ ნ ს ზ ი ა

- სერგი ჭილაძე — „სიმონ ჩიქოვანის ლირიკა“.
გიორგი მარგველაშვილი — „ირაკლი აბაშიძის შემოქმედება“
გურამ ასათიანი — „ახალგაზრდა ქართველი პროზაიკოსები“
ნოდარ ჩხეიძე — „მერაბ ელიოზიშვილის პირველი წიგნი“.
კობა იმედაშვილი — „მწერალი და ჯარისკაცი“ (გიორგი ნაფცვარი-
ძის დაუმთავრებელი ბალადა)
ვლადიმერ მაჭავარიანი — „რა ამუხრუშებს თეატრის განვითარებას“

გარდა ამისა ჟურნალში გამოქვეყნდება სხვა მწერლების ლექსები, მოთხრობები
და წერილები.

65/66

8360 60 333.

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ**

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„САБЧОТА МЦЕРАЛИ“